

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
იურიდიული ფაკულტეტი

# სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები

---

№4

ISSN 2449-3112

---

თბილისი, 2019

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
იურიდიული ფაკულტეტი

# სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები

№4

ISSN 2449-3112

თბილისი  
2019

**თსუ იურიდიული ფაკულტეტი**  
**სისხლის სამართლის მიმართულების**  
**პერიოდული გამოცემა**

სარედაქციო საბჭო:

**მანია ივანიძე**  
**მარინა მესხი**  
**ნინო გობინიაშვილი**  
**თამარ მახარაშვილი**

კორექტორი **ნელი ელიზბარაშვილი**

ტექ. რედაქტორი **კახაბერ რუსიძე**

კომპიუტერული უზრუნველყოფა **თამარ სტიფნაძე**

© ავტორთა ჯგუფი, 2019

ISSN 2449-3112

გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №47.

☎ 239-15-22; E-mail: meridiani777@gmail.com

**ჟურნალის ეს გამოცემა ეძღვნება თინათინ წერეთლის სახელობის  
სამეცნიერო საზოგადოების დაარსების 5 წლის თავს**

## შინაარსი

### ედიშერ ფუტკარაძე

ადამიანის უფლების დაცვა სისხლის სამართალში მისი  
სამართლებრივ სიკეთედ გამოცხადების თვალსაზრისით..... 5

### მარიამ მითაიშვილი

თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლების  
შეზღუდვის დასაშვები ფარგლები და კავების გამოყენებისას ..... 30

### ანა სუთიძე

კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის განრიდების თავისებურებანი ..... 44

### გიორგი დავითაშვილი

ოჯახში ჩადენილი სისტემატური შეურაცხყოფის სისხლისსამართლებრივი ასპექტები..... 56

### გელა ტყეშელაშვილი

სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით..... 69

### ნათია მოგელაძე

ანტიკორუფციული რეფორმების და კორუფციის  
აღქმის ინდექსის დინამიკა საქართველოში..... 82

### ლუარა ჭანტურია

მშობლის როლი მოზარდის ფსიქოლოგიური პრობლემების დასაძლევად..... 98

## ადამიანის უფლების დაცვა სისხლის სამართალში მისი სამართლებრივ სიკეთედ გამოცხადების თვალსაზრისით

ედიშერ ფუტკარაძე

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ივანე ჯავახიშვილი სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი

### შესავალი

ქვეყნის სამართლებრივი განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელია კანონმდებლობაში ადამიანის უფლების გათვალისწინებისა და დაცვის საკითხი.

ადამიანის უფლებათა შესახებ საერთაშორისო დეკლარაციებისა და კონვენციების რატიფიცირება წინ გადადგმული ნაბიჯია ადამიანის უფლების დაცვის თვალსაზრისით.

ქვეყნის კონსტიტუციაში ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა გათვალისწინება ადამიანის უფლებათა აღიარებისა და დაცვის კონსტიტუციური გარანტიაა.

თუმცა, ეს ყველაფერი საკმარისი არ არის. ადამიანის უფლების სამართლებრივ აღიარებასთან ერთად მნიშვნელოვანია მისი რეალიზაცია. ადამიანის უფლება მაშინ არის პრაქტიკული შედეგის მქონე, თუ ხდება მისი განხორციელება. ამიტომ ადამიანის უფლების თეორიულ - საკანონმდებლო ჩამოყალიბებასთან ერთად სასიცოცხლოდ აუცილებელია მისი ცხოვრებაში რეალურად განხორციელებისათვის შესაბამისი პირობების შექმნა.

ადამიანის უფლების რეალიზაციისათვის მნიშვნელოვანია თეორიულ-საკანონმდებლო ჩამოყალიბება - აღიარებასთან ერთად მისი დაცვა. აუცილებელია, რომ არ მოხდეს ადამიანის უფლების დარღვევა და მით უმეტეს, დანაშაულებრივი ხელყოფა.

რეალურ ცხოვრებაში შეიძლება ხშირად შევხვდეთ ადამიანის უფლების დარღვევის ფაქტს, მაგრამ ის არ უნდა იყოს დანაშაულებრივი ხასიათის. *კანონმდებელმა ადამიანის უფლების ხელყოფის გარკვეულ ქმედებებს განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა და ადამიანის უფლება სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტად (სამართლებრივ სიკეთედ) გამოაცხადა.*

სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილში საკანონმდებლოდ ჩამოყალიბებულია დანაშაულებრივი ქმედების სხვადასხვა შემადგენლობა, რომლებიც *ქმედების შემადგენლობის ობიექტად (სამართლებრივ სიკეთედ) ადამიანის სხვადასხვა ძირითად უფლებასა და თავისუფლებას აღიარებს.* ამით სახელმწიფომ ადამიანის უფლებათა ძირითადი მნიშვნელოვანი ნაწილი სისხლისსამართლებრივად დაცულ სამართლებრივ სიკეთედ აღიარა.

როგორც ცნობილია *სისხლის სამართალს აქვს დაცვითი ფუნქცია.* ის იცავს სამართლის სხვა დარგებით მოწესრიგებულ საზოგადოებრივ ურთიერთობებს.

საზოგადოებრივი ურთიერთობის მუდმივი განვითარებისა და მრავალფეროვნების შესაბამისად არსებობს და იქმნება სამართლის სხვადასხვა დარგი, რომელიც საზოგადოებრივი ურთიერთობის ამა თუ იმ სფეროს არეგულირებს.

მათგან განსხვავებით, მეცნიერებაში გაბატონებული შეხედულების მიხედვით, სისხლის სამართალი საზოგადოებრივ ურთიერთობებს იცავს. ეს კი ხდება ქმედებათა გარკვეული წრის დანაშაულად გამოცხადებით და მათთვის სასჯელის დაწესება - გათვალისწინებით.

აღიარებულია, რომ სისხლის სამართალს აქვს დაცვის ფუნქცია. აქ იგულისხმება სისხლის სამართალით დაცულ სამართლებრივ სიკეთეთა წრე. ამ სამართლებრივ სიკეთეთა წრეს მიე-

კუთვნება ადამიანის უფლებაც. ამიტომ ადამიანის უფლება სისხლისსამართლებრივად დაცული უმნიშვნელოვანესი სამართლებრივი სიკეთეა.

სისხლის სამართალს აქვს საგარანტიო ფუნქციაც. ეს ნიშნავს იმას, რომ მოქმედი სისხლისსამართლებრივად პასუხს აგებს მხოლოდ იმ ქმედებისათვის, რომელიც ჩადენამდე დასჯადად არის გამოცხადებული სისხლის სამართლის კოდექსით (კანონიერების პრინციპი).

ამდენად, სისხლის სამართალი იცავს არა მხოლოდ ნებისმიერი ადამიანის უფლებას, რომელიც შეიძლება ხელყოფილი იქნეს დანაშაულებრივი ქმედებით და გათვალისწინებულია კონკრეტულ დანაშაულში სამართლებრივ სიკეთედ, არამედ თვით დანაშაულებრივი ქმედების ჩამდენის უფლებასაც, რომ ის დაისჯება მხოლოდ დანაშაულის ჩადენისათვის.

ეს ნიშნავს იმას, რომ სისხლის სამართალს აქვს ორმაგი დაცვის ფუნქცია. ერთის მხრივ, იგი იცავს ნებისმიერი მოქალაქის უფლებას დანაშაულებრივი ხელყოფისაგან. ამას ახორციელებს კონკრეტული შემადგენლობების საკანონმდებლო დანაშაულად გათვალისწინებით, სადაც სამართლებრივი სიკეთეა ადამიანის ესა თუ ის უფლება.

მეორე მხრივ, სისხლის სამართალი საგარანტიო - კონსტიტუციურ დაცვის ფუნქციიდან გამომდინარე, დანაშაულებრივი ქმედების ჩამდენს იცავს თვით სახელმწიფოს თვითნებობისაგან და აძლევს გარანტიას, რომ ის დაცულია და სისხლისსამართლებრივად პასუხს აგებს მხოლოდ იმ ქმედების ჩადენისათვის, რომელიც სისხლის სამართლის კოდექსით დანაშაულად არის გათვალისწინებული.

ქმედების გარკვეული წრის სისხლის სამართლის კოდექსში დანაშაულად საკანონმდებლოდ გამოცხადება ადამიანის უფლების ამ თვალსაზრისით დაცვისათვის მნიშვნელოვანი ნაბიჯია, მაგრამ საკმარისი არ არის.

ადამიანის უფლების სისხლისსამართლებრივად საგარანტიო - კონსტიტუციურ დაცვისათვის, ქმედების დანაშაულად გამოცხადებასთან ერთად სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ამ ქმედების დანაშაულად სწორი სამართლებრივი კვალიფიკაცია და სამართლიანი სასჯელის დანიშვნა.

დანაშაული და სასჯელი იყო, არის და იქნება სისხლის სამართლის ფუნდამენტური ცნებები.

ადამიანის უფლების სისხლისსამართლებრივი დაცვა ყოველთვის იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ იქნება სისხლის სამართლის კოდექსში და დოგმატიკაში ჩამოყალიბებული და მით უმეტეს პრაქტიკაში რეალიზებული დანაშაულისა და სასჯელის საკითხი.

ადამიანის უფლების დასაცავად მნიშვნელოვანია სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელება. როგორც სამართლიანად წერდა რუსთაველი „ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად“.

ამისათვის კი აუცილებელია ადამიანის მიერ ჩადენილი ქმედების სამართლიანად დანაშაულად კვალიფიკაცია, როგორც საკანონმდებლო, ისე სასამართლო - საგამოძიებო და თუნდაც თეორიულ - დოგმატიკურ დონეზე.

მისი ლოგიკური და ასევე სამართლიანი გაგრძელება უნდა იყოს სამართლიანი სასჯელის დანიშვნა. ადამიანის უფლების დაცვისათვის მნიშვნელოვანია, რომ დამნაშავეს (და არა მხოლოდ მას) უნდა ჰქონდეს სამართლიანობის განცდა. ეს კი შეიძლება მხოლოდ სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელების პირობებში.

სამართლიანი სასჯელის დასანიშნად აუცილებელი წინაპირობაა დანაშაულებრივი ქმედებისათვის სამართლიანი, ადეკვატური, პროპორციული სასჯელის ჯერ საკანონმდებლო გათვალისწინება, შემდეგ კი სასამართლოს მიერ ბრალის ხარისხის გათვალისწინებით შეფარდება.

ამიტომ ქმედების დანაშაულად კვალიფიკაცია და სასჯელის შეფარდება თავისი სისხლისსამართლებრივი ინსტიტუტებით ფუნდამენტური საკითხია ადამიანის უფლების სისხლისსამართლებრივად დასაცავად.

ამ ნაშრომში ჩვენ შევეცდებით ეს საკითხი სხვადასხვა აქტუალური კუთხით წარმოვაჩინოთ. და არ გვაქვს პრეტენზია ამ ეტაპზე მისი სრულყოფილად, ამ თემატიკის ყველა საკითხის გამოკვლევისა.

აქვე ერთ გარემოებასაც მინდა მივაქციო ყურადღება. ქმედების დანაშაულად კვალიფიკაცია და სასჯელის შეფარდება საინტერესოა არა მხოლოდ ადამიანის უფლების დაცვის თვალსაზრისით, არამედ წმინდა სისხლისსამართლებრივი კუთხითაც. ამიტომ მისი აქტუალობა დიდ დასაბუთებას არ მოითხოვს. სისხლის სამართალში ყოველთვის აქტუალური იქნება ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციისა და სასჯელის შეფარდების საკითხი.

თუმცა ეს საკითხი სხვადასხვა დროსა და ადგილას განსხვავებულად ჩამოყალიბდა და განვითარდა. ზოგიერთ ადგილას, ქვეყნებში თვითონ ადგილზე შეიქმნა ესა თუ ის თეორია და მათი ნაწილი დღესაც აქტუალურია.

ზოგიერთ ქვეყანაში არც ადრე შექმნილა და არც ახლა იქმნება ისეთი მნიშვნელოვანი სამართლებრივი თეორია ან დებულება, რომელსაც სხვა გაიზიარებს ან თუნდაც საკუთარი ქვეყნის კანონმდებლობა ან სასამართლო პრაქტიკა გამოიყენებს.

ისევე როგორც მეცნიერების სხვა დარგებში, განსაკუთრებით ტექნიკურ დარგებში, ასევე სამართალშიც არის იდეის, „პროდუქციის“ ავტორი ქვეყნები და მისი მომხმარებლები.

არ არის აუცილებელი „ველოსიპედის ხელმეორედ გამოგონება“. ამ შედეგულების გაზიარებამ გამოიწვია ბევრი ქვეყნის მეცნიერის ე. წ. „ინტელექტუალური გაზარმაცება“ და საკუთარი აზროვნების ნაცვლად სხვისი ნააზრების შესწავლა - გამოყენებაზე გადავიდა.

როგორც აღნიშნავდა კონფუცი „ცოდნის მიღების სამი გზა არსებობს: აზროვნებით, მიბადებით და გამოცდილებით“.

მიბადებითა და გამოცდილებით მხოლოდ არსებული ცოდნის შესწავლაა შესაძლებელი. ამ დროს ახალი არაფერი იქმნება. სიახლის შესაქმნელად კი აზროვნებაა საჭირო.

რა თქმა უნდა, მეცნიერების სპეციფიკიდან გამომდინარე, აუცილებელია ე.წ. „სააზროვნო მასალის“ მოძიება - დამუშავება, მაგრამ ამის გამოყენებითა და გააზრებით რაიმე, თუნდაც უმნიშვნელო სიახლის (ახალი ცოდნის) შექმნაა საჭირო. თუ ეს არ მოხდა, მაშინ „სააზროვნო მასალის“ ტყვეობაში ან გავლენის ქვეშ მოვექცევით და ახალს ვერაფერს ვიტყვით.

ბოლო პერიოდში შეინიშნება „უცხოენოვან“ ლიტერატურაზე ჩვენი მეცნიერთა ნაწილის დამოკიდებულება - მიმბაძველობა. სამეცნიერო ნაშრომთა შეფასების ერთ - ერთ კრიტერიუმად იქცა გამოყენებულ უცხოურ ლიტერატურათა რაოდენობა. ლიტერატურა, უცხოენოვანი იქნება ეს თუ ქართული, ე. წ. „სააზროვნო, დასამუშავებელი მასალა“ უნდა იყოს საშუალება ახალი ნაშრომის შესაქმნელად და არა თვითმიზანი ჩვენი განათლებულობის, ნაკითხობის დასადასტურებლად.

ვფიქრობ, სამეცნიერო ლიტერატურის დიდი რაოდენობით გამოყენების თვითმიზნად ქცევა, ამცირებს საკუთარი აზრების ჩამოყალიბებისა და გააზრების შესაძლებლობას და გვიბიძგებს „ინტელექტუალური“ სიზარმაცისაკენ.

ვიხელმძღვანელებ რა ამ მოსაზრებით, მიუხედავად იმისა, რომ გარკვეულწილად მეც ვფლობ უცხო ენას და მქონდა შესაძლებლობა სამეცნიერო სტაჟირებაზე რამდენჯერმე ვყოფილიყავი საზღვარგარეთ, მიზანშეწონილად არ მივიჩნიე ეს ნაშრომი გადამეტვირთა ციტირებებით.

ამ გადანყვეტილების სისწორეში დამარწმუნა ჩემმა თითქმის 20 წლიანმა პედაგოგიურმა საქმიანობამ სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში.

როდესაც სტუდენტებს ვუსახელებ სხვადასხვა იურიდიულ ლიტერატურას, ისინი აშკარა უკმაყოფილებას გამოთქვამენ იმ წიგნების გამოყენებაზე, სადაც ხშირია უცხოენოვანი ლიტერატურა და ტექსტი კარგი ქართულით არ იკითხება. რაც არ უნდა ბრძნული და კარგი შინაარსი იყოს წიგნში, თუ მისი გადმოცემის ფორმა არ არის ადეკვატური, გასაგები და აღქმადი მკითხველისათვის, ის ამ წიგნის ნაკითხვით არ დაინტერესდება. ამდენად, ის არც სასწავლო

მასალად გამოგვადგება.

რა თქმა უნდა, ჩვენთვის საინტერესოა დასავლეთში შექმნილი კლასიკური ნაშრომების გაცნობა, იქ ჩამოყალიბებული იდეების შესწავლა, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ უარი ვთქვათ ჩვენს აზროვნებაზე, საკუთარი ცოდნის შექმნაზე და მხოლოდ სხვისი ცოდნის მომხმარებლად ვიქცეთ.

როგორც ყველას, ჩვენც გვაქვს ჩვენი საკუთარი აზროვნებითა და სხვისი გამოცდილების გაზიარებით განვითარების უფლება, თუმცა როგორც ზემოთ ავლნიშნეთ, უფლებასთან ერთად ძალიან მნიშვნელოვანია მისი რეალიზაცია.

იმედი მაქვს, რომ ყველა მოაზროვნე მკითხველი ამ ჩემს მოსაზრებას გაგებით შეხვდება და გაიზიარებს.

სისხლის სამართლის კოდექსით დაცული ადამიანის უფლება, რომელიც აღიარებულია საქართველოს კონსტიტუციით, განსაზღვრულია 1950 წლის ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციით და გაცხადებულია 1948 წლის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დაცულია (გათვალისწინებულია) ადამიანის ძირითადი უფლებები, რომლებიც აღიარებულია საქართველოს კონსტიტუციით, განსაზღვრულია 1950 წლის ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციით და გაცხადებულია 1948 წლის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით.

საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავი არის ადამიანის ძირითადი უფლებები. ონსტიტუციის ამ თავით აღიარებულია ადამიანის თითქმის ყველა ძირითადი უფლება. ეს უფლებები დეკლარირებულია ასევე 1948 წლის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით. ადამიანის ძირითად უფლებას აღიარებს არაერთი საერთაშორისო დეკლარაცია და მისი დამატებითი ოქმი. აქ არ შეუდგებით მათ განხილვა-გამოკვლევას. ეს არ შეადგენს ჩვენი კვლევის საგანს. აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ საქართველოს კონსტიტუციასა და საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებში გამოხატული ადამიანის ძირითადი უფლების დასაცავად საქართველოს მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსში ჩამოყალიბებული არაერთი კონკრეტული ქმედების (დანაშაულის) შემადგენლობა, რომელიც დანაშაულებრივი ხელყოფისაგან დაცვის ობიექტად, სისხლისსამართლებრივად დაცულ სიკეთედ ადამიანის ამა თუ იმ უფლებას ითვალისწინებს.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ საქართველოს მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსით სისხლისსამართლებრივად დაცული არ არის საქართველოს კონსტიტუციასა და საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებში გამოხატული ადამიანის ყველა ძირითადი უფლება.

ქვემოთ შევეცდებით მოვიყვანოთ რამდენიმე მუხლი საქართველოს კონსტიტუციიდან, 1950 წლის ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციიდან და 1948 წლის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციიდან, რომელიც აღიარებს მნიშვნელოვან ადამიანის უფლებას და მათ დასაცავად საქართველოს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსში გათვალისწინებული შესაბამისი მუხლი, რომელიც ამ უფლებას იცავს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩვენ აქ არ ვახდენთ საქართველოს კონსტიტუციისა და 1948 წლის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის ყველა მუხლით გათვალისწინებული უფლების გამოკვლევას. ეს არ არის ჩვენი კვლევის ობიექტი.

ადამიანის უფლება საინტერესოა ჩვენთვის სისხლისსამართლებრივი თვალსაზრისით იმდენად, რამდენადაც ის სისხლისსამართლებრივად დაცული სიკეთეა და გათვალისწინებულია კონკრეტული დანაშაულის ნიშნად. ხშირად ის შემადგენლობის ჩამოყალიბების საკანონმდებლო საფუძველია.

კანონმდებლისათვის, პირველ ყოვლისა, მნიშვნელოვანია იმის დადგენა თუ რას იცავს სისხ-

ლისსამართლებრივად. ამის შემდეგ დგება დღის წესრიგში სისხლისსამართლებრივად დაცული სიკეთის-ამ შემთხვევაში ადამიანის უფლების- დანაშაულებრივი ხელყოფისგან დაცვის ფორმის ჩამოყალიბების საკითხი.

ჯერ უნდა განისაზღვროს მიზანი და შემდეგ კი შეირჩეს მისი მიღწევის საშუალება. ამ შემთხვევაში მიზანია ადამიანის უფლების დაცვა, ხოლო მისი სამართლებრივ სიკეთედ გათვალისწინებით ჩამოყალიბებული ქმედების შემადგენლობების დანაშაულად გამოცხადება ამ მიზნის მიღწევის საშუალება.

სწორედ ქმედების დანაშაულად სწორი საკანონმდებლო კვალიფიკაცია, რომელიც სამართლებრივ სიკეთედ ითვალისწინებს ადამიანის ამა თუ იმ უფლებას, არის ადამიანის უფლების სისხლისსამართლებრივი დაცვის პირველი და მნიშვნელოვანი ნაბიჯი.

თუმცა, ადამიანის უფლების სისხლისსამართლებრივი დაცვა ადამიანის ამა თუ იმ უფლების კონკრეტულ დანაშაულში სამართლებრივ სიკეთედ გათვალისწინებით არ ამოიწურება.

ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ნებისმიერი ფორმა და ეტაპი მნიშვნელოვანია ადამიანის უფლების სისხლისსამართლებრივი დაცვისათვის. ასევე მნიშვნელოვანია სამართლიანი სასჯელის დანიშვნის საკითხი.

ვფიქრობთ, ყოველივე ამის შემდეგ, ინტერესმოკლებული არ იქნება მოვიყვანოთ რამდენიმე მუხლი საქართველოს კონსტიტუციიდან და ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციიდან და მათ დასაცავად საქართველოს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსში გათვალისწინებული შესაბამისი მუხლი, რომელიც სამართლებრივ სიკეთედ ამ უფლებას ითვალისწინებს და იცავს.

საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლს ეწოდება ადამიანის ღირსების ხელშეუვალობა, სადაც სწერია, რომ:

„1. ადამიანის ღირსება ხელშეუვალია და მას იცავს სახელმწიფო.

დაუშვებელია ადამიანის წამება, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობა, არაადამიანური ან დამამცირებელი სასჯელის გამოყენება.“<sup>1</sup>

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-5 მუხლის მიხედვით კი „არავინ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას, ან სასტიკ, არაადამიანურ თუ ღირსების შემლახველ მოპყრობას, ან დასჯას.“<sup>2</sup>

საქართველოს მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსში ამ უფლების დასაცავად გათვალისწინებულია შემდეგი ქმედებების დანაშაულად კვალიფიკაცია და დასჯადობა: წამება (მუხ. 144<sup>1</sup>), წამების მუქარა (მუხ. 144<sup>2</sup>) და დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობა (მუხ. 144<sup>3</sup>).<sup>3</sup>

აქ არ შევუდგებით ამ შემადგენლობათა სისხლისსამართლებრივ გამოკვლევა-დახასიათებას. თუმცა ესეც მნიშვნელოვანია ადამიანის ამ უფლების სისხლისსამართლებრივი დაცვის თვალსაზრისით. ამ ეტაპზე მხოლოდ იმის აღნიშვნა გვინდა, რომ საქართველოს კონსტიტუციითა და ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით აღიარებული ეს უფლება არის ამ დანაშაულებით დაცვის ობიექტი, ამ დანაშაულებით დაცული სამართლებრივი სიკეთე. სწორედ ამ სიკეთის სისხლისსამართლებრივი (დანაშაულებრივი) ხელყოფისგან დასაცავად არის სისხლის სამართლის კოდექსში ჩამოყალიბებული კონკრეტული ქმედების შემადგენლობები დანაშაულად.

აქ განხილულ დანაშაულებს დაცულ სამართლებრივ სიკეთედ, დანაშაულებრივი ხელყოფისგან დაცულ დანაშაულის ობიექტად გათვალისწინებული აქვთ საქართველოს კონსტიტუციითა და ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით აღიარებული ესა თუ ის კონკრეტული უფლება.

<sup>1</sup> <http://www.parliament.ge/ge/kanonmdebloba/constitution-of-georgia-68>

<sup>2</sup> <https://www.for-udhr.info/declaration-ge.html>

<sup>3</sup> <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=205>

ამ კონკრეტული უფლების დანაშაულებრივი ხელყოფისგან დასაცავად ჩამოყალიბებული საკანონმდებლოდ კონკრეტული ქმედება დანაშაულად, ე.ი. ადამიანის ამა თუ იმ უფლების სამართლებრივ სიკეთედ გათვალისწინებით მოხდა ქმედების დანაშაულად საკანონმდებლო კვალიფიკაცია, რომელიც მნიშვნელოვანი ნაბიჯია ადამიანის უფლების დასაცავად. დანაშაულის ობიექტთან, სისხლისსამართლებრივად დაცულ სამართლებრივ სიკეთესთან ერთად ქმედების დანაშაულად სწორი კვალიფიკაციისათვის მნიშვნელოვანია დანაშაულის სხვა ნიშნების სწორად, გააზრებულად განსაზღვრა და მათ საფუძველზე დანაშაულის საკანონმდებლო კონსტრუქციის ჩამოყალიბება.

დანაშაულის ყველა ნიშნის სათანადოდ გააზრებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ქმედების დანაშაულად საკანონმდებლო, სასამართლო და მეცნიერული კვალიფიკაციისათვის. ამ ყველაფერს კი მნიშვნელობა აქვს იმ სიკეთის დასაცავად, რის გამოც ჩამოყალიბდა კონკრეტული ქმედება დანაშაულად.

ქმედების დანაშაულად კვალიფიკაცია არ უნდა იყოს კანონმდებლის თვითმიზანი. ის უნდა იყოს საშუალება უფრო დიდი მიზნის მისაღწევად-განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ურთიერთობების დანაშაულებრივი ხელყოფისგან დასაცავად. *ქმედების დანაშაულად კვალიფიკაცია უნდა ემსახუროდეს ადამიანის უფლების სისხლისსამართლებრივად დაცვას.*

ამიტომ სისხლის სამართლის კოდექსში არსებული სპეციალური შემადგენლობების განხილვა, რომლებიც საქართველოს კონსტიტუციითა და ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით აღიარებული ადამიანის ამა თუ იმ უფლების დაცვას ემსახურება, მნიშვნელოვანია.

თუმცა, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ადამიანის უფლების სისხლისსამართლებრივი დაცვა არ ამოიწურება მხოლოდ კონკრეტულ დანაშაულებში ადამიანის ამა თუ იმ უფლების სამართლებრივ სიკეთედ საკანონმდებლოდ გათვალისწინებით და მათ შესაბამისად ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციით.

ადამიანის უფლების სისხლისსამართლებრივი დაცვა გულისხმობს ასევე ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციისა და სასჯელის დანიშვნის სხვადასხვა ასპექტს როგორც საკანონმდებლო. ისე სასამართლო და მეცნიერულ დონეზე.

ამ ეტაპზე შემოვიფარგლებით სისხლის სამართლის კოდექსში არსებული იმ მუხლების მოშველიებით, რომლებიც საქართველოს კონსტიტუციითა და ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით აღიარებული ადამიანის ამა თუ იმ უფლების დანაშაულებრივი ხელყოფისგან სისხლისსამართლებრივ დაცვას ემსახურება.

საქართველოს კონსტიტუციის მე-10 მუხლს ენოდება სიცოცხლისა და ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლებები, სადაც სწერია, რომ:

„1. ადამიანის სიცოცხლე დაცულია. სიკვდილით დასჯა აკრძალულია.

ადამიანის ფიზიკური ხელშეუხებლობა დაცულია.“<sup>4</sup>

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-3 მუხლის მიხედვით კი „ყველას აქვს სიცოცხლის, თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება.“<sup>5</sup>

საქართველოს მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსში ამ უფლების დასაცავად გათვალისწინებულია შემდეგი ქმედებების დანაშაულად კვალიფიკაცია და დასჯადობა: დანაშაული სიცოცხლის წინააღმდეგ (სსკ-ის XIX თავი, 108-116 მუხ.), დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ (სსკ-ის XX თავი, 117-126<sup>1</sup> მუხ.), ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შექმნა (სსკ-ის XXI თავი, 127-136 მუხ.), ასევე აქ შეიძლება მოვიზროთ დანაშაული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ (სსკ-ის XXII თავი, 137-141

<sup>4</sup> <http://www.parliament.ge/ge/kanonmdebloba/constitution-of-georgia-68>

<sup>5</sup> <https://www.for-udhr.info/declaration-ge.html>

მუხ.), და ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ მიმართული ზოგიერთი სხვა დანაშაული, მაგ; იძულება, მუქარა<sup>6</sup> და ა. შ.

საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლით აღიარებულია თანასწორობის უფლება.

„ყველა ადამიანი სამართლის წინაშე თანასწორია. აკრძალულია დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, სქესის, წარმოშობის, ეთნიკური კუთვნილების, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, სოციალური კუთვნილების, ქონებრივი ან ნოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან სხვა ნიშნის მიხედვით.“<sup>7</sup>

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში რამდენიმე მუხლი ეთმობა ამ საკითხს.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 1-ლი მუხლის მიხედვით „ყველა ადამიანი იბადება თავისუფალი და თანასწორი თავისი ღირსებითა და უფლებებით. მათ მინიჭებული აქვთ გონება და სინდისი და ერთმანეთის მიმართ უნდა იქცეოდნენ ძმობის სულისკვეთებით“.<sup>8</sup>

დეკლარაციის მე-2 მუხლში კი ნათქვამია, რომ „ამ დეკლარაციით გამოცხადებული ყველა უფლება და თავისუფლება მინიჭებული უნდა ჰქონდეს ყოველ ადამიანს განურჩევლად რაიმე განსხვავებისა, სახელდობრ, რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულების, ეროვნული თუ სოციალური წარმომავლობის, ქონებრივი, ნოდებრივი თუ სხვა მდგომარეობისა. გარდა ამისა, დაუშვებელია რაიმე განსხვავება იმ ქვეყნის თუ ტერიტორიის პოლიტიკური, იურისდიქციასთან დაკავშირებული, ან საერთაშორისო სტატუსის საფუძველზე, რომელსაც ადამიანი ეკუთვნის, მიუხედავად იმისა, თუ როგორია ეს ტერიტორია დამოუკიდებელი, სამეურვეო, არათვითმმართველი თუ სხვაგვარად შეზღუდული თავის სუვერენიტეტში.“<sup>9</sup>

საინტერესოა თანასწორობის უფლების თვალსაზრისით ასევე დეკლარაციის მე-7 მუხლი, სადაც აღნიშნულია, რომ „ყველა ადამიანი თანასწორია კანონის წინაშე და დისკრიმინაციის გარეშე ყველას აქვს უფლება თანაბრად იყოს დაცული კანონის მიერ. ყველა ადამიანს აქვს უფლება თანაბრად იყოს დაცული ამ დეკლარაციის დამრღვევი ყოველგვარი დისკრიმინაციისაგან და ასეთი დისკრიმინაციის ყოველგვარი წაქეზებისაგან.“<sup>10</sup>

საქართველოს მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსში ამ უფლების დასაცავად გათვალისწინებულია შემდეგი ქმედებების დანაშაულად კვალიფიკაცია და დასჯადობა:

მუხლი 142. ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევა

ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევა მათი ენის, სქესის, ასაკის, მოქალაქეობის, წარმოშობის, დაბადების ადგილის, საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი ან ნოდებრივი მდგომარეობის, რელიგიის ან რწმენის, სოციალური კუთვნილების, პროფესიის, ოჯახური მდგომარეობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამოხატვის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების გამო ან სხვა ნიშნით, რამაც არსებითად ხელყო ადამიანის უფლება, —

ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე ან/და თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.

2. იგივე ქმედება:

ა) სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით;

ბ) რამაც მძიმე შედეგი გამოიწვია, —

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ან უამისოდ.

<sup>6</sup> <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=205>

<sup>7</sup> <http://www.parliament.ge/ge/kanonmdebloba/constitution-of-georgia-68>

<sup>8</sup> <https://www.for-udhr.info/declaration-ge.html>

<sup>9</sup> <https://www.for-udhr.info/declaration-ge.html>

<sup>10</sup> იქვე.

შენიშვნა: ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებისათვის იურიდიული პირი ისჯება ლიკვიდაციით ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ან/და ჯარიმით <sup>11</sup>.

ასევე საინტერესოა რასობრივი დისკრიმინაციის მუხლი. აქვე მოგვყავს მისი ამჟამინდელი რედაქცია.

მუხლი 142<sup>1</sup>. რასობრივი დისკრიმინაცია

1. რასობრივი დისკრიმინაცია, ესე იგი ქმედება, ჩადენილი ეროვნული ან რასობრივი მტრობის ან განხეთქილების ჩამოგდების, ეროვნული პატივისა და ღირსების დამცირების მიზნით, აგრეთვე რასის, კანის ფერის, ეროვნული ან ეთნიკური კუთვნილების ნიშნით ადამიანის უფლებების პირდაპირი ან არაპირდაპირი შეზღუდვა ანდა იმავე ნიშნით ადამიანისათვის უპირატესობის მინიჭება, რამაც არსებითად ხელყო მისი უფლება,

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი:

ა) სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ანდა ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით;

ბ) სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ხუთ წლამდე.

3. ამ მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება:

ა) ჩადენილი პირთა ჯგუფის მიერ;

ბ) რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან შვიდ წლამდე.

შენიშვნა: ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებისათვის იურიდიული პირი ისჯება ლიკვიდაციით ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ან / და ჯარიმით <sup>12</sup>.

*ხშირად ასეთ მუხლებს კონვენციურ მუხლებს (დანაშაულებს) უწოდებენ. მათი ტექსტი, შინაარსი უმეტესად ემთხვევა კონვენციის შესაბამისი მუხლის ტექსტს, შინაარსს და ნაკლებია ეროვნული თავისებურება, სპეციფიკის გათვალისწინება.*

*კონვენციური მუხლები ერთნაირი (შინაარსით) ტექსტითაა მიღებული თითქმის ყველა ქვეყნის ეროვნულ კანონმდებლობაში, რომლებიც ამა თუ იმ კონვენციას შეუერთდნენ და შესაბამისობაში მოიყვანეს თავიანთი ეროვნული კანონმდებლობა.*

ადამიანის უფლების დასაცავად ერთიანი მიდგომა მისასაღმებელია, მაგრამ აუცილებელია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური, ასევე ისტორიული განვითარებისა და კულტურული ღირებულებების გათვალისწინება.

ხშირად ამა თუ იმ ქვეყანაში „კონვენციური ნორმების“ სხვაგვარად ჩამოყალიბების საფუძველია არა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური, ისტორიული განვითარებისა და კულტურული ღირებულებების გათვალისწინება, არამედ კონვენციის ან/და დეკლარაციის შინაარსის არასწორად გაგება ანდა თუნდაც თარგმნა. ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა ადამიანის უფლების აღიარებისა და დაცვის სფეროში.

საქართველოს კონსტიტუციის მე-13 მუხლით გარანტირებულია ადამიანის თავისუფლება.

„მუხლი 13. ადამიანის თავისუფლება

1. ადამიანის თავისუფლება დაცულია.

2. თავისუფლების აღკვეთის ან თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვის შეფარდება დასაშვებია მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით.“<sup>13</sup>

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-3 მუხლის მიხედვით „ყველას აქვს

<sup>11</sup> <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=205#!>

<sup>12</sup> <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=205#!>

<sup>13</sup> <http://www.parliament.ge/ge/kanonmdebloba/constitution-of-georgia-68>

სიცოცხლის, თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება<sup>14</sup>

ჩვენ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის სისხლის სამართლის კოდექსში გათვალისწინებასთან დაკავშირებით.

სისხლის სამართლის კოდექსში გათვალისწინებულია ასევე ადამიანის თავისუფლების დამცავი დანაშაულები. ასეთია მაგ; თავისუფლების უკანონო აღკვეთა (მუხ. 143), ადამიანით ვაჭრობა (მუხ. 143<sup>1</sup>), არასრულწლოვნით ვაჭრობა(მუხ. 143<sup>2</sup>), მძევლად ხელში ჩაგდება (მუხ. 144), უდანაშაულო პირის განზრახ მიცემა სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში (მუხ. 146), განზრახ უკანონო დაკავება ან დაპატიმრება (მუხ. 147), ფსიქიატრიულ საავადმყოფოში უკანონო მოთავსება ან დაკავება (მუხ. 149), ასევე იძულება და სხვა შემადგენლობები.

აქვე შეიძლება ვისაუბროთ პირადი ხელშეუხებლობის უფლების ხელყოფაზე და მის სისხლისსამართლებრივ დაცვაზე.

საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლით (გარანტირებულია) აღიარებულია მიმოსვლის თავისუფლება.

საქართველოს კონსტიტუციის მუხლი 14.-ის მიმოსვლის თავისუფლება, პირველი ნაწილი ასეა ჩამოყალიბებული:

„1. ყველას, ვინც კანონიერად იმყოფება საქართველოში, აქვს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე თავისუფალი მიმოსვლის, საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევისა და საქართველოდან თავისუფლად გასვლის უფლება.“<sup>15</sup>

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-13 მუხლის მიხედვით კი

1. ყველა ადამიანს აქვს ნებისმიერი სახელმწიფოს ფარგლებში თავისუფალი მიმოსვლისა და ცხოვრების უფლება.

2. ყველა ადამიანს აქვს უფლება დატოვოს ნებისმიერი ქვეყანა, მათ შორის საკუთარიც, და დაბრუნდეს თავის ქვეყანაში.“<sup>16</sup>

საქართველოს მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსში ამ უფლების დასაცავად გათვალისწინებულია შემდეგი ქმედებების დანაშაულად კვალიფიკაცია და დასჯადობა:

პირველ რიგში საგულისხმოა სსკ-ის 152-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული-ადგილსამყოფლის თავისუფლად არჩევის უფლების ხელყოფა. ამ უფლების სისხლისსამართლებრივ დაცვას ემსახურება ასევე ისეთი ქმედებების დანაშაულად კვალიფიკაცია და დასჯადობა, როგორცაა: თავისუფლების უკანონო აღკვეთა (მუხ. 143), ადამიანით ვაჭრობა (მუხ. 143<sup>1</sup>) , არასრულწლოვნით ვაჭრობა(მუხ. 143<sup>2</sup>) და მძევლად ხელში ჩაგდება (მუხ. 144).

აქვე შეიძლება სხვა შემადგენლობებზეც მსჯელობა, მაგრამ სისხლის სამართლის კოდექსში თუნდაც ერთი ქმედების დანაშაულად საკანონმდებლო კვალიფიკაცია ადამიანის რომელიმე უფლების დასაცავად საკმარისია იმის დასადასტურებლად, რომ კანონმდებელი ამ კონკრეტულ უფლებას დანაშაულებრივი ხელყოფისგან სისხლისსამართლებრივად დაცვის მნიშვნელობას ანიჭებს.

ადამიანის ერთი და იგივე უფლება შეიძლება სამართლებრივ სიკეთედ გათვალისწინებული იყოს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის რამდენიმე მუხლით, მაგრამ ამ უფლების თუნდაც სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის ერთი მუხლით დაცვა, ადასტურებს მისი დანაშაულებრივი ხელყოფისგან სისხლისსამართლებრივად დაცვის მნიშვნელობას. მაგალითად, სიცოცხლე არის სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის რამდენიმე მუხლით (დანაშაულით) დაცული სამართლებრივი სიკეთე. მათ შორის ის ასეთად გათვალისწინებულია არა მხოლოდ დანაშაული სიცოცხლის წინააღმდეგ (სსკ-ის XIX თავი, 108-116 მუხ.) თავში, არამედ სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის სხვა თავებით გათვალისწინებულ და-

<sup>14</sup> <https://www.for-udhr.info/declaration-ge.html>

<sup>15</sup> იხ. საქართველოს კონსტიტუცია.

<sup>16</sup> იხ. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია.

ნამაულებში.

აქ ამ საკითხის განხილვას აღარ შევეუდგებით, რადგან ეს დიდ მტკიცებასა და დასაბუთებას არ მოითხოვს. მართლაც, სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილში ბლომად გვაქვს შემადგენლობები, რომლებიც თანამდევ შედეგად, როგორც ხელყოფილ სამართლებრივ სიკეთეს, ითვალისწინებს ადამიანის სიცოცხლეს.

სიცოცხლისგან განსხვავებით იგივეს ვერ ვიტყვით ადამიანის რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლებაზე, რომლის დანაშაულებრივი ხელყოფისგან სისხლისსამართლებრივად დაცვას ითვალისწინებს სისხლის სამართლის კოდექსის 155-ე მუხლი- რელიგიური წესის აღსრულებისათვის უკანონოდ ხელის შეშლა და სისხლის სამართლის კოდექსის 156-ე მუხლი- დევნა. თუმცა ეს უკანასკნელი ადამიანის რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლების გარდა დევნის სხვა საფუძვლებსაც ითვალისწინებს და იცავს, მაგალითად, პოლიტიკურ, საზოგადოებრივ, პროფესიულ ან მეცნიერულ მოღვაწეობას.

საქართველოს კონსტიტუცია აღიარებს პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებას. საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის თანახმად „ადამიანის პირადი და ოჯახური ცხოვრება ხელშეუხებელია. ამ უფლების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის ან სხვათა უფლებების დაცვის მიზნით.“<sup>17</sup>

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-12 მუხლში ამ საკითხთან დაკავშირებით აღნიშნულია, რომ „არავინ შეიძლება დაექვემდებაროს პირად და ოჯახურ ცხოვრებაში, მის საცხოვრებელსა და მიმონერაში თვითნებურ ჩარევას, ისევე როგორც მისი პატივისა და რეპუტაციის ხელყოფას. ყველას აქვს უფლება დაცული იყოს კანონის მიერ ასეთი ჩარევისა და ხელყოფისაგან.“<sup>18</sup>

საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლითა და ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-12 მუხლით აღიარებული ადამიანის უფლების დანაშაულებრივი ხელყოფისგან სისხლისსამართლებრივ დაცვას ითვალისწინებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 157-ე მუხლი-პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის ან პერსონალური მონაცემების ხელყოფა, 157<sup>1</sup> მუხლი-პირადი ცხოვრების საიდუმლოს ხელყოფა, 158-ე მუხლი- კერძო კომუნიკაციის საიდუმლოების დარღვევა და მუხლი 159- პირადი მიმონერის, ტელეფონით საუბრის ან სხვაგვარი ხერხით შეტყობინების საიდუმლოების დარღვევა. როგორც ადამიანის სხვა უფლების, ასევე ამ უფლების დანაშაულებრივი ხელყოფისგან სისხლისსამართლებრივ დაცვასთან დაკავშირებით შეიძლება არსებობდეს განსხვავებული მოსაზრება, მაგრამ ამ ეტაპზე ჩვენ ვეყრდნობით იმ ქმედებათა დანაშაულად კვალიფიკაციასა და დასჯადობას, რომლებიც კანონმდებელმა მიზანშეწონილად და საკმარისად მიიჩნია საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლითა და ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-12 მუხლით აღიარებული ადამიანის უფლების სისხლისსამართლებრივად დასაცავად.

რა თქმა უნდა, ადამიანის ყველა უფლება მნიშვნელოვანია. მათი აღიარება ან/და დაცვა აუცილებელია ადამიანის სრულფასოვანი არსებობისა და შემდგომი განვითარებისთვის.

ადამიანის რომელიმე უფლების უარყოფა, აუღიარებლობა ან თუნდაც აღიარებული უფლების ხელყოფა ხელს უშლის თითოეული ადამიანის და მთლიანად საზოგადოების ნორმალურ, ცივილურ განვითარებას.

ამიტომ ადამიანის უფლების როგორც აღიარებას, ისე მის დაცვას (თუნდაც სისხლისსამართლებრივად) უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.

საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლი აღიარებს რწმენის, აღმსარებლობისა და

<sup>17</sup> იხ. საქართველოს კონსტიტუცია.

<sup>18</sup> იხ. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია.

სინდისის თავისუფლებას.

საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლის - რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლებები-პირველ ნაწილში აღნიშნულია, რომ „ყოველ ადამიანს აქვს რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლება.“<sup>19</sup>

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-18 მუხლში ამ საკითხთან დაკავშირებით აღნიშნულია, რომ „ყველას აქვს აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლების უფლება; ეს უფლება მოიცავს რელიგიის ან რწმენის შეცვლის თავისუფლებას და, აგრეთვე, თავისუფლებას როგორც ინდივიდუალურად, ისე სხვებთან ერთად, საქვეყნოდ ან განკერძოებით, გააცხადოს თავისი რელიგია თუ რწმენა სწავლებით, წესების დაცვით, აღმსარებლობითა და რიტუალების აღსრულებით.“<sup>20</sup>

საქართველოს ამჟამად მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსში საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლითა და ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-18 მუხლით აღიარებული ადამიანის ამ უფლების დანაშაულებრივი ხელყოფისგან დასაცავად გათვალისწინებულია შემდეგი ქმედებების დანაშაულად კვალიფიკაცია და დასჯადობა: 155-ე მუხლი-რელიგიური წესის აღსრულებისათვის უკანონოდ ხელის შეშლა და სისხლის სამართლის კოდექსის 156-ე მუხლი- დევნა.

ადამიანის დევნა სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობის, რწმენის ან მრწამსის გამო, ანდა მის პოლიტიკურ, საზოგადოებრივ, პროფესიულ, რელიგიურ ან მეცნიერულ მოღვაწეობასთან დაკავშირებით, გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის 156-ე მუხლის პირველი ნაწილით. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სისხლის სამართლის კოდექსის 156-ე მუხლს დევნა ეწოდება.

ამ და სხვა მუხლების შინაარსის ანალიზი გვაძლევს იმ დასკვნის გაკეთების საფუძველს, რომ ადამიანის ერთი და იგივე უფლება დაცულია სისხლის სამართლის კოდექსის სხვადასხვა მუხლით და სისხლის სამართლის კოდექსის ერთი და იგივე მუხლი იცავს ადამიანის სხვადასხვა უფლებას.

ადამიანის აზრისა და მისი გამოხატვის თავისუფლება დაცულია დევნის დანაშაულით (სსკ-ის 156-ე მუხლი). თუმცა ამ დანაშაულით დაცულია ასევე ადამიანის სხვა არანაკლებ მნიშვნელოვანი უფლება, როგორცაა: ადამიანის სინდისის, აღმსარებლობის, რწმენის ან მრწამსის თავისუფლება, ანდა მისი პოლიტიკური, საზოგადოებრივი, პროფესიული, რელიგიური ან მეცნიერული მოღვაწეობის თავისუფლება.

ამის საპირისპიროდ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ადამიანის სიცოცხლე დაცულია სისხლის სამართლის კოდექსის სხვადასხვა მუხლით.

სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლების ურთიერთშეჯერების საფუძველზე ბევრი ისეთი მაგალითის მოყვანა შეიძლება, რომელიც ნათლად ადასტურებს იმას, რომ ზოგჯერ ადამიანის ერთი და იგივე უფლება დაცულია სისხლის სამართლის კოდექსის სხვადასხვა მუხლით და სისხლის სამართლის კოდექსის ერთი და იგივე მუხლი იცავს ადამიანის სხვადასხვა უფლებას.

საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლი აღიარებს აზრის, ინფორმაციის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა და ინტერნეტის თავისუფლების უფლებებს. საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის ამჟამინდელი რედაქცია ასეთია:

„მუხლი 17. აზრის, ინფორმაციის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა და ინტერნეტის თავისუფლების უფლებები

1. აზრისა და მისი გამოხატვის თავისუფლება დაცულია. დაუშვებელია ადამიანის დევნა აზრისა და მისი გამოხატვის გამო.

<sup>19</sup> იხ. საქართველოს კონსტიტუცია.

<sup>20</sup> იხ. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია.

2. ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია.<sup>21</sup>

ამ საკითხთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-19 მუხლში აღნიშნულია, რომ „ ყველას აქვს აზრის თავისუფლების და აზრის თავისუფლად გამოხატვის უფლება. ეს თავისუფლება მოიცავს ადამიანის უფლებას, ჰქონდეს საკუთარი აზრი და დაუბრკოლებლად მოიძიოს, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და მოსაზრებები ყოველგარი საშუალებით, მიუხედავად საზღვრებისა“.<sup>22</sup>

საქართველოს ამჟამად მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსში საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლითა და ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-19 მუხლით აღიარებული ადამიანის უფლების დანაშაულებრივი ხელყოფისგან დასაცავად გათვალისწინებულია შემდეგი ქმედებების დანაშაულად კვალიფიკაცია და დასჯადობა: *სიტყვის თავისუფლების ხელყოფა* (სსკ-ის 153-ე მუხლი) და *ჟურნალისტიკისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა* (სსკ-ის 154-ე მუხლი).

აქ შეიძლება მოვიაზროთ სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილში გათვალისწინებული და დანაშაულად კვალიფიცირებული სხვა ქმედებებიც.

საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლი აღიარებს სამართლიანი ადმინისტრაციული წარმოების, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, ინფორმაციული თვითგამორკვევისა და საჯარო ხელისუფლების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების უფლებებს.

საქართველოს კონსტიტუციაში ეს უფლება ასეა გადმოცემული:

„მუხლი 18. სამართლიანი ადმინისტრაციული წარმოების, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, ინფორმაციული თვითგამორკვევისა და საჯარო ხელისუფლების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების უფლებები

1. ყველას აქვს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მასთან დაკავშირებული საქმის გონივრულ ვადაში სამართლიანად განხილვის უფლება.

2. ყველას აქვს უფლება კანონით დადგენილი წესით გაცენოს საჯარო დაწესებულებაში მასზე არსებულ ან სხვა ინფორმაციას ან ოფიციალურ დოკუმენტს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი შეიცავს კომერციულ ან პროფესიულ საიდუმლოებას ან დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან სამართალწარმოების ინტერესების დასაცავად კანონით ან კანონით დადგენილი წესით აღიარებულია სახელმწიფო საიდუმლოებად“.<sup>23</sup>

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლით აღიარებული ადამიანის ამ უფლების დანაშაულებრივი ხელყოფისგან დასაცავად გათვალისწინებულია შემდეგი ქმედების დანაშაულად კვალიფიკაცია და დასჯადობა: ინფორმაციის გაცნობაზე უარის თქმა ან არასწორი ინფორმაციის წარდგენა-სისხლის სამართლის კოდექსის 167-ე მუხლი.

საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლით აღიარებული ადამიანის უფლების დაცვა ძირითადად გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის ერთი მუხლით.

ამას ვერ ვიტყვით საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლით აღიარებული საკუთრების უფლების დაცვაზე, რასაც სისხლის სამართლის კოდექსის სპეციალური - XXV-თავი ეთმობა. *საკუთრების უფლების სისხლისსამართლებრივი დაცვა* გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის სხვა თავებში ჩამოყალიბებული ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციითაც, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად დაცულ სამართლებრივ სიკეთედ საკუთრების უფლებას გულისხმობს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლით აღიარებული სა-

<sup>21</sup> იხ. საქართველოს კონსტიტუცია.

<sup>22</sup> იხ. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია.

<sup>23</sup> იხ. საქართველოს კონსტიტუცია.

კუთრების უფლება.

საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით „საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და უზრუნველყოფილია.“

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-17 მუხლში ამ საკითხთან დაკავშირებით აღნიშნულია, რომ

„1. ყველას აქვს უფლება ფლობდეს ქონებას როგორც დამოუკიდებლად, ისე სხვებთან ერთად.

2. არავის შეიძლება ჩამოერთვას ქონება თვითნებურად.“<sup>24</sup>

ჩვენ აქ აღარ შევუდგებით საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის სისხლის-სამართლებრივ დახასიათებას და იქ გათვალისწინებული ქმედებების დანაშაულად საკანონმდებლო, სასამართლო ან მეცნიერულ კვალიფიკაციას. ეს საკმაოდ საინტერესო და აქტუალური საკითხია როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით.

სტატისტიკურად საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული ერთ-ერთი მონიშნვეთაგანია. საკმაოდ ხშირია საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენა ადამიანის სხვა უფლების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან შედარებით.

საკმაოდ მაღალი სტატისტიკური მაჩვენებელი ამ დანაშაულის მეცნიერული კვლევის ინტერესს ზრდის. რა თქმა უნდა, როგორც სასამართლო-პრაქტიკული, ისე თეორიული თვალსაზრისით საინტერესოა ისეთი დანაშაულების გამოკვლევა, სადაც დიდია სასამართლო პრაქტიკა (სტატისტიკური მაჩვენებელი).

შეიძლება რეალურად ხდებოდა ადამიანის სისხლისსამართლებრივად დაცული ამა თუ იმ უფლების დანაშაულებრივი ხელყოფა, მაგრამ ოფიციალური მონაცემების არარსებობის ან მინიმუმ სიმცირის გამო, ისინი ნაკლებად საინტერესოა როგორც სასამართლო-პრაქტიკული, ისე თეორიული თვალსაზრისით.

ჩადენილ დანაშაულთა რიცხოვრივი რაოდენობა მისი თვისობრიობის მაჩვენებელიც არის. ამიტომ ჩადენილ დანაშაულთა რაოდენობა ადასტურებს ხელყოფილი სამართლებრივი სიკეთის სისხლისსამართლებრივად დაცვის აქტუალობას.

ამ მხრივ საკუთრების უფლების სისხლისსამართლებრივი დაცვის აქტუალობა აშკარაა.

საკუთრების უფლებისგან განსხვავებით შეიძლება ნაკლები სისხლისსამართლებრივი აქტუალობით გამოირჩევა შემოქმედების თავისუფლებისა და კულტურული მემკვიდრეობის დანაშაულებრივი ხელყოფისგან დაცვა.

საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლით აღიარებულია შემოქმედების თავისუფლებისა და კულტურული მემკვიდრეობის უფლება.

„მუხლი 20. შემოქმედების თავისუფლება, კულტურული მემკვიდრეობა

1. შემოქმედების თავისუფლება უზრუნველყოფილია. ინტელექტუალური საკუთრების უფლება დაცულია.

2. შემოქმედებით პროცესში ჩარევა, შემოქმედებითი საქმიანობის სფეროში ცენზურა დაუშვებელია.“<sup>25</sup>

მართალია, საქართველოს კონსტიტუცია მე-19 და მე-20 მუხლებში ერთმანეთისგან მიჯნავს და ცალ-ცალკე აყალიბებს საკუთრების უფლებასა და შემოქმედების თავისუფლებისა და კულტურული მემკვიდრეობის უფლებას, მაგრამ სისხლის სამართლის კოდექსში საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის თავშია საავტორო, მომიჯნავე უფლების მფლობელისა და მონაცემთა ბაზის დამამზადებლის უფლების ხელყოფა (მუხლი 189) და სამრეწველო საკუთრების უფლების ხელყოფა (მუხლი 189<sup>1</sup>).

საკუთრების წინააღმდეგ მიმართული სხვა დანაშაულისგან განსხვავებით, საავტორო, მომიჯნავე უფლების მფლობელისა და მონაცემთა ბაზის დამამზადებლის უფლების ხელყოფისა

<sup>24</sup> იხ. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია.

<sup>25</sup> იხ. საქართველოს კონსტიტუცია.

(მუხლი 189) და სამრეწველო საკუთრების უფლების ხელყოფის (მუხლი 189<sup>1</sup>) ოფიციალური სტატისტიკა ძალიან მწირია ან არ არსებობს. თუმცა ჩვენ ამის გამო უარს ვერ ვიტყვით ამ კონსტიტუციური უფლების სისხლისსამართლებრივ დაცვაზე და ვერ მოვახდენთ ამ ქმედებათა დეკრიმინალიზაციას.

ამის ნათელი დადასტურებაა თუნდაც ის გარემოება, რომ ოფიციალური სასამართლო პრაქტიკის სიმწირის მიუხედავად კულტურული მემკვიდრეობის უფლების დაცვას ითვალისწინებს სისხლის სამართლის კოდექსის თავი XXXII<sup>1</sup> – დანაშაული კულტურული მემკვიდრეობის წინააღმდეგ და თავი XXXII<sup>2</sup> – საერთაშორისო ხასიათის დანაშაულები კულტურული მემკვიდრეობის სფეროში.

ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციისა (კრიმინალიზაცია) და ქმედებათა დანაშაულიდან დეკრიმინალიზაციის დროს თეორიულ-საკანონმდებლო მოსაზრებებთან ერთად მხედველობაში უნდა მივიღოთ სასამართლო პრაქტიკა, პირველ ყოვლისა კი ამ დანაშაულის ჩადენის რაოდენობა.

თუმცა, ყოველთვის არც მხოლოდ პრაქტიკაზე დაყრდნობით შეიძლება ქმედებათა დანაშაულიდან დეკრიმინალიზაცია. ეს არ შეიძლება, ჯერ ერთი იმიტომ, რომ სტატისტიკა ყოველთვის არ ასახავს რეალობას (ის ყოველთვის ფარდობითობის სხვადასხვა ხარისხით ხასიათდება და შესაბამისად სცილდება ან ასახავს რეალობას). მეორე მხრივ, კი მხედველობაშია მისაღები დაცული სამართლებრივი სიკეთე-მისი სისხლისსამართლებრივი დაცვის მნიშვნელობა, რომლის ხელყოფა კონკრეტული დანაშაულით არ მოხდა. სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის სტატისტიკის არარსებობა არ გამოდგება ქმედების დანაშაულიდან დეკრიმინალიზაციისათვის. ჩვენ რომ არასდროს არ გვქონდეს გენოციდის სტატისტიკა, მაინც არ/ვერ ვიტყვით უარს ამ ქმედების დასჯადობაზე და ამ გზით ადამიანის უფლების დაცვაზე.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ქმედების დანაშაულად კვალიფიკაცია (კრიმინალიზაცია) და ქმედების დანაშაულიდან დეკრიმინალიზაცია მნიშვნელოვანია ადამიანის უფლების სისხლისსამართლებრივი დაცვისათვის. ეს თავის მხრივ დაკავშირებულია ქვეყნის სისხლის სამართლის პოლიტიკასთან. თუმცა ქვეყნის სისხლის სამართლის პოლიტიკის ცვლილების მიუხედავად ვერც ერთი სახელმწიფო, თუნდაც ფორმალურად, ვერასდროს უარს არ/ვერ იტყვის ზოგიერთი ადამიანის უფლების სისხლისსამართლებრივ დაცვაზე და შესაბამისად ზოგიერთი ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციაზე (მაგ; მკვლელობა, ყაჩაღობა, გენოციდი და ა. შ.).

სახელმწიფოს სისხლის სამართლის პოლიტიკის ცვლილების შესაბამისად შეუძლია გარკვეული ქმედების დანაშაულად კვალიფიკაცია (კრიმინალიზაცია) ან/და ქმედების დანაშაულიდან დეკრიმინალიზაცია (მაგ; ცილისწამების, ზოგიერთი ნარკოტიკული დანაშაულის დეკრიმინალიზაცია). ასეთ ქმედებებში კარგად ჩანს სახელმწიფოს სისხლისსამართლებრივი განვითარების მიმართულება და ადამიანის უფლების დაცვაზე ზრუნვის სურვილი და სამართლებრივი ბაზა.

საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით აღიარებულია შეკრების თავისუფლება. საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად „ყველას, გარდა იმ პირებისა, რომლებიც არიან თავდაცვის ძალების ან სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელი ორგანოს შემადგენლობაში, აქვს წინასწარი ნებართვის გარეშე საჯაროდ და უიარალოდ შეკრების უფლება.“<sup>26</sup>

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-20 მუხლში ამ საკითხთან დაკავშირებით აღნიშნულია, რომ

„1. ყველას აქვს მშვიდობიანი შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლების უფლება.

2. არავინ შეიძლება აიძულონ შევიდეს რაიმე გაერთიანებაში.“<sup>27</sup>

<sup>26</sup> <http://www.parliament.ge/ge/kanonmdebloba/constitution-of-georgia-68>

<sup>27</sup> იხ. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლითა და ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-20 მუხლით აღიარებული ადამიანის უფლების დანაშაულებრივი ხელყოფისგან დასაცავად გათვალისწინებულია შემდეგი ქმედებების დანაშაულად კვალიფიკაცია და დასჯადობა: შეკრების ან მანიფესტაციის უფლების ხელყოფა (მუხ. 161) და პოლიტიკური, საზოგადოებრივი ან რელიგიური გაერთიანების შექმნისათვის ან მისი საქმიანობისათვის ხელის შეშლა (მუხ.166). აქვე შეიძლება მოვიაზროთ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 165-ე მუხლით გათვალისწინებული გაფიცვის უფლების ხელყოფა.

საქართველოს უახლესი ისტორიის რეალობაში შეიძლება მართლაც იყო შეკრების ან მანიფესტაციის უფლების ხელყოფა, მაგრამ ისევე როგორც სხვა უფლების დანაშაულებრივი ხელყოფის ბევრ ფაქტზე, ამ შემთხვევაშიც სასამართლო პრაქტიკა მწირია. *თუმცა, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა უფლების, ამ უფლების დაცვაც მნიშვნელოვანია და ამიტომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ამ უფლების, ისევე როგორც ყველა სხვა უფლების დამცველი ქმედების დანაშაულად კვალიფიკაცია გამართლებულია.*

ნაშრომის სპეციფიკიდან გამომდინარე ბევრს არ ვსაუბრობთ კონსტიტუციისა და საერთაშორისო დეკლარაციებისა თუ კონვენციების მნიშვნელობაზე როგორც ზოგადად, ისე ადამიანის უფლების აღიარებისა და დაცვის თვალსაზრისით.

*სახელმწიფოს განვითარებისათვის სხვა ფაქტორებთან ერთად მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში ხალხის, როგორც ხელისუფლების წყაროს, მონაწილეობის საკითხის კონსტიტუციური გადაწყვეტა.*

სახელმწიფოში საკანონმდებლო, მმართველობისა და მით უმეტეს სასამართლო ხელისუფლების ორგანოების საარჩევნო გზით ჩამოყალიბება/ცვლილება ყველაზე დემოკრატიულ ფორმად არის მიჩნეული. აქ აღარ გავიმეორებ ცნობილი პოლიტიკოსების ასევე ცნობილ გამოთქმებს არჩევნებთან დაკავშირებით, რომელიც ხაზს უსვამს ადამიანის საარჩევნო უფლებისა და მისი დაცვის მნიშვნელობას. აქ აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ საქართველოს კონსტიტუციაში სათანადო ადგილი ეთმობა ადამიანის საარჩევნო უფლებას.

საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის თანახმად „საქართველოს ყოველ მოქალაქეს 18 წლის ასაკიდან აქვს რეფერენდუმში, სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში მონაწილეობის უფლება. უზრუნველყოფილია ამომრჩევლის ნების თავისუფალი გამოვლენა.“<sup>28</sup>

საქართველოს მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსში საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლით აღიარებული ადამიანის საარჩევნო უფლების დანაშაულებრივი ხელყოფისგან დასაცავად გათვალისწინებულია შემდეგი ქმედებების დანაშაულად კვალიფიკაცია და დასჯადობა: არჩევნებში, რეფერენდუმში ან პლებისციტში ნების განხორციელებისათვის ხელის შეშლა (მუხ.162), კენჭისყრის შენობაში, საარჩევნო კომისიის განთავსების ადგილას ან მის მიმდებარე ტერიტორიაზე ან წინასაარჩევნო აგიტაციის ან წინასაარჩევნო კამპანიის ღონისძიების დროს ძალადობა ან ძალადობის მუქარა (მუხ.162<sup>1</sup>), საარჩევნო ან სარეფერენდუმო კომისიის მუშაობისათვის ხელის შეშლა (მუხ.163), ხმის მიცემის ფარულობის დარღვევა, ხმების არასწორად დათვლა ან არჩევნების შედეგების არასწორად შეჯამება (მუხ.164), ამომრჩევლის მოსყიდვა (მუხ.164<sup>1</sup>), ყალბი დოკუმენტის საფუძველზე არჩევნებში, რეფერენდუმში ან პლებისციტში მონაწილეობის მიღება (მუხ.164<sup>2</sup>) და არჩევნების გაყალბება (მუხ.164<sup>3</sup>).

*ესენი არის ე.წ. საარჩევნო დანაშაულები.<sup>29</sup> სხვა დანაშაულებისგან განსხვავებით, მათი ჩადენა შესაძლებელია არა ნებისმიერ დროს, არამედ მხოლოდ გარკვეულ პერიოდში-ე.წ. საარჩევნო პერიოდში. შესაბამისად საარჩევნო უფლების დანაშაულებრივი ხელყოფისგან სისხ-*

<sup>28</sup> იხ. საქართველოს კონსტიტუცია.

<sup>29</sup> საარჩევნო დანაშაულის თაობაზე იხ. ე.ფუტყარაძე, წიგნში დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ, სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, თბ., 2008წ.

ლისსამართლებრივი დაცვა აუცილებელია არა ყოველთვის, არამედ მხოლოდ საარჩევნო პერიოდში. თუმცა საარჩევნო უფლების არადაწესებულებრივი ხელყოფა შესაძლებელია არასაარჩევნო პერიოდშიც. ამიტომ სხვა უფლების დანაშაულებრივი ხელყოფისგან განსხვავებით გასაგები მიზეზების გამო, საარჩევნო უფლების სისხლისსამართლებრივი ხელყოფა ვერ იქნება იმ რაოდენობის, რაც სხვა უფლების ხელყოფა.

აქვე უნდა აღვნიშნოთ ის გარემოებაც, რომ საარჩევნო პერიოდში საკმაო რაოდენობით ხდება საარჩევნო უფლების სისხლისსამართლებრივი ხელყოფა, მაგრამ სასამართლო სტატისტიკის მიხედვით ეს არც თუ ისე დიდი რაოდენობაა. ამჟამად გვაქვს საარჩევნო დანაშაულის 7 (მუხლი) შემადგენლობა. ეს არც თუ ისე მცირეა ამ უფლების სისხლისსამართლებრივი დაცვისათვის. მაგრამ ქმედების დანაშაულად საკანონმდებლო კვალიფიკაცია უფლების დასაცავად საკმარისი არ არის. ასევე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია პრაქტიკაში რეალურად მომხდარი ფაქტების სწორი სასამართლო-საგამოძიებო კვალიფიკაცია.

საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლით აღიარებულია შრომის თავისუფლება, პროფესიული კავშირების თავისუფლება, გაფიცვის უფლება და მენარმეობის თავისუფლება.

საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლში ადამიანის ამ უფლების თაობაზე აღნიშნულია შემდეგნაირად:

„მუხლი 26. შრომის თავისუფლება, პროფესიული კავშირების თავისუფლება, გაფიცვის უფლება და მენარმეობის თავისუფლება

1. შრომის თავისუფლება უზრუნველყოფილია. ყველას აქვს სამუშაოს თავისუფალი არჩევნის უფლება. უფლება შრომის უსაფრთხო პირობებზე და სხვა შრომითი უფლებები დაცულია ორგანული კანონით.

2. ყველას აქვს ორგანული კანონის შესაბამისად პროფესიული კავშირის შექმნისა და მასში გაერთიანების უფლება.

3. გაფიცვის უფლება აღიარებულია. ამ უფლების განხორციელების პირობები და წესი განისაზღვრება ორგანული კანონით.“<sup>30</sup>

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 23-ე მუხლში ამ საკითხთან დაკავშირებით მოცემულია შემდეგი შინაარსის ტექსტი:

„1. ყველას აქვს შრომის, სამუშაოს თავისუფალი არჩევნის, სამართლიანი და ხელსაყრელი სამუშაო პირობებისა და უმუშევრობისაგან დაცვის უფლება.

2. ყველას აქვს უფლება შესაბამისი ანაზღაურებისა ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე.

3. ყველა დასაქმებულს აქვს უფლება იღებდეს სამართლიან და დამაკმაყოფილებელ გასამრჯელოს, რაც უზრუნველყოფს ღირსეულ ადამიანურ არსებობას როგორც მისთვის, ასევე მისი ოჯახისათვის და რომელსაც, აუცილებლობის შემთხვევაში, უნდა დაემატოს სოციალური უზრუნველყოფის სხვა სახსრები.

4. ყველას აქვს უფლება შექმნას პროფესიული კავშირები და შევიდეს პროფესიულ კავშირებში თავისი ინტერესების დასაცავად.“<sup>31</sup>

საქართველოს ამჟამად მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსში საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლითა და ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 23-ე მუხლით აღიარებული ადამიანის უფლების დანაშაულებრივი ხელყოფისგან დასაცავად გათვალისწინებულია შემდეგი ქმედებების დანაშაულად კვალიფიკაცია და დასჯადობა: გაფიცვის უფლების ხელყოფა-(მუხ. 165); შრომის თავისუფლების ხელყოფა-(მუხ.168); შრომის კანონმდებლობის დარღვევა-(მუხ.169); შრომის დაცვის წესის დარღვევა-(მუხ.170); ამ თვალსაზრისით საინტერესოა სისხლის სამართლის კოდექსის თავი XXVI-დანაშაული სამენარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობის წინააღმდეგ.

<sup>30</sup> იხ. საქართველოს კონსტიტუცია.

<sup>31</sup> <https://www.for-udhr.info/declaration-ge.html>

ამ თავით გათვალისწინებულ დანაშაულთაგან კი კანონიერი სამენარმეო საქმიანობისათვის ხელის შეშლა-(მუხ.190) ყველაზე მეტად ემსახურება მენარმეობის თავისუფლების სისხლისსამართლებრივ დაცვას; მენარმეობის თავისუფლების სისხლისსამართლებრივი დაცვის თვალსაზრისით სისხლის სამართლის კოდექსის თავი XXVI-ით გათვალისწინებული და საკანონმდებლოდ დანაშაულად კვალიფიცირებული სხვა ქმედების შემადგენლობებიც საინტერესოა, მაგრამ ისინი ძირითადად მაინც სამენარმეო ან სხვა ეკონომიკურ საქმიანობას იცავს დანაშაულებრივი ხელყოფისგან.

ამ თავში, ისევე როგორც ეკონომიკური დანაშაულის კარის სხვა თავებში, საკმაოდ ხშირია ბლანკეტური დისპოზიციები.

ასეთი დისპოზიციის მქონე ქედების შემადგენლობათა შინაარსის გასაგებად აუცილებელია სხვა დარგების ან სპეციალური კანონმდებლობის ცოდნა და სწორი განმარტება. წინააღმდეგ შემთხვევაში ქედების შემადგენლობათა შინაარსის არასწორად გაგებით შეიძლება მოხდეს ადამიანის მიერ ჩადენილი ქმედების დანაშაულად არასწორი კვალიფიკაცია და ამით ადამიანის უფლების ხელყოფა.

რა თქმა უნდა, აქ იგულისხმება ქმედების დანაშაულად სასამართლო-საგამოძიებო კვალიფიკაცია, როდესაც უკვე არსებობს ქმედების დანაშაულად საკანონმდებლო კვალიფიკაცია და ამ ნორმის შინაარსის თუნდაც მეცნიერულად სწორად განმარტების საფუძველზე აუცილებელია ნორმის სამართლიანად შეფარდება ანუ ქმედების დანაშაულად სამართლიანი სასამართლო-საგამოძიებო კვალიფიკაცია. ქმედების დანაშაულად საკანონმდებლო, სასამართლო და მეცნიერული კვალიფიკაცია ავსებს ერთმანეთს და ადამიანის უფლების სისხლისსამართლებრივ დაცვას ემსახურება.

თუმცა, ადამიანის უფლების სისხლისსამართლებრივი დაცვისათვის ბლანკეტური დისპოზიციების საკანონმდებლო ჩამოყალიბებისა და მით უმეტეს სასამართლო კვალიფიკაციისას აუცილებელია ბლანკეტური დისპოზიციების სპეციფიკის გათვალისწინება და ამ ნორმის შინაარსში ჩადებული და გათვალისწინებული ყველა სპეციალური კანონისა თუ ნორმის ცოდნა.

ეს ადასტურებს კიდევ ერთხელ იმ ფაქტს, რომ ქმედების დანაშაულად საკანონმდებლო, სასამართლო და მეცნიერულ კვალიფიკაციას ავსებს კანონის ახსნა-განმარტების საკითხი.

კანონის სათანადო ახსნა-განმარტების გარეშე შეუძლებელია მისი შინაარსის სწორად გაგება.

კანონის შინაარსის სწორად გაგების გარეშე ქმედების დანაშაულად საკანონმდებლო ანდა სასამართლო კვალიფიკაცია ვერ მოემსახურება ადამიანის უფლების სისხლისსამართლებრივ დაცვას.

ამიტომ სისხლის სამართლის კანონის ახსნა-განმარტება ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის სხვა საკითხებთან ერთად ძალიან მნიშვნელოვანია ადამიანის უფლების სისხლისსამართლებრივი დაცვისათვის.

საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად აღიარებულია გარემოს დაცვის უფლება.

„მუხლი 29. გარემოს დაცვის უფლება

1. ყველას აქვს უფლება ცხოვრობდეს ჯანმრთელობისთვის უვნებელ გარემოში, სარგებლობდეს ბუნებრივი გარემოთი და საჯარო სივრცით. ყველას აქვს უფლება დროულად მიიღოს სრული ინფორმაცია გარემოს მდგომარეობის შესახებ. ყველას აქვს უფლება ზრუნავდეს გარემოს დაცვაზე. გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობის უფლება უზრუნველყოფილია კანონით.“<sup>32</sup>

საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად აღიარებულია გარემოს დაცვის უფლების სისხლისსამართლებრივი დაცვას ითვალისწინებს საქართველოს

<sup>32</sup> <http://www.parliament.ge/ge/kanonmdebloba/constitution-of-georgia-68>

ამჟამად მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსში არსებული მეათე კარი-დანაშაული გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის წესის წინააღმდეგ. ამ თავში მოცემულია გარემოს დაცვისათვის მნიშვნელოვანი ქმედებების დანაშაულად კვალიფიკაცია და დასჯადობა (მუხ.287-306<sup>1</sup>). აქაც არ შევუდგებით შემადგენლობათა სისხლისსამართლებრივ გამოკვლევა-დახასიათებას. აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ ისევე როგორც ეკონომიკური დანაშაულის კარში, აქაც ბევრია ბლანკეტური დისპოზიციის მქონე შემადგენლობები. მისი განმარტების მნიშვნელობაზე ადამიანის უფლების დასაცავად უკვე ვისაუბრეთ.

ჩვენ ზემოთ ვისაუბრეთ ასევე კანონმდებლობით გათვალისწინებული დანაშაულების სასამართლო პრაქტიკაში ჩადენის რაოდენობასა და მნიშვნელობაზე ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციისა და ადამიანის უფლების დაცვისათვის.

სისხლის სამართლის კოდექსის მეათე კარი-დანაშაული გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის წესის წინააღმდეგ-გათვალისწინებულ დანაშაულთა ოფიციალური სასამართლო სტატისტიკა მწირია ან საერთოდ არ არსებობს. ბევრი მათგანი არის ე.წ. „მკვდარი მუხლი.“ აქ იგულისხმება ის, რომ ამ მუხლებით საკანონმდებლოდ დანაშაულად კვალიფიცირებული (გათვალისწინებული) ქმედების დანაშაულად სასამართლო-საგამოძიებო კვალიფიკაცია არ მომხდარა.

გამონაკლისს წარმოადგენს სისხლის სამართლის კოდექსის 303-ე მუხლით გათვალისწინებული ხე-ბუჩქნარის უკანონოდ გაჩეხვა. შეიძლება ითქვას, რომ ის არის არა მარტო ამ კარის, არამედ მთლიანი კერძო ნაწილის მიხედვით ერთ-ერთი ე.წ. „ცოცხალი, მუშა“ მუხლი. აქ კი იგულისხმება ის, რომ ამ მუხლებით საკანონმდებლოდ დანაშაულად კვალიფიცირებული (გათვალისწინებული) ქმედების დანაშაულად სასამართლო-საგამოძიებო კვალიფიკაცია საკმაოდ ხშირად ხდება.

უფრო მეტიც, პრაქტიკაში რეალურად უფრო მეტია ამ („ცოცხალი, მუშა“) მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა, თუმცა გარკვეული მიზეზის გამო ვერ/არ ხდება ყველა მათგანის სასამართლო-საგამოძიებო კვალიფიკაცია და შესაბამისად სასამართლო სტატისტიკაში ასახვა. ასეთ მუხლებთან მიმართებაში რეალურად ჩადენილ დანაშაულთა რაოდენობა ყოველთვის მეტია მათ სტატისტიკაში ასახვასთან შედარებით.

საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის თანახმად აღიარებულია ქორწინების უფლება, დედათა და ბავშვთა უფლებები. ამის თაობაზე კონსტიტუციაში წერია შემდეგი:

„მუხლი 30. ქორწინების უფლება, დედათა და ბავშვთა უფლებები

1. ქორწინება, როგორც ქალისა და მამაკაცის კავშირი ოჯახის შექმნის მიზნით, ემყარება მეუღლეთა უფლებრივ თანასწორობასა და ნებაყოფლობას.

2. დედათა და ბავშვთა უფლებები დაცულია კანონით.<sup>33</sup>

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-16 მუხლში ამ საკითხთან დაკავშირებით აღნიშნულია, რომ

„1. ყოველ სრულწლოვან მამაკაცსა და ქალს რასის, ეროვნების ან რელიგიის ნიშნით რაიმე შეზღუდვის გარეშე, აქვს უფლება დაქორწინდეს და შექმნას ოჯახი. ისინი თანასწორი უფლებებით სარგებლობენ დაქორწინების დროს, ქორწინების განმავლობაში და მისი შეწყვეტის შემთხვევაში.

2. დაქორწინება შესაძლებელია მხოლოდ ორივე დასაქორწინებელი მხარის თავისუფალი თანხმობისპირობებში.

3. ოჯახი არის საზოგადოების ბუნებრივი და ძირითადი უჯრედი და მას უფლება აქვს დაცული იყოს საზოგადოებისა და სახელმწიფოს მხრიდან.“<sup>34</sup>

საქართველოს ამჟამად მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსში საქართველოს კონსტი-

<sup>33</sup> <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=35>

<sup>34</sup> <https://www.for-udhr.info/declaration-ge.html>

ტუციის 30-ე მუხლითა და ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-16 მუხლით აღიარებული ადამიანის უფლების დანაშაულებრივი ხელყოფისგან დასაცავად გათვალისწინებულია შემდეგი ქმედებების დანაშაულად კვალიფიკაცია და დასჯადობა:

პირველ რიგში საყურადღებოა სისხლის სამართლის კოდექსის 24-ე თავი-დანაშაული ოჯახისა და არასრულწლოვნის წინააღმდეგ და იქ გათვალისწინებული ზოგიერთი ქმედების დანაშაულად საკანონმდებლო კვალიფიკაცია.

ადამიანის ქორწინების უფლების დანაშაულებრივი ხელყოფისგან სისხლისსამართლებრივ დაცვას უზრუნველყოფს სისხლის სამართლის კოდექსში მოგვიანებით დასჯადად გამოცხადებული ქონწინების იძულება (მუხ.150<sup>1</sup>).

საკმაოდ აქტუალური და საინტერესოა საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლით აღიარებული საპროცესო უფლებების დაცვის საკითხი.

საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლში ეს უფლება შემდეგნაირად არის ჩამოყალიბებული: „მუხლი 31. საპროცესო უფლებები

1. ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავის უფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს. საქმის სამართლიანი და დროული განხილვის უფლება უზრუნველყოფილია.

2. ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე.

3. დაცვის უფლება გარანტირებულია.“<sup>35</sup>

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-6 მუხლში ამ საკითხთან დაკავშირებით აღნიშნულია, რომ „ყველას, სადაც უნდა იმყოფებოდეს, აქვს უფლება სცნონ მისი სამართალსუბიექტობა.“<sup>36</sup>

დეკლარაციის მე-10 მუხლის შესაბამისად კი „უფლებათა და მოვალეობათა განსაზღვრისას ან წარდგენილი ნებისმიერი სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევისას, ყველას აქვს გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნო განხილვის უფლება დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ.“<sup>37</sup>

საქართველოს ამჟამად მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსის მეთორმეტე კარი არის დანაშაული სასამართლო ხელისუფლების წინააღმდეგ (მუხ.364-381<sup>2</sup>). ეს დანაშაულები ნაკლებად ითვალისწინებს პირდაპირი მნიშვნელობით ადამიანის საპროცესო უფლებების სისხლისსამართლებრივ დაცვას. მაგრამ ადამიანის საპროცესო უფლებების სისხლისსამართლებრივი დაცვისათვის მნიშვნელოვანია სასამართლო ხელისუფლების ნორმალური საქმიანობა.

სასამართლოს ნორმალურ საქმიანობას ადამიანის უფლების დასაცავად ბევრმა ფაქტორმა შეიძლება შეუშალოს ხელი. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორები (ქმედებები) კანონმდებელმა დანაშაულად დააკვალიფიცირა და დასჯადად გამოაცხადა.

ამიტომ საქართველოს ამჟამად მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის მეთორმეტე კარით გათვალისწინებული დანაშაული სასამართლო ხელისუფლების წინააღმდეგ მნიშვნელოვანია ადამიანის საპროცესო უფლების დასაცავად.

თუმცა, ადამიანის საპროცესო უფლების დაცვისათვის უმნიშვნელოვანესია სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა და სამოქალაქო სამართლის საპროცესო კანონმდებლობა. რა თქმა უნდა, საპროცესო კანონმდებლობა თეორიულად უნდა შეესაბამებოდეს თანამედროვე სტანდარტებს, ითვალისწინებდეს კონსტიტუციისა და საერთაშორისო დეკლარაციების მოთხოვნებს და რაც მთავარია იძლეოდეს ადამიანის საპროცესო უფლების სასამართლო-პრაქტიკული დაცვის შესაძლებლობას.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-4 მუხლში გაცხადებულია, რომ „არ-

<sup>35</sup> <http://www.parliament.ge/ge/kanonmdbloba/constitution-of-georgia-68>

<sup>36</sup> <https://www.for-udhr.info/declaration-ge.html>

<sup>37</sup> იქვე.

ავინ შეიძლება იმყოფებოდეს მონობაში ან ყმობაში. ყველა სახის მონობა და მონათვაჭრობა აკრძალულია.“<sup>38</sup>

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-4 მუხლში განსაზღვრულია, რომ „1. არავინ შეიძლება იმყოფებოდეს მონობაში ან ყმობაში.

2. არავის შეიძლება მოეთხოვოს იძულებითი ან სავალდებულო სამუშაოს შესრულება.

3. ამ მუხლის მნიშვნელობით ტერმინი „იძულებითი ან სავალდებულო სამუშაო“ არ მოიცავს:

ა) ნებისმიერ სამუშაოს, რომლის შესრულებაც, ჩვეულებრივ, სავალდებულოა პატიმრობისას, რომელიც შეფარდებულია წინამდებარე კონვენციის მე-5 მუხლის დებულებების შესაბამისად ან ასეთი პატიმრობიდან პირობითი თავისუფლების განმავლობაში;

ბ) სამხედრო ხასიათის ნებისმიერ სამსახურს, ან სავალდებულო სამხედრო სამსახურის ნაცვლად დაკისრებულ სამსახურს იმ ქვეყნებში, სადაც შინაგანი მრწამსის გამო სამხედრო სამსახურის გავლახე უარის თქმის უფლება აღიარებულია;

გ) ნებისმიერ სამსახურს, რომელიც დაკისრებულია საგანგებო მდგომარეობის ან უბედურების დროს, რომელიც საფრთხეს უქმნის ხალხის სიცოცხლეს ან კეთილდღეობას;

დ) ნებისმიერ სამუშაოს ან სამსახურს, რომელიც, ჩვეულებრივ, მოქალაქეობრივ ვალდებულებებს განეკუთვნება.“<sup>39</sup>

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-4 მუხლით გაცხადებული და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-4 მუხლში განსაზღვრული ადამიანის უფლების დანაშაულებრივი ხელყოფისგან დასაცავად საქართველოს ამჟამად მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსში გათვალისწინებულია შემდეგი ქმედებების დანაშაულად კვალიფიკაცია და დასჯადობა:

თავისუფლების უკანონო აღკვეთა (მუხ. 143), ადამიანით ვაჭრობა (მუხ. 143<sup>1</sup>), არასრულწლოვნით ვაჭრობა (მუხ. 143<sup>2</sup>) და მძევლად ხელში ჩაგდება (მუხ. 144).

შეიძლება აქ ვიგულისხმოთ სისხლის სამართლის კოდექსის სხვა მუხლებით გათვალისწინებული ქმედებების დანაშაულად კვალიფიკაცია და დასჯადობაც. თუმცა, როგორც ადრე აღვნიშნეთ, *თუნდაც ერთი მუხლით ქმედების დანაშაულად საკანონმდებლო კვალიფიკაცია ადამიანის კონკრეტული უფლების სამართლებრივ სიკეთედ გათვალისწინებით საკმარისია ადამიანის ამ უფლების სისხლისსამართლებრივი დაცვისათვის. მაგრამ ამავე დროს აუცილებელია ადამიანის კონკრეტული უფლების საკანონმდებლოდ სამართლებრივ სიკეთედ გათვალისწინებული ქმედების დანაშაულად სასამართლო-საგამომძიებო და მეცნიერული კვალიფიკაცია.*

ქმედების დანაშაულად საკანონმდებლო კვალიფიკაცია აუცილებელი, მაგრამ საკმარისი პირობა არ არის სამართლებრივი სიკეთის (ამ შემთხვევაში ადამიანის ამა თუ იმ უფლების) დასაცავად. ქმედების დანაშაულად საკანონმდებლო კვალიფიკაციასთან ერთად ასევე აუცილებელია ქმედების დანაშაულად სასამართლო-საგამომძიებო და მეცნიერული კვალიფიკაცია.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-9 მუხლში გაცხადებულია, რომ „არავინ შეიძლება დაექვემდებაროს თვითნებურ დაკავებას, დაპატიმრებას ან გაძევებას.“<sup>40</sup>

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-5 მუხლის პირველ ნაწილში განსაზღვრულია, რომ „ყველას აქვს თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება. არავის შეიძლება აღეკვეთოს თავისუფლება, გარდა შემდეგი შემთხვევებისა და კანონით განსაზღვრული პროცედურის შესაბამისად...“<sup>41</sup>

ამავე მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილით კი განსაზღვრულია, რომ „4. ყველას, ვისაც დაკავე-

<sup>38</sup> <https://www.for-udhr.info/declaration-ge.html>

<sup>39</sup> <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1208370?publication=0>

<sup>40</sup> <https://www.for-udhr.info/declaration-ge.html>

<sup>41</sup> <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1208370?publication=0>

ბით ან დაპატიმრებით აღეკვეთა თავისუფლება, უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს, რომელიც სწრაფად განიხილავს მისი დაპატიმრების მართლზომიერების საკითხს და გამოსცემს ბრძანებას მისი გათავისუფლების შესახებ, თუ დაპატიმრება არ არის კანონიერი. 5. ყველას, ვინც არის დაკავების ამ დაპატიმრების მსხვერპლი ამ მუხლის დებულებათა დარღვევის გამო აქვს კომპენსაციის მიღების უფლება.<sup>42</sup>

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-9 მუხლით გაცხადებული და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-5 მუხლში განსაზღვრული ადამიანის უფლების დანაშაულებრივი ხელყოფისგან დასაცავად საქართველოს ამჟამად მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსში გათვალისწინებულია შემდეგი ქმედებების დანაშაულად კვალიფიკაცია და დასჯადობა:

უდანაშაულო პირის განზრახ მიცემა სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში (მუხ. 146), განზრახ უკანონო დაკავება ან დაპატიმრება (მუხ. 147) და ფსიქიატრიულ საავადმყოფოში უკანონო მოთავსება ან დაკავება (მუხ. 149).

აქაც შეიძლება ვიგულისხმოთ და მოვიხაროთ ადამიანის თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლების დასაცავად სისხლის სამართლის კოდექსის სხვა მუხლებით გათვალისწინებული ქმედებების დანაშაულად კვალიფიკაცია და დასჯადობა. თუმცა როგორც ზემოთ არაერთხელ აღვნიშნეთ, *თუნდაც ერთი მუხლით ქმედების დანაშაულად საკანონმდებლო კვალიფიკაცია ადამიანის კონკრეტული უფლების სამართლებრივ სიკეთედ გათვალისწინებით საკმარისია ადამიანის ამ უფლების სისხლისსამართლებრივი დაცვისათვის. მთავარია შემდეგ კანონმდებლობის სწორი განმარტება და პრაქტიკული სასამართლო გამოყენება.*

აუცილებელია ადამიანის უფლების კონსტიტუციური აღიარება, დეკლარაციით გაცხადება ანდა კონვენციით განსაზღვრა. მაგრამ ამის შემდეგ ყველაზე მნიშვნელოვანია მისი დაცვა სხვადასხვა სამართალდარღვევისგან და განსაკუთრებით დანაშაულებრივი ხელყოფისგან.

ადამიანს უფლებასთან ერთად აქვს მოვალეობა, თუნდაც სხვისი უფლების პატივისცემისა და ხელყოფაზე უარის თქმის მოვალეობა. ამიტომ ცალკეულ შემთხვევაში, როდესაც ადამიანი ივინყებს თავის მოვალეობას, შეძლება მოხდეს მისი უფლების შეზღუდვა ისევე სხვა ადამიანის უფლების დასაცავად ოღონდ კანონმდებლობით განსაზღვრული „გონივრული“ ფარგლებითა და ვადით.

ამის თაობაზე ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 29-ე მუხლში გაცხადებულია, რომ

„1. ყოველ ადამიანს აქვს მოვალეობანი საზოგადოების წინაშე, რადგან მხოლოდ საზოგადოებაშია შესაძლებელი მისი პიროვნების თავისუფალი და სრული განვითარება. 2. უფლებებისა და თავისუფლებების განხორციელებებისას შეზღუდვის ქვეშ მოიაზრება ის საზღვრები, რომლებიც აუცილებელია, რათა უზრუნველყოფილ იქნეს სხვების უფლებათა ჯეროვანი აღიარება და პატივისცემა და დაკმაყოფილდეს ზნეობის, საზოგადოებრივი წესრიგისა და საერთო კეთილდღეობის სამართლიანი მოთხოვნები დემოკრატიულ საზოგადოებაში. 3. დაუშვებელია, რომ ამ უფლებათა და თავისუფლებათა განხორციელება ეწინააღმდეგებოდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნებსა და პრინციპებს.“<sup>43</sup>

ამის თაობაზე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-18-მუხლში-უფლებების შეზღუდვათა გამოყენების ფარგლები- განსაზღვრულია, რომ „სხენებულ უფლებათა და თავისუფლებათა კონვენციით დაშვებული შეზღუდვები გამოიყენება მხოლოდ და მხოლოდ მათთვის გათვალისწინებული მიზნებისათვის.“<sup>44</sup>

ამდენად, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 29-ე მუხლში გაცხადებული

<sup>42</sup> იქვე.

<sup>43</sup> <https://www.for-udhr.info/declaration-ge.html>

<sup>44</sup> <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1208370?publication=0>

და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-18-მუხლში განსაზღვრული ადამიანის უფლების შეზღუდვა ემსახურება ისევე ადამიანის უფლების დაცვას სხვა ადამიანის მიერ ადამიანის უფლების ხელყოფისას. ამ უფლების არსებობის გარეშე შეუძლებელი იქნება ყველა ის სისხლისსამართლებრივი შეზღუდვები, რაც გათვალისწინებულია დანაშაულის ჩამდენი პირის წინააღმდეგ. ეს იმიტომ, რომ უფლებასთან ერთად არსებობს მოვალეობა და მოვალეობის დარღვევას მოყვება (უნდა მოყვეს) დამრღვევის უფლების შეზღუდვა სხვისი ხელყოფილი უფლების დასაცავად. ამდენად, უფლების შეზღუდვა აუცილებელია ისევე უფლების დასაცავად და მხოლოდ ამ მიზნებს უნდა ემსახურებოდეს. ეს ნიშნავს იმას, რომ უფლების შეზღუდვა არის უფლების დაცვის საშუალება თუნდაც სისხლისსამართლებრივი თვალსაზრისით.

სისხლის სამართლის კოდექსით დაცული ადამიანის გარკვეული უფლება, რომელიც აღიარებულია საქართველოს კონსტიტუციით და გაცხადებულია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით, განსაზღვრულია ასევე 1950 წლის 4 ნოემბრის ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციით.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით გაცხადებული ადამიანის გარკვეული უფლებები განსაზღვრულია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-2 თავის შესაბამის მუხლებში.

ამის თაობაზე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის შესავალსა და პირველ მუხლში აღნიშნულია, რომ „როგორც მთავრობები იმ თანამოაზრე ევროპული ქვეყნებისა, რომელთაც აქვთ პოლიტიკური ტრადიციების, იდეალების, თავისუფლებისა და სამართლის უზენაესობის საერთო მემკვიდრეობა, შემართულნი არიან, გადადგან პირველი ნაბიჯები საყოველთაო დეკლარაციით გაცხადებულ გარკვეულ უფლებათა კოლექტიური განხორციელებისათვის, და თანხმდებიან შემდეგზე:

მუხლი 1- ადამიანის უფლებათა პატივისცემის ვალდებულება

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში ყველასათვის უზრუნველყოფენ ამ კონვენციის I თავში განსაზღვრულ უფლებებსა და თავისუფლებებს“.<sup>45</sup>

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის I თავი არის უფლებები და თავისუფლებები. ეს თავი მოიცავს კონვენციის 2-18 მუხლებს და იქ განსაზღვრულია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის შესაბამისი მუხლებით გაცხადებული და საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული ადამიანის ისეთი ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, როგორცაა: სიცოცხლის უფლება (კონვენციის მუხ.2), წამების აკრძალვა (მუხ.3), მონობისა და იძულებითი შრომის აკრძალვა (მუხ.4), თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლება (მუხ.5), სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება (მუხ.6), არავითარი სასჯელი კანონის გარეშე (მუხ.7), პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება (მუხ.8), აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება (მუხ.9), გამოხატვის თავისუფლება (მუხ.10), შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება (მუხ.11), ქორწინების უფლება (მუხ.12), სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალების უფლება (მუხ.13), დისკრიმინაციის აკრძალვა (მუხ.14), უფლებათა ბოროტი გამოყენების აკრძალვა (მუხ.17), უფლებების შეზღუდვათა გამოყენების ფარგლები (მუხ.18)<sup>46</sup> და ადამიანის სხვა უფლება და თავისუფლება.

ამ ნაშრომში ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს ადამიანის გარკვეული უფლების კონსტიტუციურ-სამართლებრივი მნიშვნელობის გამოკვლევა-დახასიათება. აქ იგულისხმება საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული, 1948 წლის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით გაცხადებული და ასევე 1950 წლის 4 ნოემბრის ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციით განსაზღვრული ადამიანის უფლება და თავისუფლება.

<sup>45</sup> <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1208370?publication=0>

<sup>46</sup> იქვე.

ადამიანის უფლების კონსტიტუციურ-სამართლებრივი გამოკვლევა-დახასიათება ძალზე მნიშვნელოვანია ამ უფლების შინაარსის სწორად გასაგებად და გამოსაყენებლად. ამას არავინ არ უარყოფს. მაგრამ ამ ეტაპზე ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით გაცხადებული და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციით განსაზღვრული ადამიანის უფლების, როგორც დანაშაულებრივი ხელყოფისგან სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტის, სამართლებრივი სიკეთის წარმოჩენა.

ადამიანის უფლების აღიარება, გაცხადება ან/და განსაზღვრა არის კონსტიტუციის, დეკლარაციისა და კონვენციის ფუნქცია. ხოლო ამ უფლების დანაშაულებრივი ხელყოფისგან დაცვა კი სისხლის სამართლის ფუნქცია.

ადამიანის უფლების სისხლისსამართლებრივად დაცულ სამართლებრივ სიკეთედ აღიარება/გათვალისწინებით და მის შესაბამისად ამ უფლების დასაცავად კონკრეტული დანაშაულის საკანონმდებლოდ ჩამოყალიბებით, ქმედების დანაშაულად საკანონმდებლო კვალიფიკაციით სისხლის სამართალი უზრუნველყოფს (ჯერარსობრივად უნდა უზრუნველყოფდეს) ადამიანის უფლების დანაშაულებრივი ხელყოფისგან სისხლისსამართლებრივ დაცვას.

რა თქმა უნდა, აუცილებელია ადამიანის უფლების დაცვა სხვა სახის სამართალდარღვევებისგან, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი სამართალდარღვევა და შესაბამისად, ადამიანის უფლების ხელყოფა, დანაშაულებრივი ხელყოფაა.

ადამიანის უფლების სხვა სახის ხელყოფისგან განსხვავებით, დანაშაულებრივი ხელყოფა ყველაზე მძიმე შედეგს იწვევს. ამიტომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სხვა დარგებთან შედარებით, ადამიანის უფლების სისხლისსამართლებრივი დაცვა.

სისხლის სამართალი უნდა ვითარდებოდეს და ყოველთვის იდგეს ადამიანის უფლების დაცვის სამსახურში.

ადამიანის რა უფლებასაც აღიარებს საქართველოს კონსტიტუცია, განაცხადებს დეკლარაცია თუ განსაზღვრავს რომელიმე კონვენცია, ამ უფლების მნიშვნელობიდან გამომდინარე, აუცილებელია მისი სისხლისსამართლებრივი დაცვა. ეს კი შესაძლებელია ქმედების დანაშაულად საკანონმდებლო კვალიფიკაციის დროს ადამიანის კონკრეტული უფლების სისხლისსამართლებრივად დაცულ სიკეთედ გამოცხადებით/გათვალისწინებით.

თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ადამიანის უფლების სამართლებრივ სიკეთედ გამოცხადება ან/და გათვალისწინება ქმედების დანაშაულად საკანონმდებლო კვალიფიკაციისას საკმარისი არ არის.

ასევე მნიშვნელოვანია ადამიანის უფლების სამართლებრივ სიკეთედ გათვალისწინებული ქმედების დანაშაულად სწორი მეცნიერული კვალიფიკაცია. ეს ორივე კი უნდა იყოს იმის წინაპირობა, რომ მოხდეს ადამიანის უფლების დაცვა ქმედების დანაშაულად სასამართლო-საგამოძიებო კვალიფიკაციისას.

ადამიანის უფლების სამართლებრივ სიკეთედ გათვალისწინება ქმედების დანაშაულად საკანონმდებლო კვალიფიკაციის დროს და დოქტრინალური განმარტება ქმედების დანაშაულად მეცნიერული კვალიფიკაციისას არის წინაპირობა და ემსახურება ადამიანის უფლების რეალურ, სასამართლო-პრაქტიკულ დაცვას.

აქვე აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ადამიანის უფლების სამართლებრივ სიკეთედ გათვალისწინება ქმედების დანაშაულად საკანონმდებლო კვალიფიკაციისას, მის შესაბამისად ქმედების დანაშაულად მეცნიერული კვალიფიკაცია და ქმედების დანაშაულად სასამართლო კვალიფიკაცია საკმარისი არ არის ადამიანის უფლების დასაცავად.

ადამიანის უფლების დაცვას უნდა ემსახურებოდეს და ითვალისწინებდეს სისხლის სამართალი ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ყველა ეტაპზე, რადგან ადამიანის უფლების სამართლებრივ სიკეთედ გათვალისწინება არის ადამიანის უფლების სისხლისსამართლებრივი

დაცვის ერთ-ერთი და არა ერთადერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი.

ამიტომ ქმედების დანაშაულად კვალიფიკაცია თავისი ფართო გაგებით ყველა ეტაპზე მნიშვნელოვანია ადამიანის უფლების დასაცავად.

ადამიანის უფლების სისხლისსამართლებრივი დაცვა კი არ შემოიფარგლება მხოლოდ ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციით. ასევე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი და საყურადღებოა სასჯელის დანიშვნისა და აღსრულების საკითხი.

ჩვენ შევეცდებით მომავალში სხვა ნაშრომებში შემოგთავაზოთ ადამიანის უფლების დაცვის პრობლემა სისხლის სამართალში ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის სხვა თემებთან, სასჯელის დანიშვნისა და აღსრულების საკითხებთან ერთად, სასამართლო პრაქტიკის გათვალისწინებისა და გაანალიზების საფუძველზე.

ჩემთვის კარგად ცნობილია, რომ ხშირად მკითხველს თეორიული საკითხების ირგვლივ მსჯელობასთან ერთად (ზოგჯერ უფრო მეტად) ძალიან აინტერესებს კონკრეტული მაგალითების, სასამართლო გადაწყვეტილებების მოშველიება და გაანალიზება. ეს განსაკუთრებით ახასიათებთ სტუდენტებს, რომლებსაც თეორიული დოგმების შესწავლაზე მეტად კონკრეტული მაგალითების, ან როგორც ეხლა ხშირად ამბობენ, კაზუსების ამოხსნა უფრო ხიბლავთ. მათში უფრო მეტი პოპულარობით სარგებლობს ის სახელმძღვანელოები ან/და ნაშრომები, სადაც ხშირია პრაქტიკული მაგალითები/კაზუსები და მათი ამოხსნის გზები/მეთოდოლოგია. წმინდა თეორიული მასალის გადმოცემა დღეს ნაკლებ აქტუალური და მიმზიდველია. ამიტომ ბოლო პერიოდის სახელმძღვანელოებში შეინიშნება მაგალითების/კაზუსების სიხშირე. ეს ერთობ ზრდის როგორც ნაშრომის, ისე მისი ავტორის პოპულარობას-ავტორიტეტს სტუდენტებში.

აუცილებელია სტუდენტებისა და საერთოდ საზოგადოების მოთხოვნისა და ინტერესის გათვალისწინება, მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ რაიმე იურიდიული, მათ შორის სისხლისსამართლებრივი საკითხის კარგად შესასწავლად მნიშვნელოვანია როგორც მეცნიერულ-დოგმატიკური მასალის შესწავლა, ისე სასამართლო-პრაქტიკული მაგალითების განხილვა. მათი თანაფარდობა კი უნდა გამომდინარეობდეს შესასწავლი საკითხის სპეციფიკიდან. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ყველა საკითხთან დაკავშირებით არ არსებობს ერთნაირი სასამართლო პრაქტიკა და ზოგჯერ მის განსამარტავად ხდება ე.წ. „ქრესტომათიული მაგალითების“ მოშველიება. მაგრამ სადაც ცოცხალი, სასამართლო-პრაქტიკული მაგალითები არსებობს, მათი განხილვა ან თუნდაც სამართლებრივი შეფასება აუცილებელია.

ალბათ, მკითხველი დამეთანხმება, რომ ერთნაირი რაოდენობით არ ხდება სისხლისსამართლებრივად დაცული ადამიანის ყველა უფლების ხელყოფა. ჩვენ ზემოთ უკვე ვახსენეთ სისხლის სამართლის კოდექსში არსებული ე.წ. „მკვდარი“ და მუშა/ცოცხალი“ მუხლები.

თეორიული შესწავლის გამო სულაც არ გვჭირდება, რომ მოხდეს ადამიანის უფლების დანაშაულებრივი ხელყოფა. დაე, ნუ იქნება ჩადენილი დანაშაული თუნდაც ამ მიმართებით.

მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ეს ასე არ არის და ხდება ადამიანის უფლების დანაშაულებრივი ხელყოფა. მათი შესწავლა და გაანალიზება კი აუცილებელია ამ დანაშაულთა შესამცირებლად. რა თქმა უნდა, ისევე როგორც შეუძლებელია ნებისმიერი სხვა დანაშაულის, ასევე ადამიანის უფლების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის სრული აღმოფხვრა. მაგრამ ყოველთვის არის შესაძლებელი დანაშაულის შემცირება თუ მოხდება მისი დროული პრევენცია.

## დასკვნა

ადამიანის უფლება სისხლისსამართლებრივად დაცული უმნიშვნელოვანესი სამართლებრივი სიკეთეა.

საქართველოს კონსტიტუციასა და საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებში გამოხატული ადამიანის ძირითადი უფლების დასაცავად საქართველოს მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსში ჩამოყალიბებულია არაერთი კონკრეტული ქმედების (დანაშაულის) შემადგენლობა, რომელიც დანაშაულებრივი ხელყოფისაგან დაცვის ობიექტად, სისხლისსამართლებრივად დაცულ სიკეთედ ადამიანის ამა თუ იმ უფლებას ითვალისწინებს.

კანონმდებლისათვის, პირველ ყოვლისა, მნიშვნელოვანია იმის დადგენა თუ რას იცავს სისხლისსამართლებრივად. ამის შემდეგ დგება დღის წესრიგში სისხლისსამართლებრივად დაცული სიკეთის-ამ შემთხვევაში ადამიანის უფლების- დანაშაულებრივი ხელყოფისგან დაცვის ფორმის ჩამოყალიბების საკითხი.

*ჯერ უნდა განისაზღვროს მიზანი და შემდეგ კი შეირჩეს მისი მიღწევის საშუალება.* ამ შემთხვევაში მიზანია ადამიანის უფლების დაცვა, ხოლო მისი სამართლებრივ სიკეთედ გათვალისწინებით ჩამოყალიბებული ქმედების შემადგენლობების დანაშაულად გამოცხადება ამ მიზნის მიღწევის საშუალება.

ქმედების დანაშაულად კავლიფიკაცია არ უნდა იყოს კანონმდებლის თვითმიზანი. ის უნდა იყოს საშუალება უფრო დიდი მიზნის მისაღწევად-განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ურთიერთობების დანაშაულებრივი ხელყოფისგან დასაცავად. *ქმედების დანაშაულად კავლიფიკაცია უნდა ემსახუროდეს ადამიანის უფლების სისხლისსამართლებრივად დაცვას.*

ამიტომ სისხლის სამართლის კოდექსში არსებული სპეციალური შემადგენლობების განხილვა, რომლებიც საქართველოს კონსტიტუციითა და ადამიანის უფლებათა საყოველთაოდ დეკლარაციით აღიარებული ადამიანის ამა თუ იმ უფლების დაცვას ემსახურება, მნიშვნელოვანია.

ადამიანის უფლების აღიარება, გაცხადება ან/და განსაზღვრა არის კონსტიტუციის, დეკლარაციისა და კონვენციის ფუნქცია. ხოლო ამ უფლების დანაშაულებრივი ხელყოფისგან დაცვა კი სისხლის სამართლის ფუნქცია.

ადამიანის უფლების სისხლისსამართლებრივად დაცულ სამართლებრივ სიკეთედ აღიარება/გათვალისწინებით და მის შესაბამისად ამ უფლების დასაცავად კონკრეტული დანაშაულის საკანონმდებლოდ ჩამოყალიბებით, ქმედების დანაშაულად საკანონმდებლო კვალიფიკაციით სისხლის სამართალი უზრუნველყოფს (ჯერარსობრივად უნდა უზრუნველყოფდეს) ადამიანის უფლების დანაშაულებრივი ხელყოფისგან სისხლისსამართლებრივ დაცვას.

ადამიანის რა უფლებასაც აღიარებს საქართველოს კონსტიტუცია, განაცხადებს დეკლარაცია თუ განსაზღვრავს რომელიმე კონვენცია, ამ უფლების მნიშვნელობიდან გამომდინარე, აუცილებელია მისი სისხლისსამართლებრივი დაცვა. ეს კი შესაძლებელია ქმედების დანაშაულად საკანონმდებლო კვალიფიკაციის დროს ადამიანის კონკრეტული უფლების სისხლისსამართლებრივად დაცულ სიკეთედ გამოცხადებით/გათვალისწინებით.

ადამიანის უფლების დაცვას უნდა ემსახუროდეს და ითვალისწინებდეს სისხლის სამართალი ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ყველა ეტაპზე, რადგან ადამიანის უფლების სამართლებრივ სიკეთედ გათვალისწინება არის ადამიანის უფლების სისხლისსამართლებრივი დაცვის ერთ-ერთი და არა ერთადერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი.

## თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლების შეზღუდვის დასაშვები ზარბაზნი დაკავების გამოყენებისას

მარიამ მითაიშვილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა პალატის მწერალი თანაშემწე; ივანე ჯავახიშვილის  
სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდი-  
ული ფაკულტეტის დოქტორანტი

### შესავალი

მოცემული თემის აქტუალობას განაპირობებს თავად დაკავების სამართლებრივი ბუნე-  
ბა, ვინაიდან, დაკავება საპროცესო იძულების ღონისძიების ერთ-ერთი სახეა და მისი გამოყ-  
ენება ზღუდავს ადამიანისათვის ისეთ შეუფასებელ სიკეთეს, როგორც არის თავისუფლება  
და ხელშეუხებლობა. განსახილველია, დაკავების გამოყენების საკანონმდებლო წინაპირობები  
რამდენად სრულყოფილად, განჭვრეტადად არის რეგულირებული და შეესაბამება თუ არა იგი  
საერთაშორისო სტანდარტებს. ასევე საინტერესოა, კანონმდებლობა ხომ არ უშვებს ისეთი  
პირის დაკავების შესაძლებლობას, ვისი დანაშაულთან შემხებლობაც ძალიან მცირეა. კანონ-  
მდებლობის შესწავლასთან ერთად, მნიშვნელოვანია, სასამართლო გადაწყვეტილებების შეს-  
წავლაც, რათა დადგინდეს – თუ როგორი სახის ფაქტებისა და ინფორმაციის ერთობლიობა  
ქმნის დაკავების საფუძველს. სტატიაში, ასევე, განხილული იქნება ევროპული სასამართლოს  
გადაწყვეტილებები, რომლებშიც სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-5 მუხლის დარღვევა.

### 1. დაკავების სამართლებრივი არსი

იყო თავისუფალი – ნიშნავს შენი სურვილებისა თუ მიზნების დაუბრკოლებლად რეალი-  
ზების შესაძლებლობას. თავის მხრივ, თავისუფლება და ხელშეუხებლობა, ყველა იმ სახელმ-  
წიფო სისტემის ქვაკუთხედი, რომელსაც აქვს კანონიერების პატივისცემისა და დაცვის პრე-  
ტენზია<sup>1</sup>. აღნიშნული უფლებები იცავს პირს, „არ იმყოფებოდეს ვინმეს კონტროლის ქვეშ“<sup>2</sup>  
და არ დაექვემდებაროს დაკავებასა და დაპატიმრებას.<sup>3</sup> თავისუფლების უფლება იცავს ადა-  
მიანს საჯარო ხელისუფლების მხრიდან, „როგორც ფიზიკური, ისე ფსიქიკური ხელყოფისგან“.<sup>4</sup>  
გადაადგილების თავისუფლება გულისხმობს პირის დაცვას თავისუფლების აღკვეთისგან.<sup>5</sup> მისი  
შეზღუდვის პრაქტიკული მაგალითია, „მოძრაობის პროცესის“, ადგილსამყოფელის შეცვლისა და

<sup>1</sup> ფაფიაშვილი ლ., ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლით გათვალისწინებული პროცე-  
სუალური გარანტიები თავისუფლება აღკვეთილი პირების მიმართ, სტატიათა კრებული, ადამიანის უფლებათა  
დაცვა, ეროვნულ და საერთაშორისო სამართალში, რედ. კ. კორკელია, თბ., 2002წ., 230.

<sup>2</sup> ცნობილადე პ., საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი, ტომი I, გამომც. „ბონა კაუზა“, 2004წ., 303.

<sup>3</sup> იხ. კორკელია კ., მჭედლიძე ნ., ნალბანდოვი ა., საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა ადამიანის  
უფლებათა ევროპული კონვენციისა და მისი ოქმების სტანდარტებთან, საქართველო, ევროპის საბჭო, 2005წ.,  
79.

<sup>4</sup> დემეტრაშვილი ა., კობახიძე ი., კონსტიტუციური სამართალი, თბ., გამომც. „ინოვაცია“, 2011 წლის 1  
ოქტომბრის მდგომარეობით, 86.

<sup>5</sup> ჰალერი ვ., შვეიცარიის კონსტიტუცია შედარებით კონტექსტში, თბ., გამომც. „უნივერსალი“, 2012 წ., 206.

არჩევს თავისუფლების შეზღუდვა.<sup>6</sup> უნდა აღინიშნოს, რომ ყოველი თავისუფლების ხანმოკლე შეზღუდვა არ გულისხმობს დაკავებას, ვინაიდან, სხვადასხვა საკანონმდებლო აქტები, სხვადასხვა მიზნით, თავისუფლების ხანმოკლე შეზღუდვას ითვალისწინებენ. მაგ., „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის თანახმად, პირის ზედაპირული შემოწმების მიზნით შეჩერება 30 წუთს არ უნდა აღემატებოდეს.

თავისუფლების უფლებას იცავს კონსტიტუციის მე-13 მუხლი. ზოგადად, დაკავების გამოყენებისას კანონმდებლობით დაცული ორი სიკეთე – პირის თავისუფლებისა და დანაშაულის სახელმწიფოს ლეგიტიმური ინტერესი უპირისპირდება ერთმანეთს.<sup>7</sup> ლეგიტიმური ინტერესი, ორიენტირებულია ადამიანის უფლებების დაცვაზე, ვინაიდან, სახელმწიფო პირს უზღუდავს თავისუფლებას იმ პირთა უფლებების დაცვის ხარჯზე, რომლებსაც დაცულ, მშვიდ გარემოში სურთ ცხოვრება. თუკი სერიული მკვლეელი დააკავებს, სახელმწიფოს ინტერესშია გახსნას დანაშაული და დაიცვას სხვა მრავალი ადამიანის სიცოცხლე. ამდენად, „სისხლის სამართალ-წარმოებაში კანონმდებლის მიზანია ბალანსის მიღწევა დანაშაულის ეფექტიანი აღკვეთის თაობაზე საზოგადოების მოთხოვნილებასა და ბრალდებულის უფლებების დაცვას შორის“.<sup>8</sup> შესაბამისად, თავისუფლებას არ გააჩნია აბსოლუტური ხასიათი<sup>9</sup> და მისი შეზღუდვა დასაშვებია გამონაკლის შემთხვევებში,<sup>10</sup> „როდესაც ამისათვის არსებობს დამაჯერებელი არგუმენტაცია“.<sup>11</sup>

## 1.1. დაკავება საერთაშორისო სამართლებრივ ხელშეკრულებებში

თავისუფლების და ხელშეუხებლობის უფლება, არაერთი საერთაშორისო ხელშეკრულებით არის დაცული, კერძოდ, ევროპული კონვენციის მე-5 მუხლით,<sup>12</sup> ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-3 და მე-9 მუხლებით,<sup>13</sup> სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის მე-9 მუხლით,<sup>14</sup> ევროკავშირის ძირითად უფლებათა ქარტიის მე-6 მუხლით,<sup>15</sup> ადამიანისა და ხალხთა უფლებების აფრიკული ქარტიის მე-6 მუხლით,<sup>16</sup> ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენციის მე-9 მუხლით,<sup>17</sup> გაეროს ნებისმიერი ფორმით დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირთა დაცვის პრინციპებით.<sup>18</sup>

<sup>6</sup> საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, რედ. პ. ტურავა, თბ., გამომც. შპს „პეტიტი“, 2013წ., 131.

<sup>7</sup> ფაფიაშვილი ლ., თავისუფლებაშემზღუდველი საპროცესო იძულების ღონისძიებების გამოყენების საერთაშორისო-სამართლებრივი სტანდარტები, ყ. საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა, IV, 2011 წლის იანვარი, 70.

<sup>8</sup> ფაფიაშვილი ლ., დაკავებისა და დაპატიმრების გამოყენების სამართლებრივი საფუძვლები სისხლის სამართლის პროცესში, ადამიანის უფლებათა დაცვის კონსტიტუციური და საერთაშორისო მექანიზმები, რედ. კ. კორკელია, თბ., 2010წ., 159.

<sup>9</sup> საკონსტიტუციო სასამართლოს №2/1/415 გადაწყვეტილება, სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 06/04/2015, II-2.

<sup>10</sup> მჭედლიძე ნ., პირის თავისუფლების და უსაფრთხოების უფლება, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის განხორციელება, გზამკვლევი, თბ., ევროპის საბჭო, 2004 წლის ოქტომბერი, 5.

<sup>11</sup> საკონსტიტუციო სასამართლოს №1/3/393,397 გადაწყვეტილება საქართველოს მოქალაქეები ვახტანგ მასურაშვილი და ონისე მებონია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 15/12/2006, II-4.

<sup>12</sup> რომი, 4 ნოემბერი, 1950წ.

<sup>13</sup> 1948 წლის 10 დეკემბერი, პარიზი.

<sup>14</sup> 1966 წლის 16 დეკემბერი, ნიუ-იორკი.

<sup>15</sup> 18 დეკემბერი 2000 წელი, 364/01, ნიცის სამიტი.

<sup>16</sup> ბანჯული, 27 ივნისი 1981წ.

<sup>17</sup> კოსტა რიკა, 22 ნოემბერი 1969წ.

<sup>18</sup> 1988 წ. 9 დეკემბერი, 43/173, 76-ე პლენარული სხდომა.

## 1.2. სისხლის საპროცესო სამართლებრივი დაკავება

დაკავება სისხლის სამართლის საპროცესო იძულების ღონისძიების სახეა. იგი გამოძიების მიზნების მიღწევის ერთ-ერთი საშუალებაა<sup>19</sup> და ამავდროულად, საკუთარ როლს ასრულებს მართლმსაჯულების განხორციელებაში.<sup>20</sup> გარკვეულ შემთხვევებში, დაკავება დანაშაულის აღკვეთის ყველაზე სწრაფ საშუალებას წარმოადგენს. იგი პირის ფიზიკურ, „შეზოჭვასთან“ ერთად, „ბოჭავს“ დანაშაულის ჩადენის განზრახვის პრაქტიკაში რეალიზების შესაძლებლობას.

სსსკ-ის 171 – 174-ე მუხლების ანალიზის საფუძველზე, შესაძლოა დადგინდეს ის ძირითადი ნიშნები, რომლებიც დაკავებას ახასიათებს: 1. სახეზე უნდა იყოს თავისუფლების აღკვეთა; 2. თავისუფლების აღკვეთას უნდა გააჩნდეს ხანმოკლე ხასიათი; 3. პირს მიმოსვლის თავისუფლება უნდა იყოს შეზღუდული; 4. პირი უნდა დააკავოს მხოლოდ ამისათვის უფლებამოსილმა პირმა; 5. დაკავებას უნდა გააჩნდეს სპეციალური მიზანი და არ უნდა იყოს თვითნებური;<sup>21</sup> 6. დაცულ უნდა იქნეს პროცესით დადგენილი ყველა სავალდებულო პროცედურა, როგორც არის უფლებების განმარტება, ოქმის შედგენა და ა.შ.

„იმის დასადგენად შეადგენს თუ არა კონკრეტული ღონისძიება თავისუფლების აღკვეთას, არსებითია ისეთი სახის ელემენტები, როგორც არის პირის თავისუფლების შეზღუდვის ხასიათი და თავისუფლება აღკვეთილი პირის სტატუსი“.<sup>22</sup> ევროპულმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეში ჰქონდა თუ არა თავისუფლების აღკვეთას ადგილი ყურადღება გაამახვილა შემდეგ ფაქტორებზე: 1. ადგილსამყოფელის მცირე ფართობი; 2. უწყვეტი ზედამხედველობა; 3. სოციალური კონტაქტების ფაქტობრივი უქონლობა და 4. იძულებითი ყოფნა.<sup>23</sup> სხვა საქმეში ევროპულმა სასამართლომ განმარტა, „შეზღუდა თუ არა თავისუფლება რომელიმე ადამიანს მე-5 მუხლის 1-ლი ნაწილის მნიშვნელობით, ამოსავალ წერტილად კონკრეტული ვითარება უნდა იქცეს“<sup>24</sup> და ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგ ელემენტთა ერთობლიობას: 1. უფლების ხელყოფის სახეს; 2. ხანგრძლივობას; 3. შედეგს; 4. განხორციელებული ღონისძიების ფორმას.<sup>25</sup> მნიშვნელოვანია აგრეთვე, ევროპული სასამართლოს განმარტება, რომლის თანახმადაც, ის რომ პირებს „არ დააღეს ხელბორკილები, არ მოათავსეს ჩაკეტილ კამერაში ან სხვაგვარად არ შეზღუდეს დაკითხვის დროს, არარეალური იქნებოდა იმის მიჩნევა, რომ თავისუფლად შეეძლოთ პოლიციის შენობის დატოვება“.<sup>26</sup>

ერთ-ერთი გადანწყვეტილების თანახმად, განმცხადებელს შეეზღუდა თავისუფლება ევროპული კონვენციის მე-5 მუხლიდან გამომდინარე, შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით: როდესაც განმცხადებელი 08:30 საათზე ცდილობდა საპასპორტე კონტროლის გავლას, პოლიციის ოფიცრებმა მას უთხრეს, რომ თან უნდა გაჰყოლოდა; განმცხადებელი მიიყვანეს აეროპორტის განცალკევებულ ოთახში, ბილეთი და პასპორტი ჩამოართვეს და იქ 13:30 საათამდე დატოვეს. ამ დროის განმავლობაში მას კითხავდნენ და გაჩხრიკეს. ოთახის შესასვლელში იდგა შეიარაღებული დაცვა, რათა თავიდან აეცილებინათ განმცხადებლის მიერ ოთახის დატოვების შესაძლებლობა.<sup>27</sup> ამდენად, პირი პოლიციის კონტროლის ქვეშ იმყოფებოდა 08:30

<sup>19</sup> საქართველოს სსსკ-ის კომენტარი, ავტ. კოლექტივი, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2015წ., 499.

<sup>20</sup> იგივე.

<sup>21</sup> M.A v. Cyprus, [2013], EHCR, 186; Baisuev and Anzorov v. Georgia, [2013], EHCR, 50; Engel and others v. Netherlands [1976], EHCR, 58.

<sup>22</sup> მჭედლიძე ნ., პირის თავისუფლების და უსაფრთხოების უფლება, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის განხორციელება, გზამკვლევი, თბ., ევროპის საბჭო, 2004 წლის ოქტომბერი, გვ. 24.

<sup>23</sup> Guzzardi v. Italy, [1980], EHCR, 90.

<sup>24</sup> M.A v. Cyprus, [2013], EHCR, 186.

<sup>25</sup> Iskandarov v. Russia, [2010], EHCR, 135.

<sup>26</sup> Baisuev and Anzorov v. Georgia, [2013], EHCR, 55.

<sup>27</sup> Kasparov v. Russia, [2016], EHCR, 45.

საათიდან – 13:30 საათამდე. ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ მართალია, განმცხადებელს ჰქონდა შესაძლებლობა პოლიციისათვის გაყოლაზე ეთქვა უარი, მაგრამ ამ შემთხვევაში პოლიციას შესაძლოა მის მიმართ დაუმორჩილებლობისთვის შესაბამისი ზომა გამოეყენებინა. ევროპულმა სასამართლომ განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზეც, რომ პირს ფაქტობრივად ოთახის დატოვების რეალური შესაძლებლობა არ ჰქონდა.<sup>28</sup> საბოლოო ჯამში, სასამართლომ დაადგინა, რომ შესაბამის პირთა ქმედებები არ შეესაბამებოდა მე-5 მუხლით გათვალისწინებულ არც ერთ წინაპირობას, რის გამოც მან მოცემული მუხლი დარღვეულად მიიჩნია.<sup>29</sup>

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, პირი დაკავებულად ითვლება, როდესაც „უფლებამოსილი პირი კანონით განსაზღვრულ შემთხვევებსა და საფუძველზე, შეუზღუდავს ადამიანს საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულ თავისუფლებას“.<sup>30</sup>

სახალხო დამცველის ანგარიშში განხილულია ბათუმის საქალაქო სასამართლოს განჩინება, რომლის თანახმადაც, ბრალდებულები დააკავეს არა დაკავების ოქმში მითითებულ დროს, არამედ მიმოსვლის თავისუფლების შეზღუდვის მომენტიდან – ჩხრეკის დაწყებიდან, ვინაიდან საქართველოს სსსკ-ის 170-ე მუხლის მე-2 ნაწილი დაკავებულად პირს მიიჩნევს სწორედ მიმოსვლის თავისუფლების შეზღუდვის მომენტიდან.<sup>31</sup>

პირადი ჩხრეკის დაწყება (ე.ი პირის შეჩერება), და მაგ., მის ტანსაცმელში ნივთის ძებნა არ შეიძლება გაიგივდეს დაკავებასთან, ვინაიდან ჩხრეკისა და დაკავების დროს თავისუფლების შეზღუდვის ფაქტი სხვადასხვა მიზნებს ემსახურება. ჩხრეკის დროს უფლებამოსილი პირი მოქმედებს საქართველოს სსსკ-ის 119, 121-ე მუხლების ფარგლებში, რის შედეგადაც კანონსაწინააღმდეგო ნივთი შესაძლოა არც იქნეს ამოღებული. მიმოსვლის თავისუფლების გარეშე პირის ჩხრეკა შეუძლებელია. ის დამოუკიდებელი საგამოძიებო მოქმედებაა, რომელიც სავარაუდო კანონსაწინააღმდეგო ნივთების (მაგ., ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა) ამოღების შემთხვევაში, ქმნის დაკავების წინაპირობას. ამდენად, იგი შესაძლოა იქცეს საპროცესო იძულების ღონისძიების, დაკავების საფუძველად და არა თავისთავად დაკავებად. შესაბამისად, იმ შემთხვევაში თუკი ჩხრეკის შედეგად ამოღებულმა ნივთმა შექმნა დაკავების საფუძველი, სწორედ ამ წუთიდან უნდა აითვალოს დაკავების დრო. წინასწარ, ჩხრეკის დასაწყისში დანამდვილებით ცოდნა იმისა, თუ რა აღმოაჩნდება პირს – შეუძლებელია. ამდენად, დაკავების საფუძველს ქმნის არა პირის თავისუფალი გადაადგილების შეზღუდვა მისი ჩხრეკის მიზნით, არამედ ის შედეგი, რომელიც საგამოძიებო მოქმედების შედეგად გამოიკვეთა.

სხვა პრაქტიკული შემთხვევის თანახმად, შესაბამისმა თანამშრომლებმა ჩხრეკის დროს პირს ხელბორკილები დაადეს. ანგარიშში მითითება პირის მხრიდან წინააღმდეგობის განხილვის ფაქტზე არ ხდება.<sup>32</sup> მოცემულ შემთხვევაში, ცალსახაა, რომ პირი დააკავეს, ვინაიდან, ჩხრეკის ჩატარების დროს ხელბორკილების დადება არ შეესაბამება აღნიშნული საგამოძიებო მოქმედების განხორციელების სამართლებრივ არსს და არ ემსახურება კანონიერ მიზანს (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საქართველოს სსსკ-ის 111-ე მუხლის მე-7 ნაწილის შესაბამისად გამოიყენება იძულების ზომები).

<sup>28</sup> იგივე, 46.

<sup>29</sup> იგივე, 47.

<sup>30</sup> საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქართველოს მოქალაქეები ფირუზ ბერიაშვილი, რევაზ ჯიმშერაშვილი და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, №2/3/182,185,191, 29/01/2003, I.

<sup>31</sup> 2014წ., 364.

<sup>32</sup> სახალხო დამცველის ანგარიში, 2011წ., 58.

## დაკავების გამოყენებასთან დაკავშირებული მტკიცებულებითი სტანდარტი

დაკავებისას, დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტის არსებობა წარმოადგენს კონტროლის საშუალებას თავისუფლების შეზღუდვის მართლზომიერების შეფასებისათვის. სსსკ-ს 171-ე მუხლის 1-ლი და მე-3 მუხლი, როგორც სასამართლო განჩინების, ისე გადაუდებელი აუცილებლობისას, იმპერატიულად მოითხოვს დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტის არსებობას.

### 2.1. დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტი სასამართლო ნებართვის საფუძველზე დაკავებისას

იმისათვის, რომ სასამართლომ გამოიტანოს განჩინება პირის დაკავების შესახებ სავალდებულოა შემდეგი გარემოებების ერთობლიობაში არსებობა: 1. დასაბუთებული ვარაუდი, რომ პირმა ჩაიდინა დანაშაული; 2. აღნიშნული დანაშაული სასჯელის სახით უნდა ითვალისწინებდეს თავისუფლების აღკვეთასა და 3. ამასთანავე მოცემულ ორ პირობასთან ერთად უნდა არსებობდეს რეალური საფრთხე(ები), რომ: 1. პირი მიიმალება ან არ გამოცხადდება სასამართლოში; ან/და 2. გაანადგურებს საქმისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას ან/და 3. ჩაიდენს ახალ დანაშაულს.

„ვინაიდან ეჭვი და ვარაუდი, ადამიანის სუბიექტური დამოკიდებულებაა და არ არის კანონმდებლის მიერ ამომწურავად განსაზღვრებადი კატეგორია, გაჩნდება თუ არა ის, დამოკიდებულია ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მრავალი ობიექტური და სუბიექტური გარემოებების ერთობლიობაზე“.<sup>33</sup> ეჭვი უნდა იყოს „ობიექტური, გონივრული, საფუძვლიანი და ეჭვის მიმტანს განაწყობდეს იმ შეგნებით, რომ პირმა ჩაიდინა დანაშაული“.<sup>34</sup> ობიექტურობა გამორიცხავს ყოველგვარ სუბიექტურ მიდგომებს, რომელსაც შესაძლოა განაპირობდეს რასა, სქესი და ა.შ.. გონივრულობის შეფასებისათვის აღებულ უნდა იქნეს ჩვეულებრივი, საღად მოაზროვნე პირი და გაანალიზდეს თუ როგორ მოიქცეოდა იგი ანალოგიურ სიტუაციაში. რაც შეეხება საფუძვლიანობას, მას წარმოქმნის კონკრეტული არგუმენტი, მაგ., ერთ-ერთი შესაძლოა იყოს ოპერატიული ინფორმაციის ფლობა, რომ პირი აპირებს მიმალვას.

დასაბუთებული ვარაუდის საფუძვლის გარეშე პირის თავისუფლების შეზღუდვას გამორიცხავს აშშ-ს კონსტიტუციის მე-4 შესწორებაც.<sup>35</sup> „ვარაუდი დასაბუთებულია, თუ არსებობს ობიექტური ბმა დანაშაულსა და დაკავებულ პირს შორის; ობიექტური გარემოებები, მონაცემები, რომლებიც შექმნის იმის ვარაუდის საფუძველს, რომ ჩადენილია დანაშაული და ეს დანაშაული ჩადენილია სწორედ იმ პირის მიერ, რომელსაც აკავებენ“.<sup>36</sup>

<sup>33</sup> ფაფიაშვილი ლ., დაკავებისა და დაპატიმრების გამოყენების სამართლებრივი საფუძვლები სისხლის სამართლის პროცესში, ადამიანის უფლებათა დაცვის კონსტიტუციური და საერთაშორისო მექანიზმები, რედ. კ. კორკელია, თბ., 2010წ., 172.

<sup>34</sup> იგივე, 173.

<sup>35</sup> M. W. Janis, R. S. Kay, A. W. Bradley, *European Human Rights Law, Text and materials*, Third ed., Oxford University Press, 2008, 700.

<sup>36</sup> ფაფიაშვილი ლ., თავისუფლებაშემზღუდველი საპროცესო იძულების ღონისძიებების გამოყენების საერთაშორისო-სამართლებრივი სტანდარტები, ჟ. „საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა“, IV, 2011წ., იანვარი.

## 2.2. გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველზე დაკავების მტკიცებულებითი სტანდარტი

სსსკ-ის 171-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, გადაუდებელი აუცილებლობისას მტკიცებულებით სტანდარტს წარმოადგენს დასაბუთებული ვარაუდი, რომლითაც დადასტურდება 1. პირის მიერ დანაშაულის ჩადენა; 2. პირის მიმალვის, სასამართლოში გამოუცხადებლობის, საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის განადგურების ან ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე; 3. მოცემული საფრთხის აცილება არ უნდა იყოს შესაძლებელი სხვა ალტერნატიული ღონისძიებით და 4. მოცემული ღონისძიება პროპორციული უნდა იყოს სავარაუდოდ ჩადენილი დანაშაულის გარემოებებთან და ბრალდებულის პირად მონაცემებთან.

ზოგადად, გადაუდებლობა გულისხმობს მოსამართლის განჩინების მოპოვებისათვის საჭირო ვადაზე ნაკლები დროის არსებობას.<sup>37</sup>

პროპორციულობის მაგალითებია, პირის მიერ მოსასვენებელ პარკში უმისამართო სროლა, საზღვარზე გადმოსვლის დროს დიდი რაოდენობით ნარკოტიკის აღმოჩენა, ასაფეთქებელი მოწყობილობების ტარება და ა.შ.. პროპორციულობას განსაზღვრავს: 1. დანაშაულის სიმძიმე (მაგ. დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი მკვლელობა); 2. ადგილი სადაც ჩაიდინეს დანაშაული (მაგ. სახლხმრავალი ქუჩა); 3. დანაშაულის ჩამდენ პირთა სიმრავლე (მაგ. ორგანიზებული ჯგუფი); 4. დამდგარი შედეგი (მაგ. აფეთქებული ხიდი); 5. ბრალდებულის პირადი მონაცემები (მაგ. იგი ძეხნილია). ფაქტობრივად, ზემოაღნიშნული გარემოებები უფლებამოსილ პირს აგრეთვე საშუალებას აძლევს ერთმანეთისგან გამიჯნოს „რეალური“ და „მოჩვენებითი“ დაკავების აუცილებლობა. ვინაიდან, თუ პირთა ჯგუფი ძალადობით ჩადის ხულიგნობას მათი გადაუდებელი აუცილებლობით დაკავება აშკარად რეალური ხასიათისაა.

საერთო სამართლის ქვეყნებში, პოლიციის ოფიცერს სასამართლო ბრძანების გარეშე, ეჭვმიტანილის დაკავება შეუძლია იმ მიზნით, რათა თავიდან აიცილოს პირის მიმალვის, დანაშაულის ჩადენისა და მართლმსაჯულების ხელის შეშლის (მაგ. მტკიცებულებათა განადგურება) საფრთხე. ამასთანავე, დაკავება მხოლოდ იმ შემთხვევაში ხორციელდება თუკი სახეზეა საფუძვლიანი ეჭვი, რომ ეჭვმიტანილმა ჩაიდინა დანაშაული.<sup>38</sup>

## 3. დაკავების გამოყენების წინაპირობები

### 3.1. დაკავების გამოყენების საერთო წინაპირობები

სსსკ-ის 171-ე მუხლის 1-ლი და მე-3 ნაწილების თანახმად, დაკავების საერთო წინაპირობას წარმოადგენს დასაბუთებული ვარაუდით პირის მიმალვის, სასამართლოში გამოუცხადებლობის, საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის განადგურების ან ახალი დანაშაულის ჩადენის რეალური საფრთხის არსებობა. საინტერესოა, საქართველოს სასამართლო პრაქტიკა რას მოიზარებს თითოეული ზემოაღნიშნული საფრთხის შინაარსში.

ზოგადად, პირის მიმალვის ან არ გამოცხადების საფრთხეს ადასტურებს: მოსალოდნელი სასჯელის სიმკაცრე,<sup>39</sup> უცხოეთში არსებული კავშირები,<sup>40</sup> პირის გამოძიებისგან მიმალვა,<sup>41</sup> საგამოძიებო ორგანოში პირის არაერთხელ დაბარება და მისი გამოუცხადებლობა,<sup>42</sup> უცხო ქვეყნის

<sup>37</sup> საკონსტიტუციო სასამართლოს №1/3/407 გადაწყვეტილება საქმეზე „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამეტის წინააღმდეგ“, 26/12/2007, II-26.

<sup>38</sup> SPICe Briefing, Criminal Justice (Scotland) Bill, The Scottish Parliament, 13/55, 6 September 2015, 10, [http://www.scottish.parliament.uk/ResearchBriefingsAndFactsheets/S4/SB\\_13-55.pdf](http://www.scottish.parliament.uk/ResearchBriefingsAndFactsheets/S4/SB_13-55.pdf) ბოლო ნახვა 20/05/19.

<sup>39</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, №6799-14, 01/11/2014.

<sup>40</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, №3423, 29/04/2014.

<sup>41</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, №4837, 20/06/2013.

<sup>42</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, №1862-14, 25/02/2014.

მოქალაქეობა,<sup>43</sup> მუდმივი საცხოვრებელი ადგილის არარსებობა და ა.შ.

საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის განადგურების საფრთხე შესაძლებელია გამოიხატოს: ზეგავლენის მოხდენაში დაკითხულ და დასაკითხ მოწმეებზე, როდესაც ისინი დასაკავებელი პირის ნაცნობები არიან,<sup>44</sup> ან იმყოფებიან მის სამსახურებრივ დაქვემდებარებაში,<sup>45</sup> დანაშაულის ჩამდენ პირთა ჯგუფის გარკვეულ წევრთა ვინაობის დაუდგენლობა<sup>46</sup> და ა.შ.

ახალი დანაშაულის ჩადენის მაგალითებია: წარსულში ნასამართლობის ფაქტი,<sup>47</sup> პირობითი მსჯავრის ქვეშ ყოფნა,<sup>48</sup> ბრალდებულის მუშაობა იგივე სამსახურში და მუშაობის პერიოდში შესაძლო დანაშაულებრივი ქმედების ფაქტის დაფიქსირება<sup>49</sup> და ა.შ.

გასათვალისწინებელია, რომ პირობითი მსჯავრის ქვეშ ყოფნა, უპირობოდ არ შეიძლება გახდეს პირის დაკავების საფუძველი. დანაშაულის გაგრძელების საფრთხე შესაძლებელია განსხვავებული კატეგორიის დანაშაულმა არ წარმოშვას. მაგ., თუ პირი იმყოფება პირობითი მსჯავრის ქვეშ სსკ-ის 177-ე მუხლით და მას ბრალი ედება სსკ-ის 128-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულში, მოცემული არ შეიძლება გახდეს თავისუფლების უფლების შეზღუდვის უპირობო საფუძველი. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინება, რომლის მიხედვითაც, „სასამართლო აღნიშნავს, რომ პირობითი მსჯავრის გამოსაცდელ ვადაში კანონსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა ყოველთვის არ მეტყველებს პირის ამგვარი ქმედების გაგრძელებასა თუ აუცილებლობაზე“.<sup>50</sup> ნიშანდობლივია, რომ აღნიშნულ საქმეში, პროკურორის ერთადერთი არგუმენტი პირის მხრიდან ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხის თავიდან აცილებისათვის, იყო სწორედ პირის პირობითი მსჯავრის ქვეშ ყოფნა.

ამდენად, ახალი დანაშაულის ჩადენის ალბათობა გაცილებით მაღალია, როდესაც სისხლის სამართლის საქმე ერთი და იგივე კატეგორიის დანაშაულს შეეხება (მაგ., პირი პირობითი იმყოფება საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისათვის და კვლავ ამავე კატეგორიის დანაშაულში იმხილება), ან/და როდესაც იკვეთება მრავალი გაუქარწყლებელი ნასამართლობა. საბოლოოდ, უნდა ითქვას, რომ ნებართვის გაცემა ყოველ კონკრეტულ შემთხვევის შინაარსზეა დამოკიდებული.

### 3.2. გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველზე დაკავების გამოყენების სპეციალური წინაპირობები

გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში, თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის შეზღუდვის ფარგლები დამოკიდებულია საკანონმდებლო შემთხვევათა ჩამონათვალზე, რომელიც ამომწურავი ხასიათისაა. მნიშვნელოვანია, თითოეული შემთხვევა იყოს რეალურად გადაუდებელი (რომელიც თავისი შინაარსით გადანონის თავისუფლების პრეზუმფციას). ამდენად, მიზანშეწონილია საკანონმდებლო საფუძველები გაანალიზდეს ცალ-ცალკე, ვინაიდან, დაკავების ყოველი საფუძველი უნდა იყოს კონკრეტული და სამართლიანი.<sup>51</sup>

<sup>43</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, №7171, 23/11/2014.

<sup>44</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, №6799-14, 01/11/2014.

<sup>45</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, №7171, 23/11/2014.

<sup>46</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, №2823-14, 03/04/2014.

<sup>47</sup> თბილისის საქალაქო სასამართლო, №4837, 20/06/2013; თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, №3771-14, 15/05/2014.

<sup>48</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, №3771-14, 15/05/2014, თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, №3756-14, 14/05/2015.

<sup>49</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, №2823-14, 03/04/2014.

<sup>50</sup> №3358-14, 26/04/2014.

<sup>51</sup> Gomien D., Short Guide to the European Convention on Human Rights, 3rd edition, Council of Europe, May 2005, 37.

### 3.2.1. პირის წასწრება დანაშაულის ჩადენისას ან ჩადენისთანავე

საინტერესოა, თუ კონკრეტულად ვინ არის პირი, რომელიც დანაშაულს სრულად ან დასრულებისთანავე უნდა ხედავდეს. მასში შესაძლოა მოვიპოვოთ 1. ე.წ. თვითმხილველი და 2. სსსკ-ის 172-ე მუხლით განსაზღვრული – დაკავებაზე უფლებამოსილი პირი. ვინაიდან, აღნიშნული წინაპირობა წარმოადგენს დაკავების საფუძველს, მასში ჩვეულებრივ მოქალაქეს ვერ მოვიპოვებთ. ცალსახაა, რომ ჩვეულებრივ მოქალაქეს არ გააჩნია დაკავების უფლება, მას შეუძლია მხოლოდ გარკვეულ შემთხვევებში (სსკ-ის 29-ე მუხლიდან გამომდინარე), მხოლოდ შეიპყროს პირი.

### 3.2.2. პირის დანაშაულის ადგილას დანახვა და მის მიმართ დაუყოვნებლივ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება მისი დაკავების მიზნით

მოცემული საფუძველი გულისხმობს, რომ პირი იმყოფება დანაშაულის ადგილას. აღსანიშნავია, რომ მოცემული საკანონმდებლო საფუძველი ფართო, გარკვეულწილად საფრთხის შემცველი ხასიათისაა, ვინაიდან, მხოლოდ ყოფნის ფაქტს არ შეიძლება თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლების შეზღუდვის საგამონაკლისო ხასიათი გააჩნდეს. მოცემულ შემთხვევაში პირი არა დანაშაულის ჩადენისას დაინახეს, იგი იმყოფება იქ სადაც სისხლისსამართლებრივად დაცული სიკეთე შეილახა. როგორც საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, „არაოზროვანი, ნათელი და განჭვრეტადი უნდა იყოს უფლებაში ჩარევის წესი, ანუ პირებს კანონი უნდა უქმნიდეს ძალიან მკაფიო და თვალნათელ წარმოდგენას, როდის და როგორ შეიძლება აღმოჩნდეს მათი უფლება შეზღუდვის რისკის ქვეშ“.<sup>52</sup> ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ განმარტა, „კანონის ხარისხის“ შინაარსი, კერძოდ, „როდესაც ეროვნული კანონი იძლევა თავისუფლების აღკვეთის უფლებას, იგი უნდა იყოს საკმარისად ხელმისაწვდომი, კონკრეტული და განჭვრეტადი გამოყენებაში, რათა თავიდან იქნეს აცილებული ყოველგვარი თვითნებურება“.<sup>53</sup> პირს უნდა „მიეცეს საშუალება განჭვრიტოს, გარემოების შესაბამისი გონივრულობის ფარგლებში, ამა თუ იმ მოქმედების შედეგები“.<sup>54</sup>

აღსანიშნავია, რომ ნორმა არ ქმნის ნათელ წარმოდგენას, თუ როდის შეიძლება პირი აღმოჩნდეს თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლების შეზღუდვის რისკის ქვეშ. ერთ-ერთი მაგალითი შესაძლოა იყოს როდესაც პირი დანაშაულის ჩადენის შემდეგ ვერ მოასწრებს ადგილიდან მიმალვას. თუმცა, მოცემული არის ერთი კონკრეტული შემთხვევა იმ ფართო შესაძლებლობათა არეალიდან, რასაც სსსკ-ის 171-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის ინტერპრეტაცია იძლევა. ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ სსსკ-ის 1998 წლის რედაქცია აღნიშნულ საფუძველს სხვა ქვეპუნქტებისგან განსხვავებით არ ითვალისწინებდა. იგი პირის დაკავების შესაძლებლობას იძლეოდა მაშინ როდესაც „თვითმხილველები, მათ შორის დაზარალებულებიც, პირდაპირ მიუთითებდნენ პირზე, როგორც დანაშაულის ჩამდენზე“.<sup>55</sup>

### 3.2.3. პირზე, მასთან ან მის ტანსაცმელზე დანაშაულის აშკარა კვალის აღმოჩენა

გადაუდებელი აუცილებლობა აგრეთვე მოიცავს შემთხვევას, როდესაც 1. უშუალოდ პირზე; 2. პირთან; ან 3. პირის ტანსაცმელზე დანაშაულის აშკარა კვალი იქნება აღმოჩენილი.

„უშუალოდ პირზე“ – გულისხმობს დანაშაულის კვალის აღმოჩენას ადამიანის სხეულზე,

<sup>52</sup> საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის №1/3/407 გადაწყვეტილება, II-14.

<sup>53</sup> Del Rio Prada v. Spain, [2013], EHCR, 125; M.A v. Cyprus, [2013], EHCR, 198.

<sup>54</sup> Del Rio Prada v. Spain, [2013], EHCR, 125.

<sup>55</sup> 142-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი, 1998 წლის 20 თებერვლის რედაქცია.

როგორც გარედან, ასევე შიგნიდან.<sup>56</sup> მაგ., ენის ქვეშ ნარკოტიკული ნივთიერების დამალვა.

„პირთან“ – დანაშაულის კვალის აღმოჩენა გულისხმობს მის მფლობელობაში არსებული ავტომობილის ჩხრეკისას კანონსაწინააღმდეგო ნივთის აღმოჩენას.

„პირის ტანსაცმელზე“ – დანაშაულის კვალი აღმოჩენაში, იგულისხმება არა ვინრო გაგებით ტანსაცმელი, არამედ ყველაფერი ის რითიც შემოსილია ადამიანი.<sup>57</sup> მაგ., ფეხსაცმელზე სისხლის კვალის აღმოჩენა.

### 3.2.4. დანაშაულის ჩადენის შემდეგ მიმალული პირის ამოცნობა თვითმხილველის მიერ

დასახელებული საკანონმდებლო საფუძველი შესაძლოა ორ შემთხვევადაც გაიყოს. პირველი, როდესაც თვითმხილველი უშუალოდ მიუთითებს პირზე, როგორც დანაშაულის ჩამდენზე (პირმა დანაშაულის ჩადენის ადგილიდან შორს მიმალვა ვერ მოასწრო) და მეორე, როდესაც თვითმხილველის მიერ სავარაუდო დამნაშავის გარეგნობისა და ტანსაცმლის დასახელებით, საგამოძიებო მოქმედების განხორციელების შედეგად, შესაბამისი ორგანო დაადგენს პირის ვინაობასა და ადგილსამყოფელს.

### 3.2.5. პირის მიმალვა

მიმალვის საფუძველით პირის დაკავება შესაძლებელია სასამართლოს განჩინებითაც. ამდენად, ვინაიდან, როგორც განჩინების, ისე გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში, მტკიცებულებითი სტანდარტი უცვლელია, შესაბამისად, მათ შორის კონკრეტული ზღვრის გაგება დამოკიდებულია მიმალვის საფრთხის რეალიზების სისწრაფეზე.

საინტერესოა, უფლებამოსილი ორგანო პირის მიმალვის საფრთხის არსებობისას, უმეტესად გადაუდებელი აუცილებლობის ჭრილში ხომ არ განიხილავს და სასამართლოსათვის ნებართვის თხოვნას გვერდს ხომ არ უვლის.<sup>58</sup> მართლაც, პრაქტიკის თანახმად შესაბამისი პირის მიერ ზოგჯერ გადაუდებლობა არასწორად ფასდება. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 14 მაისის №10ა/3185 გადაწყვეტილებით მოსამართლემ ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომაზე აღნიშნა, რომ გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში „პირის დაკავებაზე ხორციელდება სასამართლო კონტროლი“, აღნიშნულ შემთხვევაში გადაუდებელი აუცილებლობით დაკავება პირის შესაძლო მიმალვის საფუძველზე „არანაირად არ დასტურდება ფაქტობრივი გარემოებებით“.<sup>59</sup>

ამდენად, როდესაც გადაუდებელ აუცილებლობას მიმალვის საფრთხე ქმნის, იგი რაც შეიძლება ვინროდ უნდა განიმარტოს და დაეყრდნოს ობიექტურად არსებულ კონკრეტულ ფაქტებს, მაგ. საზღვრის დატოვების შესახებ მიღებულ ინფორმაციას და არა უბრალოდ სასჯელის სახით უვადო თავისუფლების აღკვეთის შიშს და ა.შ.

<sup>56</sup> საქართველოს სსსკ-ის კომენტარი, ავტ. კოლექტივი, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2015წ., 508.

<sup>57</sup> იგივე.

<sup>58</sup> ვინაიდან, ნებართვის გაცემა გარკვეულ დროს საჭიროებს; მეტიც, დაკავების შესახებ შუამდგომლობის განხილვის კონკრეტული ვადა საპროცესო კოდექსით განსაზღვრული არ არის.

<sup>59</sup> იგივე; აღსანიშნავია, რომ სსსკ-ში არ არსებობს ნორმა, რომელიც ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომაზე პირდაპირ დაავალდებულებდა მოსამართლეს შეემოწმებინა პირის გადაუდებელი აუცილებლობით დაკავების მართლობიერების საკითხი.

### 3.2.6. ძებნილი პირი

მოცემულ შემთხვევაში, სახეზე არის არა სამომავლო საფრთხე, არამედ უკვე არსებული შედეგი – პირი მიმალულია. სსსკ-ის 206-ე მუხლის მე-10 ნაწილის შესაბამისად, ბრალდებულის მიმალვის შემთხვევაში, შესაძლებელია სასამართლოს წარედგინოს შუამდგომლობა მისი დაპატიმრების შესახებ. მას შემდეგ, რაც მოსამართლე ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების სახით შეუფარდებს პატიმრობას, პროკურორი სსსკ-ის 33-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ო“ ქვეპუნქტის თანახმად, გამოიტანს დადგენილებას პირის ძებნის შესახებ. შესაძლებელია, პირი იძებნებოდეს ინტერპოლის წითელი ცირკულარითაც.

### 3.3. სასამართლოს განჩინებით დაკავების გამოყენების სპეციალური საფუძველი

სსსკ-ის 171-ე მუხლის პირველი ნაწილი სასამართლოს განჩინებით პირის დაკავების შესაძლებლობას იძლევა აგრეთვე იმ შემთხვევაში, როდესაც სახეზეა „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევა. სპეციალობის წესის თანახმად, პირის მსჯავრდება ან მის მიმართ დევნის დაწყება მხოლოდ იმ დანაშაულისათვის შეიძლება, რის გამოც იგი საქართველოში იქნა ექსტრადირებული. სხვა შემთხვევაში, საჭიროა დამატებითი თანხმობის გამოთხოვა იმ სახელმწიფოსაგან, რომელმაც განახორციელა პირის საქართველოში ექსტრადიცია. სწორედ ამ თანხმობის გამოთხოვის საკითხის განხილვამდე პირის მიმართ სასამართლომ პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე შესაძლოა გამოიტანოს განჩინება მისი დაკავების თაობაზე.

## 4. დაკავების ვადა

### 4.1. დაკავების ვადის ათვლის წესი

ნიშანდობლივია, რომ საერთაშორისო სამართლით დაკავების კონკრეტული ან მაქსიმალური ვადა განსაზღვრული არ არის, არამედ ყოველი ქვეყნის სამართალი ინდივიდუალურად ადგენს დაკავების ვადის ხანგრძლივობას. დაკავების ვადა შესაძლოა ორგვარად გაიყოს: 1. „ხანმოკლე ვადა“ და 2. „ხანმოკლე ვადა, რომლის გაგრძელებაც შესაძლებელია“.<sup>60</sup> მაგ., ინგლისში დაკავების 24 საათის შემდეგ „სერიოზული“ დანაშაულისათვის (მაგ. მკვლელობა), შესაძლებელია მოცემული ვადის გაგრძელება.<sup>61</sup>

სსსკ-ით განსაზღვრულია, როგორც დაკავების საერთო ვადა, ისე საერთო ვადის მსვლელობის პერიოდში არსებული „შუალედური ვადები“. სსსკ-ის 174-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, საერთო ვადა შეადგენს 72 საათს. ხოლო „შუალედური ვადის“ მიხედვით, პროკურორს სსსკ-ის 174-ე მუხლის მე-5 ნაწილიდან და 196-ე მუხლის 1-ლი ნაწილიდან გამომდინარე, პირის დაკავებიდან 48 საათში ორი ვალდებულება ეკისრება: 1. ბრალდების შესახებ დადგენილების შედგენა, გადაცემა ბრალდებულისათვის და 2. აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ შუამდგომლობის სასამართლოში შეტანა. თავის მხრივ, სსსკ-ის 197-ე მუხლის 1-ლი ნაწილიდან გამომდინარე, სასამართლო ვალდებულია 24 საათში განიხილოს შუამდგომლობა „ინტერპრეტაციის გზით ამ ვადების გაზრდის არავითარი სამართლებრივი შესაძლებლობა არ

<sup>60</sup> პრადელი ჟ., შედარებითი სისხლის სამართალი, გამომც. „სანი“, 1999წ., 368.

<sup>61</sup> გუცენკო კ.ფ., გოლოვკო ლ.ვ., ფილიმონოვი ბ.ა., დასავლეთის სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2007წ., 137.

არსებობს”<sup>62</sup> და ყოველი ვადის დარღვევა, პირის დაკავებიდან გათავისუფლების საფუძველია.<sup>63</sup>

2016 წლის 1 იანვრიდან, ამოქმედდა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, რომლის 54-ე მუხლით პროკურორს აკისრია ვალდებულება, „შეძლებისდაგვარად მალე, მაგრამ არაუგვიანეს 48 საათისა“ მიმართოს სასამართლოს აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისათვის. ამდენად, არასრულწლოვანთან მიმართებით კანონმდებელმა, მართალია, არ შეცვალა 72 საათიანი ვადა, თუმცა, ფაქტობრივად, ზემოაღნიშნული ჩანაწერით დაავალა პროკურორს, რომ დაკავების მაქსიმალური ვადის გამოყენების თავიდან ასაცილებლად ყველა შესაძლებლობა გამოიყენოს. ზოგადად, „შეძლებისდაგვარად მალე“ მოქმედების ვალდებულება შესაბამის ორგანოს (თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლების „მაღალი რანგიდან“)<sup>64</sup> გამომდინარე, როგორც სრულწლოვანის ისე, არასრულწლოვანი პირის არსებობის შემთხვევაში, თანაბარნილად ეკისრება. ვინაიდან, „თავისუფლების აღკვეთა არის ყველაზე მკაცრი ჩარევა ადამიანის ცხოვრების შიდა სფეროში”,<sup>65</sup> რომელზეც აგრეთვე „დამოკიდებულია მრავალი სხვა უფლების უზრუნველყოფა”,<sup>66</sup> ამდენად, აუცილებელი მოთხოვნაა, პირი წარედგინოს სასამართლოს „გაუმართლებელი დაგვიანების გარეშე”.<sup>67</sup>

დაკავების ვადა აითვლება პირის ფაქტობრივი დაკავების მომენტიდან. შესაძლებელია, პირი დააკავონ ერთი შემთხვევის გამო და რამდენიმე საათში გაათავისუფლონ. შემდეგ, სხვა შემთხვევის გამო კვლავ დააკავონ (მაგ., როდესაც იკვეთება დანაშაულთა ერთობლიობა). ამდენად, ძალიან მცირე შუალედური წყვეტით რამდენიმე დაკავების/გათავისუფლების არსებობის შემთხვევაში, საბოლოოდ პირის სასამართლოში პირველ წარდგენისას მოსამართლემ მკაცრად უნდა შეაფასოს არამხოლოდ გადაუდებელი აუცილებლობით პირის დაკავების საფუძველი, არამედ შესაბამისი პირების მიერ უფლებამოსილების შესაძლო ბოროტად გამოყენების ფაქტი.

## 4.2. დაკავების ვადის გონივრულობა

საერთაშორისო სამართალში დაკავების ვადის გონივრულობის შეფასების ამოსავალი წერტილია დაკავებულის მოსამართლის წინაშე „დაუყოვნებლივი“ წარდგენა.<sup>68</sup> თავად ცნება „დაუყოვნებლივი“ მოქნილობის თავისუფლებით არ გამოირჩევა.<sup>69</sup>

ზოგადად, ევროპული სასამართლო ვადის „გონივრულობის“ შეფასებისას ითვალისწინებს შემდეგ გარემოებებს: 1. დაკავების ფაქტობრივი ხანგრძლივობა; 2. წინასწარი დაკავების ხანგრძლივობა სამართალდარღვევის ხასიათთან და შესაბამისად, სასჯელთან მიმართებით; 3. მატერიალური, მორალური და სხვა შედეგები დაკავებულისათვის; 4. ბრალდებულის ქცევა; 5. გამოძიების წარმოების წესი; 6. შესაბამისი სასამართლო ორგანოების ქცევა”.<sup>70</sup> მე-5 და მე-6

<sup>62</sup> საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, რედ. პ. ტურავა, თბ., გამომც. შპს „პეტიტი“, 2013წ., 150.

<sup>63</sup> იხ. მაგ. სსსკ-ის 196-ე მუხლის მე-3 ნაწილი, 174-ე მუხლის მე-5 ნაწილი და 176-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი.

<sup>64</sup> კუბლაშვილი კ., ძირითადი უფლებები, თბ., გამომც. „ჯისიაი“, 2008წ., 134.

<sup>65</sup> ცნობილადე პ., საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი, ტომი I, გამომც. „ბონა კაუზა“, 2004წ., 305.

<sup>66</sup> კორკელია კ., ქურდაძე ი., ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით, ევროპის საბჭო, 2004წ., 143.

<sup>67</sup> იგივე.

<sup>68</sup> მაგ. სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტი, ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი.

<sup>69</sup> Brogan and others v. The United Kingdom, [1989], EHCR, 62.

<sup>70</sup> ფაფიაშვილი ლ., ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლით გათვალისწინებული პროცესუალური გარანტიები თავისუფლებათა აღკვეთილი პირების მიმართ, სტატიათა კრებული, ადამიანის უფლებათა

კრიტიკუმი შინაარსში, შესაძლოა მოვიპოვოთ, თუ როგორი იყო ხელისუფლების ორგანოთა მიერ განხორციელებულ ქმედებათა ტემპი დაკავების ვადის განმავლობაში.<sup>71</sup> მაშასადამე, ევროპული კონვენციის „მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი და სასამართლოს პრეცედენტული სამართალი არ ადგენს სასამართლო განხილვამდე დაკავების მაქსიმუმ ხანგრძლივობას, ანუ „გონივრული ვადის“ ზედა ზღვარს“.<sup>72</sup>

აღსანიშნავია, რომ ევროპულმა სასამართლომ სისხლის სამართლის დანაშაული სირთულის მიხედვით ორ ნაწილად გაყო და „ჩვეულებრივი“ და „განსაკუთრებული“ სისხლის სამართლის საქმის არსებობის შემთხვევაში დაკავებულის სასამართლოსადმი წარდგენის მაქსიმალური ვადა განმარტა. ჩვეულებრივი სს დანაშაულის შემთხვევაში – 4 დღე, ხოლო განსაკუთრებულ სს დანაშაულის შემთხვევაში – 5 დღე შესაბამისობაშია ცნებასთან „დაუყოვნებელი“.<sup>73</sup> გონივრულობა გამოიხატება იმ გარემოებაში, რომ პირი თავისუფლების შეზღუდვიდან სასამართლოს უნდა წარედგინოს იმდენად სწრაფად რამდენადაც ეს შესაძლებელია.<sup>74</sup> ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ „დაკავებიდან პირველი რამდენიმე დღის განმავლობაში მომჩივნის ფსიქოლოგიური მონყვლადობისა და მისი პატიმრობის მეორე ან მესამე დღეს მოსამართლის წინაშე წარუდგენლობის გამამართლებელი გარემოების არარსებობის გათვალისწინებით, სახელმწიფომ დაარღვია ვალდებულება „დაუყოვნებლივ“ წარედგინა მომჩივანი.“<sup>75</sup>

ამდენად, უფლებამოსილმა ორგანოებმა მოცემული ტერმინი კეთილსინდისიერად უნდა განმარტონ, ისე რომ პატივი სცენ და გაუმართლებლად არ შეზღუდონ თავისუფლებისა და უსარფთხოების უფლება.

გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი მიიჩნევს, რომ დაკავებულის სასამართლოში წარდგენამ 48 საათიან პერიოდს არ უნდა გადააჭარბოს, ხოლო მოცემული ვადის გადაჭარბებას ესაჭიროება სპეციალური დასაბუთება, რათა იგი შეესაბამებოდეს სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტს.<sup>76</sup> მოსამართლესთან წარდგენამდე დაკავების ვადა არ უნდა აღემატებოდეს რამდენიმე დღეს,<sup>77</sup> ხოლო ბავშვთა უფლებების კომიტეტის პოზიციით, არასრულწლოვანი ბრალდებული დაკავებიდან 24 საათში უნდა წარედგინოს სასამართლოს.<sup>78</sup>

თა დაცვა, ეროვნულ და საერთაშორისო სამართალში, რედ. კ. კორკელია, თბ., 2002წ., 235.

<sup>71</sup> Kevin O’Dowd v. the United Kingdom, [2010], ECHR, 70.

<sup>72</sup> ფაფიაშვილი ლ., ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლით გათვალისწინებული პროცესუალური გარანტიები თავისუფლებალკვეთილი პირების მიმართ, სტატიათა კრებული, ადამიანის უფლებათა დაცვა, ეროვნულ და საერთაშორისო სამართალში, რედ. კ. კორკელია, თბ., 2002წ., 233.

<sup>73</sup> Brogan and others v. The United Kingdom, [1989], ECHR, 57.

<sup>74</sup> M. Macovei, The Right to Liberty and Security of the Person, A Guide to the Implementation Of Article 5 of the European Convention on Human Rights, Human Rights Handbooks, No.5, 2002. [http://www.echr.coe.int/LibraryDocs/DG2/HRHAND/DG2-EN-HRHAND-05\(2004\).pdf](http://www.echr.coe.int/LibraryDocs/DG2/HRHAND/DG2-EN-HRHAND-05(2004).pdf) ბოლო ნახვა 20.05.19.

<sup>75</sup> Gutsanovi v. Bulgaria, [2013], ECHR, სექცია IV, სასამართლოს პრეცედენტული სამართლის საინფორმაციო ბიულეტენი №167, [http://hudoc.echr.coe.int/eng#{"display":\["0"\],"languageisocode":\["GEO"\],"appno":\["34529/10"\],"itemid":\["001-146213"\]}](http://hudoc.echr.coe.int/eng#{) ბოლო ნახვა 25.05.19.

<sup>76</sup> გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის №1787/2008 გადაწყვეტილება კოვში ბელარუსიის წინააღმდეგ, 17/06/2013, §7.4.

<sup>77</sup> გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის №1128/2002 გადაწყვეტილება მარკის დე მორაისი ანგოლას წინააღმდეგ, 18/04/2005, §6.3.

<sup>78</sup> Committee On The Rights Of The Child, General Comment No. 10, 2007, §83 <http://www2.ohchr.org/english/bodies/crc/docs/CRC.C.GC.10.pdf> ბოლო ნახვა 24.05.19.

## დასკვნა

ამდენად, დაკავება პირის სამართლებრივ მდგომარეობას მნიშვნელოვნად ცვლის. დაკავებული არამხოლოდ შეზღუდული აქვს თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლების სივრცე, არამედ, ამავდროულად, მის მიმართ ხორციელდება სისხლისსამართლებრივი დევნა. ზემოაღნიშნული ზრდის ინტერესს ყველა იმ წესისა თუ პირობისადმი, რომელიც დაკავების გამოყენებას უძღვის წინ.

კანონმდებლობაში ნათლად და ცალსახად უნდა გაიწეროს სასამართლოს ვალდებულება ბრალდებულის პირველ წარდგენის სხდომაზე, ყველა შემთხვევაში, შემონმდეს გადაუდებელი აუცილებლობით პირის დაკავების საფუძველი, გადაუდებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია და გაანალიზდეს გამოყენებული საპროცესო იძულების ღონისძიების მართლზომიერების საკითხი, მიუხედავად იმისა აღნიშნულ გარემოებას სადავოდ ხდის თუ არა დაცვის მხარე.

პირის თავისუფლების არამართლზომიერი შეზღუდვა, შესაძლოა გამოიწვიოს ფაქტმა, თუ დანაშაულთა ერთობლიობის დროს 72 საათიანი ვადის ათვლა მოხდება ყოველ დანაშაულზე ცალ-ცალკე. მაგ., პირი დააკავეს ერთი შემთხვევის გამო, რამდენიმე საათში გაათავისუფლეს და შემდეგ, სხვა შემთხვევის გამო კვლავ დააკავეს. ვინაიდან, სსსკ მოცემულ საკითხს თავისი რეგულირების ფარგლებს გარეთ ტოვებს, პრაქტიკაში იქმნება საფრთხე, რომ თითოეული შესაძლო ჩადენილი დანაშაულის გამო, პირის მიმართ ზოგადი 72 საათიანი ვადა ცალ-ცალკე იქნეს ათვლილი და შესაბამისად, პირი ხანგრძლივით ვადით აღმოჩნდეს დაკავებული. ამდენად, დაკავებაზე უფლებამოსილ პირს დანაშაულთა ერთობლიობის არსებობის შემთხვევაში, აკისრია ვალდებულება, ბოროტად არ გამოიყენოს 72 საათიანი ვადის საკანონმდებლო დათქმა, ხოლო სასამართლოს აკისრია ვალდებულება თუკი მაინც განხორციელდა ამგვარი დაკავება, ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომაზე უკანონოდ ცნოს იგი.

პირის დაკავების შემთხვევაში, როგორც პროკურატურას, ისე სასამართლოს აკისრია ვალდებულება შესაძლებლობების ფარგლებში, რაც შეიძლება სწრაფად იმოქმედოს. 72 საათიანი ვადა არც ერთ შემთხვევაში, არ უნდა იქნეს მაქსიმალურად გამოყენებული, თუკი არის შესაძლებლობა უფრო სწრაფი ტემპით მოქმედებისა.

როდესაც პროკურორი სასამართლოს პირობით მსჯავრდებულის დაკავებას სთხოვს (რადგან იგი ახალი დანაშაულის ჩადენაში იმხილება) სასამართლომ უნდა შეაფასოს როგორც იმ დანაშაულის კატეგორია და სიმძიმე რის გამოც, პირი იმყოფება პირობითი მსჯავრის ქვეშ, აგრეთვე იმ დანაშაულის კატეგორია და სიმძიმე, რომლის შესაძლო ჩადენაშიც ამჟამად იმხილება პირი. თუ პირი პირობითად იხდის სასჯელს, მაგ., ძარცვის ჩადენისათვის და იგი კვლავ ძარცვის შესაძლო ჩადენაში იმხილება, ამ შემთხვევაში არსებობს რეალური საფრთხე ახალი დანაშაულის ჩადენის და შესაბამისად, მის მიმართ დაკავების გამოყენებისა. ამდენად, მართალია, პირობითი მსჯავრი წარმოადგენს ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხეს, რაც თავის მხრივ, სსსკ-ის 171-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დაკავების საფუძველია, თუმცა, ამავდროულად, აღსანიშნავია, რომ მხოლოდ პირის პირობითი მსჯავრის ქვეშ ყოფნა არ უნდა გახდეს პირის უპირობოდ დაკავების საფუძველი.

მიუხედავად იმისა, რომ როგორც ჩხრეკის, ისე დაკავების დროს პირს თავისუფლად გადაადგილების შესაძლებლობა შეზღუდული აქვს, დაკავების ვადის ათვლის დაწყება პირის ჩხრეკის მიზნით, მისი შეჩერების მომენტიდან არ არის გამართლებული, ვინაიდან, დაკავება წარმოადგენს საპროცესო იძულების ღონისძიებას, ხოლო ჩხრეკა კი – საგამოძიებო მოქმედებაა. ორივე მათგანი სხვადასხვა მიზნებს ემსახურება. ჩხრეკის შედეგმა შესაძლოა შექმნას პირის გადაუდებელი აუცილებლობით დაკავების შესაძლებლობა. ამდენად, დაკავების ვადის ათვლა იწყება სწორედ იმ მომენტიდან, როდესაც წარმოიშვება პირის მიერ – დანაშაულის ჩადენის, მიმალვის, სასამართლოში გამოუცხადებლობის, საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორ-

მაცუის განადგურების ან ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე.

როგორც სასამართლოს განჩინებით, ისე გადაუდებელი აუცილებლობით პირის დაკავების გამოყენებისას, სახელმძღვანელო მტკიცებულებით სტანდარტს წარმოადგენს დასაბუთებული ვარაუდი. არის თუ არა დასაბუთებული ვარაუდი სახეზე ყოველ შემთხვევაში ინდივიდუალურად უნდა შემოწმდეს. მართალია, კანონმდებლობა განსაზღვრავს, როგორც მტკიცებულებით სტანდარტს, ისე იმ საფუძვლებს, რისკენაც მოცემული სტანდარტი უნდა იყოს მიმართული, მაგრამ როგორ განიმარტება თითოეული საფრთხის რეალური ხასიათი და რა ფაქტებისა და ინფორმაციის ერთობლიობა შექმნის დასაბუთებულ ვარაუდს, აღნიშნული პრაქტიკის „კეთილსინდისიერების“ საკითხია. პროკურორმა შუამდგომლობაში, ხოლო მოსამართლემ განჩინებაში უნდა დაასაბუთოს, არამხოლოდ ერთ-ერთი ან რამოდენიმე საფრთხის არსებობა, არამედ ის კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებები, რაც აძლევს მას საფუძველს საფრთხის რეალურად აღქმისათვის. ამდენად, მნიშვნელოვანია, როგორც პროკურატურა, ისე სასამართლო სისტემა განსაკუთრებული სიფრთხილით მოეკიდოს ყველა იმ წინაპირობას, რომელიც პირის დაკავებას საფუძველად ედება. დასაბუთებული ვარაუდი უნდა იყოს სიცოცხლისუნარიანი და მან კონკრეტული არგუმენტაციით უნდა გადაწონოს პირის თავისუფლებაში ყოფნის პრეზუმფცია.

საბოლოოდ, შესაძლოა ითქვას, რომ თავისუფლების და ხელშეუხებლობის სივრცეში შეღწევა უნდა წარმოადგენდეს უკიდურეს და ერთადერთ შემთხვევებულ ღონისძიებას და როგორც სასამართლოს, ისე პროკურატურას ყოველ თავისუფლებაშეზღუდულ ნუთზე უნდა გააჩნდეს შესაბამისი, მყარი და დამაჯერებელი არგუმენტაცია.

## კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის განრიდების თავისებურებანი

ანა სუთიძე

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის სამდივნოს მთავარი კონსულტანტი – მოსამართლის თანაშემწე; ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის მაგისტრი

### შესავალი

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება მთელ მსოფლიოში წარმოადგენს სახელმწიფო-სა და საზოგადოებისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სფეროს, რომლის დახვეწა, ეფექტური საკანონმდებლო რეგულაციების შექმნა და მათი პრაქტიკაში სწორად გამოყენება, ერთ-ერთი პრიორიტეტი უნდა იყოს ყოველი სახელმწიფოსათვის, ვინაიდან სწორედ მომავალი თაობის ბედი ქმნის ქვეყნის სიძლიერეს. მთელი რიგი საერთაშორისო აქტები მოუწოდებენ სახელმწიფოებს არასრულწლოვანთა მხრიდან დანაშაულის ჩადენისას აქცენტი გააკეთონ არა მათ დასჯაზე, არამედ აღდგენით მართლმსაჯულებაზე, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს მათ გამოსწორებას, კერძოდ, ბავშვის უფლებათა კონვენცია ავალდებულებს სახელმწიფოს, რომ ბავშვის მიმართ ნებისმიერ ქმედებათა განხორციელებისას, მიუხედავად იმისა, თუ ვინ არის მათი განმახორციელებელი, – სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებები, რომლებიც მუშაობენ სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე, სასამართლოები, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ორგანოები – პირველ რიგში გაითვალისწინონ ბავშვის ინტერესების დაცვის უკეთ უზრუნველყოფა.<sup>1</sup> მიუხედავად იმისა, რომ „საუკეთესო ინტერესები“ არ არის ზუსტად განსაზღვრული, ბავშვის უფლებათა კომიტეტი №10 ზოგად კომენტარში განმარტავს: „მაგალითისათვის, ბავშვის ყველაზე საუკეთესო ინტერესების დაცვა ნიშნავს იმას, რომ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ისეთი ტრადიციული მიზნები, როგორცაა დამნაშავეის დასჯა, დანაშაულის ჩამდენი ბავშვებისათვის უნდა შეიცვალოს რეაბილიტაციისა და აღდგენითი მართლმსაჯულების მიზნებით. აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია საზოგადოებრივ უსაფრთხოებაზე ყურადღების გამახვილების პარალელურად“.<sup>2</sup> აქედან გამომდინარე, „საუკეთესო ინტერესები“ მოითხოვს, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემამ არ უნდა გამოიყენოს დამსჯელობითი ღონისძიებები. ნაცვლად ამისა, ხელი უნდა შეუწყოს დანაშაულის ჩამდენი ბავშვების საზოგადოებაში სრულფასოვან წევრად რეინტეგრაციას, რისი მიღწევაც ბევრად უფრო ეფექტური და შედეგის მომტანია განრიდების ღონისძიების გამოყენებისას. კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნებისადმი აღნიშნული მიდგომა განპირობებულია იმით, რომ ისინი სრულწლოვნებისგან განსხვავდებიან თავიანთი ფიზიკური და გონებრივი განვითარების დონით, ემოციური მდგომარეობითა და განათლების საჭიროებებით. სწორედ ეს განსხვავებები განაპირობებენ არასრულწლოვანთა მიმართ განსხვავებულ მიდგომასა და დამოკიდებულებას, რაც დადებითად შესაფასებელია. სტატიის კვლევის საგანს წარმოადგენს

<sup>1</sup> ბავშვის უფლებათა კონვენცია, მუხლი 3.

<sup>2</sup> ჰამილტონი ქ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკანონმდებლო რეფორმის სახელმძღვანელო მითითებები, გაეროს ბავშვთა ფონდი, 2011წ., გვ. 34.

საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის, პრაქტიკაში არსებული პრობლემებისა და საერთაშორისო აქტებით გათვალისწინებული მოთხოვნების გაანალიზება, აგრეთვე პრაქტიკული და თეორიული დებულებებისა და რეკომენდაციების შემუშავება, რაც ხელს შეუწყობს კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის განრიდების ინსტიტუტის სამართლებრივ სრულყოფას.

## 1. განრიდების არსი და მიზნები

განრიდება არის არასრულწლოვნის სისხლისსამართლებრივი (შემდგომში – სს) პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების ფორმა, სს დევნის ალტერნატიული მექანიზმი, რომელსაც გამოძიების ეტაპზე იყენებს პროკურორი, ხოლო საქმის სასამართლოში განხილვისას – მოსამართლე. განრიდების მიზანი არის ის, რომ კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანს თავიდან ააცილოს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემასთან ურთიერთობა და ხელი შეუწყოს საზოგადოებაში მის სრულფასოვან წევრად დაბრუნებას. განრიდების არსი მდგომარეობს ფორმალური სახელმწიფო კონტროლის არაფორმალურ კონტროლზე „გადამისამართებაში“<sup>3</sup>, რომლის, როგორც აღდგენითი მართლმსაჯულების ნაწილის, ძირითადი მიზანია მოზარდმა დამნაშავემ აიღოს პასუხისმგებლობა მომხდარ ქმედებაზე და მოახდინოს საზოგადოებაში სწრაფი ინტეგრაცია, რაც ხელს შეუშლის დანაშაულის განმეორებით ჩადენას. აღდგენითი მართლმსაჯულების გამოყენებით „მოგებულა“ როგორც დამნაშავის მსხვერპლი და საზოგადოება, ასევე დამნაშავე.<sup>4</sup>

ბავშვის უფლებათა კონვენცია მოითხოვს სახელმწიფოებისგან ისეთი პროცედურების შემუშავებას, რომლებიც საშუალებას იძლევა, ბავშვების საქმეები განხილული და მოგვარებული იქნეს სასამართლო საქმის წარმოებისათვის ან სასამართლო პროცესისათვის მიმართვის გარეშე („განრიდება“), როდესაც ეს შესაფერისი და სასურველია, ადამიანის უფლებებისა და სამართლებრივი გარანტიების სრული დაცვით.<sup>5</sup> იმ ბავშვების მიმართ რეაგირებისათვის, ვინც ჩაიდინა დანაშაული, სახელმწიფოებმა უნდა განიხილონ „საფეხურებრივი“ სისტემის დანერგვა, რაც გულისხმობს რეაგირების ყოველგვარი ზომების მიუღებლობას, ბავშვების გაფრთხილებას, განრიდებას სასამართლო პროცესამდე და, უკიდურესი ზომის სახით, სასამართლო განხილვას. ბავშვის უფლებათა კომიტეტის რეკომენდაციით, კანონი უნდა შეიცავდეს სპეციალურ დებულებებს, რომლებშიც მითითებული იქნება, რა შემთხვევებშია განრიდება დასაშვები და არეგულირებდეს ამ მიმართულებით შესაბამისი უწყებების გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილებას.<sup>6</sup>

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის (შემდგომში – ამკ) 38-ე მუხლის თანახმად, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ არასრულწლოვანმა ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაული ჩაიდინა, პირველ რიგში, განიხილება განრიდების შესაძლებლობა და ფასდება, უზრუნველყოფს თუ არა განრიდება არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციას და ახალი დანაშაულის თავიდან აცილებას. პროკურორი უფლებამოსილია კანონით დადგენილი

<sup>3</sup> შალიკაშვილი მ., არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის სისხლისსამართლებრივი, კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები, თბ., 2013წ., გვ. 6.

<sup>4</sup> შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ.; არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების თავისებურებანი: არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კრიმინოლოგიური, სისხლისსამართლებრივი, პენიტენციური და საერთაშორისო სამართლებრივი საფუძვლები, 2011წ., გვ. 120-121.

<sup>5</sup> ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტის (ბ) ქვეპუნქტი; იხ., აგრეთვე, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტანდარტული მინიმალური წესები არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის ადმინისტრაციის შესახებ („პეკინის წესები“) მე-6 და მე-11 წესები.

<sup>6</sup> ბავშვის უფლებათა კომიტეტი, ზოგადი კომენტარი №10 მართლმსაჯულების სისტემაში ბავშვის უფლებების შესახებ, 2007წ., პუნქტი 27.

წესით მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება სს დევნის არ დაწყების ან დაწყებული სს დევნის შეწყვეტისა და განრიდების შესახებ. პროკურორის მიერ განრიდების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, სასამართლოს მიერ საკუთარი ინიციატივით განრიდების გამოსაყენებლად საქმის განხილვისას ან განრიდების გამოყენების შესახებ მხარის დასაბუთებული შუამდგომლობის განხილვისას გაითვალისწინება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები, მის მიერ ჩადენილი ქმედების ხასიათი და სიმძიმე, არასრულწლოვნის ასაკი, ბრალეულობის ხარისხი, მოსალოდნელი სასჯელი, არასრულწლოვნის მიერ მიყენებული ზიანი, სს დევნის პრევენციული გავლენა, დანაშაულის შემდგომი ქცევა, არასრულწლოვნის მიერ წარსულში ჩადენილი დანაშაული და ამკ-ის 27-ე მუხლის შესაბამისად მომზადებული ინდივიდუალური შეფასების ანგარიში.

განრიდების მიზანია ხელი შეუწყოს სამართალდამრღვევს გაიაზროს პასუხისმგებლობა საკუთარი ზიანის მომტანი ქცევის გამო, გააცნობიეროს ამ ქმედების მიზეზები, მისი ზემოქმედება სხვა ადამიანებზე და შეძლებისდაგვარად შეცვალოს ეს ქცევა მომავალში. განრიდების პროგრამა, ასევე მიზნად ისახავს თავიდან აგვაცილოს ისეთი პრობლემები, როგორცაა არასრულწლოვნის სტიგმატიზაცია, ბავშვისათვის ბრალის წაყენებითა და სს დევნის წარმოებით გამოწვეული უამრავი სხვა პრობლემა (ხელშეშლა ყოველდღიურ აქტივობებსა და სწავლაში). არასრულწლოვნის განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში ჩართვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შედეგია მისი საზოგადოებაში რეინტეგრაცია, სოციალური ადაპტაციის უნარების შექმნა და რთული ქცევის არსებობის შემთხვევაში, მისი მენეჯმენტის შესწავლა.<sup>7</sup>

განრიდების მთავარი ამოცანაა მოზარდის გამოსწორება, მისი დაცვა მართლმსაჯულების სტიგმატიზაციისაგან, კონფლიქტის სწრაფი მოგვარება და ციხის პირობებში მისი კრიმინალად ჩამოყალიბების გარდაუვალი პროცესის პრევენცია, ნაკლები ეკონომიკური ხარჯი, ნაკლები რესურსის დახარჯვა (პროკურორების შესაძლებლობა, უფრო მნიშვნელოვან საქმეებს დაუთმონ დრო).<sup>8</sup>

მნიშვნელოვანი სიახლეა ის ფაქტი, რომ ამკ-მა 18-დან 21 წლამდე პირები ამ ნაწილში გაუთანაბრა არასრულწლოვნებს და მათაც მისცა შესაძლებლობა ესარგებლათ ამ უფლებით. აღნიშნული მიდგომა განპირობებულია იმით, რომ 18-დან 21 წლამდე პირები თავიანთი ფიზიკური და გონებრივი განვითარების დონით, ემოციური მდგომარეობითა და განათლების საჭიროებებით, დიდად არ განსხვავდებიან არასრულწლოვნებისგან.

## 2. განრიდების გამოყენების წინაპირობები

ამკ-ის მე-40 მუხლი ადგენს კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის განრიდების გამოყენების წინაპირობებს, კერძოდ, განრიდების გამოყენება შესაძლებელია შემდეგ გარემოებათა ერთობლიობისას: ა) არსებობს საკმარისი მტკიცებულებები დასაბუთებული ვარაუდისთვის, რომ არასრულწლოვანმა ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაული ჩაიდინა; ბ) არასრულწლოვანი ნასამართლევია არ არის; გ) არასრულწლოვანი განრიდება-მედიაციის პროგრამაში ჩართული არ ყოფილა; დ) არასრულწლოვანი დანაშაულს აღიარებს; ე) პროკურორის/სასამართლოს შინაგანი რწმენით, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, სს დევნის დაწყების ან დაწყებული სს დევნის გაგრძელების საჯარო ინტერესი არ არსებობს; ვ) არასრულწლოვანი და მისი კანონიერი წარმომადგენელი განრიდების გამოყენებაზე წერილობით ინფორმირებულ თანხმობას გამოხატავენ. ნიშანდობლივია, რომ განრიდების ზემოაღნიშნული წინაპირობების

<sup>7</sup> გვენეტაძე ნ., კვაჭაძე მ., ნიკლაური-ლამიხი ე., გაბუნია მ. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება: განრიდება და მედიაცია, თბ., 2012წ., გვ. 117.

<sup>8</sup> შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (სახელმძღვანელო), მე-2 გამოცემა, თბილისი-ფრაიბურგი-სტრასბურგი, 2016წ., გვ. 94.

დაკმაყოფილების შემთხვევაში, არასრულწლოვნის განრიდება არ არის სავალდებულო. მთავარია, შეფასდეს მისი შესაბამისობა კანონით დადგენილ მიზნებთან.

განრიდვის წინაპირობებიდან, ქვემოთ ყურადღებას გავამახვილებ რამდენიმე მათგანზე:

## 2.1. განრიდვის გამოყენება, როდესაც არასრულწლოვანი ნასამართლევი არ არის

არასრულწლოვნის მიმართ განრიდვის გამოყენების ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობაა, რომ კანონთან კონფლიქტში მყოფი პირი არ იყოს ნასამართლევი. ნასამართლობასთან დაკავშირებით საინტერესოა ამკ-ის ახლებური და ჰუმანური მიდგომა. კერძოდ, განსხვავებით სისხლის სამართლის კოდექსის (შემდგომში – სსკ) მე-100 მუხლით (ამკ-ის ამოქმედებამდე მოქმედი რედაქცია) დადგენილი წესისგან, სადაც არასრულწლოვნის ნასამართლობის გაქარწყლება დაკავშირებული იყო დანაშაულის კატეგორიასთან, ამკ-ის მე-12 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, არასრულწლოვანს ნასამართლობა გაქარწყლებულად ეთვლება სასჯელის მოხდისთანავე, ხოლო პირობით მსჯავრდებისას – გამოსაცდელი ვადის გასვლისთანავე. საკითხის ამგვარი გადაწყვეტა არასრულწლოვანს იცავს სტიგმატიზაციისაგან და სტიმულს აძლევს, დაუბრუნდეს ჯანსაღ ცხოვრებას, აირჩიოს საქმიანობის სფერო. ამ გზაზე მისთვის ხელის შემშლელი ფაქტორი არ იქნება მისი ნასამართლობა, რადგან სასჯელის მოხდის შემდეგ, იგი იურიდიულად ნასამართლობის არ მქონედ ჩაითვლება.<sup>9</sup> ამკ-ის მე-12 მუხლის მე-2 ნაწილი აკეთებს შემდეგ დათქმას: ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული შეღავათი არ მოქმედებს, თუ არასრულწლოვანი კვლავ ჩაიდენს დანაშაულს. ასეთ შემთხვევაში არასრულწლოვანს ნასამართლობა გაუქარწყლდება:

ა) პირობით მსჯავრდებისას – გამოსაცდელი ვადის გასვლისთანავე;

ბ) თავისუფლების აღკვეთაზე უფრო მსუბუქი სასჯელით მსჯავრდებისას – სასჯელის მოხდიდან 6 თვის შემდეგ;

გ) ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებისას – სასჯელის მოხდიდან 1 წლის შემდეგ;

დ) მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებისას – სასჯელის მოხდიდან 3 წლის შემდეგ;

ე) განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებისას – სასჯელის მოხდიდან 5 წლის შემდეგ.

საყურადღებოა აღნიშნული ნორმის მიმართ პრაქტიკოსი და თეორიტიკოსი იურისტების განსხვავებული მიდგომა. იურისტთა ერთი ნაწილი თვლის, რომ ამკ-ით დადგენილი ნასამართლობის გაქარწყლების შეღავათი პირობადადებულია იმით, რომ არასრულწლოვანმა სასჯელის მოხდის შემდეგ, არ უნდა ჩაიდინოს დანაშაული. იმ შემთხვევაში, თუკი იგი კვლავ ჩაიდენს დანაშაულს, ზემოთ ხსენებული შეღავათი აღარ იმოქმედებს და ნასამართლობა გაქარწყლდება ამკ-ის მე-12 მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილ ვადაში. მაგ., თუ კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანს სასჯელად დაენიშნა შინაპატიმრობა 8 თვის ვადით, ამ ვადის გასვლის შემდეგ იგი ჩაითვლება ნასამართლობის არ მქონედ, მაგრამ ვითარება შეიცვლება თუ მსჯავრდებული სასჯელის მოხდიდან 7 თვის შემდეგ, კვლავ ჩაიდენს დანაშაულს. კერძოდ, ამ დროს გაქარწყლებული ნასამართლობა „გაცოცხლდება“ და იგი ჩაითვლება ნასამართლობის მქონე პირად. ამასთან, მასზე გავრცელდება ამკ-ის მე-12 მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი ნასამართლობის გაქარწყლების ვადები.

რაც შეეხება იურისტთა მეორე ნაწილის მოსაზრებას, აღნიშნული უპირისპირდება ზემოთ მოყვანილ მსჯელობას, იმ არგუმენტით, რომ გაქარწყლებული ნასამართლობის გაცოცხლების

<sup>9</sup> სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი (სახელმძღვანელო), მე-2 გამოცემა, ავტორთა კოლექტივი, თბ., 2016წ., გვ. 666.

სამართლებრივი მექანიზმი არ არსებობს.<sup>10</sup> შესაბამისად, არასრულწლოვნის ნასამართლობის გაქარწყლების სპეციალური წესი იმოქმედებს ახალი დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში.

ზემოაღნიშნული მოსაზრებებიდან ჩემი აზრით, გასაზიარებელია მეორე ვარიანტი, შემდეგ გარემოებათა გამო:

- ნასამართლობის გაქარწყლება თავის თავში გულისხმობს, მის გაუქმებას. გაუქმებული ნასამართლობის მხედველობაში მიღება კი დაუშვებელია, ლაპარაკი ზედმეტია მის გაცოცხლებაზე, ვინაიდან არ არსებობს რაიმე საკანონმდებლო დანაწესი, რომელიც დასაშვებად მიიჩნევდა გაუქმებული ნასამართლობის აღდგენას. შესაბამისად, არასრულწლოვნის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, ნასამართლობა კი არ გაცოცხლდება, არამედ ახალი დანაშაულისთვის დანიშნული სასჯელის მოხდის შემდეგ, იმოქმედებს ნასამართლობის გაქარწყლების სპეციალური ვადა, რაც დადგენილია ამკ-ის მე-12 მუხლის მე-2 ნაწილით;

- იმ ფაქტს, რომ არასრულწლოვნის მიმართ გაქარწყლებული ნასამართლობა არ „გაცოცხლდება“, ადასტურებს ამკ-ის ფუნდამენტური პრინციპი – არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობა. აღნიშნული პრინციპი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის ის ქვაკუთხედიცაა, რაზეც აგებული უნდა იყოს პროცესის მთელი მიმდინარეობა. კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინება არათუ შიდა კანონმდებლობით, არამედ საერთაშორისო სამართლით აღიარებული პრინციპია. შესაბამისად, შეუძლებელია არასრულწლოვნისთვის გაქარწყლებული ნასამართლობის „გაცოცხლება“ (თუნდაც ხელმეორედ ჩადენილი დანაშაულის შემდეგ) შედიოდეს მის საუკეთესო ინტერესებში;

- ნასამართლობის დაუყოვნებლივ გაქარწყლება კიდევ უფრო მეტად ეხმარება არასრულწლოვან მსჯავრდებულს რესოციალიზაცია-რეაბილიტაციაში და მის მიერ დანაშაულის განმეორების რისკს მნიშვნელოვნად ამცირებს. ლოგიკური და ჰუმანურია, არასრულწლოვნის მიერ ჩადენილი დანაშაული არ უნდა იქნეს აღქმული ისე მძიმედ, როგორც სრულწლოვანის მიერ ჩადენილი. სწორედ ასეთი ჰუმანური მიდგომა გვაფიქრებინებს, რომ არასრულწლოვნის მიერ თავდაპირველად ჩადენილი დანაშაულისთვის ნასამართლობის გაქარწყლება არის მისი ერთი შანსი, რომ სასჯელის მოხდის შემდეგ, საზოგადოებას დაუბრუნდეს სრულფასოვან წევრად და მის მიმართ არ იქნეს გამოყენებული იარლიყი „დამნაშავე“ ან/და „ნასამართლვენი“.

## 2.2. განრიდების გამოყენება, როდესაც არასრულწლოვანი განრიდება მედიაციის პროგრამაში ჩართული არ ყოფილა

განრიდების ერთ-ერთ სავალდებულო წინაპირობად, კანონმდებელი კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანს უწესებს გარკვეულ შეზღუდვას – იგი არ უნდა იყოს განრიდება-მედიაციის პროგრამაში ჩართული, თუმცა, ისმის კითხვა: რამდენად შეესაბამება კანონმდებლის ეს მოთხოვნა ამკ-ითა და საერთაშორისო სტანდარტებით აღიარებულ ფუნდამენტურ პრინციპს – არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობას? ნებისმიერი გადანყვეტილება ხომ არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების ირგვლივ უნდა ტრიალებდეს...

აღნიშნული საკითხის სიღრმისეულად გაანალიზების მიზნით, განვიხილოთ შემდეგი მაგალითი: 14 წლის ლაზარემ ჩაიდინა საკუთრების წინააღმდეგ მიმართული ნაკლებად მძიმე, არაძალადობრივი ხასიათის დანაშაული (მაგ., მაღაზიიდან მოიპარა საკვები პროდუქტები). სახელმწიფო ბრალმდებელმა/სასამართლომ არასრულწლოვანს მისცა შესაძლებლობა ესარგებლა განრიდების გამოყენებით, თუმცა, მიუხედავად განრიდების პროგრამაში ჩართვისა, მან კვლავ ჩაიდინა მსგავსი ტიპის დანაშაული. ამ შემთხვევაში კანონი მკაცრია არასრულწლოვნის

<sup>10</sup> ივანიძე მ., თოდუა ნ., ვარძელაშვილი ი., მახარობლიძე თ., არასრულწლოვანთა კანონმდებლობის ანალიზი და სასამართლო პრაქტიკა, თბ., 2017წ., გვ. 129.

მიმართ (მას აღარ აქვს შანსი ისარგებლოს განრიდების ხელახლა გამოყენების შესაძლებლობით); თუმცა, რა ხდება იმ შემთხვევაში, თუკი 17 წლის ლუკა, რომელიც განრიდება-მედიაციის პროგრამაში ჩართული არ ყოფილა და აკმაყოფილებს ამკ-ის მე-40 მუხლით გათვალისწინებულ წინაპირობებს, ჩაიდენს საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ ძალადობრივი ხასიათის მძიმე კატეგორიის დანაშაულს (მაგ., ძარცვას ან ყაჩაღობას)? ამ შემთხვევაში, მიუხედავად არასრულწლოვნის მიერ მომეტებული ხარისხის დანაშაულის ჩადენისა, ამ პირის განრიდების შანსი დიდია, რაც მორალური თვალსაზრისით არსებითად უთანასწორო მდგომარეობაში აყენებს ლაზარეს. ჩემი აზრით, განრიდების გამოყენების ზემოაღნიშნული წინაპირობა გარკვეულწილად ეწინააღმდეგება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობას, რის გამოც შეზღუდვა – განრიდება-მედიაციის პროგრამაში ერთხელ ჩართულობა, *a priori* არ უნდა გახდეს არასრულწლოვნისთვის განრიდების გამოყენებაზე უარის თქმის მიზეზი. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, სხვა წინაპირობების ერთობლიობაში არსებობისას, საკითხის სიღრმისეულად გაანალიზების შემდეგ, განრიდება-მედიაციის პროგრამაში ჩართულობისგან დამოუკიდებლად უნდა მოხდეს იმის შეფასება, განრიდების გამოყენებით მიიღწევა თუ არა განრიდების მიზნები.

### 2.3. განრიდების გამოყენება, როდესაც არასრულწლოვანი დანაშაულს აღიარებს

კანონთან კონფლიქტში მყოფი პირის განრიდების ერთ-ერთ სავალდებულო წინაპირობად კანონმდებელი მიიჩნევს ბრალდებულის მხრიდან დანაშაულის აღიარებას, თუმცა, არ აკონკრეტებს აღიარების მოცულობას და ფარგლებს. შესაბამისად, ჩნდება კითხვა: შეიძლება თუ არა განრიდება გამოყენებულ იქნას იმ არასრულწლოვნის მიმართ, რომელიც ნაწილობრივ აღიარებს დანაშაულს? თუმცა, ამ კითხვაზე პასუხი მოითხოვს კითხვის სიღრმისეულად გაანალიზებას, რაც, თავის მხრივ, აჩენს დამატებით შეკითხვებს. მაგ., განსხვავებული ვითარება გვექნება, როდესაც:

- კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანს ბრალად ედება ორი განსხვავებული მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულთა ჩადენა და ეს უკანასკნელი აღიარებს მხოლოდ ერთ-ერთ მათგანს;

- კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანს ბრალად ედება ჯგუფური დანაშაულის ჩადენა, რა დროსაც პირი დანაშაულს საკუთარ თავთან მიმართებაში აღიარებს სრულად, თუმცა, არა ჯგუფურად.

მიმაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, კანონმდებლის მოთხოვნა განრიდების გამოყენების დროს ჩადენილი დანაშაულის აღიარებასთან მიმართებაში, გულისხმობს დანაშაულის სრულ აღიარებას. შესაბამისად, პირველი მაგალითის საფუძველზე ცალსახაა, რომ კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის ნაწილობრივი აღიარება, არ შეიძლება გახდეს ამ უკანასკნელის მიმართ განრიდების გამოყენების საფუძველი, თუმცა, სრულიად განსხვავებული ვითარება გვაქვს ჯგუფურ დანაშაულთან მიმართებით. საკითხის თვალსაჩინოებისთვის განვიხილოთ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 30 ნოემბრის (დ.ა.-ს მიმართ 2015 წლის 5 დეკემბრის) განაჩენი.<sup>11</sup>

საქმე ეხებოდა ბ.მ.-ს და დ.ა.-ს მიერ ყაჩაღობის ჯგუფურად ჩადენას, რა დროსაც კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანი დ.ა. წარდგენილი ბრალდებიდან აღიარებდა მხოლოდ საკუთარ ბრალეულობას. აღნიშნული განაჩენით ბ.მ., ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში, ხოლო დ.ა. – ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის პირველი ნაწილით. განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულ დ.ა.-ს ინტერესე-

<sup>11</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 30 ნოემბრის (დ.ა.-ს მიმართ 2015 წლის 5 დეკემბრის) განაჩენი, საქმე №1/3570-16.

ბის დამცველმა, ადვოკატმა და პროკურორმა. დაცვის მხარე ითხოვდა თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენისა და დ.ა.-ს განრიდებაზე უარის თქმის შესახებ 2016 წლის 25 ნოემბრის საოქმო განჩინების გაუქმებას და ახალი გადაწყვეტილებით – დ.ა.-ს მიმართ განრიდების გამოყენებას. მოთხოვნის არგუმენტაცია იყო შემდეგი: კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანი ბრალად წარდგენილი ჯგუფური დანაშაულიდან აღიარებდა მხოლოდ საკუთარ ბრალს (რომ მან ინდივიდუალურად ჩაიდინა დანაშაული). რეალურად, სასამართლომ სწორედ იმ კვალიფიკაციით დაადგინა განაჩენი, როგორც ის დ.ა.-ს ჩვენებით დასტურდებოდა. შესაბამისად, განაჩენის გამოტანის მომენტისათვის, განრიდების გამოყენებისთვის სხვა აუცილებელ წინაპირობებთან ერთად, სახეზე იყო დანაშაულის სრული აღიარება. განრიდებაზე უარის თქმის განჩინების გასაჩივრების შესაძლებლობა კი, დაცვის მხარეს მხოლოდ შემაჯამებელ გადაწყვეტილებასთან ერთად მიეცა. დაცვის მხარის პოზიციით, მას იმ დრომდე ჰქონდა მოთხოვნის დაყენების უფლება, სანამ კანონმდებელი პირს უფლებას აძლევდა გაესაჩივრებინა განაჩენი, მით უფრო, რომ კანონის იმდროინდელი ჩანაწერი განრიდების ზედა ინსტანციაში გაფორმების პირდაპირ შეზღუდვას არ აწესებდა. პროკურორი, თავის მხრივ, ითხოვდა გამართლებელი განაჩენის გაუქმებას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 21 თებერვლის განაჩენით, დაცვის მხარის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული განაჩენი დარჩა უცვლელად. ანალოგიური შედეგი დადგა საქართველოს უზენაეს სასამართლოშიც.<sup>12</sup>

მოცემულ შემთხვევაში, ზემოთ მოყვანილი გადაწყვეტილებების შეფასებისას, აუცილებელია პასუხი გაეცეს შემდეგ კითხვებს: 1. რა ეტაპამდეა კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის მიმართ განრიდების გამოყენება შესაძლებელი? ანუ შეიძლება თუ არა განრიდების გამოყენება მას შემდეგ, რაც პირის მიმართ გამოტანილი იქნება გამამტყუნებელი განაჩენი? 2. უტოლდება თუ არა დანაშაულის ნაწილობრივი აღიარება ჯგუფურ დანაშაულში (როდესაც ბრალდებული აღიარებს მის მიერ ჩადენილ დანაშაულებრივ ფაქტს, მაგრამ უარყოფს დანაშაულის ჯგუფურად ჩადენას) განრიდების გამოყენების წინაპირობას – დანაშაულის აღიარებას (იგულისხმება დანაშაულის სრული მოცულობით აღიარება)?

იმისთვის, რომ პირველ კითხვას გაეცეს პასუხი, აუცილებელია გავანალიზოთ კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის განრიდების არსის საკანონმდებლო დანაწესი. ამკ-ის 2018 წლის 12 ივნისამდე მოქმედი რედაქციის თანახმად, განრიდების გამოყენება შესაძლებელი იყო საქმის სასამართლოში წარმართვის შემდეგ, თუმცა, სასამართლოში საქმის განხილვის რა ეტაპამდე შეეძლოთ კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის მიმართ აღნიშნული ღონისძიების გამოყენება, კანონი არ განსაზღვრავდა. აღნიშნული საკანონმდებლო ჩანაწერი იურისტთა ნაწილს აფიქრებინებდა, რომ პირის მიმართ განრიდების გამოყენება შესაძლებელი იყო ნებისმიერი ინსტანციის სასამართლოში, რაც, თავის მხრივ, არ ეწინააღმდეგება ცალკე აღებულ ამ ჩანაწერს, თუმცა, მოცემულ სიტუაციაში გასათვალისწინებელია, კანონმდებლის მოთხოვნა განრიდების გამოყენებისას დასაბუთებული ვარაუდის არსებობის თაობაზე. მოგეხსენებათ, განაჩენის გამოტანის შემდეგ, სახეზეა არა დასაბუთებული ვარაუდი, არამედ „გონივრულ ეჭვს მიღმა“ სტანდარტი. შესაბამისად, თუ გვაინტერესებს შესაძლებელია თუ არა განაჩენის მიღების შემდეგ, არასრულწლოვნის მიმართ განრიდების გაფორმება, პასუხი არის – უარყოფითი. კანონმდებლისთვის კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის მიმართ განრიდების გამოყენება განაჩენის გამოტანის შემდეგ, იმდროინდელი რედაქციით დასაშვები რომ ყოფილიყო, გააკეთებდა შემდეგ დათქმას: „განრიდება შეიძლება გამოყენებულ იქნეს აგრეთვე საქმის სასამართლოში წარმართვის შემდეგ. მათ შორის, მაშინ, როდესაც პირის მიმართ გამოტანილია გამამტყუნებელი განაჩენი“. თუმცა, საკითხავია, რამდენად ემსახურება განრიდების მიზნებს განაჩენის გამოტანის შემდეგ, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულ-

<sup>12</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 26 სექტემბრის განაჩენი, საქმე №201აპ-17.

წლოვნის შემდგომი სასამართლო პროცესებისგან არიდება, მაშინ, როდესაც საზოგადოების თვალში იგი უკვე შერაცხულია დამნაშავედ?

კანონმდებლის ორაზროვანი ჩანაწერიდან გამომდინარე, დადებითად შესაფასებელია ამკ-ში 2018 წლის 30 მაისს განხორციელებული ცვლილება, რომლის მიხედვითაც, დაზუსტდა სასამართლოში არასრულწლოვნის მიმართ განრიგების გამოყენების ეტაპი. კერძოდ, ამკ-ის 39-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, განრიგება შეიძლება გამოყენებულ იქნეს აგრეთვე საქმის სასამართლოში წარმართვის შემდეგ. სასამართლო უფლებამოსილია განრიგების გამოსაყენებლად საკუთარი ინიციატივით ან მხარის დასაბუთებული შუამდგომლობის საფუძველზე გამოიტანოს დასაბუთებული გადაწყვეტილება წინასასამართლო სხდომაზე ან პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე და საქმე დაუბრუნოს პროკურორს, რომელიც არასრულწლოვან ბრალდებულს განრიგებას შესთავაზებს და, მისი თანხმობის შემთხვევაში, მიიღებს გადაწყვეტილებას განრიგების შესახებ.

რაც შეეხება მეორე შეკითხვას, მიმაჩნია, რომ მოცემული საქმე არის იმის ნათელი მაგალითი, თუ რატომ უნდა გავუთანაბროთ ჯგუფურ დანაშაულში კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის ნაწილობრივი აღიარება (როდესაც ის აღიარებს დანაშაულის ინდივიდუალურად ჩადენას) განრიგების გამოყენების წინაპირობას – დანაშაულის სრულ აღიარებას. იმ შემთხვევაში, თუკი ასე არ მოვიქცევით, არათუ გავითვალისწინებთ არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობას, არამედ ვუბიძგებთ მას, კანონით გათვალისწინებული შეღავათის მიღებისთვის დაადანაშაულოს სრულიად უდანაშაულო ადამიანი, რაც ყოველად გაუმართლებელია.

### 3. განრიგება სასამართლოში საქმის არსებითი განხილვისას

მოგესხენებათ, წინასასამართლო სხდომამდე განრიგების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს პროკურორი, თუმცა, განრიგება შეიძლება გამოყენებულ იქნეს საქმის სასამართლოში წარმართვის შემდეგაც. სასამართლო უფლებამოსილია, განრიგების გამოსაყენებლად საკუთარი ინიციატივით ან მხარის დასაბუთებული შუამდგომლობის საფუძველზე საქმე დაუბრუნოს პროკურორს, რომელიც არასრულწლოვან ბრალდებულს განრიგებას შესთავაზებს და მისი თანხმობის შემთხვევაში, მიიღებს გადაწყვეტილებას განრიგების შესახებ. ამ გადაწყვეტილების მიღებამდე, სასამართლო მეორე მხარის პოზიციასაც ისმენს.

*პრაქტიკამ ცხადყო, რომ დღეის მდგომარეობით კანონთან კონფლიქტში მყოფი პირების განრიგება, არც თუ ისე იშვიათად ხდება სასამართლოში, თუმცა, ეს ძირითად ხდება საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე. აღნიშნული განპირობებულია ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის აუცილებლობით, რომლის მომზადება საჭიროებს დამატებით ვადას (ამკ-ს 27-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი ითვალისწინებს ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადებას განრიგების ღონისძიების განსაზღვრისას). სწორედ დამატებითი ვადა გახდა მოსამართლეთათვის პრაქტიკის ჩამოყალიბების განმსაზღვრელი, რომლის თანახმადაც, იმ შემთხვევაში, თუკი მხარე წინასასამართლო სხდომაზე დააყენებს შუამდგომლობას კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის განრიგების თაობაზე, წინასასამართლო სხდომის მოსამართლე მიმართავს პრობაციის ეროვნული სააგენტოს შესაბამის ტერიტორიულ ბიუროს, არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმართ ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადების მოთხოვნით. ამის პარალელურად, მოსამართლე კანონით დადგენილი შეზღუდული ვადებიდან გამომდინარე, საქმეს გადასცემს შესაბამისი არსებითი სხდომის მოსამართლეს. შესაბამისად, პრობაციის ეროვნული სააგენტოს მიერ ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის სასამართლოსთვის გაგზავნის მომენტში, საქმე მატერიალურად იმყოფება არსებითად განმხილველ მოსამართლესთან. სწორედ ეს უკანასკნელი მსჯელობს კანონთან კონფლიქტში მყოფი*

არასრულწლოვნის განრიდების თაობაზე.

სასამართლოს მხრიდან განრიდებული საქმეები ნათლად მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ მოსამართლეები სიღრმისეულად აანალიზებენ საქმის ფაქტობრივ გარემოებებს, ისინი არიან დეტალებზე ორიენტირებულნი და ინდივიდუალურად უდგებიან ყოველ საქმეს, რათა საბოლოო ჯამში, მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილება გამომდინარეობდეს კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებიდან. სასამართლო ეტაპზე არასრულწლოვნის განრიდება და საქმის პროკურორისთვის დაბრუნება, აგრეთვე, ხაზს უსვამს მოსამართლის სიძლიერეს – იგი არ ეპუება პროკურორის დისკრეციულ უფლებამოსილებას და თავისი კომპეტენციის ფარგლებში, იღებს გადაწყვეტილებას არასრულწლოვნის განრიდების თაობაზე.

აღნიშნულის დასტურად განვიხილავ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 22 ნოემბრის განჩინებას, რა დროსაც საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე, სასამართლომ განიხილა დაცვის მხარის შუამდგომლობა კანონთან კონფლიქტში მყოფი მ.შ.-ს (ბრალად ედებოდა საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებითა და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა) განრიდების თაობაზე. აღნიშნულ შუამდგომლობას არ დაეთანხმა სახელმწიფო ბრალმძებელი, იმ მოტივით, რომ ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის თანახმად, არასრულწლოვან მ.შ.-ს აკადემიური მოსწრება იყო დაბალი. ამასთან, ბრალმძებელი ადვილად ექცეოდა სხვისი ზეგავლენის ქვეშ, რის გამოც, მან დანაშაული ჩაიდინა ჯგუფურად. ბრალმძებამ დამატებით არგუმენტად მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ ფშ.-ს ბრალად წარდგენილ ქმედებამდე დანაშაული ჩადენილი ჰქონდა 14 წლამდე ასაკში. პროკურორის განმარტებით, განრიდება მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა ყოფილიყო გამოყენებული, როდესაც ბრალმძებელს წარსულში დანაშაული არ ჰქონდა ჩადენილი. მიუხედავად პროკურორის მკაფიო პოზიციისა, სასამართლომ დეტალურად შეისწავლა არასრულწლოვნის საჭიროებები, შეაფასა პროკურორის მიერ გაცხადებული რისკ-ფაქტორები და განმარტა: „აღსანიშნავია, რომ მ.შ. აღიარებს და ინანიებს ბრალად შერაცხულ ქმედებას. ამასთან, როგორც სასამართლო სხდომაზე და ინდივიდუალური შეფასებით ანგარიშით დადგინდა, მ.შ.-ს აღზრდაზე და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებლობა აღებული აქვს ბებია, რომელსაც საკუთარი ბინა გააჩნია და ცხოვრობს შვილიშვილთან ერთად. ბებია და შვილიშვილს შორის ურთიერთობა სოციალური მუშაკის მიერ, დადებითად არის შეფასებული. ამასთან, ბებია უნებს მას მეთვალყურეობას განათლების მიღების პროცესში“. გარდა ამისა, სასამართლომ მიუთითა, რომ ბრალმძებელი წარსულში ნასამართლევი ან განრიდება-მედიაციის პროგრამაში ჩართული არ ყოფილა. სასამართლომ იმის გათვალისწინებით, რომ 14 წლამდე ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედება მიიჩნევა ბრალის გამომრიცხველ გარემოებად, არ გაითვალისწინა პროკურორის განცხადება, მ.შ.-ს 14 წლამდე ჩადენილ „დანაშაულთან“ დაკავშირებით.<sup>13</sup>

მიმაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში პროკურორის საკითხისადმი ამგვარი დამოკიდებულება გამონეულია სუბიექტური ფაქტორით. ის გარემოება, რომ სახელმწიფო ბრალმძებამ გასწია საკმაოდ დიდი რესურსი საქმის სასამართლოში წარმართვამდე, არ უნდა გახდეს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესის უგულვებელყოფის მიზეზი. ამასთან, სასამართლოს მიერ არასრულწლოვანთა მიმართ, განრიდების მიზნით პროკურატურაში დაბრუნებული საქმეთა რაოდენობა,<sup>14</sup> დასტურია იმისა, რომ გამოძიების ორგანომ, გამოძიების ეტაპზევე უნდა მოახდინოს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესის სიღრმისეული შეფასება და საჭიროების შემთხვევაში, – კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის განრიდება.

როგორც აღვნიშნე, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობა, გან-

<sup>13</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 22 ნოემბრის განჩინება, საქმე №1/5000-15.

<sup>14</sup> საქართველოს მთავარი პროკურორის 2018 წლის 6 თებერვლის ანგარიშის თანახმად, სასამართლოდან განრიდების მიზნით პროკურატურაში 2016 წელს დაბრუნდა 38 საქმე, ხოლო 2017 წელს – 21 საქმე.

რიდების ფუნდამენტური პრინციპია, თუმცა, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესში სასამართლომ უნდა იგულისხმოს, არა მხოლოდ არასრულწლოვანი ბრალდებულის, არამედ არასრულწლოვანი დაზარალებულის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ინტერესიც და საბოლოო გადაწყვეტილება მიიღოს ერთობლივად, ორივე მხარის ინტერესის გათვალისწინებით. ამ კონტექსტში საყურადღებოა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 5 ივლისის განჩინება შ.გ.-ს და გ.ჯ.-ს მიმართ, რა დროსაც მოსამართლემ მიიღო გადაწყვეტილება ამ უკანასკნელთა განრიგების თაობაზე. მოცემულ შემთხვევაში, პროკურორი არ დაეთანხმა დაცვის მხარის შუამდგომლობას, დანაშაულის კატეგორიიდან და ხასიათიდან გამომდინარე, კერძოდ, ბრალდებულების მხრიდან მძიმე ძალადობრივი დანაშაულის ჩადენის გამო. პროკურორის განმარტებით, ბრალდებულთა მდგომარეობას ამძიმებდა ის გარემოებაც, რომ სახეზე იყო დანაშაულთა ერთობლიობა. სახელმწიფო ბრალმდებლის განმარტებით, მხედველობაში მისაღები იყო ისიც, რომ ერთ ეპიზოდში დაზარალებული იყო არასრულწლოვანი. სწორედ ამ უკანასკნელის საუკეთესო ინტერესებიც უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღებისას.

მიუხედავად მკაფიო პოზიციისა, სასამართლომ არ გაიზიარა პროკურორის მოსაზრება და განმარტა: „არასრულწლოვნის განრიგება არ ნიშნავს მისი დანაშაულებრივი ქმედების იგნორირებას. უფრო მეტიც, ის საშუალებას იძლევა, გადაიდგას ნაბიჯები საჭიროებების იდენტიფიცირებისა და შემდგომი დანაშაულებრივი ქცევის თავიდან ასაცილებლად. მოცემულ შემთხვევაში სახეზეა ამკ-ით გათვალისწინებული განრიგების გამოყენების წინაპირობები, კერძოდ, ბრალდებულთა მხრიდან – მძიმე დანაშაულის შესაძლო ჩადენა, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნები არ არიან ნასამართლევნი პირები, საქმის მასალების მიხედვით არ დგინდება წარსულში მათი განრიგება-მედიაციის პროგრამაში ჩართულობა, როგორც შ.ფ, ისე გ.ჯ. აღიარებს ჩადენილ დანაშაულს. სასამართლოს შინაგანი რწმენით, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, აღარ არსებობს კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნების შ.გ.-სა და გ.ჯ.-ს მიმართ სს დევნის გაგრძელების საჯარო ინტერესი. სასამართლო განმარტავს, რომ ამკ ასევე იცავს არასრულწლოვანი დაზარალებულის ინტერესებს. სწორედ განრიგების გამოყენების შემთხვევაში იქნება თავიდან აცილებული არასრულწლოვანი დაზარალებულის მეორეული ვიქტიმიზაცია, რაც შესაძლოა გამოიწვიოს ამ უკანასკნელის პროცესში მონაწილეობამ“.<sup>15</sup>

ვფიქრობ, სასამართლოს ამგვარი გადაწყვეტილება გამართლებული და შედეგიანი იყო, ვინაიდან კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნების შ.გ.-სა და გ.ჯ.-ს მიერ განრიგების პირობები არ დარღვეულა (პროკურორს დარღვევის თაობაზე სასამართლოსთვის მიმართული არ აქვს). აღნიშნული ნათელი დასტურია იმისა, რომ განრიგებულმა პირებმა გამოიყენეს ის შესაძლებლობა, რაც სასამართლომ მისცა მათ და საზოგადოებას დაუბრუნდნენ სრულფასოვან წევრებად. საყურადღებოა, რომ მოცემულ საქმეზე ბრალდებულების განრიგებით, მოხდა არასრულწლოვანი დაზარალებულის სასამართლო პროცესიდან „არიდება“, რაც დადებით შეფასებას იმსახურებს.

ანალოგიური გადაწყვეტილება მიიღო სასამართლომ 2017 წლის 23 თებერვალს, კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვან ო.ბ.-სა და 18-დან 21 წლამდე ბრალდებულ დ.კ.-ს მიმართ. მოცემულ შემთხვევაშიც გათვალისწინებულ იქნა ამკ-ის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნა – არასრულწლოვანი დაზარალებულის მეორეული ვიქტიმიზაციის თავიდან აცილება.<sup>16</sup>

მეტად საყურადღებოა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 23 თებერვლის განჩინება კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნების ე.ტ.-ს და ლ.დ.-ს მიმართ გან-

<sup>15</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 5 ივლისის განჩინება, საქმე №1/1766-17.

<sup>16</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 23 თებერვლის განჩინება, საქმე №1/22-17.

რიდების თაობაზე. დაცვის მხარემ თავისი შუამდგომლობის დაკმაყოფილების საფუძვლად მიუთითა შემდეგ გარემოებებზე: ბრალდებულები აღიარებდნენ და ინანიებდნენ მათ მიერ არასრულწლოვნების პერიოდში ჩადენილ ქმედებას, ისინი არ იყვნენ ნასამართლვეი პირები, მათ მიერ ჩადენილი იყო ნაკლებად მძიმე დანაშაული. ამასთან, მათ მიმართ განრიდება გამოყენებული არ ყოფილა.

სახელმწიფო ბრალმდებელი არც ამ შემთხვევაში დაეთანხმა დაცვის მხარის შუამდგომლობას, მოტივად კი მიუთითა დანაშაულის ხასიათზე. ამასთან, პროკურორის განმარტებით, ლ.დ. სრულად არ აღიარებდა წარდგენილ ბრალდებას, რაც ეწინააღმდეგებოდა განრიდების წინაპირობას. ე.ტ.-სთან მიმართებაში კი განმარტა, რომ მის მიმართ გამოტანილი იყო გამამართლებელი განაჩენი, რაც ეწინააღმდეგებოდა განრიდების წინაპირობას.<sup>17</sup>

მიმაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში პროკურორის პოზიცია უარგუმენტოა, რადგან მის მიერ გაცხადებული გარემოებები არ ეწინააღმდეგება ამკ-ის მე-40 მუხლით დადგენილ საკანონმდებლო დანაწესს. კერძოდ: 1. დანაშაულის ხასიათი – მართალია საქმეში წარმოდგენილ არასრულწლოვნებს ბრალად ედებოდათ ძალადობრივი დანაშაულის ჩადენა (საქართველოს სსკ-ის 150-ე მუხლის მე-2 ნაწილი), თუმცა, კანონი დანაშაულთა ხასიათის მიხედვით, არ ახდენს ბრალდებულთა დიფერენციაციას. პირიქით, კანონმდებელი კანონთან კონფლიქტში მყოფ ყველა არასრულწლოვანს ანიჭებს შესაძლებლობას ისარგებლოს განრიდების ღონისძიებით, მიუხედავად იმისა, ძალადობრივი დანაშაული აქვთ მათ ჩადენილი თუ არა. მთავარია, სახეზე იყოს სხვა საკანონმდებლო მოთხოვნები, რაც განერილია ამკ-ით, მათ შორის, ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაულის ჩადენა; 2. არასრულწლოვანი ბრალდებული ლ.დ. სრულად არ აღიარებს წარდგენილ ბრალდებას – მოგეხსენებათ ბრალდებულის გარანტირებული უფლებაა გამოიყენოს დუმილის უფლება, ან ნებისმიერ დროს შეიცვალოს პოზიცია ბრალთან მიმართებაში. მაგ., შეიძლება პირი გამოიძიების ეტაპზე არ აღიარებდეს (ან ნაწილობრივ აღიარებდეს) ჩადენილ დანაშაულს, თუმცა, საქმის სასამართლოში წარმართვის შემდეგ, შეიცვალოს პოზიცია ბრალთან მიმართებაში, რაც შეიძლება გამოიხატოს დანაშაულის სრულ აღიარებაში. მოცემულ შემთხვევაში, სასამართლო განხილვისას, ორივე ბრალდებულმა აღიარა ჩადენილი დანაშაული; 3. რაც შეეხება ე.ტ.-ს მიმართ გამოტანილ გამამართლებელ განაჩენს, აღნიშნული განრიდების გამოყენებისას არ უნდა იქნეს მიღებული მხედველობაში, ვინაიდან ეს ფაქტი არ ეწინააღმდეგება ამკ-ის მე-40 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ წინაპირობას, რომელიც ცალსახად ადგენს, რომ განრიდების გამოყენებაზე უარის თქმის მიზეზი შეიძლება გახდეს პირის ნასამართლობა. ის ფაქტი, რომ ე.ტ.-ს მიმართ გამოტანილ იქნა გამამართლებელი განაჩენი, არ უნდა გახდეს განრიდებაზე უარის თქმის მიზეზი, რადგან მისი წარსული შებლალული არ ყოფილა. შესაბამისად, ვთვლი, რომ სასამართლომ ე.ტ.-სა და ლ.დ.-ს მიმართ განრიდების გამოყენებით, მიიღო კანონიერი და სამართლიანი გადაწყვეტილება.

## დასკვნა

სახელმწიფო, ოჯახთან ერთად იღებს პასუხისმგებლობას ბავშვის აღზრდაზე და სხვადასხვა ღონისძიებას მიმართავს, რათა არ მიიყვანოს არასრულწლოვანი ძალადობის ზღვრამდე, ვინაიდან ბევრად ეფექტურია დანაშაულის თავიდან აცილება, ვიდრე მისი შედეგების გამოსწორებაზე შემდგომი ზრუნვა. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ასეთი ღონისძიებების გამოყენება უნდა იყოს მკაცრად ინდივიდუალური და ადეკვატური. ბუნებრივია, რომ დამნაშავის დასჯაც და მის მიმართ ჰუმანური ღონისძიებების გატარებაც სახელმწიფოს პრეროგატივაა, მაგრამ იმ შემთხვევაში თუკი, დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართ არაადეკვატური

<sup>17</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 23 თებერვლის განჩინება, საქმე №1/4095-17.

მოპყრობა ინვევს უსამართლობის განცდას, ასევე, მეორეს მხრივ, ასეთი პირის მიმართ ზედმეტი ჰუმანურობის გამოყენებამ შესაძლოა დანერგოს დამნაშავეში დაუსჯელობის სინდრომი და ერთგვარი ნახალისებაც კი მოახდინოს მისი. შესაბამისად, სასამართლო უშვებს იმის შესაძლებლობას, რომ სახელმწიფო ორგანოების მხრიდან დანაშაულის შესაძლო ჩამდენი პირების მიმართ ლოიალურმა დამოკიდებულებამ შექმნას ალბათობა, რომ შედეგი მიღწეული არ იყოს და არ მოხდეს ამ პირის გამოსწორება, თუმცა, რისკი იმისა, რომ ასეთი დამოკიდებულება მეტი წარმატებით იქნება მიღწეული, ბევრად დიდია არასრულწლოვნებთან მიმართებაში.

ვფიქრობ, წინამდებარე სტატიაში, წარმოჩენილ იქნა, როგორც კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის ინტერესების პრიორიტეტულობა სასამართლოში საქმის არსებითი განხილვისას განრიგების გამოყენების კუთხით, ისე თავად განრიგების ინსტიტუტი და მისი გამოყენებისთვის დადგენილი წინაპირობები, ვინაიდან განხილულ იქნა არა მხოლოდ საკანონმდებლო ნორმის ანალიზი, არამედ სასამართლო პრაქტიკაც. დასკვნის სახით კი შეიძლება ითქვას, რომ არსებობს რამდენიმე საკითხი, რომელიც საჭიროებს საკანონმდებლო წესით რეგულირებასა და შემდგომ დახვეწას:

კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, ცვლილება უნდა შევიდეს განრიგების გამოყენების წინაპირობებში, კერძოდ, განრიგება-მედიაციის პროგრამაში ჩართულობა არ უნდა გახდეს არასრულწლოვნისთვის განრიგების გამოყენებაზე უარის თქმის მიზეზი;

უნდა დაზუსტდეს დანაშაულის აღიარების, როგორც განრიგების გამოყენების ერთ-ერთი წინაპირობის ფარგლები ჯგუფურ დანაშაულთან მიმართებაში, რათა კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის მიერ, მასთან განრიგების გაფორმების გამო, არ მოხდეს სხვა არაბრალებული პირის დადანაშაულება;

სახელმწიფო ბრალდების მიერ სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში წარმართვამდე მაქსიმალურად სიღრმისეულად უნდა მოხდეს კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის შეფასება, რითაც ერთი მხრივ დაიზოგება დიდი სახელმწიფო რესურსი და მეორე მხრივ, თავად პროკურორებსაც მიეცემათ შესაძლებლობა, რომ მეტი დრო დაუთმონ სხვა მნიშვნელოვან საქმეებს.

## ოჯახში ჩადენილი სისტემატური შეურაცხყოფის სისხლისსამართლებრივი ასპექტები

ბიორბი ღაპითაშვილი

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო და არსებითი განხილვის კოლეგიის მთავარი კონსულტანტი – მოსამართლის თანაშემწე

*„ძმაო, შენის ცულით დაკოდილი თავი გამიმთელდა, ხოლო შენის ცოლის ენით დაკოდილი გული არაო“ („ენით დაკოდილი“, – სულხან-საბა ორბელიანი)*

### შესავალი

სისტემატური შეურაცხყოფა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში სპეციალური შემადგენლობის სახით, დამოუკიდებელ დანაშაულად ჩამოყალიბდა 2012 წლის 12 ივნისის კანონით, როცა კოდექსს დაემატა 126<sup>1</sup> მუხლი – ოჯახში ძალადობა. ახალი რეგულაციების შემოღების ერთ-ერთი განმაპირობებელი იყო იმ პერიოდში ოჯახის წევრების მიმართ საგრძნობლად გაზრდილი ძალადობის ჩადენის ფაქტები და სტატისტიკური მაჩვენებლების ყოველწლიური მზარდობა. შესაბამისად, გაიზარდა სისტემატურ შეურაცხყოფასთან დაკავშირებული სისხლის სამართლის საქმეები, რამაც დღის წესრიგში დააყენა სწორი საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკის აუცილებლობა. სისტემატური შეურაცხყოფა, როგორც ფსიქოლოგიური ძალადობის ერთ-ერთი ფორმა, თავის მხრივ მრავალფეროვნებით გამოირჩევა, რის გამოც, ზოგიერთ შემთხვევაში, მისი შეფასებისას არც საგამოძიებო და არც სასამართლო პრაქტიკა ერთგვაროვანი არ არის.

წინამდებარე სტატია შეეხება სისტემატურ შეურაცხყოფას, რომელიც იმითაც არის საინტერესო, რომ ის სისხლის სამართლის კოდექსში ფაქტობრივად ერთადერთი ქმედებაა, რომელიც დანაშაულად მხოლოდ მაშინ ითვლება, თუ იგი ჩადენილია ოჯახის წევრის მიმართ.

სტატიაში მოცემული იქნება საქართველოს სსკ-ის 126<sup>1</sup> მუხლით გათვალისწინებული სისტემატური შეურაცხყოფის სამართლებრივი შეფასება, აღნიშნული დანაშაულის კვალიფიკაციის პრობლემური ასპექტები და მისი კრიმინალიზაციის გაფართოების (ე.წ. ნაწილობრივი კრიმინალიზების) საკითხი.

\*\*\*

2012 წლის 12 ივნისის №6434-რს კანონით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსს დაემატა 126<sup>1</sup>-ე მუხლი, რომლითაც მოხდა ოჯახში ძალადობის კრიმინალიზაცია. აღნიშნული მუხლი ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის თავში იქნა მოქცეული და მისი პირველი ნაწილის თანახმად, ოჯახში ძალადობა გულისხმობს, ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობას, სისტემატურ შეურაცხყოფას, შანტაჟს ან დამცირებას, რამაც გამოიწვია ფიზიკური ტკივილი ან ტანჯვა და რასაც არ მოჰყოლია ამ კოდექსის 117-ე, 118-ე ან 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი<sup>1</sup>.

ამავე კანონით, კოდექსის ზოგად ნაწილს დაემატა 111-ე მუხლი, რომლითაც დადგინდა,

<sup>1</sup> <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1683968?publication=0>

რომ ოჯახური დანაშაულისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა განისაზღვრება ამ მუხლში აღნიშნული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლით (109-ე 115-ე, 117-ე 118-ე, 120-ე, 126-ე 133<sup>1</sup>, 133<sup>2</sup>, 137-ე-141-ე, 143-ე, 144-ე-144<sup>3</sup>, 149-ე-151<sup>1</sup>, 160-ე, 171-ე, 187-ე, 253-ე-255<sup>1</sup>, 381<sup>1</sup> და 381<sup>2</sup>) ამ მუხლზე მითითებით.

ხსენებული მუხლის შენიშვნის პირველი ნაწილით ასევე ამომწურავად განისაზღვრა იმ პირთა წრე, რომლებიც სისხლის სამართლის კოდექსის მიზნებისთვის ოჯახის წევრებად ითვლებიან. კერძოდ, ესენი არიან: დედა, მამა, პაპა, ბებია, მეუღლე, შვილი (გერი), ნაშვილები, მინდობით აღსაზრდელი, მშვილებელი, მშვილებლის მეუღლე, მინდობით აღზრდელი (დედობილი, მამობილი), შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლის მშობელი, სიძე, რძალი, ყოფილი მეუღლე, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირი და მისი ოჯახის წევრი, მეურვე, მზრუნველი, მხარდამჭერი, აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირები, რომლებიც მუდმივად ეწევიან ან ეწეოდნენ საოჯახო მეურნეობას.

აღნიშნულ კანონპროექტზე თანდართული განმარტებითი ბარათის მიხედვით, კანონპროექტის მიზანი ეხმიანება „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციის მიზანს – დაამკვიდროს ნულოვანი ტოლერანტობა ქალთა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ.

ამასთან დაკავშირებით, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ 2018 წლის 13 დეკემბრის განაჩენში განმარტა, რომ ამ სულისკვეთებიდან გამომდინარე, ოჯახური დანაშაულის ცალკე ნორმებად არსებობის მიზანი ოჯახში ძალადობის ფაქტებზე შესაბამისი რეაგირება, მართლსაწინააღმდეგო ქმედებად კვალიფიკაცია და ადეკვატური სანქციის დანიშვნაა.<sup>2</sup>

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126<sup>1</sup>-ე მუხლის დისპოზიცია თავის თავში ფაქტობრივად რამდენიმე ალტერნატიულ ქმედებას მოიცავს, კერძოდ: 1) ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ **ძალადობას** (ცემა ან სხვაგვარი ძალადობა), რამაც გამოიწვია ფიზიკური ტკივილი და რასაც არ მოჰყოლია ამ კოდექსის 117-ე, 118-ე ან 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი და 2) ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ **სისტემატურ შეურაცხყოფას, შანტაჟს ან დამცირებას**, რამაც გამოიწვია ტანჯვა და რასაც არ მოჰყოლია ამ კოდექსის 117-ე, 118-ე ან 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი.

სისტემატურ შეურაცხყოფას, ქართული სისხლის სამართლის კანონმდებლობა მანამდე არ იცნობდა. საქართველოს ადრე მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული იყო პასუხისმგებლობა შეურაცხყოფისთვის, სადაც შეურაცხყოფა განმარტებული იყო, როგორც სხვისი პატივისა და ღირსების განზრახ დამცირება, გამოხატული უნესო ფორმით. შემდეგში კანონმდებელმა მოახდინა ამ ქმედების დეკრიმინალიზაცია. ამჟამად კი, სსკ-ის 126<sup>1</sup> მუხლის შემოღებით კვლავ მოხდა შეურაცხყოფის ნაწილობრივი კრიმინალიზაცია<sup>3</sup>.

საქართველოს სსკ-ის 126<sup>1</sup>-ე მუხლმა შეურაცხყოფისთვის შემოიღო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თუკი: ა) ქმედება ჩადენილია ოჯახში; ბ) ქმედებას სისტემატური ხასიათი აქვს; გ) ჩადენილმა ქმედებამ გამოიწვია დაზარალებულის ტანჯვა.

სისტემატური შეურაცხყოფისთვის განსაზღვრული სანქციის მიხედვით, ქმედება ნაკლებად მძიმე დანაშაულთა კატეგორიას წარმოადგენს და სანქციის სახით ითვალისწინებს ჯარიმას ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას ვადით ოთხმოციდან ას ორმოცდაათ საათამდე ან თავისუფლების აღკვეთას ორ წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ. იმავე ქმედების ჩადენა დამნაშავისათვის წინასწარ შეცნობით არასრულწლოვნის, უმწეო მდგომარეობაში მყოფის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ან ორსული ქალის

<sup>2</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 13 დეკემბრის №355აპ-18 განაჩენი

<sup>3</sup> ნაწილობრივი კრიმინალიზაციის შესახებ იხ. ნ. თოდუა, წიგნში: სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, რედ. ნ. თოდუა, თბ. 2016, გვ. 128-136.

მიმართ, ასევე ორი ან მეტი პირის მიმართ, ჯგუფურად და არაერთგზის ისჯება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ორასიდან ოთხას საათამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან სამ წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ.

ამ ქმედების კრიმინალიზებით, სამართლებრივად დაცულია ოჯახის წევრთა ჯანმრთელობა, მათი უფლება, იცხოვრონ მშვიდ გარემოში, ასევე პატივი და ღირსება.

აღსანიშნავია, რომ „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ ევროპის საბჭოს 2011 წლის 11 მაისის კონვენცია (სტამბულის კონვენცია) საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებული იქნა სსკ-ის 126<sup>1</sup> მუხლის მიღებიდან ხუთი წლის შემდეგ – 2017 წლის 5 აპრილს.<sup>4</sup> ამდენად, ოჯახში ძალადობის საკითხი საქართველოში ხსენებული კონვენციის მიღმაც აქტუალური იყო. მის აქტუალობაზე მეტყველებს მთავარი პროკურატურის კონვენციის მიღებამდე არსებული მონაცემებიც, ოჯახში ჩადენილ დანაშაულთან დაკავშირებით 2014 წელს 550 ადამიანის წინააღმდეგ დაიწყო გამოძიება, 2015-16 წლებში ეს ციფრი გაიზარდა 1066/1356-მდე, ხოლო 2017 წელს (11 თვის მონაცემით) კი დაახლოებით 1200 იყო.<sup>5</sup> პროკურატურის განცხადებით, იშვიათად ხდება მოძალადის მიმართ საპროცესო შეთანხმების ან დევნის ალტერნატიული ღონისძიების გამოყენება, რაც იმის გამომხატულებაა, რომ სამართალდამცავი ორგანოები ცდილობენ არ იყვნენ ლიბერალურები ოჯახური დანაშაულების მიმართ.

სტამბულის კონვენციის გავლენით სისხლის სამართლის კოდექსში მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა, კერძოდ, საქართველოს სსკ-ის 53<sup>1</sup> მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ოჯახის ფარგლებში დანაშაულის ჩადენა პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად იქნა მიჩნეული, რა დროსაც თავისუფლების აღკვეთის დანიშვნისას მოსახდელი სასჯელის ვადა სულ მცირე 1 წლით უნდა აღემატებოდეს ჩადენილი დანაშაულისთვის სსკ-ის შესაბამისი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული სასჯელის მინიმალურ ვადას. გარდა ამისა, კონვენციის საფუძველზე, კოდექსის კერძო ნაწილს დაემატა არაერთი დანაშაული, მაგალითად, – სტერილიზაცია თანხმობის გარეშე (სსკ-ის 133<sup>1</sup> მუხლი), ქალის სასქესო ორგანოების დასახიჩრება (სსკ-ის 133<sup>2</sup> მუხლი), ადვენება (სსკ-ის 151<sup>1</sup> მუხლი), ქორწინების იძულება (სსკ-ის 150<sup>1</sup> მუხლი).

მიუხედავად იმისა, რომ სსკ-ის 126<sup>1</sup> მუხლი კონვენციის რატიფიკაციამდე იქნა მიღებული, ისიც ზემოთ ხსენებული დანაშაულებების მსგავსად სტამბულის კონვენციის პირმშოდ უნდა ჩაითვალოს, რაც პირდაპირ არის მითითებული კანონპროექტის განმარტებით ბარათში კანონის მიზნებზე საუბრისას. აღნიშნული ფაქტი შესაძლოა ქართული სისხლის სამართლის კანონმდებლობის ღირსებად ჩაითვალოს. თავის მხრივ სსკ-ის 126<sup>1</sup> მუხლის მიღებამ, ამ დანაშაულის ჩადენის მაღალმა სტატისტიკურმა მაჩვენებელმა და ოჯახში ჩადენილი დანაშაულების აქტუალურობამ, შესაძლოა დააჩქარა სტამბულის კონვენციის რატიფიკაციის პროცესი.

მართალია, საქართველოში არსებობდა აზრთა სხვადასხვაობა და სკეპტიკური დამოკიდებულება ოჯახში ჩადენილ ძალადობასა და სისტემატური შეურაცხყოფის კრიმინალიზაციაზე მსჯელობისას, მაგრამ ამოქმედებულმა ნორმამ, გაცემულმა შემაკავებელმა ორდერებმა და გამამტყუნებელი განაჩენით დასრულებულმა საქმეებმა, ცხადყო ქმედების საკანონმდებლო რეგულაციის აუცილებლობა.

შემაკავებელ ორდერთა და სასამართლოში შესულ საქმეთა სიმრავლე მეტყველებს იმ გარემოებაზე, რომ ოჯახში ჩადენილი ფსიქოლოგიური ძალადობა საზოგადოების ერთ-ერთი სერიოზული სოციალური პრობლემაა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სტატისტიკის თანახმად, 2017 წელს ოჯახში ფსიქოლოგიური ძალადობის 4176 შემთხვევა დაფიქსირდა<sup>6</sup>, ხოლო 2018 წელს – 7109 შემთხ-

<sup>4</sup> <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/3634265?publication=0>

<sup>5</sup> <https://netgazeti.ge/news/236011/>

<sup>6</sup> <https://info.police.ge/page?id=102>

ვევა<sup>7</sup>.

არსებული ვითარება, შემთხვევათა მზარდობის გათვალისწინებით ამასთანავე სვამს სისტემატური შეურაცხყოფის კრიმინალიზაციის ჩარჩოების გაფართოების საკითხს, ვინაიდან პრაქტიკულად შესაძლებელია საქართველოს სსკ-ის 126<sup>1</sup> მუხლით გათვალისწინებული სისტემატური შეურაცხყოფა განხორციელდეს ოჯახის ფარგლებს გარეთაც, – არა ოჯახის წევრებს შორის, რაც კანონმდებლობით დანაშაულად არ ფასდება. კანონმდებლის ნება შეიძლება გავიგოთ შემდეგნაირად: სისხლის სამართლებრივი წესით არ დაისჯება პირი, რომელმაც სისტემატური შეურაცხყოფით, შანტაჟით და დამცირებით ტანჯვა მიაყენა იმ პირს, რომელიც სსკ-ის 11<sup>1</sup> მუხლის მიხედვით მის ოჯახის წევრად არ ითვლება.

როგორც ზემოთ აღინიშნა, მიუხედავად იმისა, რომ ადრე მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსით შეურაცხყოფა ისჯებოდა სისხლის სამართლის წესით, ხოლო დღეს მოქმედი კოდექსით იგი არაერთი დანაშაულისთვის წარმოადგენს შემადგენელ ელემენტს, სისტემატური შეურაცხყოფა, როგორც დამოუკიდებელი დანაშაული, ქართული სისხლის სამართლის კანონმდებლობისთვის სიახლეს წარმოადგენს. იმისათვის, რომ გავეცნოთ ხსენებული დანაშაულის, როგორც ფსიქოლოგიური ძალადობის ერთ-ერთი ფორმის სამართლებრივ ბუნებას, უპირველესად უნდა გავარკვიოთ თავად ძალადობის არსი.

ძალადობის უამრავი განმარტება არსებობს. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის განმარტების მიხედვით, ძალადობა არის ფიზიკური ძალის ან ძალაუფლების რეალური ან მუქარის სახით განზრახ გამოყენება საკუთარი თავის, სხვა პირის, პირთა ჯგუფის ან თემის წინააღმდეგ, რომლის შედეგს წარმოადგენს (ან ამის ალბათობის მაღალი ხარისხი არსებობს) სხეულის დაზიანებები, სიკვდილი, ფსიქოლოგიური ტრავმა, გადახრები განვითარებაში და სხვადასხვა სახის ზიანი.<sup>8</sup> აღნიშნული განმარტება მოიცავს ჩვენთვის საინტერესო ფსიქოლოგიურ ძალადობასაც. იგი ხაზს უსვამს ძალადობის აქტის წინასწარგანზრახულობას და ფაქტობრივ განხორციელებას, მისი შედეგის მიუხედავად.

ამ განმარტების მიხედვით, ძალადობა შეიძლება იყოს საკუთარ თავზე მიმართული, პიროვნებათშორისი და კოლექტიური. პიროვნებათშორისი ძალადობა შეიძლება გამოიხატოს ფიზიკურ ძალადობაში, სექსუალურ ძალადობაში, ფსიქოლოგიურ ძალადობაში და ზიანის/ზარალის მიყენებით ან უგულვებლყოფით.<sup>9</sup>

პიროვნებათშორისი ძალადობა ორ ჯგუფად იყოფა:

1. ძალადობა ოჯახში ან ძალადობა ინტიმურ პარტნიორზე. ესაა ძალადობა, რომელიც ხორციელდება ოჯახის წევრებს შორის და პარტნიორებს შორის, და რომელიც, როგორც წესი (თუმცა არა ყოველთვის), ოჯახში ხდება.

2. ძალადობა თემში. ესაა ძალადობა, რომელიც ხორციელდება იმის მიმართ, ვისთანაც მოძალადე ნათესაურ კავშირში არ იმყოფება. მოძალადე და მსხვერპლი შეიძლება იცნობდნენ ან არ იცნობდნენ ერთმანეთს. როგორც წესი, ამგვარი ძალადობა სახლს გარეთ ხორციელდება. ძალადობის პირველ ჯგუფს მიეკუთვნება ბავშვთა მიმართ სასტიკი მოპყრობა, ინტიმური პარტნიორის მიმართ ძალადობა, ხანდაზმულების მიმართ სასტიკი მოპყრობა. მეორე ჯგუფი კი მოიცავს ძალადობის აქტებს, განხორციელებულს ახალგაზრდების მიერ, შემთხვევითი ძალადობის აქტებს, გაუპატიურებას და სექსუალურ დევნას უცხო პირების მხრიდან, ძალადობას სკოლაში, დაწესებულებებში (სამუშაო ადგილებზე), ციხეებსა და მოხუცებულთა თავშესაფარში<sup>10</sup>.

<sup>7</sup> <http://www.tabula.ge/ge/story/143954-2018-tsels-saqartveloshi-qalze-dzaladobis-minimum-5875-shemtxveva-moxda> (ნანახია 19.09.19)

<sup>8</sup> თავართქილაძე, ე. დავითიშვილი, ქ. და სხვები. „ბავშვზე ძალადობის ძირითადი საკითხები“. საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის და მედიცინის განვითარების ფონდი. თბილისი 2011. გვ. 11.

<sup>9</sup> იქვე გვ. 14

<sup>10</sup> იქვე გვ. 13.

ძალადობის ცნების ერთ-ერთი რთული ასპექტია მისი წინასწარგანზრახულობა. აქ ორი მნიშვნელოვანი მომენტი უნდა აღინიშნოს. ჯერ ერთი ძალის გამოყენების განზრახვა არ ნიშნავს იმას, რომ ზიანის მიყენების განზრახვა აუცილებლად არსებობს. სინამდვილეში, ჩაფიქრებულ მოქმედებასა და მის ჩაფიქრებულ შედეგებს შორის დიდი განსხვავებაა. ადამიანმა შეიძლება წინასწარი განზრახვით განახორციელოს რაიმე აქტი, რომელიც ობიექტური სტანდარტებით განხილული იქნება როგორც სახიფათო და ჯანმრთელობისთვის საზიანო, თუმცა ეს ადამიანი მას ასეთად არ თვლიდა.

მაგალითად, რომელიმე ახალგაზრდამ შეიძლება მონაწილეობა მიიღოს ჩხუბში. ამ ჩხუბის დროს თავში მუშტების ჩარტყმა ან რაიმე საგნის გამოყენება უდავოდ ზრდის სხეულის სერიოზული დაზიანების ან სიკვდილის რისკს, თუმცა, შესაძლოა, არც ერთი ამ შედეგთაგანი წინასწარ განზრახული არ ყოფილიყო.

მამამ ან დედამ შეიძლება ძლიერად შეანჯღრიონ ატირებული ბავშვი მისი დამშვიდების მიზნით, თუმცა ამგვარმა მოქმედებამ შეიძლება ტვინის შერყევა გამოიწვიოს. აქ გამოყენებული იყო ძალა, თუმცა სხეულის დაზიანების განზრახვა არ ყოფილა.

მეორე საკითხი, რომელიც წინასწარ განზრახულობასთან არის დაკავშირებული, იმაში მდგომარეობს, რომ ერთმანეთისგან განვასხვავოთ სხეულის დაზიანების განზრახვა და ძალადობის განზრახვა. ძალადობა შეიძლება იყოს კულტურული თავისებურებით განპირობებული. ზოგიერთი ადამიანი განზრახ აყენებს ზიანს სხვებს, მაგრამ თავიანთი კულტურული ნორმებისა და შეხედულებების თანახმად, ეს ძალადობად არ აღიქმება. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია ძალადობის განმარტებისას მას ადამიანის ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან აკავშირებს.

ზოგიერთი ქცევა, მაგალითად, ქმრის მიერ ცოლის ცემა, შეიძლება ზოგმა სავსებით მისაღებ ქცევად ჩათვალოს, მაგრამ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის განმარტების მიხედვით, ამგვარი მოპყრობა ძალადობის აქტად ითვლება და მას ადამიანის ჯანმრთელობისათვის სერიოზული ნეგატიური შედეგები მოაქვს.

ძალადობის მოცემულ განმარტებაში ჩართულია სხვა ასპექტებიც, მიუხედავად იმისა, რომ ისინი პირდაპირ არაა გამოხატული. მაგალითად, მნიშვნელობა არ აქვს, ძალადობის აქტები საჯაროა თუ საზოგადოებისაგან დამალული, ვინმეს მოქმედებაზე საპასუხოდ ხორციელდება თუ საკუთარი ინიციატივით, დანაშაულს წარმოადგენს თუ არა კანონის მიხედვით.<sup>11</sup>

საქართველოს სსკ-ის 126<sup>1</sup> მუხლში მოცემული **სისტემატური შეურაცხყოფა** პერსონალური ფსიქოლოგიური ძალადობის ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს. ფსიქიკური ძალადობა არის ისეთი ქმედება, რომელსაც შეუძლია ადამიანის ფსიქიკის მოშლა, ანუ მისი გონებრივი და სულიერი მდგომარეობისთვის ზიანის მიყენება<sup>12</sup>.

შეურაცხყოფის ფორმებად ითვლება ვერბალური ძალადობა, სახის ან სხეულის აგრესიული შესტიკულება, დაცინვა, დაშინება, შანტაჟი და ა.შ.<sup>13</sup> აგრეთვე გინება, რომელიც საქართველოში უნდა ჩაითვალოს ადამიანთა შორის ფსიქიკური ძალადობის განსაკუთრებულ მწვავე ფორმად და ასევე, კონფლიქტის წარმოშობის ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზად (ერთი ადამიანის მიერ მეორე ადამიანის ან მისი ოჯახის წევრების, ნათესავების მიმართ გამოთქმული გინება ხშირად ხდება კრიმინალური კონფლიქტის საფუძველი)<sup>14</sup>.

ერთი ადამიანის მიერ მეორე ადამიანის შეურაცხყოფის ფორმები სხვა ქვეყნებშიც არის

<sup>11</sup> თავართქილაძე, ე. დავითიშვილი, ქ. და სხვები. „ბავშვზე ძალადობის ძირითადი საკითხები“. საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის და მედიცინის განვითარების ფონდი. თბილისი 2011. გვ. 12

<sup>12</sup> Galtung, J. Gewalt, Frieden und Friedensforschung. In: Senghaas, D. (Hrsg). Kritische Friedensforschung. Frankfurt a.M. 1971.

<sup>13</sup> Theunert, H. Gewalt in den Medien \_ Gewalt in der Realität. München 1996.

<sup>14</sup> მ. შალიკაშვილი, -„ძალადობის კრიმინოლოგია“, 2012 წელი, თბილისი. გვ. 19.

ცნობილი, მაგრამ გინების ასეთი სიმწვავით აღქმა მხოლოდ იქ არის, სადაც პირადი ღირსება მაღალია სახელმწიფოებრივ თუ საზოგადოებრივ აზროვნებაზე, ანუ ბევრ ქვეყანაში სიტყვიერი შეურაცხყოფისათვის შესაძლებელია დაზარალებულმა პოლიციას გამოუძახოს და თავიდან აიცილოს კონფლიქტის შემდგომი ესკალაცია (სახელმწიფოებრივი, საზოგადოებრივი აზროვნება), ხოლო ისეთ ქვეყნებში (მათ შორის საქართველოში), სადაც პირადი ღირსების გრძნობა მაღალია, გინების შემთხვევაში თვითონ ცდილობენ ღირსების აღდგენას და ამწვავებენ კონფლიქტს, რაც ხშირად, მძიმე შედეგებით მთავრდება.<sup>15</sup>

აშშ-ში მეცნიერებმა შეისწავლეს აშშ სხვადასხვა რეგიონი და დაასკვნეს, რომ სამხრეთელების ქცევა გამოირჩეოდა ღირსების კულტურით, რომელშიც უმცირესი კამათიც კი რეპუტაციისა და სოციალური სტატუსის შელახვად ითვლებოდა და კონფლიქტით სრულდებოდა.<sup>16</sup>

საქართველოში, გარდა გეოგრაფიული ფაქტორისა, სიტყვიერი შეურაცხყოფის მწვავედ აღქმას შესაძლოა ისტორიული საფუძველიც ჰქონდეს. საუკუნეების განმავლობაში გინება მკაცრად ისჯებოდა. ივ. ჯავახიშვილის თანახმად, თამარ მეფის დროს მეფის პირადად და საჯაროდ შეურაცხყოფისთვის დამნაშავეს სასჯელად დაედებოდა პირველად ენის აღმოკვეთა, ხოლო მერე თავის მოკვეთა<sup>17</sup>. ვახტანგ VI-ის სამართლის მიხედვით (მუხლი 226), თუ გინება კაცთა შორის დიდ მტრობას გამოიწვევს, შემგინებელს მომხდარი სისხლის ნახევარი დაედება გადასახდელად, ხოლო სხვების უსამართლოდ გინებისთვის მოსამართლემ იგი შეიძლება ცემით ან დატუქსვით დასაჯოს.

როგორც ზემოთ აღინიშნა, სისტემატური შეურაცხყოფა (ისევე როგორც ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული სხვა დანაშაულები), მატერიალური შემადგენლობისაა, რაც იმას გულისხმობს, რომ მისი აუცილებელი ელემენტია შედეგის დადგომა, – ტანჯვის სახით, რასაც არ უნდა მოჰყვეს ჯანმრთელობის მძიმე, ნაკლებად მძიმე, ან მსუბუქი დაზიანება. ტანჯვა სამართლოს შეფასების საგანი ხდება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, თუმცა სისტემატურ შეურაცხყოფას, როგორც ფსიქიკური ძალადობის ერთ-ერთ ფორმას, შესაძლებელია მოჰყვეს სხვა სახის ქვეშედეგებიც, კერძოდ: კონცენტრაციის დაქვეითება, საკუთარი აზრის გამოთქმის და არგუმენტირებულობის შეუძლებლობა, სხვის გადაწყვეტილებაზე დამოკიდებულება, დეპრესია, უნდობლობა, შიში, საკუთარ თავში (შესაძლებლობებისადმი) რწმენის დაკარგვა, კონტაქტების დამყარების უნარის დაკარგვა, აპათია და სხვა<sup>18</sup>. ხანგრძლივმა ფსიქიკურმა პრობლემებმა შესაძლებელია პიროვნების ფსიქოსომატური ავადმყოფობა, ფსიქიკის განადგურება და თვითმკვლელობა გამოიწვიოს<sup>19</sup>.

ცხადია, საქართველოს სსკ-ის 126<sup>1</sup> მუხლით არ დაისჯება პირი ერთჯერადი შეურაცხყოფისთვის, დამცირებისთვის და შანტაჟისთვის. ამდენად, პრაქტიკაში სამართლებრივი კვალიფიკაციისთვის მნიშვნელოვანია ერთმანეთისგან გაიმიჯნოს შეურაცხყოფის ერთჯერადი და სისტემატური ფორმები.

ერთჯერადად შეფასდება ისეთი შემთხვევაც, თუ მოძალადე მსხვერპლს ზედიზედ რამდენჯერმე შეურაცხყოფს, მაგალითად, ქმარმა ცოლს რამდენიმე წუთის განმავლობაში აგინა და ლანძღა. ასეთ დროს მთავარია არა შეურაცხყოფელი სიტყვებისა და გინების სიმრავლე, არამედ ის, რომ ქმედება დროის მცირე მონაკვეთში, უწყვეტად განხორციელდა. ერთი კონფლიქტის პირობებში, ერთიანი განზრახვით, ერთმანეთის მიყოლებით განხორციელებული მრავალჯერადი შეურაცხყოფა ერთ შემთხვევად უნდა შეფასდეს და არა სისტემატურ შეურაცხყოფად. შესაბამისად, სისტემატური შეურაცხყოფა არ იქნება სახეზე არც მაშინ, როცა შეურაცხყოფასა

<sup>15</sup> მ. შალიკაშვილი, „ძალადობის კრიმინოლოგია“, 2012 წელი, თბილისი. გვ. 20.

<sup>16</sup> გერიგი, რ. /ზიმბარდო, ფ., ფსიქოლოგია და ცხოვრება. თბილისი 2009. გვ. 759.

<sup>17</sup> ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი 12 ტომად. ტომი VII. გვ. 217.

<sup>18</sup> Theunert, H. Gewalt in den Medien \_ Gewalt in der Realität. München 1996.

<sup>19</sup> იქვე.

და შეურაცხყოფას შორის დროის მცირე ინტერვალი არსებობდა, მაგრამ ისინი განხორციელებული იყო ერთიანი კონფლიქტის ფარგლებში, ერთიანი განზრახვით და ჰქონდა განგრძობითი ხასიათი (მაგალითად, განხორციელდა რამდენიმე სიტყვიერი შეურაცხყოფა ან დროის მცირედი შუალედის არსებობისას განხორციელდა მორიგი შეურაცხყოფა და მას პირველ შეურაცხყოფასთან კავშირში ჰქონდა განგრძობადი ხასიათი).

თუ მეორე შეურაცხყოფა მიყენებული იქნა სხვა საფუძვლით, მაშინ ასეთ დროს განხორციელებული შეურაცხყოფის დამოუკიდებელ შემთხვევასთან გვექნება საქმე, რაც შეიძლება სისტემატური შეურაცხყოფის შემადგენელი ნაწილი გახდეს. მაგალითად, თუ ქმარმა დილით, სამსახურში წასვლამდე ცოლს საუზმის მოუმზადებლობის გამო მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა, ხოლო საღამოს სამსახურიდან დაბრუნების შემდეგ, ცოლი არ დახვდა სახლში და ეს გახდა ახალი კონფლიქტის მიზეზი, რა დროსაც სახლში დაბრუნებულ ცოლს კვლავ მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა, სახეზე გვექნება შეურაცხყოფის ორი დამოუკიდებელი შემთხვევა, რამდენადაც მეორეჯერ განხორციელებულ შეურაცხყოფას, პირველ შეურაცხყოფასთან საერთო არაფერი აქვს და განგრძობად ქმედებად ვერ ჩაითვლება, რადგან მათ შორის ერთიანი ჯაჭვი არ არსებობს და ისინი წარმოშობილია სხვადასხვა მიზეზით, კერძოდ, მეორე პირველის გაგრძელებას არ წარმოადგენს.

სისტემატური შეურაცხყოფის სამართლებრივი კვალიფიკაცია ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დამოუკიდებლად უნდა შეფასდეს და ყურადღება მიექცეს სხვადასხვა გარემოებებს.

მაგალითად, თუ დადგინდება, რომ ქმარმა ერთი დღის განმავლობაში სხვადასხვა მიზეზით ცოლს სამჯერ მიაყენა შეურაცხყოფა, მაგრამ დანარჩენი თანაცხოვრების მანძილზე სხვა დროს არ მიუყენებია, მაშინ ვერ ვიტყვით, რომ მრავალწლიანი თანაცხოვრების მანძილზე ამ სამჯერ განხორციელებული შეურაცხყოფის გამო ქმარი სისტემატურად აყენებდა შეურაცხყოფას ცოლს, მაგრამ თუ დადგინდება, რომ ქმარი ცოლს ყოველდღიურად აყენებდა შეურაცხყოფას, რასაც აქვს მუდმივი ხასიათი ბოლო ერთი თვის განმავლობაში, შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ ადგილი აქვს სისტემატურ შეურაცხყოფას.

იურიდიულ ლიტერატურაში ყველაზე გავრცელებული განმარტების მიხედვით, „შეურაცხყოფა სისტემატურია მაშინ, თუკი იგი ჩადენილია სამჯერ მაინც ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის მიმართ და თანაც დროის მცირე ინტერვალის დაშორებით. ეს იმას ნიშნავს, რომ პირველი შეურაცხყოფისაგან მიყენებული ფსიქიკური ტკივილი ჯერ არაა განელებული და ადგილი აქვს მეორე შეურაცხყოფას, შემდეგ ასევე დროის მცირე მონაკვეთის დაშორებით – მესამეს და ა.შ.“<sup>20</sup>

ამ განმარტების მიხედვით, აქცენტი გადატანილია კუმულაციურად მხოლოდ ორი პირობის არსებობაზე: 1. შეურაცხყოფის რაოდენობაზე და 2. დროის მოკლე ინტერვალში მათ განხორციელებაზე. ამდენად, ხსენებული განმარტების მიხედვით, სისტემატური შეურაცხყოფა იქნება მაშინაც, როცა ქმარი ერთი დღის განმავლობაში, ერთიანი განზრახვით, სამჯერ მიაყენებს ცოლს სიტყვიერ შეურაცხყოფას (დილით, შუადღით და საღამოს), მაგრამ დადგენილია, რომ ეს დღე იყო ერთადერთი დღე მათი მრავალწლიანი თანაცხოვრების მანძილზე და სხვა დროს ქმარს ცოლისთვის შეურაცხყოფა არ მიუყენებია.

იურიდიულ ლიტერატურაში სისტემატური შეურაცხყოფის განსხვავებული განმარტებაც არსებობს, რომელიც შეიძლება უფრო სრულყოფილად ჩაითვალოს. მისი მიხედვით, სისტემატური შეურაცხყოფა სახეზეა მაშინ, როცა შეურაცხყოფა ატარებს ერთგვარ მუდმივ, უწყვეტ, პერმანენტულ ხასიათს, მას ადგილი უნდა ჰქონდეს ხშირად; ეს არ ნიშნავს, რომ შეურაცხყოფა აუცილებლად ყოველდღიურად უნდა ხდებოდეს, არამედ დროის შედარებით მოკლე ინტერ-

<sup>20</sup> ლეკვეიშვილი მ., მამულაშვილი გ., თოდუა ნ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, თბილისი 2019, ტ. 1, გვ. 172.

ვალში უნდა ხორციელდებოდეს და პერმანენტულ ხასიათს ატარებდეს.<sup>21</sup>

ამავე განმარტების მიხედვით, სისტემატური შეურაცხყოფის პირველი ნიშანია ძალადობის სიმრავლე. რაოდენობის თვალსაზრისით, შეურაცხყოფა არ უნდა იყოს სამზე ნაკლები, რადგან ერთხელ ან ორჯერ განხორციელებული შეურაცხყოფა შეუძლებელია მიჩნეულ იქნეს სისტემატურობად, მაგრამ თუ სამჯერ ან მეტჯერ ექნება მას ადგილი, ეს იქნება სისტემატურობის პირველი ნიშანი.

მეორე ნიშანია დროის ინტერვალი. ყოველ მომდევნო შეურაცხყოფას შორის ინტერვალი არ უნდა აღემატებოდეს ერთ თვეს, რადგან თუ იგი თვიდან თვემდე უფრო დიდ ინტერვალში ხორციელდება, შეუძლებელი იქნება იმის მტკიცება, რომ წინა შეურაცხყოფიდან მორიგ შეურაცხყოფამდე ჯერ კიდევ არ იყო განელებული ფსიქიკური ტკივილი. „გაუნელებლობა“ მნიშვნელოვანია იმით, რომ რამდენჯერმე განცდილმა ფსიქიკურმა ტკივილმა უნდა მიაღწიოს ტანჯვის ხარისხს, რაც სწორედ სისტემატურ შეურაცხყოფას უნდა მოჰყვეს. სისტემატური შეურაცხყოფისთვის ტანჯვის გამომწვევა აუცილებელია, როგორც ზედიზედ რამდენჯერმე მიყენებული ფსიქიკური ტკივილის ჯამური შედეგი. ამდენად ყოველ ჯერზე განხორციელებული შეურაცხყოფა თუ მხოლოდ ფსიქიკურ ტკივილს იწვევს და მორიგ შეურაცხყოფამდე ისეთი დროა გასული, რაც მის განელებას იწვევს, ვერ მიაღწევს იგი იმ ხარისხის ტკივილს, რომელიც ტანჯვად აქცევს მას.

სისტემატური შეურაცხყოფის მესამე ნიშანია ძალადობის ინტენსივობა, როცა მას აქვს ხშირი, მუდმივი, უწყვეტი ხასიათი. შეურაცხყოფა უნდა ქმნიდეს ერთგვარ სისტემურ ჯაჭვს, რადგან მხოლოდ დროის მოკლე ინტერვალში ჩადენილი რამდენიმე შეურაცხყოფა ვერ მიაღწევს სისტემატური შეურაცხყოფის ხარისხს, თუ მას არ ახასიათებს ერთგვარი უწყვეტობა, განმეორებითობა და სიხშირე.<sup>22</sup>

სასამართლო პრაქტიკაში მსხვერპლები თავიანთ ჩვენებაში სისტემატური შეურაცხყოფისა და დამცირების შესახებ შემდეგნაირად უთითებენ:

**თბილისის საქალაქო სასამართლოს №1/4919-18 საქმეზე**, რომელზეც 2019 წლის 16 აპრილს გამამტყუნებელი განაჩენი დადგა სისტემატური შეურაცხყოფის ფაქტზე, დაზარალებული განმარტავს, რომ „ქორწინების პერიოდში მეუღლე ხშირად აყენებდა სიტყვიერ შეურაცხყოფას. ზოგჯერ ბრალდებული მას არ აძლევდა საწოლში დაძინების უფლებასაც, რის გამოც დაზარალებული იძინებდა იატაკზე.“

**თბილისის საქალაქო სასამართლოს №1/5497-18 საქმეზე**, რომელზეც 2019 წლის 10 აპრილს გამამტყუნებელი განაჩენი დადგა სისტემატური შეურაცხყოფის ფაქტზე, დაზარალებული განმარტავს, რომ „მეუღლის მხრიდან მის მიმართ სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენებას ხშირად ჰქონდა ადგილი. ბრალდებული მას ეუბნებოდა, „რახან გათხოვდი, მოითმინე“. სიმთვრალეში ბრალდებული მის მიმართ არაადეკვატური და აგრესიული ხდებოდა. საზოგადოებაში, სუფრაზე ყოფნის დროს თუ გაიცინებდა, ბრალდებული ეტყოდა, - „ეხლა მოგხვდება ყურის ძირში“. იგი ხშირად ეძახდა მას „იდიოტს“, „დებილს“ და სხვა დამამცირებელ სიტყვებს, რასაც არც სხვების თანდასწრებით ერიდებოდა“.

**თბილისის საქალაქო სასამართლოს №1/4424-18 საქმეზე**, რომელზეც 2019 წლის 27 თებერვალს გამამტყუნებელი განაჩენი დადგა სისტემატური შეურაცხყოფის ფაქტზე, დაზარალებული უთითებს, რომ „ბოლო წელიწად ნახევრის განმავლობაში, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ბავშვი შეეძინათ, ბრალდებული მის მიმართ გახდა აგრესიული და თითქმის ყოველდღე აყენებდა სიტყვიერ შეურაცხყოფას“.

**თბილისის საქალაქო სასამართლოს №1/3243-18 საქმეზე**, რომელზეც 2019 წლის 5 თებერ-

<sup>21</sup> კოჭლამაზაშვილი ბ., „ოჯახში ძალადობის საქმეებზე კვალიფიკაციის პრობლემური ასპექტები“, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, №2, 2019. გვ. 44-45.

<sup>22</sup> იქვე, გვ. 46.

ვალს გამამტყუნებელი განაჩენი დადგა სისტემატური შეურაცხყოფის ფაქტზე, დაზარალებული უთითებს, რომ „2018 წლის აპრილის თვეში, მას შემდეგ, რაც ბრალდებულმა შეიტყო მისი ორსულების შესახებ, მის მიმართ უფრო აგრესიული გახდა. იგი ეჭვიანობდა, რომ ბავშვი მისი არ იყო და როდესაც ალკოჰოლური სასმელით დათვრებოდა, მას ყოველთვის აყენებდა სიტყვიერ შეურაცხყოფას, ფსიქოლოგიურად ძალადობდა და დედას აგინებდა. მსგავსი ფაქტები ხდებოდა თვეში ორჯერ ან სამჯერ. 2018 წლის აპრილის თვის ბოლოს ისინი საცხოვრებლად ქირით გადავიდნენ სხვა მისამართზე. ბრალდებული არც ამჯერად იკავებდა თავს და მას კვლავ ხშირად აყენებდა სიტყვიერ შეურაცხყოფას, მათ შორის დედამისის თანდასწრებითაც“.

**თბილისის საქალაქო სასამართლოს №1/3723-18 საქმეზე**, რომელზეც 2018 წლის 22 ოქტომბერს გამამტყუნებელი განაჩენი დადგა სისტემატური შეურაცხყოფის ფაქტზე, დაზარალებული უთითებს, რომ „დაოჯახების შემდეგ, თანაცხოვრებისას ბრალდებულმა მის მიმართ ცუდი ხასიათი გამოამჟღავნა, კერძოდ, მას ხშირად აყენებდა სიტყვიერ შეურაცხყოფას. მსგავსი ფაქტი ზოგჯერ დღეში ორჯერ ან სამჯერ ხდებოდა“.

სისტემატური შეურაცხყოფის ოჯახში ჩადენილ დანაშაულად განსაზღვრას თავისი ახსნა აქვს და გამართლებულია იმით, რომ ოჯახში ჩადენილი ძალადობა განსაკუთრებული სიმძიმის ქმედებაა, რაც ზოგადი პრობლემაა, რომელიც ყოველთვის არ ჩანს ზედაპირზე, რადგან ის ხდება პირად ურთიერთობებში ან დახურულ წრეებში და ამის შედეგად მხოლოდ ქალები არ ზარალდებიან, რეალურად ამ ფენომენის შედეგად ხშირად ზარალდებიან ბავშვებიც, პირდაპირ თუ არაპირდაპირ<sup>23</sup>. ასევე ქმედებას ამძიმებს ის ფაქტი, რომ მოძალადე და მსხვერპლი როგორც ოჯახის წევრები, ერთმანეთის ახლობლები არიან, ხოლო ახლობლის მიერ მიყენებული შეურაცხყოფა ფსიქიკურად შეიძლება უფრო მტკივნეული იყოს, ვიდრე სხვა პირისგან.

ამის მიუხედავად, მაინც ჩნდება ლოგიკური კითხვა, – რატომ არ წარმოადგენს დანაშაულს არაოჯახის წევრის მიმართ ჩადენილი ანალოგიური ქმედება, თუ მსხვერპლი განიცდის იგივე სახის ზიანს (ტანჯვას), რაც მითითებულია სსკ-ის 126<sup>1</sup> მუხლში?

მაგალითად, სამსახურში, სადაც ადამიანები ხშირ შემთხვევაში უფრო მეტ დროს ატარებენ, ვიდრე ოჯახში, ერთი პირი შესაძლოა სისტემატურ შეურაცხყოფას აყენებდეს მეორეს, რითაც ეს უკანასკნელი განიცდიდეს ტანჯვას. ამ ქმედებას შეიძლება პასუხისმგებლობის სახით მხოლოდ დისციპლინური სახდელი მოჰყვეს. გარდა ამისა, მსგავსი ქმედებები შესაძლოა ჩადენილი იქნეს სამეზობლოში, სკოლაში, ციხეში, სასწავლებელში. ფსიქოლოგიურ მეცნიერებაში სამუშაო ადგილას და სკოლაში განხორციელებულ ფსიქო-ტერორს ბულინგისა და მობინგის სახელით იცნობენ, რასაც ხშირ შემთხვევაში მძიმე შედეგები მოსდევს.<sup>24</sup> საზოგადოების ნაწილი ძალადობაში ვერ კიდევ ფიზიკურ ძალადობას გულისხმობს და ავინყდება ან არ იცის, რომ ხშირად ფსიქიკურ ძალადობას ადამიანისთვის უფრო მძიმე და ხანგრძლივი პრობლემის მოტანა შეუძლია, ვიდრე ფიზიკურს.

საინტერესოა, აღნიშნული საკითხის ღიად დატოვება რამდენად არის კანონმდებლის მიერ ლიბერალიზაციის გამოვლინება, რადგან შესაძლოა კანონმდებელმა ზოგადად ლიბერალური პოზიცია აირჩია ფსიქოლოგიური ძალადობის ამ ფორმაზე.

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად ყურადღება უნდა გავამახვილოთ სხვადასხვა გარემოებებზე, მათ შორის სასჯელზე. სსკ 126<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილი სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ორ წლამდე ვადით, ხოლო მეორე ნაწილი – თავისუფლების აღკვეთას ერთიდან სამ წლამდე.

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ სახელმწიფომ ქმედების კრიმინალიზაციის ეტაპზე უნდა გადაწყვიტოს დანაშაულისა და სასჯელის შესაბამისობის საკითხი. კერძოდ, სისხლის სამართ-

<sup>23</sup> მითითებული განმარტება მოცემულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებაში საქმეზე ოპუზი თურქეთის წინააღმდეგ (Opuz v. Turkey, No. 33401/02, 9.06.09)

<sup>24</sup> ვრცლად ბულინგისა და მობინგის შესახებ იხ. მ. შალიკაშვილი, -„ძალადობის კრიმინოლოგია“, 2012 წელი, თბილისი. გვ. 162-178.

ლის კანონში გათვალისწინებული უნდა იქნეს ყოველი დანაშაულისა და მისი შემადგენლობის შესატყვისი (პროპორციული) სასჯელის ამ დანაშაულის სოციალური საშიშროების გათვალისწინებით, რათა მოსამართლემ შესძლოს, დანიშნოს სამართლიანი სასჯელი.<sup>25</sup> სამართლიანობის პრინციპი მიმართულია არა მარტო მოსამართლეზე, არამედ პირველ რიგში – კანონმდებელზე და მისი საფუძველი არის ქმედების სოციალური საშიშროების შესატყვისი ანუ პროპორციული სასჯელის დანესება სისხლის სამართლის შესაბამისი მუხლით.

შესაბამისად, მართალია სისტემატური შეურაცხყოფა ოჯახის ფარგლებს მიღმა დანაშაულად საერთოდ არ ითვლება, თუმცა ძნელია კანონმდებლის ლიბერალურ პოზიციაზე მსჯელობა, როდესაც ოჯახის წევრებს შორის ჩადენილი იგივე ქმედება მაკვალიფიცირებელ გარემოებებში სასჯელის სახით ითვალისწინებს სამი წლით თავისუფლების აღკვეთას.

ხშირია შემთხვევა, როცა კანონმდებლის ავტორიტარული და ლიბერალური მოდელი ზოგ ქვეყანაში ერთმანეთს ერწყმის. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ზოგჯერ იქმნება ვითარება, როცა მოცემული ქვეყანა ლიბერალურია რომელიმე ასპექტში, ხოლო ავტორიტარულია სხვა საკითხთან დაკავშირებით.<sup>26</sup> მოცემულ შემთხვევაში, უდავო ფაქტს წარმოადგენს, რომ ოჯახში ჩადენილ ყველა დანაშაულთან დაკავშირებით საქართველოს სახელმწიფოს აქვს მკაცრი სისხლისსამართლებრივი პოლიტიკა. შესაბამისად, კანონმდებელს სისტემატური შეურაცხყოფის მიმართ რომ ჰქონოდა ლიბერალური პოზიცია, იგი არც ოჯახში ჩადენილი სისტემატური შეურაცხყოფისთვის დაადგენდა სასჯელის სახით ორ წლამდე (მეორე ნაწილის შემთხვევაში სამი წლით) თავისუფლების აღკვეთას. ამ რაკურსიდან კიდევ უფრო ღრმავდება შეკითხვა: თუ ქმედება ჩვეულებრივ ვითარებაში საერთოდ არ მიიჩნევა დანაშაულად, რატომ ისჯება ის ოჯახში ჩადენის შემთხვევაში?

სსკ 126<sup>1</sup> მუხლით გათვალისწინებული სისტემატური შეურაცხყოფა უნდა დავაკავშიროთ სსკ 115 მუხლში (თვითმკვლელობამდე მიყვანა) მოცემულ პატივის ან ღირსების სისტემატურ დამცირებასთან, რომელიც დანაშაულის ჩადენის ერთ-ერთ ხერხს წარმოადგენს. მსხვერპლის თვითმკვლელობამდე ან თვითმკვლელობის ცდამდე მიყვანა სისხლისსამართლებრივად ისჯება თუ იგი ჩადენილია მუქარით, სასტიკი მოპყრობით ანდა მისი პატივის ან ღირსების სისტემატური დამცირებით. ქმედების 115-ე მუხლით კვალიფიკაციისთვის მნიშვნელობა არ აქვს, რა დამოკიდებულება იყო დამნაშავესა და მსხვერპლს შორის (პირადი, სამსახურებრივი, მატერიალური თუ სხვა). თვითმკვლელობამდე ან მის მცდელობამდე მიყვანის ხერხი – პატივისა და ღირსების სისტემატური დამცირება, განსხვავებით სხვა ხერხებისა (მუქარა და სასტიკი მოპყრობა), დამოუკიდებელ პირობებში სისხლისსამართლებრივად დასჯად ქმედებას არ წარმოადგენს.

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგადად შედეგიანი დანაშაულები შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად:

1. ისეთი შედეგიანი დანაშაული, რომლის დამთავრებულად ცნობისთვის აუცილებელია კანონით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომა. ამდენად, თუ ქმედებამ ეს შედეგი არ გამოიწვია, სახეზე არ გვაქვს დამთავრებული დანაშაული, არამედ დანაშაულის დაუმთავრებელი შემადგენლობა. ასეთია მაგალითად, მკვლელობა, რომელიც დამთავრებულია მაშინ, როცა დადგება მართლსაწინააღმდეგო შედეგი (სიკვდილი). სხვა შემთხვევაში სახეზეა მკვლელობის მომზადება, ან მისი მცდელობა.

2. არსებობს ისეთი შედეგიანი (მატერიალური) დანაშაული, რომლის არა დამთავრებულად ცნობის საკითხი, არამედ მისი დასჯადობის საკითხია დაკავშირებული (მიბმული) კანონით გათვალისწინებულ მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომასთან.<sup>27</sup> ეს იმას ნიშნავს, რომ თუ ამ ქმედებას ეს შედეგი არ მოჰყვა, პირს არ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგე-

<sup>25</sup> გ. ნაჭყებია, სისხლის სამართლის ზოგანი ნაწილი, სახელმძღვანელო, თბ. 2007, გვ. 32.

<sup>26</sup> ჟან პრადელი, შედარებითი სისხლის სამართალი, რედ. პროფ. თ. ნინიძე, გვ. 88.

<sup>27</sup> ამ საკითხზე იხ. სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, ავტ. კოლექტივი, თბ. 2007, გვ. 173.

ბლობა, რადგან სახეზე არაა დანაშაული, თუმცა შეიძლება იყოს სხვა სამართალდარღვევა (მაგალითად ადმინისტრაციული, სამოქალაქო ან დისციპლინური). ასეთ დროს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა გამორიცხულია დაუმთავრებელი დანაშაულისთვის (მომზადების ან მცდელობის) შესაბამისად, მართალია სახეზეა შედეგიანი დანაშაული, მაგრამ მას არ ახასიათებს მომზადების და მცდელობის სტადია.

სწორედ ასეთ დანაშაულთა რიცხვს ეკუთვნის სსკ 151 მუხლი (თვითმკვლელობამდე მიყვანა), რომლის დასჯადობა მიბმულია მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომასთან – მსხვერპლის თვითმკვლელობასთან ან თვითმკვლელობის მცდელობასთან. ამიტომ, ტანჯვის განცდა, თავის მოკვლის განზრახვა, თვითმკვლელობისათვის მზადება, წერილის დატოვება და სხვა ამგვარი ქმედება არ ქმნის სსკ 115-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობას.<sup>28</sup> შესაბამისად, თუ პატივისა და ღირსების სისტემატურ დამცირებას შედეგად არ მოჰყვება მსხვერპლის თვითმკვლელობა ან თვითმკვლელობის მცდელობა, იგი დანაშაულად არ ჩაითვლება.

შედეგის გარდა, განსხვავება სსკ 151-ე მუხლით გათვალისწინებულ ღირსების და პატივის სისტემატურ შეურაცხყოფასა და სსკ 126<sup>1</sup> მუხლით გათვალისწინებულ სისტემატურ შეურაცხყოფას შორის მდგომარეობს დანაშაულის სუბიექტის მიერ შედეგისადმი (თვითმკვლელობამდე მიყვანისადმი) მის განზრახვაში. პირველ შემთხვევაში დანაშაულის სუბიექტს მსხვერპლის მიერ თვითმკვლელობამდე მიყვანის პირდაპირი ან ევენტუალური განზრახვა აქვს, ხოლო მეორე შემთხვევაში დამნაშავეს ასეთი შედეგის განზრახვა არ გააჩნია.

აქვე ძალიან საინტერესოა კანონმდებლის ნება ხსენებულ დანაშაულთა სასჯელებთან მიმართებით. სსკ 151-ე მუხლის პირველი ნაწილი სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ვადით ორიდან ოთხ წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ. ანუ სსკ 151-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ღირსების და პატივის სისტემატური შეურაცხყოფისთვის, რომელიც შესაძლოა ასევე ჩადენილი იქნეს ოჯახის წევრის მიმართ, პირს მაქსიმალური სასჯელის სახით შეიძლება განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით, რაც 2 წლით აღემატება სსკ 126<sup>1</sup> მუხლით გათვალისწინებული სასჯელის მაქსიმალურ ზომას. შედეგი კი ერთ შემთხვევაში შეიძლება იყოს ადამიანის სიცოცხლის მოსპობა, მეორეში კი – ადამიანის მიერ განცდილი ტანჯვა. დანაშაულის შედეგებს შორის სხვაობა საკმაოდ დიდია, რასაც ვერ ვიტყვით მათი ჩადენისთვის დადგენილი მაქსიმალური სასჯელების ზომებზე. დანაშაულის ჩადენის ხერხი ორივე შემთხვევაში შეიძლება იყოს ანალოგიური – სისტემატური შეურაცხყოფა. მიუხედავად ამ ყველაფრისა, სისტემატური შეურაცხყოფა, რომელიც შეიძლება ჩადენილი იქნეს მართლსაწინააღმდეგოდ და ბრალეულად და მას შედეგად მოჰყვეს ადამიანის ტანჯვა, არ წარმოადგენს დანაშაულს, ვინაიდან იგი არ არის სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ქმედება.

ზოგადად, ქმედების კრიმინალიზაცია-დეკრიმინალიზაციის საკითხის განხილვისას კანონმდებელმა პირველ რიგში უნდა გაითვალისწინოს ქმედების საშიშროება. ამდენად, მან ისეთი ქმედება უნდა გამოაცხადოს დანაშაულად, რომელიც არსებით ზიანს იწვევს ან შეიცავს რეალურ საფრთხეს პიროვნების, საზოგადოებისა თუ სახელმწიფოსათვის.<sup>29</sup>

გამომდინარე აქედან, სწორადაა აღნიშნული იურიდიულ ლიტერატურაში, რომ როცა ესა თუ ის ქმედება ფასდება, როგორც დანაშაულებრივი აქტი, ეს წარმოადგენს სახელმწიფოს რეაქციის ფორმას საზოგადოებრივად საშიშ ქმედებაზე, რაც თავის მხრივ არის კრიმინალიზაციის პირველი ეტაპი.<sup>30</sup>

<sup>28</sup> ლეკვეიშვილი მ., მამულაშვილი გ., თოდუა ნ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, თბილისი 2019, ტ. 1, გვ. 98.

<sup>29</sup> გ. ტყემულიაძე, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო. თბ. 2007, გვ. 57.

<sup>30</sup> ნ. თოდუა. ქმედების კრიმინალიზაცია-დეკრიმინალიზაციის საკითხები საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, წიგნში – სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში.

ასევე არსებობს სისხლის სამართლის პოლიტიკის ორი უმნიშვნელოვანესი ასპექტი: სამართალდარღვევის წრიდან იმ ქმედებათა გამოცალკეება, რომლებიც დანაშაულებრივ რანგში უნდა იქნეს აყვანილი და მეორე, მათ წინააღმდეგ საბრძოლველად სისხლის სამართლის კანონის გამოყენება. ამდენად, დანაშაულად არ შეიძლება გამოცხადდეს ყოველგვარი სამართალდარღვევა. სწორედ ასეთი მიდგომით გამოიხატება სისხლის სამართლის ფრაგმენტული ბუნება. კერძოდ, კანონმდებელი საშიშ ქმედებათა საერთო მასიდან შეარჩევს ისეთ ქმედებას და გამოაცხადებს მას დანაშაულად, რომლის წინააღმდეგაც სასჯელის გამოყენება პრაქტიკულ ეფექტს მოგვცემს.<sup>31</sup>

კრიმინალიზაციის შესაძლებლობის ფართედ გამოყენება რომ დაუშვებელია, ამ საკითხზე ფუნდამენტური ნაშრომები იწერება საერთო სამართლის ქვეყნებშიც. მაგალითად, ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორი დუგლას ჰუსაკი აღნიშნავს, რომ დღეს ამერიკაში ჩვენ გვაქვს ზედმეტად ბევრი სასჯელი და ძალიან ბევრი დანაშაული. ჩვენ ვსჯით ზედმეტად, ან ზედმეტ კრიმინალიზაციას ვახდენთ... იურიდიული ფილოსოფოსისათვის კი სამართლიანობა წარმოადგენს ყველაზე რელევანტურ სტანდარტს... ის ფაქტი, რომ ჩვენ გვაქვს ამდენად დიდი სასჯელები და ასევე ამდენი დანაშაულები, არის ის პრობლემა, რომ უნდა დავიწყოთ ფიქრი იმაზე, თუ რაოდენ დიდი და გადაუდებელი ნორმატიული ამოცანა დგას ჩვენს წინაშე. გონიერმა ადამიანმა არ უნდა გამორიცხოს, რომ მსგავსი სიდიდის სასჯელები და ამდენი რაოდენობა სისხლის სამართლის საქმეებისა, მიგვიყვანს იქამდე, რომ შეუძლებელი გახდება გამართლება.<sup>32</sup>

ამდენად, გაუმართლებელმა კრიმინალიზაციამ შესაძლოა ხელოვნურად გაზარდოს ქვეყანაში დანაშაულთა რაოდენობა, რასაც თავისი უარყოფითი შედეგი მოაქვს. ასევე შესაძლებელია ახალი დანაშაულების გაჩენას სასამართლო პრაქტიკაში ნორმათა კონკურენციის პრობლემაც მოჰყვეს.

მოცემულ შემთხვევაში, სისტემატურ შეურაცხყოფას, როგორც ზემოთ აღინიშნა, შედეგად შეიძლება მოჰყვეს როგორც ადამიანის ტანჯვა, ასევე მისი თვითმკვლელობამდე მიყვანაც, რაც მათი გამოვლენის სიმრავლის გათვალისწინებით, არსებითად ზიანის მომტანია პიროვნებისა და საზოგადოებისთვის. შესაბამისად, სისტემატური შეურაცხყოფის სსკ 126<sup>1</sup> მუხლის კონტექსტში მოთავსება, შეიძლება პირველი ნაბიჯი გახდეს მომავალში ამ ქმედების ნახევრად კრიმინალიზაციისთვის.

## დასკვნა

ნაშრომში განხილული იქნა სისტემატური შეურაცხყოფის შემადგენლობა საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, მისი განხორციელების ფორმები და შედეგები.

სისტემატური შეურაცხყოფა, როგორც ოჯახში ჩადენილი ფსიქოლოგიური ძალადობის სახე, ერთ-ერთი საფრთხის შემცველი ქმედებაა, რომელიც ნამდვილად იმსახურებდა სისხლის სამართლის კანონმდებელთა ყურადღებას. თუ გადავხედავთ

შსს მონაცემებს ოჯახში ჩადენილ ფსიქოლოგიურ ძალადობებთან დაკავშირებით, სისტემატური შეურაცხყოფის დასჯადობის ლეგიტიმაცია ეჭვს არ უნდა იწვევდეს.

გარდა მოსალოდნელი საფრთხის პრევენციისა, სისტემატური შეურაცხყოფის დასჯადობა იმ ფსიქოლოგიური ზიანის პასუხია, რაც ამ ქმედების შედეგად ადგება ოჯახის დაზარალებულ წევრს ტანჯვის, კონცენტრაციის დაქვეითების, საკუთარი აზრის გამოთქმის და არგუმენტირებულობის შეუძლებლობის, სხვის გადაწყვეტილებაზე დამოკიდებულების, დეპრესიის, უნდობ-

ველოში, თბ. 2016, გვ. 143.

<sup>31</sup> ო. გამყრელიძე, სისხლის სამართლის პრობლემები, ტომი მე-3, თბ. 2013, გვ. 21.

<sup>32</sup> Overcriminalization, The Limits of the Criminal Law, Douglas Husak, OXFORD University Press, 2008. P.4.

---

ლობის, შიშის, საკუთარ თავში (შესაძლებლობებისადმი) რწმენის დაკარგვის, კონტაქტების დამყარების უნარის დაკარგვის, აპათიის და სხვა სახით.

ამდენად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126<sup>1</sup> მუხლში სისტემატური შეურაცხყოფის დამოუკიდებელ დანაშაულად ჩამოყალიბება დადებითად უნდა შეფასდეს, მაგრამ ამავედროულად უნდა აღინიშნოს, რომ კანონმდებელმა ასევე პასუხი უნდა გასცეს იმ მსხვერპლთა ფსიქოლოგიურ ზიანს, რომლებიც სისტემატური შეურაცხყოფის შედეგად იქნა მიღებული იმ პირის მიერ, რომელიც მსხვერპლის ოჯახის წევრი არ არის.

## სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით

გელა ტყეშელაშვილი

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ადვოკატი (სპეციალიზაცია: საერთო, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება) ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი

### შესავალი

ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა შორის, მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ისეთი დანაშაული, როგორცაა სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით. ის სხვა დანაშაულთაგან განსხვავდება თავისი გამორჩეული სამართლებრივი ხასიათით. მისი თავისებურება გახლავთ ის, რომ განზრახ მკვლელობასა და გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობას შორის ზღვრის გავლება ხდება ძალიან ფრთხილად, კონკრეტული ქმედების სუბიექტური და ობიექტური მხარეების შესწავლის გზით, რაც საბოლოოდ სწორი კვალიფიკაციის საშუალებას იძლევა.

თანამედროვე მსოფლიოსათვის პრიორიტეტულია ადამიანის უფლებათა დაცვა, რადგან თვით ადამიანი, მისი უფლებები და თავისუფლებები (სიცოცხლე, ჯანმრთელობა, ცხოვრება, თავისუფლება, ღირსება და სხვა) მაღალი ღირებულებით გამოირჩევა. ამ უფლებების (ღირებულებების) დაცვა კი სახელმწიფოს ვალდებულებაა, რასაც ეს უკანასკნელი, სხვადასხვა გზით ახორციელებს, მათ შორის სისხლის სამართლებრივი კანონმდებლობით დადგენილი წესების მეშვეობით. ჩამოთვლილ უფლებათაგან უპირველესია ადამიანის სიცოცხლის უფლება, როგორც ფუნდამენტური სოციალური ღირებულების მატარებელი უფლება<sup>1</sup>.

თემის აქტუალობას განაპირობებს განსახილველი საკითხის პრობლემურობა იმდენად, რამდენადაც განსახილველი დანაშაულის ობიექტია ადამიანის სიცოცხლე და ეს უკანასკნელი კი დანაშაულის ობიექტად გვევლინება, არა მხოლოდ იმ კვალიფიკაციისათვის როგორცაა სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით, არამედ განზრახ მკვლელობის დროსაც. აქედან გამომდინარე, განზრახვის სწორად შეფასება, მხოლოდ კონკრეტული მოცემულობის ზედმიწევნით შესწავლისა და საკანონმდებლო იმპერატივების სწორად გაანალიზების გზით არის შესაძლებელი. რადგან დანაშაულის თანამდევია სასჯელი და განზრახვის სწორად შეფასების გზით კი მივიღებთ სწორ კვალიფიკაციამდე, ამიტომ ასეთი პროცედურების დაცვით დანიშნული სასჯელი მოემსახურება სამართლიანობის აღდგენას და იგი დასჯის მექანიზმად არ გადაიქცევა.

როგორც ჩემთვის, ასევე ყველა პრაქტიკოსი იურისტისათვის, თემის აქტუალობას ასევე განაპირობებს არსებული პრაქტიკა, რომელიც ცხადყოფს, რომ საზოგადოებისა და სახელმწიფოს ყურადღება პირველ რიგში გადატანილია განზრახ დანაშაულებზე და ამ ფონზე, ხშირ შემთხვევაში სახეზეა ქმედების გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობად შერაცხვის კრიტერიუმების სწორად გამოყენებისა და შეფასების პრობლემები იმ თვალსაზრისით, რომ სამართალწარმოების განხორციელების დროს სიტუაციას სათანადო დონეზე ვერ აფასებენ. განსახილველი ქმედება ხდება თვითიმედოვნებით ან დაუდევრობით და პრაქტიკაში არაერთხელ შეგვხვედრია, რომ სახეზე ყოფილა სიცოცხლის მოსპობის ფაქტი (მნიშვნელობა არა აქვს დაუდევრობით მოისპო სიცოცხლე თუ თვითიმედოვნებით), თუმცა ხშირ შემთხვევაში სამარ-

<sup>1</sup> Лаврин А. Энциклопедия смерти (Хроники Харона), М, 1993. Стр. 11.

თაღწარმოების დროს მთავარ ადგილს იკავებს შედეგი და არა მოტივი, რაც გაუმართლებელია. პრაქტიკა ასევე ცხადყოფს, რომ არის შემთხვევები, როდესაც ქმედება არ შეიცავს განზრახვის ნიშნებს (ან პირიქით), თუმცა შეფასება ხდება საპირისპიროდ და სასამართლოს ყურადღების სფეროში ექცევა მხოლოდ ქმედების შედეგი მოტივის დადგენისა და შეფასების გარეშე. ეს კი დაუშვებელია, რადგან ასეთ მიდგომას საბოლოოდ მივყავართ უსამართლო ვერდიქტამდე.

ნაშრომის მიზანია, გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობის, როგორც ინსტიტუტის დახასიათება, რათა დანაშაულის ჩადენის მიზეზები, პირობები, და მექანიზმები გამოვლინდეს, რაც ნაშრომში განხორციელებულია საკანონმდებლო მოცემულობის ანალიზის, არსებული პრაქტიკის შესწავლისა და მეცნიერული კვლევის გზით, რომლის საფუძველზეც გაცემულია კონკრეტული რეკომენდაციები.

კვლევის საგანია სისხლის სამართლის კანონმდებლობით რეგლამენტირებული ნორმები და სასამართლო პრაქტიკა გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობისათვის.

კვლევის მეთოდოლოგიური საფუძვლებია ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი, სინთეზი, ისტორიული, შედარებითი სამართლებრივი და სტატისტიკური მეთოდები, ხოლო ნორმატიული საფუძვლებია საქართველოს კონსტიტუცია, სისხლის სამართლის კანონმდებლობა, საერთაშორისო და სხვა საკანონმდებლო აქტები.

კვლევას თეორიულ საფუძვლად უდევს საკითხთან დაკავშირებული სამეცნიერო კვლევები, სტატიები, საკონფერენციო მასალები.

## 1. გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობის ზოგადი მიმოხილვა

სისხლის სამართალი და კანონმდებლობა გარკვეული უფლებრივი შეგნების ნაყოფია და გარკვეული სისტემის განსახიერებას წარმოადგენს<sup>2</sup>.

სისხლის სამართალში არსებული ნორმებიდან და ასევე ინსტიტუტებიდან (დანაშაულის, სასჯელის, ბრალის, თანამონაწილეობის, მცდელობის და სხვა) ნათლად ჩანს ჩვენი საზოგადოების სოციალური სტრუქტურა და პრობლემურ საკითხებზე სახელმწიფოს ორიენტირება. აქედან გამომდინარე სახეზეა, რომ სისხლის სამართალში, შესწავლის თვალსაზრისით, პრიორიტეტულად მიიჩნევა დანაშაულები ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ. აღნიშნულს ასევე მოწმობს არაერთი სამეცნიერო კვლევა, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია ვიმსჯელოთ დასმულ საკითხზე. მკვლევლობის ჩადენის ხერხისა და საშუალების მრავალფეროვნება, მისი სირთულე და ძალადობრივი ხასიათი განაპირობებს საკითხის სიღრმისეული შესწავლის აუცილებლობას, რათა განვასხვაოთ მკვლევლობა ისეთი ქმედებისაგან, როდესაც მასში შერეულია გაუფრთხილებლობის კომონენტები ანუ ის შემთხვევა, როდესაც ქმედების შედეგია მძიმე – სიცოცხლის მოსპობა, თუმცა ამ მძიმე შედეგს სუბიექტის განზრახვა არ მოიცავდა, მაგრამ ის დადგა გაუფრთხილებლობის შედეგად.

გაუფრთხილებლობა, თავისთავად გვევლინება ბრალის დამოუკიდებელ ფორმად, რომელიც განსხვავდება განზრახვისაგან და დაკავშირებულია დამნაშავე პირის ნეგატიური დამოკიდებულების მიხედვით დამდგარ შედეგთან. მიუხედავად იმისა, რომ მძიმე შედეგს სუბიექტის განზრახვა არ მოიცავს და შედეგი გამოწვეულია გაუფრთხილებლობით, ასეთი ვითარება ქმედების შემადგენლობაში ბრალის ერთი ფორმით გაუფრთხილებლობით (და არა განზრახვით) აღინიშნება, რადგან განზრახვაც და გაუფრთხილებლობაც არის ბრალის ფორმები<sup>3</sup> და განზრახვას, როგორც წმინდა ფსიქოლოგიურ კატეგორიას, რომელიც ქმედების ელემენტია,

<sup>2</sup> ქართული სამართლის ისტორია, ნიგნი მეორე, ნაკვეთი მეორე, ტფილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა 1929, გვ. 165.

<sup>3</sup> გ. ნაჭყებია. დანაშაული ბრალის ორი ფორმით. თსუ. სამართლის ჟურნალი №1, 2009, გვ. 26.

შეფასება სჭირდება და ეს შეფასება უნდა მოხდეს ბრალის დადგენის დროს<sup>4</sup>, რადგან მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობით მართლსაწინააღმდეგო ქმედებისათვის პასუხისმგებლობა ბრალის გარეშე დაუშვებელია<sup>5</sup>. ბრალი კი შეიძლება განისაზღვროს როგორც მოვალეობისადმი სუბიექტის უპასუხისმგებლო დამოკიდებულებად, რომელიც ანტისაზოგადოებრივი ქმედების ჩადენით ვლინდება<sup>6</sup>.

იმდენად, რამდენადაც სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად მკვლელობა არ ხდება განზრახვის გარეშე, ქმედებას, რომელიც მოხდა შემთხვევით და შედეგად მოჰყვა ადამიანის სიკვდილი, ვერ მივანერთ მკვლელობათა რიცხვს, რადგან მათ შორის განსხვავება სწორედ გაუფრთხილებლობაა. ამიტომაცაა, რომ გაუფრთხილებლობით სიციოცხლის მოსპობა ამოვარდნილია იმ დანაშაულთა რიცხვიდან, რომელსაც კანონმდებელი უწოდებს მკვლელობას. განსახილველი დანაშაულებრივი ქმედება შესაძლებელია გამოვლენილი იყოს, როგორც თვითმედოვნებით, ასევე დაუდევრობით.

თვითმედოვნების დროს დამნაშავეს გაცნობიერებული აქვს ზოგადად ის ფაქტი, რომ მის ქმედებას შესაძლებელია მოჰყვეს სასიკვდილო შედეგი, თუმცა უსაფუძვლოდაა დარწმუნებული, რომ ასეთი შედეგი არ დადგება, ან/და თავიდან აიცილებს, რადგან ისეთ გარემოებებს აქვს ადგილი კონკრეტულ სიტუაციაში (მაგ. საკუთარი ძალა, ნიჭი, გამოცდილება, დაზარალებულისა და მესამე პირთა მოქმედება და სხვა), რომ მისი ვარაუდით თავიდან იქნება აცილებული მავნე შედეგი.

დაუდევრობის დროს დამნაშავე არ ითვალისწინებს სიკვდილის დადგომას, თუმცა აუცილებელი ყურადღებისა და წინდახედულობის ნორმების დაცვით უნდა გაეთვალისწინებინა და შეეძლო კიდევ გაეთვალისწინებინა, რომ ქმედება დასრულდებოდა სიციოცხლის მოსპობით. ამ კრიტერიუმების არ არსებობის გარეშე დამდგარ შედეგზე, რომელიც დამოუკიდებელი მიზეზების გამო განხორციელდა, სუბიექტმა პასუხი არ უნდა აგოს (მაგ. ეცადა გადარჩენას და ვერ შეძლო და სხვა).

პრაქტიკაში ასეთი დანაშაული შეიძლება შგვხვდეს იარაღთან გაუფრთხილებელი მოპყრობის, საყოფაცხოვრებო საგნებთან არასწორი მოპყრობის შედეგად, უბედური შემთხვევები ნადირობის დროს, გაუფრთხილებელი მოპყრობით სამსახურეობრივ მოვალეობებთან (სამედ-იციონო სფერო და სხვა) და სხვა. ამ მოცემულობით კი შეიძლება ითქვას, რომ კანონმდებელმა შემოგვთავაზა განსახილველი დანაშაულის სუბიექტების კარგად დალაგებული წრე, თუმცა კვალიფიკაციის კუთხით სხვადასხვანაირად შესაფასებელი.

ე.ი. განზრახ მკვლელობასა და გაუფრთხილებლობით სიციოცხლის მოსპობას შორის ის განსხვავებაა, რომ გაუფრთხილებლობით სიციოცხლის მოსპობის დროს ქმედება არ შეიცავს სიკვდილის განზრახვას, თუმცა ბრალი გამომდინარეობს, როგორც სიკვდილის დადგომიდან ასევე დამნაშავის ფსიქოლოგიური დამოკიდებულებიდან მის ქმედებასთან, რომელიც არის საშიში და მიმართულია სხვისი სიციოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ, რაც ხშირ შემთხვევაში გამოწვეულია დანაშაულის ჩამდენი პირის მიერ როგორც საკუთარი თავისა და შესაძლებლობების არასწორად შეფასების, ასევე არსებული რეალობის არასწორად აღქმის საფუძველზე.

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, გაუფრთხილებლობით სიციოცხლის მოსპობა ზოგადად განიხილება, როგორც პიროვნების წინააღმდეგ ჩადენილი დამოუკიდებელი დანაშაული, რასაც კანონმდებელმა მისცა ოფიციალური დეფინიციის სისხლის სამართლის კოდექსის 116-ე მუხლში და გამოხატა მისი განსაკუთრებული შტრიხები, რადგან ამ დანაშაულის ხასიათი გამორჩეულია და მასზე მეტყველებს თვით სიტყვიერი გამოხატულებაც კი - „სიციოცხლის მო-<sup>4</sup> ო. გამყრელიძე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, თბილისი 2005, გვ. 86-87.

<sup>5</sup> ი. დვალდიძე. მოტივისა და მიზნის ზეგავლენა ქმედების კვალიფიკაციაზე და სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე. სადისერტაციო ნაშრომი. თსუ 2008, გვ.8.

<sup>6</sup> გ. ნაჭყებია. ბრალი, როგორც სოციალური ფილოსოფიის კატეგორია. თბილისი, 2001, გვ.260.

სპობა გაუფრთხილებლობით“, რა შემთხვევაშიც ადამიანი (მისი სიცოცხლე და ჯანმრთელობა) ხდება ხელყოფის ობიექტი, თუმცა ქმედების შეფასება ხდება კონკრეტული მოცემულობის გათვალისწინებით, ქმედებაში გამოვლენილი მაკვალიფიცირებელი გარემოებების შესწავლის გზით, რომ სწორად მოხდეს ზღვრის გავლება განზრახვასა და გაუფრთხილებლობას შორის და პრაქტიკულად არ მიენიჭოს მას სხვა დანაშაულის ხარისხი. რაც შეეხება სანქციას, კანონმდებელი მას ამკაცრებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სახეზეა ორი ან მეტი პირის სიცოცხლის მოსპობა.

სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით გამოიხატება განზრახვის არ არსებობით, რაც ხორციელდება დამნაშავეზე დამოკიდებული მიზეზების გამო და სახეზე გვაქვს მხოლოდ შედეგი, რაც კავშირში არაა მის სურვილთან, რომელიც თუმცა მიმართული იყო დანაშაულებრივი შედეგის მიღწევისაკენ, მაგრამ არა ამ სახის. განხორციელებული ქმედება (უმოქმედობა) მოწმობს, რომ დამნაშავეს შეგნებული აქვს მისი ქმედების მართლსაწინააღმდეგო ხასიათი და საზოგადოებრივი საშიშროება, თუმცა განჭვრეტილი არა აქვს სხვისი მოსალოდნელი სიკვდილი და დადგა არა თუ სასურველი, არმედ საპირისპირო შედეგი მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო.

ისეთი დანაშაულის სპეციფიკაზე, როგორცაა სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით, გავლენას ახდენს ჩვეულებრივი ყოფითი სფერო, რადგან მასში არსებობს სახვადასხვა სახის საშიში ფაქტორები, რაც თავის მხრივ დაკავშირებულია პრაქტიკულად კანონმდებლობით გამყარებული წინდახედულობის წესების დაუცველობასთან. აღნიშნული დანაშაული გამოიხატება რიგ შემთხვევაში ქმედებით, ხოლო რიგ შემთხვევაში უმოქმედობით (მაგ. მძღოლის მიერ მოძრაობის წესების დაუცველობა ან/და პიროვნებაზე დაკისრებული მოვალეობის შეუსრულებლობა – მეისრემ არ გადაადგილა ისარი და სხვა). აქედან გამომდინარე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, დანაშაულის კვალიფიკაცია რეალურად შეესაბამებოდეს ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს<sup>7</sup>, რადგან ქმედების ბრალეულად შეფასება შეუძლებელია შემეცნების გარეშე, რაც დაკავშირებულია სწორედ დანაშაულის სუბიექტის ფსიქიკასთან ორი სახით (კონკრეტული მოცემულობიდან გამომდინარე) რეალობით/ჭეშმარიტებით და ღირებულებით<sup>8</sup>. აღნიშნული კი ქმედების შეფასების იდეალურ საშუალებას წარმოადგენს, რაც სწორი კვალიფიკაციის საფუძველია, საიდანაც გამომდინარეობს როგორც მიღებული გადაწყვეტილების სამართლიანობა, ასევე სასჯელის ზომის ადეკვატურობა ჩადენილ ქმედებასთან.

ლოგიკურად, გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობა გვევლინება ფაქტობრივად მკვლევლობად, თუმცა დამნაშავეს არ გააჩნია სხვისი სიცოცხლის მოსპობის პირდაპირი მიზანი და სანქცია კი ჩემი შეხედულებით არის ჰუმანური.

ამიტომაცაა, რომ განსახილველი დანაშაული შედის ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა რიცხვში და თავისთავად ამ კატეგორიამ, სტრუქტურულად, სწორად პოვა ასახვა სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებულ ნაწილში პირველ ადგილზე.

<sup>7</sup> გ. ტყეშელაშვილი. განზრახ მკვლელობის მცდელობა და კვალიფიკაციის პრობლემები. სტატია. თსუ 2019, გვ. 8.

<sup>8</sup> გ. ნაჭყებია. დანაშაული ბრალის ორი ფორმით. თსუ. სამართლის ჟურნალი №1, 2009. გვ. 29.

## 2. გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობის ნიშნები

### 2.1. გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობის ობიექტი და ობიექტური მხარე

ადამიანი მისი ფიზიკური აღნაგობის მიხედვით არ ფასდება. მისი ცხოვრება შედგება როგორც ბიოლოგიური პროცესებისაგან, ასევე საზოგადოებრივი ურთიერთობებისაგან, რომლებიც მის ცხოვრება-მოღვაწეობას უზრუნველყოფენ და მის სიცოცხლეს იცავენ. თითოეული ქმედება, რომლებიც ამ წესრიგს არღვევს დაკავშირებულია ფიზიკურ ან იურიდიულ პირთან, ზიანთან, მიზეზთან, ქმედებასა და შედეგს შორის კავშირთან, დროსთან, ვითარებასთან, საშუალებასთან და სხვა. ამიტომ ქმედების ობიექტური შერაცხვა იმ ძირითად საკითხს წარმოადგენს, რაც სისხლის სამართლის სამართალწარმოების ხერხემლად გვევლინება, რადგან დანაშაულის ჩადენის დროს სუბიექტი მართლზომიერი ქმედების ვალდებულებას ეკიდება უპასუხისმგებლოდ ან ბრალეულად<sup>9</sup>, შეფასების დროს კი დანაშაულის ობიექტური მხარე ქმედების შემადგენლობის მნიშვნელოვანი ნაწილია, რომლის სწორად შესაფასებლად გამოსაყოფია დანაშაულის ობიექტი, უშუალოდ კონკრეტული ქმედება, შედეგი და ამ ქმედებასა და შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირი.

გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობის თავისებურებაა ის, რომ ქმედება ხორციელდება გაუფრთხილებლობით და პირი მიზნად არ ისახავს ამ კონკრეტული დანაშაულის ჩადენას ანუ ქმედება მიმართული არ არის დამდგარი შედეგისკენ, თუმცა შედეგი ყველა შეთხვევაში უმძიმესია, რადგან ამ ქმედების გამო სიცოცხლე მთავრდება. დანაშაული არის კონკრეტულად გამოვლენილი მოქმედება ან უმოქმედობა, რომელიც ხელყოფს გარკვეულ საზოგადოებრივ ურთიერთობას, ხოლო დანაშაულის ობიექტი კი არის კანონით დაცული სამართლებრივი სიკეთე რომლის წინააღმდეგაც არის მიმართული ესა თუ ის მართლსაწინააღმდეგო ქმედება ანუ ხელყოფის ობიექტი, ამიტომ გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობის ბუნებით ობიექტს წარმოადგენს ადამიანის სიცოცხლის მოსპობა, სახეობითი ობიექტს ადამიანის ცხოვრება, ხოლო უშუალო ობიექტს ადამიანის სიცოცხლე.

ობიექტური მხრივ გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობა წარმოადგენს ქმედებას, რომელიც შესაძლებელია მიმართული იყოს დანაშაულის ჩადენისაკენ, თუმცა ორიენტირებულია არა იმ შედეგზე, რომელიც დადგა, არამედ სხვა შედეგზე რადგან მიზანი სახეზე არ გვაქვს. დამნაშავეს არ აქვს ასეთი შედეგის მოლოდინის განცდა და იგი არაა დაინტერესებული, ასეთი შედეგით მიაღწიოს დასჯად სტადიას, ამიტომ ასეთ შემთხვევაში, როგორც პროფესორი მზია ლეკვეიშვილი აღნიშნავს, ქმედების საშიშროება განსაზღვრულია არა იმდენად ქმედების საშიშროებით, რამდენადაც დამდგარი შედეგით.

გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან სახეზეა, რომ განსახილველი ქმედების ხასიათი და სანქციის ზომა დამოკიდებულია უშუალოდ ქმედების ობიექტური მხარის ნიშნებზე, კონკრეტულად კი წესების დარღვევის იმ სახეზე, რამაც გავლენა მოახდინა ადამიანის სიცოცხლის მოსპობაზე.

<sup>9</sup> გ. ნაჭყებია. ობიექტური შერაცხვის პრობლემა სისხლის სამართალში. თსუ. სამართლის ყურნალი №2, 2012. გვ. 269.

## 2.2. გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობის სუბიექტი და სუბიექტური მხარე

იმისათვის, რომ სწორად შევძლოთ სუბიექტის ქმედების კვალიფიკაციის განსაზღვრა, მნიშვნელობა უნდა მივანიჭოთ სურვილს-მიზანს, როგორც დანაშაულის სუბიექტური მხარის ნიშანს, რომელიც ფაქტობრივად არის მოტივთან ერთად სუბიექტური მხარის ფაქულტატური ნიშანი.

ე.ი უნდა დავადგინოთ ნებისმიერი კონკრეტული შემთხვევის დროს, თუ რა სურვილი/მიზანი გააჩნდა ქმედების განმახორციელებელ სუბიექტს. ამ ნიშნის გამოკვლევით ნათლადა შესაძლებელი გავიგოთ სუბიექტის ფაქტობრივი დამოკიდებულება თავისი ქმედებისა და შესაძლო შედეგების მიმართ, ანუ რა მიზნისკენ მიისწრაფის ადამიანი, რომ მოიყვანოს თავისი განზრახვა სისრულეში, რაც შესაბამისად გვაძლევს საშუალებას დავადგინოთ პირის ბრალეულობის ხარისხი ისე, რომ არ დავარღვიოთ სუბიექტური შერაცხადობის პრინციპი.

შერაცხადობის პრინციპი დაკავშირებულია ქმედების შეფასებასთან. განსახილველ შემთხვევაში დანაშაულებრივი შედეგი არ ემთხვევა განზრახვას, თუმცა ქმედების თანამდევია იგი და, რადგან მიზნის გარეშე შეუძლებელია შედეგის დადგომა, ამიტომ ვერ ვიტყვი, რომ ისინი ისინი დაკავშირებულნი არ არიან ერთმანეთთან. მიზანი კი მიგვანიშნებს პიროვნების გარკვეულ მახასიათებლებზე, რადგან მისი ფორმირება და კონკრეტიზაცია მოხდა სწორედ პიროვნების გონებაში-ფსიქოლოგიაში, რისი თქმის უფლებასაც გვაძლევს მიზნის სუბიექტური თავისებურება, რაც დაკავშირებულია ასევე ინდივიდის დამოკიდებულებასთან საზოგადოებისა თუ სხვა პირების ინტერესებისადმი.

იმდენად, რამდენადაც (ზოგადად) ბრალეულობა არის დანაშაულის ერთ-ერთი ძირითადი ნიშანი, გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობის სუბიექტური მხარის აუცილებელ ნიშნად გვევლინება, გაუფრთხილებლობით ფორმაში გამოხატული ბრალეული ქმედება, რადგან მისი მახასიათებელია ინეტელექტუალური და ნებელობითი ასპექტები.

გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობის, როგორც დანაშაულის სუბიექტური მხარე, გამოიხატება მასში, გააჩნია თუ არა ქმედების განმახორციელებელ პირს სურვილი, რომლისავე შედეგადაც მოჰყვა ადამიანის სიცოცხლის მოსპობა, რაც (როგორც ზემოთ აღვნიშნე) შედეგად ორი პოზიციისაგან, თვითიმედოვნებისა და დაუდევრობისაგან<sup>10</sup> ანუ თუ დანაშაულის ობიექტად გვევლინება ადამიანის სიცოცხლის უსაფრთხოება, მაშინ სუბიექტური მხარე წარმოგვიდგება, როგორც ქმედებების (უმოქმედობა) ჯაჭვი, რომელიც არღვევს უსაფრთხოების ზომებს და მიყვარს პირის გარდაცვალებამდე.

დანაშაულის სუბიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ ადამიანი, რომელსაც დანაშაულის ჩადენის დროს შეუსრულდა შესაბამისი ასაკი.

დანაშაულის სუბიექტური მხარის მნიშვნელობაზე/ღირებულებაზე შეიძლება ითქვას, რომ მისი დადგენა ატარებს სავალდებულო და გადამწყვეტ ფუნქციას ქმედების შეფასების დროს, რა დროსაც აუცილებელია დადგინდეს პირის ბრალეულობის ხარისხი, როგორც სუბიექტური მხარის აუცილებელი ნიშანი, რომლის გარეშეც ქმედებას ვერ შევაფასებთ დანაშაულებრივად. ამავე დროს, ნებისმიერი მოცემულობისას გარდა ბრალეულობისა, გამოკვეთილი უნდა იქნას ყველა მახასიათებელი ნიშანი ქმედებისა, რაც გახლავთ აუცილებელი და სავალდებულო პირობა ქმედების კვალიფიკაციისათვის, რომ ერთი სახის დანაშაული გავარჩიოთ მეორე სახის დანაშაულისაგან, რადგან სუბიექტური მხარის ზუსტი განსაზღვრაა გზავნილი სასჯელის ინდივიდუალიზაციისათვის.

ანუ ყველაზე დიდი პრობლემა გახლავთ ის, რომ დანაშაულის სუბიექტი ვერ აცნობიერებს საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხს. მას არათუ არ სურს (არ უშვებს ცნობიერებაში) მიაყენოს საზოგადოებას ზიანი, არამედ ვერც ხედავს ალბათობას იმისა, რომ მისი ქმედება გამოიწვევს ასეთი სახისა და ხარისხის ზიანს ან/და უსაფუძვლოდ იმედოვნებს ამ ზიანის თა-

<sup>10</sup> Лешанич Д. В. Причинение смерти по неосторожности: проблемы квалификации, 2018.

ვიდან აცილებაზე. სწორედ აქედან გამომდინარეობს დანაშაულის სუბიექტური მხარისათვის დამახასიათებელი განსაკუთრებულობა<sup>11</sup>.

მთლიანობაში კი დანაშაულის მახასიათებლების (ქმედების სუბიექტური და ობიექტური მხარე) ზედმინევენით სწორად დადგენა ემსახურება კანონიერების პრინციპის დაცვას, რაშიც ვგულისხმობ საკანონმდებლო მოთხოვნების აღსრულების უზრუნველყოფას.

### 3. გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობის კვალიფიკაცია და სასჯელთან დაკავშირებული პრობლემები

#### 3.1. გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობის კვალიფიკაციის თავისებურებები

ზოგადად, კვალიფიკაცია (ლათ. ყუალიტას თვისება და ფაციო ვაკეთებ) ნიშნავს საგნის ან მოვლენის განსაზღვრას მისი თვისების, თავისებურების მიხედვით (შეფასება, დახასიათება)<sup>12</sup>. დანაშაულებრივი ქმედების კვალიფიკაცია კი არის, სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებთან ამა თუ იმ კონკრეტული ქმედების შესაბამისობის დადგენა. ქმედების კვალიფიკაცია რეალურად უნდა შეესაბამებოდეს ჩადენილი ქმედების სიმძიმეს. როდესაც დანაშაული ფასდება უფრო მძიმე ქმედებად, ვიდრე დამნაშავის მიერ ჩადენილი აქტია, ეს ლახავს ბრალდებულის უფლებას. მართლსაწინააღმდეგო ქმედებისათვის პასუხისმგებლობა ბრალის გარეშე დაუშვებელია<sup>13</sup>. „ბრალი შეიძლება განისაზღვროს როგორც მოვალეობისადმი სუბიექტის უპასუხისმგებლო დამოკიდებულება, რომელიც ანტისაზოგადოებრივი ქმედების ჩადენით ვლინდება“<sup>14</sup>. დანაშაული ქმნის კონკრეტული საზოგადოებრივი ურთიერთობისა და ობიექტისათვის იმ კონკრეტულ საფრთხეს, რომლის წინააღმდეგაცაა მიმართული<sup>15</sup>. განსახილველ შემთხვევაში ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტორს, რომ გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობის დროს, ქმედების შემადგენლობა არ გახლავთ წინასწარი განზრახვა, რომელიც მიმართულია ისეთი საზოგადოებრივად საშიში შედეგის დადგომისაკენ რაც საბოლოო ჯამში მიიღო ქმედების განმახორციელებელმა სუბიექტმა, თუმცა აღნიშნული განხორციელდა (მიუხედავად განზრახვის არ არსებობისა) მასზე დამოკიდებული მიზეზების გამო.

მოცემული ამოცანის სწორად გადაჭრისათვის აუცილებელია შემდეგი ფაქტორების დადგენა:

1. სისხლისსამართლებრივად დაცული სიკეთის/ობიექტის შესწავლა, მორალური და მატერიალური ასპექტების შეფასება;
2. საზოგადოებრივად საშიში ქმედების დამახასიათებელი ნიშნების დადგენა;
3. ქმედების ჩამდენი პირის ფსიქიკური დამოკიდებულება მომხდართან;
4. ქმედების ჩადენის ხერხი, საშუალება;
5. ქმედების დამახასიათებელი ნიშნების თავსებადობა ნორმის დისპოზიციასთან.

სისხლის სამართლის კანონი აწესრიგებს ურთიერთობას მოსამართლესა და ბრალდებულს შორის, რომლის ძალითაც მოსამართლე ვალდებულია პირს დააკისროს სასჯელი მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლო პროცესზე დადგინდება სისხლის სამართლის კანონის ჰიპო-

<sup>11</sup> Д.А. Корецкий, Е.С. Стешич. Проблема оценки тяжести неосторожных преступлений, связанных с ЛИШЕНИЕМ ЖИЗНИ. Всероссийский криминологический журнал. 2017. Т. 11, №4. стр. 684

<sup>12</sup> მ. ჭაბაშვილი. უცხო სიტყვათა ლექსიკონი. გამომცემლობა განათლება, თბილისი 1973, 199.

<sup>13</sup> ი. დვალიძე. მოტივისა და მიზნის ზეგავლენა ქმედების კვალიფიკაციასა და სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე. სადისერტაციო ნაშრომი. თსუ 2008, გვ.8.

<sup>14</sup> გ. ნაჭყებია. ბრალი, როგორც სოციალური ფილოსოფიის კატეგორია. თბილისი, 2001, გვ.260.

<sup>15</sup> თ. წერეთელი. საზოგადოებრივი საშიშროება და მართლწინააღმდეგობა სისხლის სამართალში, კავკასიური სახლი, თბილისი 2006, გვ. 18-19.

თეზით გათვალისწინებული ქმედების ჩადენა<sup>16</sup>. როგორც ნებისმიერი დანაშაულებრივი ქმედების შეფასებისას, ასევე გაუფრთხილებლობით ჩადენილი სიცოცხლის მოსპობის დროს, დანაშაულებრივი ქმედების სწორი კვალიფიკაციისათვის აუცილებელია დავიცვათ შემდეგი პირობები:

ერთის მხრივ, უნდა განვსაზღვროთ ერთგვარი საზოგადოებრივი ურთიერთობების ჯგუფი, რომლის წინააღმდეგაც მიმართული იყო დანაშაულებრივი ქმედება ანუ უნდა განვსაზღვროთ დანაშაულის სახეობითი და უშუალო ობიექტი, ხოლო, მეორე მხრივ, აუცილებელია დადგინდეს, რომ ჩადენილი ქმედების ნიშნები ზუსტად და არა მიახლოებით, სრული მოცულობით იყოს თანხვედრაში სისხლის სამართლის კოდექსის კონკრეტული ნორმით რეგლამენტირებულ ნიშნებთან<sup>17</sup>.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ქმედების შეფასების დროს ყურადღების არეალში უნდა მოექცეს ქმედების განხორციელების სტადიები. იმისათვის, რომ არ დაირღვეს ობიექტური შერაცხადობის პრინციპი, სწორად უნდა დავინახოთ ქმედების განმახორციელებელი სუბიექტის ნება-გამოხატული სუბიექტურ გადანყვეტილებაში, რაც მიმართულია იქითკენ, რომ „განზრახვა მოიყვანოს სისრულეში“<sup>18</sup>. აღნიშნული ემსახურება კვალიფიკაციის სწორად გადანყვეტის პრობლემას, რადგან შესაძლებელია ბუნებაში ისეთ შემთხვევას ჰქონდეს ადგილი, როდესაც თვით ქმედება სისხლის სამართლის კანონის სხვა დანაწესით დასჯადი. ასეთი იყო მაგალითად სისხლის სამართლის კოდექსის 119-ე მუხლი, რომლითაც დასჯადად ითვლებოდა ჯანმრთელობის განზრახ მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება, რამაც გაუფრთხილებლობით გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა. ასეთ შემთხვევაში სახეზე გვექნებოდა შერეული ბრალი ორი შედეგით, ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ან მძიმე დაზიანებითა და სიცოცხლის მოსპობით და 116-ე მუხლის კვალიფიკაცია ასეთ პირობებში არასწორი იქნებოდა, თუმცა დღევანდელი საკანონმდებლო მოცემულობა ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს 116-ე მუხლით მსგავსი ქმედებების კვალიფიკაციაზე. რადგან „პირისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების პროცესში უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება სამართლიანი სასამართლოს უფლებითა და საპროცესო გარანტიებით სრულყოფილ სარგებლობას“<sup>19</sup>, აქედან გამომდინარე, ქმედების სუბიექტური შემადგენლობის (განზრახვა, გაუფრთხილებლობა) დასადასტურებლად აუცილებელია ერთდროულად არსებობდეს ცოდნის, ნებელობისა და მართლწინააღმდეგობის შეგნება, რაზედაც პასუხს უნდა იძლეოდეს საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებები, რომელთა ანალიზის მეთოდით უნდა დადგინდეს პირის მიერ განზრახვის მიმართულების ნამდვილობა იმდენად, რამდენადაც მხოლოდ ფაქტობრივ გარემოებათა განვითარების ლოგიკური ჯაჭვი იძლევა ქმედების სუბიექტური შემადგენლობის სწორი შეფასების საშუალებას. ბრალდებულს არ უნდა შეერაცხოს დანაშაული მანამ, სანამ მტკიცებულებების საკმარისი და დამაჯერებელი ერთობლიობით არ დადასტურდება დანაშაულის თითოეული ელემენტის არსებობა მის ქმედებაში<sup>20</sup>. ზოგჯერ შესაძლებელია მტკიცებულებები დამაჯერებლად გამოიყურებოდეს და თითქოს იძლეოდეს 116-ე მუხლის დისპოზიციით რეგლამენტირებულ შემადგენლობას, მაგრამ გონივრულ ეჭვს მიღმა არსებულმა მტკიცებულებებმა სტანდარტმა ითამაშოს დიდი როლი და ქმედება შეფასებული იქნას სხვაგვარად, რაც ფაქტობრივად ნიშნავს იმას, რომ დაცული იქნება სამართლიანობისა და უდანაშაულობის პრინციპი, რითაც არსებითად შემცირდება უსამართლო და დაუსაბუთებელი განაჩენის მიღების რისკი. ეს რწმენა კი სასამართლოს, იმ მტკიცებულებებზე დაყრდნობით

<sup>16</sup> გ. ტყემელაშვილი. განზრახ მკვლელობის მცდელობა და კვალიფიკაციის პრობლემები. სტატია. თსუ 2019, გვ. 13.

<sup>17</sup> Уголовное право Российской Федерации. Особенная часть: Учебник для юридических вузов. Изд. Юрист, Москва 1996, стр.12-13.

<sup>18</sup> С. В. Бородин. Преступления против жизни. Изд. Юрист, Москва. 2000, стр. 265.

<sup>19</sup> იხ. საქ. საკონსტიტუციო სასამართლოს არქივი. საქმე №1/1548 (22.01.15). 16-17.

<sup>20</sup> იქვე: 16-17.

უყალობდება, რომელსაც კანონი სანდოდ და დასაშვებად მიიჩნევს<sup>21</sup>.

გაუფრთხილებლობით სიციოცხლის მოსპობა უნდა გაგმიჯნოთ შემთხვევით გამონვეული სიკვდილისაგან. ასეთ შემთხვევაში პასუხისმგებლობა არ შეიძლება დაეკისროს პირს, თუ იგი ითვალისწინებდა სხვა ადამიანის სიკვდილს, არ სურდა ასეთი შედეგი, მიიღო ყველა ზომა შედეგის თავიდან აცილებისათვის და ამის მიუხედავად სასიკვდილო შედეგი მაინც დადგა მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო. გარდა ამისა ასევე არ უნდა დაეკისროს პირს პასუხისმგებლობა, თუ იგი არ ითვალისწინებდა, არ შეეძლო და არც უნდა გაეთვალისწინებინა სხვა ადამიანის სიკვდილი. აქ მეტად მნიშვნელოვან როლს თამაშობს სუბიექტური და ობიექტური კრიტერიუმების არსებობა, რაც იძლევა სიციოცხლის მოსპობისა და სიკვდილის შემთხვევით გამონვევის გამიჯვნის შესაძლებლობას.

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, გაუფრთხილებლობით სიციოცხლის მოსპობა განიხილება, როგორც პიროვნების წინააღმდეგ მიმართული დამოუკიდებელი დანაშაული, რომლის თანამდევია საზოგადოებრივად საშიში შედეგი, რადგან, გაუფრთხილებლობით სიციოცხლის მოსპობის დროს ქმედების შეფასებისას, ადამიანის სიკვდილი გვევლინება კვალიფიკაციის განმსაზღვრელ ნიშნად. ქმედება გაუფრთხილებლობით სიციოცხლის მოსპობად უნდა შეფასდეს და ასეთი დანაშაული არსებობს მხოლოდ მაშინ, როდესაც რეალურად დადგა ამ დანაშაულის შემადგენლობით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო შედეგი<sup>22</sup>.

### 3.2. სასამართლო პრაქტიკა

საინტერესოა, თუ როგორ ხორციელდება საქართველოს სასამართლოებში სისხლის სამართლის კოდექსის 116-ე მუხლის კვალიფიკაციით წარმართული საქმეების განხილვა.

მაგალითი №1

2002 წლის 20 დეკემბერს პეტრემ ზურგის არეში დაარტყა სანადირო დანა წინა დღეს მასზე განაწყენებულ პავლეს (ინიციალები პირობითია), რითაც მას მიაყენა სიციოცხლისათვის სახიფათო, მძიმე ხარისხის დაზიანება. შედეგად პავლე გარდაიცვალა. 19 დეკემბერს მოვლენები განვითარდა შემდეგნაირად, რომ პავლეს და მამამისს მოუვიდათ კამათი ერთმანეთში, რაც გამოიწვია პეტრეს ცინიკურმა შეკითხვამ პავლეს მამის მიმართ, რაზედაც განაწყენდა პავლე და განაწყენებულმა უსაყვედურა პეტრეს, რომ მას არ უნდა დაესვა ასეთი ცინიკური შეკითხვა, რასაც მოჰყვა კამათი, ხოლო მეორე დღეს კი მოხდა აღნიშნული შემთხვევა.

პირველი ინსტანციის სასამართლომ პეტრე დამნაშავედ სცნო 108-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედების ჩადენაში, რაც ზემდგომი სასამართლოს განაჩენით დარჩა უცვლელი, ხოლო საკასაციო სასამართლომ ცვლილება შეიტანა განაჩენში და ქმედება გადააკვალიფიცირა 116-ე მუხლზე.

საკასაციო პალატამ ჩათვალა, რომ საბრალდებო დოკუმენტებში წარმოდგენილი ვერსია ვერ დასტურდებოდა საკმარისი და უტყუარი მტკიცებულებების ერთობლიობით, რადგან იგი მთლიანად ეყრდნობოდა საქმის შედეგით დაინტერესებული პირების ანუ გარდაცვლილი პავლეს ახლობლებისა და ერთ-ერთი მოწმის წინააღმდეგობრივ ჩვენებებს, რომლებიც არ იყო ერთმანეთთან ლოგიკურ ბმაში. გარდა ამისა, არც წინასწარი და არც სასამართლო გამოძიებით არ დადგენილა ის ფაქტი, რომ პავლეს სახლში გამართული ქეიფის დროს სუფრასთან მყოფ პირებს შორის რაიმე უსიამოვნება ან კონფლიქტი მომხდარიყო და ამასთან თუკი სასამართლო ირწმუნებდა საბრალდებო დასკვნაში განვითარებულ ვერსიას წინა დღეს პეტრესა და პავლეს შორის მომხდარი სერიოზული კონფლიქტის თაობაზე, მაშინ სრულიად არაადამაჯერებლად

<sup>21</sup> იხ. საქ. საკონსტიტუციო სასამართლოს არქივი. საქმე №1/1548 (22.01.15)17.

<sup>22</sup> იხ. საქ. უზენაესი სასამართლოს არქივი. საქმე №115-აპ-08. 22.10.2008 წ.

ჩანდა სურათი იმის თაობაზე, რომ ასეთი კონფლიქტის შემდეგ პეტრე სტუმრად და საქეიფოდ მისულიყო პავლეს სახლში, სადაც შემთხვევა მოხდა. აღნიშნული კი საქმის მასალებთან ერთობლიობაში არ ქმნიდა პეტრეს მხრიდან რაიმე მოტივის სურათს, რაც იმას ნიშნავდა, რომ გაკეთებული დასკვნები იყო სავარაუდო ხასიათისა და ვერ მიიჩნეოდა მძიმე ბრალდების საფუძველად. გარდა ამისა პალატამ ასევე ხაზი გაუსვა კიდევ ერთ შტრიხს მასზე, რომ მიყენებული დაიზანება არ იყო ისეთი ხასიათის, რომლის დროსაც ვერ შეძლებდა დაზარალებული მიმხვდარიყო, რომ დანა დაარტყეს მას და ეს ვერ გამოეხატა იმდენად ხმამაღლა მაინც, რომ იქ მყოფთათვის გასაგონი ყოფილიყო<sup>23</sup>.

განსახილველი განაჩენი უნდა შეფასდეს ორი მიმართულებით.

რატომ ჩათვალა სასამართლომ, რომ პეტრეს მიერ განხორციელებული ქმედება არ შეიცავდა მკვლელობის ნიშნებს;

სწორად მოახდინა თუ არა სასამართლომ ქმედების გადაკვალიფიცირება 116-ე მუხლზე;

ვთვლი, რომ სასამართლოს პოზიცია მართებულია, რადგან პალატა ასეთ დასკვნამდე მივიდა იმ ობიექტური გარემოებების გათვალისწინებით, რომ საქმეზე არსებული მტკიცებულებები ვერ იძლეოდნენ საფუძველს, უტყუარად და დადასტურებულად ჩთვლილიყო პეტრეს მიერ განზრახ მკვლელობის განხორციელების მიზანი, თუმცა რაც შეეხება კვალიფიკაციის შეცლას, ამ ნაწილში სასამართლოს არ ვეთანხმები, რადგან მას არ დაუსაბუთებია თუ რა კრიტერიუმების გათვალისწინებით მივიდა უშუალოდ იმ დასკვნამდე, რომ სახეზე გვქონდა გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობა.

განვიხილოთ კიდევ ერთი მაგალითი:

პირის ბრალდების შესახებ დადგენილებების თანახმად, ორ მეან-გინეკოლოგს დაედო ბრალი გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობაში, რაც გამოიხატა მასში, რომ მათ საკეისრო კვეთისას დაუზიანეს პაციენტს თედოს მარცხენა გარეთა ვენა, რის გამოც პაციენტს დაეწყო (13:40 საათზე) ინტენსიური სისხლდენა. ექიმებმა არ შეასრულეს ვალდებულება დროულად ამოეცნოთ დაზიანებული სისხლძარღვი და დროულად მოეხდინათ მისი კომპრესია, რის შემდეგაც დაუყოვნებლივ უნდა გამოეძახათ სისხლძარღვთა ქირურგი, რომელიც აღადგენდა დაზიანებულ სისხლძარღვს. მათ ქირურგი გამოიძახეს 4-30 საათის შემდეგ, რაც აღმოჩნდა დაგვიანებული და მიუხედავად კატასტროფის ბრიგადის მიერ აღმოჩენილი და აღდგენილი სისხლძარღვისა, პაციენტს განუვითარდა მწვავე სისხლნაკლებობა, რამაც გამოიწვია მისი სიცოცხლის მოსპობა.

რაიონული სასამართლოს განაჩენით ექიმები ცნობილ იქნენ უდანაშაულოდ და გამართლდნენ სსკ-ის 116-ე მუხლის 1-ლი ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენით რაიონული სასამართლოს განაჩენში შევიდა ცვლილება და ერთი ექიმი იქნა ცნობილ დამნაშავედ. სხვა ნაწილში რაიონული სასამართლოს განაჩენი დარჩა უცვლელად.

კასატორმა – პროკურორმა ითხოვა სააპელაციო სასამართლოს განაჩენის გაუქმება მეორე ექიმის გამართლების ნაწილში და მისი დამნაშავედ ცნობა.

კასატორმა – მსჯავრდებულის ადვოკატმა კი ითხოვა სააპელაციო სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და მსჯავრდებულის მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენა.

საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, პროკურორის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო სააპელაციო სასამართლოს მიერ მსჯავრდებულის ადვოკატის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა და იგი გამართლებული იქნა წარდგენილ ბრალდებაში<sup>24</sup>.

როგორც საკასაციო პალატა განაჩენის სამოტივაციო ნაწილში განმარტავს და მეც ვეთანხ-

<sup>23</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს არქივი. საქმე №2კ-545აპ-05. 26.04.2006 წ.

<sup>24</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს არქივი. საქმე №438აპ-16.

მები, სსკ-ის 116-ე მუხლით გათვალისწინებული სიცოცხლის მოსპობა – გაუფრთხილებლობითი დანაშაულია და მისი ჯგუფურად ჩადენა სსკ-ით გათვალისწინებული არ არის. კონკრეტულ სიტუაციაში არ იყო ნათლად წარმოჩენილი თუ რას ედავებოდა სახელმწიფო თითოეულ ბრალდებულს, რაში გამოიხატა თითოეული მათგანის ქმედება და რა კავშირში იყო თითოეული მათგანის მოქმედება/უმოქმედობა დამდგარ შედეგთან. ბრალდების ფორმულირებიდან გამომდინარე კი ფაქტი სახეზე იყო, რომ პროკურორი მათ გაუფრთხილებლობითი დანაშაულის ჯგუფურად ჩადენას ედავებოდა, რაც სცილდება სისხლის სამართლის კანონმდებლობას.

საქმის გარემოებებიდან გამომდინარე სახეზეა, რომ ბრალდებით განსაზღვრულ გარემოებებსა და სასამართლოში დადგენილ ფაქტებს შორის არ იყო თანხვერდა, რაც ზოგადად, ერთმნიშვნელოვნად არ გამოორიცხავს გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანას, თუმცა გამამტყუნებელი განაჩენის დადგენა არ შეიძლება იმ მოცემულობის არსებობისას, როცა ბრალდების საგანს ბრალდების მიღმა ემატება ისეთი ფაქტობრივი გარემოებები, რამაც შესაძლოა, ხელყოს ბრალდებულის ძირეული უფლება – თავი დაიცვას წარდგენილი ბრალდებისგან.

წარდგენილი ბრალდებიდან გამომდინარე, ბრალდებულებს უნდა ემტკიცებინათ ის ფაქტი, რომ საკეისრო კვეთისას არ დაუზიანებიათ ვენა და შესაბამისად არც ვალდებულება წარმოშობიან, როგორც დაზიანებული ვენის დროულად აღნმორჩენისა და ასევე არ დაუგვიანიათ დამხმარე ბრიგადის გამოძახება. სამაგიეროდ პროკურორის ზეპირი განცხადებებიდან გამომდინარე, ისინი აღმოჩნდნენ თავის მართლების რეჟიმში და იძულებულნი გახდნენ ემტკიცებინათ დამატებით სხვა მრავალი გარემოება, რაც უშუალო გავლენას ახდენდა მათ ბრალეულობაზე და გახდა კიდევ ერთ-ერთი მათგანის მსჯავრდების საფუძველი.

გარდა ამისა, საქმის განხილვის დროს ყურადღება უნდა გამახვილებულიყო ასევე იმ გარემოებაზე, რომ სამშობიაროს და კატასტროფის ბრიგადის ექიმების ჩვენებების გარდა, რომლებიც ერთმანეთს ადანაშაულებდნენ პაციენტის თეძოს ვენის დაზიანებაში, სხვა მტკიცებულება, იმასთან დაკავშირებით, თუ კონკრეტულად, რომელმა ექიმმა და როდის დაუზიანა პაციენტს ვენა, ბრალდების მხარეს სასამართლოსათვის წარმოდგენილი არ ჰქონია.

უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება კანონიერია და დასაბუთებული.

## დასკვნა

თითოეული დანაშაული ხასიათდება თავისი განსაკუთრებულობით, რაშიც იგულისხმება ფსიქოლოგიური მექანიზმი, რომელსაც გააჩნია ინტელექტუალური ნების შესაბამისი და ემოციური კომპონენტები<sup>25</sup>. განსახილველი საკითხის ანალიზის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი:

1. გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობის დროს საზოგადოებრივად საშიში ქმედებების ჩადენის მრავალფეროვნება, კონფლიქტში მონაწილეთა არატიპიურობა და სხვა სოციალურად თუ იურიდიულად რთული ნიშნების არსებობა ხშირ შემთხვევაში ართულებს ამა თუ იმ ნორმის სწორად გამოყენების საკითხს, ამიტომ პირველი გზავნილი იქნება ის, რომ: ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა მოხდეს ცხოვრებისეული ფაქტის/სიტუაციის სწორად შეფასება, რათა საბოლოოდ არ მივიდეთ უდანაშაულო ადამიანის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობამდე, რითაც ხელყოფილი იქნება პიროვნების კოონსტიტუციური უფლებები.

2. მკვლევობასთან დაკავშირებული განზრახ და გაუფრთხილებლობითი დანაშაულები წარმოგვიდგებიან რიგი საერთო სოციალური და ფსიქოლოგიური მსაზღვრელებით. ეს გარემოება გვევლინება ახალი კრიმინოლოგიური სიტუაციის დამატებით ნიშნად, რადგან იგი, როგორც უკვე აღვნიშნე, გამოიხატავს გაუფრთხილებლობითი დანაშაულის ჩამდენი პირის ფსიქოსო-

<sup>25</sup> თ. წერეთელი. საზოგადოებრივი საშიშროება და მართლწინააღმდეგობა სისხლის სამართალში, კავკასიური სახლი, თბილისი 2006, გვ. 69.

ციალურ სურათს<sup>26</sup>.

3. ჩემი აზრით დევანდელი საზოგადოება არაა მზად, რომ შეურიგდეს ლიბერალურ საკანონმდებლო მოცემულობას სასჯელის ქრილში თუნდაც იმ პირობებში, როდესაც დანაშაული ჩადენილია გაუფრთხილებლობით, რადგან სახეზეა ტრაგიკული შედეგი.

4. „საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანია დანაშაულებრივი ქმედებით მიყენებული ზიანის სიდიდე იმდენად, რამდენადაც ხშირ შემთხვევაში უფრო მნიშვნელოვანია დანაშაულებრივად ხელყოფილი სიკეთე, ვიდრე დანაშაულებრივი ქმედების საზოგადოებრივად საშიშროების ხარისხი, რადგან ფაქტობრივად კანონმდებლის გადაწყვეტილებით (მხედველობაში ვიღებ ასეთი დანაშაულისათვის კოდექსით გათვალისწინებული სასჯელის სახესა და ზომას) ერთგვარად უსაფუძვლოდაა გაუფასურებული ადამიანის სიცოცხლე.

5. არადამაჯერებლად გამოიყურება კანონმდებლის ორიენტაცია ბრალის ფორმაზე, როდესაც ერთდორულად იგნორირებულია დანაშაულის შედეგი და ადგილი, კანონმდებლობით დაცულ სიკეთეთა, ინტერესთა, საზოგადოებრივ ურთიერთობათა იერარქიაში, რომელიც პირველ რიგში განაპირობებს საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხს<sup>27</sup>“.

6. ვფიქრობ, რომ კანონმდებლის დამოკიდებულება აღნიშნული, კონკრეტული დანაშაულის დასჯადობის მიმართ არის მეტად ლოიალური და ლიბერალური.

საბოლოოდ კი უნდა ითქვას შემდეგი:

ნებისმიერი დანაშაულის კონსტრუქცია მოიცავს სამ აუცილებელ ელემენტს – ქმედების შემადგენლობას, მართლწინააღმდეგობასა და ბრალს. ქმედების შეფასებისას უპირველესად უნდა დადგინდეს – პირის მიერ ჩადენილი ქმედება შეიცავს თუ არა შესაბამისი შემადგენლობის ნიშნებს<sup>28</sup>. მაგალითად ქმედების განზრახ მკვლელობად დაკვალიფიცირებისათვის აუცილებელია დადგინდეს სუბიექტის განზრახვა, კერძოდ, მისი მიზანმიმართული ქმედება დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობისაკენ ან/და, უკიდურეს შემთხვევაში, დამნაშავის მიერ დაზარალებულის სიკვდილის, როგორც შედეგის შეგნებული დაშვება ან ამ უკანასკნელის დადგომისადმი გულგრილი დამოკიდებულება<sup>29</sup>, რასაც გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობად ქმედების კვალიფიკაციის დროს ადგილი არ უნდა ჰქონდეს.

მიუხედავად იმისა, რომ გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობის დროს ქმედების განმასხვრცილებელი პირი პრაქტიკულად დამნაშავე ხდება შემთხვევით, იგი მაინც არ შეიძლება ჩაითვალოს ყოველთვის შემთხვევითი გარემოებების მსხვერპლად, რადგან ასეთი კატეგორიის დამნაშავეები გამოირჩევიან პირადი თავისებურებების ფართო დიაპაზონით. თავისებურებებად კი შეიძლება ჩავთვალოთ შემთხვევითობასთან ერთად არასტაბილურობა, სიბოროტე და სხვა, რაც თავისთავად მოითხოვს საკითხის ღრმა შესწავლასა და სათანადო ანალიზს კვალიფიკაციის შეფასების დროს.

ქმედების კვალიფიკაციისას შეცდომის გამოსარიცხად სასამართლოებმა ზედმინევნიტ დეტალურად უნდა შეისწავლონ და გააანალიზონ საქმეში არსებული ყველა გარემოება, რომ გამოკვეთილი იქნას დანაშაულის სუბიექტური შემადგენლობის – განზრახვის არსებობა-არ არსებობა, რომელიც პრაქტიკულად განასხვავებს გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობას სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული სხვა დანაშაულობებისაგან<sup>30</sup>. განზრახვის არსებო-

<sup>26</sup> Д.А. Корецкий, Е.С. Стешич. Проблема оценки тяжести неосторожных преступлений, связанных с ЛИШЕНИЕМ ЖИЗНИ. Всероссийский криминологический журнал. 2017. Т. 11, №4. Стр. 681.

<sup>27</sup> Д.А. Корецкий, Е.С. Стешич. Проблема оценки тяжести неосторожных преступлений, связанных с лишением жизни. Всероссийский криминологический журнал. 2017. Т. 11, №4. Стр.679-681

<sup>28</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს არქივი. სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 30 დეკემბრის განმარტება საქმეზე საქმე №424აპ-16

<sup>29</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს არქივი. სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 28 ივლისის განმარტება საქმეზე საქმე №86აპ-16.

<sup>30</sup> იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს არქივი. სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 29

ბა-არ არსებობის სწორად დასადგენად კი შესწავლილ უნდა იქნეს: დანაშაულის ჩადენის ხერხი, საშუალება, დაზიანებათა რაოდენობა, ხასიათი, ლოკალიზაცია, როგორ ვითარებაში იქნა ისინი მიყენებული, დამნაშავისა და მსხვერპლის ურთიერთდამოკიდებულება ზოგადად და ასევე დაზიანების მიყენების მომენტში და სხვა გარემოებები.

საბოლოოდ კი შეიძლება ითქვას, რომ განსახილველ ჭრილში არსებული პრობლემები თეორიულად გადაჭრილი არ არის სრულად. გამოკვლევების უმრავლესობა მიმართულია განზრახ დანაშაულებისა და ასევე გაუფრთხილებელი დანაშაულების ცალკეული სახეების შესწავლისკენ, რის გამოც კარგი იქნება, თუ მოხდება საკითხის კომპლექსური შესწავლა.

## ანტიკორუფციული რეფორმების და კორუფციის აღქმის ინდექსის დინამიკა საქართველოში

ნათია მოგელაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის  
ლექტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის  
დოქტორანტი

### შესავალი

#### 1. ანტიკორუფციული რეფორმების დინამიკა საქართველოში

კორუფცია, საჯარო ფინანსების ბოროტად გამოყენებით და საზოგადოების წინაშე ან-გარიშვალდებულების სისტემის არარსებობით ხასიათდება. იგი საფრთხეს უქმნის კანონის უზენაესობას, ადამიანის უფლებებს და თავისუფლებებს, აფერხებს ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლას და ხელს უშლის დემოკრატიული ინსტიტუტების სტაბილურ განვითარებას<sup>1</sup>. ამავდროულად, იგი გზას უღობავს ბიზნესის განვითარებას და ინვესტიციების განხორციელებას ქვეყანაში, რითიც ყველაზე მეტად მოსახლეობის ღარიბი და დაუცველი ნაწილი ზარალდება. კორუფციას მრავალნაირი გამოვლინება აქვს, თუმცა უპირატესად იგი საჯარო სექტორში არსებულ გამოწვევებთან ასოცირდება, საბიუჯეტო სახსრების დანაშაულებრივი გარიგებების გზით განკარგვას და ცალკეულ მოხელეთა მიერ უფლებამოსილების დადგენილი წესის სანი-ნააღმდეგოდ გამოყენებას უკავშირდება.

საქართველო, როგორც პოსტ-საბჭოთა ქვეყანა, ეკონომიკური განვითარების დაბალი დონით და კორუფციის მაღალი მაჩვენებლით გამოირჩეოდა. ქვეყანაში არ არსებობდა ძლიერი სახელმწიფო ინსტიტუტები, მოშლილი იყო მაკონტროლებელი უწყებების სტრუქტურა, ორ-განიზებული დანაშაულს მყარად ჰქონდა ფესვები გადგმული და ე.წ „ქურდული სამყარო“-ს კანონებით გავლენის სფეროების გადანაწილებას ახორციელებდა. კორუფცია გაბატონებული იყო ყველგან, ყველა სტრუქტურაში. შესაბამისად, მასში ჩართულები იყვნენ როგორც საჯარო მოხელეები, ისე კერძო პირები თუ კომპანიები, რადგან არსებული გარემო მათ დადგენილ და კარგად აპრობირებულ თამაშის წესებს კარნახობდა. ქრთამი საჭირო იყო პასპორტის ასაღე-ბად, ქონების რეგისტრაციისთვის, ბიზნესის დასაწყებად ან სახლის ასაშენებლად. ქრთამით შესაძლებელი იყო სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებელში მონყობა და ამავე გზით მაღალი ნიშნებისა და სამეცნიერო ხარისხის მიღებაც კი. ქრთამით შესაძლებელი იყო მართვის მონ-მობის და ყველა საჭირო ლიცენზიის აღება. საბაჟო და საგადასახადო სისტემაში არსებული კორუფცია ხელს უშლიდა გადასახადების მოკრებას და სახელმწიფო ბიუჯეტში ფინანსური რესურსების აკუმულირებას. კორუფცია იყო ჯანდაცვის სფეროში, სამართალდამცავ სტრუქ-ტურებში. გაბატონებული კორუფციის ყველაზე თვალსაჩინო გამოვლინება იყო საგზაო პოლი-ცია.

ცალსახა იყო, რომ ქვეყნის მძიმე ეკონომიკური მდგომარეობიდან გამოსაყვანად საჭირო იყო რადიკალური რეფორმების განხორციელება და კორუფციის აღმოსაფხვრელად სისტემური რეფორმების განხორციელება. გამოცხადდა ნულოვანი ტოლერანტობა კორუფციის მიმართ. განყდა კავშირი სახელმწიფოსა და ორგანიზებულ დანაშაულს შორის. 2005 წელს დამტკიც-

<sup>1</sup> სახელმწიფო აუდიტის სამსახური, პოლიტიკური დაფინანსების მონიტორინგი – მეთოდოლოგია

და ქვეყნის პირველი ანტიკორუფციული სტრატეგია. ანტიკორუფციული სტრატეგიის მთავარ მიზნად კორუფციის პრევენციისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის ერთიანი ანტიკორუფციული პოლიტიკის შექმნა განისაზღვრა. საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიის საფუძველზე, საქართველოს მთავრობა, სტრატეგიული პრიორიტეტების შესაბამისად, შეიმუშავებს და ამტკიცებს სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმას. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია კონკრეტული ნაბიჯები სტრატეგიაში იდენტიფიცირებული მიზნების მისაღწევად, მათი შესრულების ინდიკატორები, პასუხისმგებელი და პარტნიორი უწყებები, რისკები, ფინანსური რესურსის წყარო და განხორციელების ვადები. სამოქმედო გეგმა ახლდება ანტიკორუფციულ სტრატეგიასთან ერთად ანტიკორუფციული საბჭოს მიერ და მტკიცდება საქართველოს მთავრობის მიერ. ბოლო ანტიკორუფციული სტრატეგია 2018 წელს დამტკიცდა<sup>2</sup>.

ანტიკორუფციულ სტრატეგიულ დოკუმენტებს საფუძვლად უდევს განვითარებულ სახელმწიფოთა საუკეთესო პრაქტიკისა და საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციების ანალიზი, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მომზადებული კვლევები, საერთაშორისო შეფასებები. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფოებში, სადაც კორუფციის დონე დაბალია (დანია, ახალი ზელანდია, ფინეთი, შვედეთი, ა.შ.), არ არსებობს ანტიკორუფციული სტრატეგიების შემუშავების საჭიროება, ხოლო სახელმწიფოებში, სადაც კორუფციის შედარებით მაღალი დონე აღინიშნება, ანტი-კორუფციული სტრატეგია სახელმწიფო დოკუმენტს წარმოადგენს და მრავალ ინიციატივას ითვალისწინებს<sup>3</sup>.

კორუფციის პრევენციის მიზნით საქართველოში განხორციელდა და დღემდე გრძელდება მთელი რიგი ღონისძიებები, კერძოდ: საჯარო სამსახურში კორუფციის პრევენცია; ღიაობა, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და მოქალაქეთა ჩართულობა კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში; განათლება და საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება კორუფციის პრევენციის მიზნით; კორუფციის პრევენცია სამართალდამცავ ორგანოებში; კორუფციის პრევენცია მართლმსაჯულების სისტემაში; გამჭვირვალობის უზრუნველყოფა და კორუფციული რისკების შემცირება საჯარო ფინანსების და სახელმწიფო შესყიდვების სფეროში; კორუფციის პრევენცია საბაჟო და საგადასახადო სისტემაში; კორუფციის პრევენცია კერძო სექტორთან მიმართებით; კორუფციის პრევენცია ჯანდაცვისა და სოციალურ სექტორში; პოლიტიკური კორუფციის პრევენცია; კორუფციის პრევენცია თავდაცვის სექტორში; კორუფციული რისკების შემცირება მარეგულირებელ ორგანოებში; კორუფციის პრევენცია სპორტის სფეროში; კორუფციის პრევენცია ინფრასტრუქტურულ პროექტებში; კორუფციის პრევენციის ხელშეწყობა მუნიციპალიტეტებში<sup>4</sup>.


ამასთან გამარტივდა საჯარო უწყებებთან კომუნიკაცია. ბიუროკრატიული ბარიერები ჩაანაცვლა ერთი ფანჯრის პრინციპის მომსახურებებმა, საჯარო სექტორში ხელფასები გაიზარდა. საკადრო პოლიტიკის განსაზღვრისას აქცენტი გაკეთდა ახალგაზრდა, პატიოსან და შეუბღალავი წარსულის მქონე ადამიანებზე, კანონდამრღვევთა მიმართ სამართლებრივი რეაგირების პოლიტიკა გამკაცრდა. ანტიკორუფციული გეგმის შესაბამისად, ყველა უწყებაში კოორდინირებულად დაიწყო ბრძოლა კორუფციის აღმოსაფხვრელად. ამ კონტექსტში, კორუფციის პრევენციასთან ერთად, სამოქმედო გეგმით განისაზღვრა კორუფციული დანაშაულების ეფექტიანი გამოძიებისა და სისხლისამართლებრივი დევნის პრიორიტეტულობა.

<sup>2</sup> ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2005-2018წწ

<sup>3</sup> IDFI-ს კვლევა და რეკომენდაციები ადგილობრივი თვითმმართველობებისთვის ანტიკორუფციული სტრატეგიების შემუშავებაზე 2016წ.

<sup>4</sup> მსოფლიო ბანკი „კორუფციასთან ბრძოლა საჯარო სამსახურში – საქართველოს რეფორმების ქრონიკა“

2. კორუფციული დანაშაულების გამოძიების ეტაპები:



საჯარო სექტორში კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის პირორიტეტული სფეროებად სახელწოდებული შესყიდვები, ლიცენზიების გაცემა, დასუფთავების და მშენებლობის საკითხები განისაზღვრა. ცალსახად გამოიკვეთა, რომ ერთ-ერთ ყველაზე მოწყვლად სფეროს კორუფციული გარიგებებისათვის სახელმწიფო შესყიდვები წარმოადგენდა. ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად მთელი რიგი ღონისძიებები განხორციელდა. პირველ რიგში შესყიდვების პროცედურების გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით შეიქმნა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო და ონლაინ პლატფორმა, რომლის მეშვეობითაც ყველა საჯარო უწყების მიერ გამოცხადებული ტენდერი, სატენდერო განაცხადი, საკვალიფიკაციო მოთხოვნები და კონკურსი მონაწილე პრეტენდენტთა შესახებ ინფორმაცია ყველასა დაინტერესებული პირისათვის ხელმისაწვდომი გახდა<sup>5</sup>.

საგამოძიებო უწყებებმა დაინყეს სახელმწიფო შესყიდვებისა და მასში მონაწილე სუბიექტების საქმიანობის კანონშესაბამისობის შესწავლა, რასაც შედეგად მოჰყვა არაერთი ურთიერთშეუთავსებელი ფაქტის და კორუფციული ნიშნების მქონე გარიგებების კვალის აღმოჩენა. მათი შესწავლისას ყურადღება ექცეოდა ფასს, პროდუქტის ხარისხს, დისკვალიფიკაციის მიზეზს, მოთხოვნათა ნუსხას და სფეციფიური დათქმების არსებობას, რაც შესაძლოა, კონკურენტის ჩამოცილების მიზნით, წინასწარ შეთანხმებულ პირობას წარმოადგენდეს.

საქართველოს მთავარი პროკურატურის ანტიკორუფციულმა დეპარტამენტმა, ანტიკორუფციული სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების პროცესში, არაერთი მაღალი თანამდებობის პირის მიერ ჩადენილი კორუფციული დანაშაულები გამოავლინა, რასაც სამართლიანობის აღდგენასთან ერთად, შემდგომი დარღვევების აღმოფხვრის თვალსაზრისით, პრევენციული მნიშვნელობა ჰქონდა.

საილუსტრაციოდ წარმოგიდგენთ საგამოძიებო უწყებების მიერ გახსნილი კორუფციული დანაშაულების სქემას რომლებზეც სასამართლოს მიერ უკვე მიღებულია საბოლოო შემჯავამებელი გადაწყვეტილება:

<sup>5</sup> <https://tenders.procurement.gov.ge>

### ქეისი №1 დისკვალიფიკაციის მიზეზი:

ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტოს მიერ გამოცხადებულ ტენდერებში ფორმალური მიზეზით მოხდა კონკურენტის ჩამოცილება. მიზეზად გამოყენებულ იქნა სრულიად ტექნიკური საკითხები, მაგალითად როგორცაა დოკუმენტაციის ატვირთვისას დაშვებული ტექნიკური უზუსტობა, რომელსაც არანაირი გავლენა ტენდერით გათვალისწინებული პირობების ჯეროვნად შესრულებასთან არ ქონდა და არც შეიძლებოდა ქონოდა.

ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ მოგება ნახა 700.000 აშშ დოლარის ოდენობით, საიდანაც 25.000 დოლარი ქრთამის სახით გადასცა კომისიის თავმჯდომარე – ნ.ფ-ს.

ნ.ფ პასუხისგებაში იქნა მიცემული<sup>1</sup>

### ქეისი №2 სატენდერო მოთხოვნათა ნუსხა

საქპატენტის მიერ გამოცხადებული ტენდერების შესწავლისას აღმოჩენილ იქნა, რომ მოთხოვნათა ნუსხა ზედმინევენით იყო განერილი.

ტენდერში გამარჯვებული კომპანიისთვის თანხების გადარიცხვა ხდებოდა ავანის სახით და ამავდროულად უზრუნველყოფილი თანხების გათავისუფლება ხორციელდებოდა.

სატენდერო პირობებით გათვალისწინებული შესრულებული სამუშაოების ღირებულება არ აღემატებოდა 20%.

აღნიშნული ფაქტების საფუძველზე საქპატენტის დირექტორი გ.ლ პასუხისგებაში იქნა მიცემული<sup>2</sup>.

### ქეისი №3 პროდუქციის ღირებულება და ხარისხი, კომპანიისთვის უკანონო უპირატესობის მინიჭება, ინტერესთა კონფლიქტი

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სააგენტოს თავმჯდომარე ნ.გ-მ მეგობრებთან ერთად დაარსა კომპიუტერული ფირმა, რომელიც სხვის სახელზე გააფორმა.

აღნიშნული ფირმა მონაწილეობას იღებდა ტენდერში, სადან მიუხედავად პროდუქტის ღირებულებისა იმარჯვებდა. სახეზე იყო ინტერესთა კონფლიქტი

კომპიუტერულ ტექნიკას აღნიშნული ფირმა ფასნამატით აწვდიდა სახელმწიფოს, თუმცა კონკურენტების მიერ შეთავაზებული დაბალი ფასის მიუხედავად, ტენდერში მაინც იმარჯვებდა.

მოგება ქრთამის სახით ნაწილდებოდა სააგენტოს თავმჯდომარეზე

გამოძიების შედეგად სააგენტოს თავმჯდომარე პასუხისგებაში მიეცა და სახელმწიფო ბიუჯეტისთვის მიყენებული ზარალი სრულად ანაზღაურდა<sup>3</sup>.

### ქეისი №4 ლიცენზიების გაცემა

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მაღალჩინოსნები, ფორმალური აუქციონის გზით, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიებს ფიქტიურად აფორმებდნენ თავის ახლო მეგობრებზე, რის შედეგადაც ხორციელდებოდა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია.

განხორციელების გზები:

ეტაპი №1 აუქციონის დროს კონკურენტებს ხელოვნურად უზრდიდნენ ფასს.

ეტაპი №2 გაზრდილი ფასის პირობებში ისინი კონკურენტგარეშე პირობებში ყიდულობდნენ ლიცენზიებს მიზერულ ფასად.

ეტაპი №3 ამ ლიცენზიებს კოლოსალურ თანხებად ყიდდნენ დაინტერესებულ პირებზე

ანტიკორუფციულმა დეპარტამენტმა განახორციელა გაცემული ლიცენზიების შესწავლა. ელექტრონული ბაზების გამოყენებით მოიპოვა დეტალური ინფორმაციები. მიღებული ინფორმაციები ანალიტიკური მეთოდებით დამუშავდა.

შედეგად: სახელმწიფოს დაუბრუნდა 55 უკანონოდ გაცემული ლიცენზია. ჯარიმის სახით ბიუჯეტში დაბრუნდა 1 მილიონი ლარი. პასუხისგებაში მიეცა დანაშაულებრივ სქემაში მონაწილე 5 პირი<sup>4</sup>.

### №5 დასუფთავების სფეროს შესწავლა

ერთ-ერთი რაიონის გამგებელი დასუფთავების სამსახურის უფროსს ყოველთვიურად ქრთამის სახით ართმევდა ფიქსირებულ თანხას, რის სანაცვლოდაც უზრუნველყოფდა მისი ფირმისთვის ხელშეკრულების გაფორმებას.

დასუფთავების სამსახურის უფროსი თავის მხრივ ხარჯებს ფიქტიურად აფორმებდა.

აღნიშნული დადგინდა საგამოძებო ექსპერიმენტის მეშვეობით

შედეგად გამგებელი და დასუფთავების სამსახურის უფროსი პასუხისგებაში მიეცა<sup>5</sup>.

### №6 მშენებლობის სფეროს შესწავლა

განათლების სამინისტროს მაღალჩინოსნის ა.ლ-ს მიერ, საჯარო სკოლების რეაბილიტაციისათვის გამოცხადებულ ტენდერში, უკანონოდ მიენიჭა უპირატესობა მის ნათესავს ნ.მ-ს

მიღება-ჩაბარების აქტები შედგა ექსპერტიზის ბიუროს დასკვნის გარეშე

ა.ლ-მ ნ.მ-ს დახმარებით, კორუფციული გარიგების შედეგად ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხებიდან 300.000 ლარი მიისაკუთრა.

გამოძიების შედეგად ბიუჯეტში დაბრუნდა უკანონოდ მითვისებული თანხა. დანაშაულის მონაწილე პირები კი პასუხისგებაში მიეცნენ.

მაღალი დონის კორუფციის შემთხვევების გამოუძიებლობა პროგრესის ნაკლებობას განაპირობებს<sup>6</sup>. ამიტომ, საგამოძიებო უწყებების როლი ამ პროცესში უმნიშვნელოვანესია. სისტემური და კოორდინირებული ბრძოლის, ასევე ფუნდამენტური ანტიკორუფციული რეფორმების შედეგად, დღეს საქართველომ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით ყველაზე დიდ წარმატებას მიაღწია, ხოლო ევროპის ქვეყნებს შორის კორუფციის დონის ერთ-ერთი ყველაზე დაბალი მაჩვენებლით გამოირჩევა. თუმცა დღემდე რჩება არაერთი გამოწვევა, რომელთა აღმოსაფხვრელად პრინციპული და კოორდინირებული მუშაობის გაძლიერებაა სჭირო.

### 3. „პოლიტიკური კორუფცია“

ერთ-ერთ პრობლემურ სფეროდ, რომელიც ქვეყნის პროგრესულ განვითარებაზე გავლენას ახდენს, დღემდე მიიჩნევა პოლიტიკური კორუფცია, რომელიც საფრთხეს უქმნის კანონის უზენაესობას, ადამიანის უფლებებს და თავისუფლებებს, აფერხებს ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლას და ხელს უშლის დემოკრატიული ინსტიტუტების სტაბილურ განვითარებას. ამავდროულად, იგი უარყოფითად აისახება ქვეყნის პოლიტიკურ კულტურაზე, ქმნის რა არაკონკურენტულ პოლიტიკურ გარემოს და ხელყოფს საზოგადოების კანონიერ უფლებას სამართლიან არჩევნებზე, რითაც ხელს უწყობს საზოგადოებაში იმედგაცრუებასა და პოლიტიკური გაერთიანებების მიმართ ნდობის დაკარგვას<sup>7</sup>.

პოლიტიკური კორუფცია თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოებისთვის უდიდეს გამოწვევას წარმოადგენს. საყოველთაო თანხმობა არსებობს იმ საკითხთან დაკავშირებით, რომ პოლიტიკური პარტიების დაფინანსების წარმომავლობის კანონიერების კონტროლის ეფექტური მექანიზმების დანერგვა, დემოკრატიული პრინციპების განვითარებისა და კანონის უზენაესობის განმტკიცების განუყოფელ ელემენტს წარმოადგენს. პოლიტიკური ფინანსების გამჭვირვალობა მნიშვნელოვნად განაპირობებს ქვეყნის პოლიტიკური სისტემის ლეგიტიმურობას და მის მიმართ საზოგადოების ნდობას<sup>8</sup>.

„მთელი ჩემი კარიერის განმავლობაში მე ვიყავი პოლიტიკასა და სახელმწიფო მმართველობაზე ფულის მავნე ზეგავლენის მოწმე. სულ უფო და უფრო მეტი მტკიცებულება არსებობს

<sup>6</sup> Transparency International \_ The Corruption Perceptions Index 2018

<sup>7</sup> სახელმწიფო აუდიტის სამსახური, პოლიტიკური დაფინანსების მონიტორინგი – მეთოდოლოგია

<sup>8</sup> Comparative Political Finance Among the Democracies. Boulder. 1994. P.15.

იმისა, რომ კორუფცია და დაურეგულირებელი შემოსავლები საზიანო გავლენას ახდენს პოლიტიკურ ცხოვრებაზე და ძირს უთხრის საარჩევნო პროცესის მთლიანობას. ზოგიერთ ქვეყნებში, ორგანიზებული დანაშაულის შედეგად მობილიზებული ფულადი სახსრები აღწევს პოლიტიკაში არჩევითი თანამდებობის პირებისა და სამთავრობო დანესებულებებზე კონტროლის მიზნით. დემოკრატიული პოლიტიკური პროცესის წინაშე არსებული ეს საფრთხეები შესაძლებელს ხდის აიხსნას რატომ დაკარგა ადამიანთა დიდმა ნაწილმა პოლიტიკური ფიგურებისა და პოლიტიკური პროცესების რწმენა“<sup>9</sup>

ეს სიტყვები არჩევნების, დემოკრატიისა და უსაფრთხოების გლობალური კომისიის თავმჯდომარეს – კოფი ანანს ეკუთვნის და თვალსაჩინოს ხდის იმ რისკებს, რაც შავი ფულის პოლიტიკურ პროცესებზე ზემოქმედებამ შეიძლება წარმოშვას. ცალსახაა, რომ გამჭვირვალობის პრინციპის უგულვებელყოფა და ამით შექმნილი ინფორმაციული ვაკუუმი, პოლიტიკური კორუფციის საფრთხეს ქმნის. ფულის გავლენა არის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი, რომელიც ხელს უშლის ბევრ ქვეყანას პოლიტიკურ პროცესებში მიაღწიოს დემოკრატიულ იდეალებს. მიუხედავად იმისა, რომ ფული დემოკრატიული პოლიტიკის აუცილებელი ელემენტია, ზოგიერთ პირთა ხელში ის შეიძლება გახდეს პოლიტიკურ პროცესზე შეუსაბამო გავლენის ინსტრუმენტი ამომრჩეველთა მოსყიდვის, ან პოლიტიკურ გადანყვეტილებებზე ზეგავლენის გზით<sup>10</sup>

პოლიტიკური კორუფცია აზიანებს ჯანსაღ პოლიტიკურ გარემოს, ხელს უშლის ამომრჩეველთა ნების თავისუფლად გამოვლენას, არღვევს საარჩევნო პროცესის თანასწორობას, რითაც ხელს უწყობს საზოგადოებაში იმედგაცრუებასა და პოლიტიკური გაერთიანებების მიმართ ნდობის დაკარგვას<sup>11</sup>.

საქართველომ ამ მხარე სოციალურ-პოლიტიკურ მოვლენასთან ბრძოლა სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტულ მიმართულებად მიიჩნია. შესაბამისად, ანტიკორუფციული სტრატეგიის მნიშვნელოვან ნაწილად, სწორედ საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებით<sup>12</sup>, პოლიტიკური დაფინანსების რეგულირება განსაზღვრა. ამ მიზნით გატარდა ფუნდამენტური რეფორმა პოლიტიკური გაერთიანებებისა და საარჩევნო კამპანიის დაფინანსების სისტემის დახვეწის მიმართულებით, რის საფუძველზეც, საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად, შემოღებულ იქნა პოლიტიკური დაფინანსების მონიტორინგის დამოუკიდებელი მექანიზმი, რომლის მიზანი იყო პოლიტიკურ დაფინანსებაზე საზოგადოებრივი კონტროლის ხელშეწყობა, - პოლიტიკური გაერთიანებების საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულებისა და პოლიტიკური დაფინანსების გამჭვირვალობის უზრუნველყოფის გზით.

პოლიტიკური დაფინანსების კანონიერებასა და გამჭვირვალობაზე მონიტორინგის მანდატი საქართველოს უმაღლეს აუდიტორულ ინსტიტუციას – „სახელმწიფო აუდიტის სამსახურს“ (წარსულში „კონტოლის პალატა“) მიენიჭა. უნდა აღინიშნოს, რომ 2011 წლამდე საქართველოში არ არსებობდა უწყება და მექანიზმები, რომელიც პოლიტიკური დაფინანსების ეფექტურ კონტროლს უზრუნველყოფდა. ბევრი აზრთა სხვადასხვაობა მოჰყვა ამ მანდატის სახელმწიფო აუდიტის სამსახურისათვის მინიჭებას, რადგან აღნიშნული უწყების ინსტიტუციური დამოუკიდებლობის მიუხედავად, გამოითქმებოდა ეჭვები უწყების პოლიტიკურ ნეიტრალიტეტთან დაკავშირებით. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ უმაღლესი აუდიტორული ინსტიტუტის მიერ

<sup>9</sup> Brennan centr for Justice referred to in the report of the Global commission on Democracy , Elections and Security (2012, p 34 )

<sup>10</sup> Magnus Ohman. Introduction to Political finance.Global Commission on Elections, Femocray and Security 2012,p 33

<sup>11</sup> Ohman, Magnus (2012) Political Finance Regulations Around the World./ Stockholm: International IDEA

<sup>12</sup> პოლიტიკური პარტიებისა და საარჩევნო კამპანიის დაფინანსება – კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო ფორუმზე კორუფციული რისკის მქონე სფეროდ არის მიჩნეული, რამაც განაპირობა როგორც ცალკეულ ქვეყნებში, ისე საერთაშორისო დონეზე შესაბამისი წესების მიღება და სტანდარტების დადგენა, რომელთაც უნდა დაექვემდებაროს პოლიტიკური დაფინანსება, რათა ხელი შეეწყოს ამ სფეროში პოლიტიკური კორუფციის პრევენციას და მის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბებას.

პოლიტიკური ფინანსების მონიტორინგის განხორციელება აპრობირებული საერთაშორისო პრაქტიკა<sup>13</sup> და ქართული რეალობის გათვალისწინებით, დამოუკიდებელი მაკონტროლებელი ორგანოსთვის ამ ფუნქციის მინიჭება იმ დროისათვის ყველაზე ოპტიმალურ გადაწყვეტილებას წარმოადგენდა. ამ ფუნქციას დღემდე სახელმწიფო აუდიტის სამსახური ახორციელებს. თუმცა, სულ უფრო და უფრო აქტუალური ხდება იდეა, დამოუკიდებელი ანტიკორუფციული სააგენტოს შექმნის თაობაზე, რომელიც მათ შორის პოლიტიკური კორუფციის ფაქტების მონიტორინგის და გამოძების ფუნქციებით იქნება აღჭურვილი.

„პოლიტიკური პარტიების ფინანსური მონიტორინგის სამსახურის“ სახით ქართულ რეალობაში პოლიტიკური კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის პირველი ორგანიზებული და სტრუქტურულად ჩამოყალიბებული უწყება შეიქმნა. ცალკეული რეგულაციები გაბნეული იყო კანონმდებლობაში, თუმცა „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში დეტალურად გაიწერა პოლიტიკური დაფინანსების წესი და მისი კანონიერების კონტროლის მექანიზმები. რომლის მიზანია, უზრუნველყოფილ იქნას პოლიტიკური დაფინანსების გამჭვირვალობა, რათა აღმოიფხვრას პოლიტიკური კორუფციის ყველა შესაძლო გამოვლინება და ხელი შეეწყოს ჯანსაღი, კონკურენტული საარჩევნო გარემოს ჩამოყალიბებას. არ მოხდეს ერთი წყაროდან მთელი პოლიტიკური სისტემის დაფინანსება, ადამიანების პოლიტიკური მიზნით მოსყიდვა და პოლიტიკის მონოპოლიზაცია.

ხშირად ისმის შეკითხვა, რატომ შეირჩა სახელმწიფო აუდიტის სამსახური პოლიტიკური დაფინანსების კანონიერების მაკონტროლებელ უწყებად და რატომ არ აქვს ეს ფუნქცია შეთავსებული მაგალითად ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, როგორც ეს არაერთ ქვეყანაშია. საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სახელმწიფო აუდიტის სამსახურის სტატუსი, მის სრულ დამოუკიდებლობას და მხოლოდ კანონისადმი მორჩილებას გულისხმობს. აკრძალულია სახელმწიფო აუდიტის სამსახურზე ყოველგვარი პოლიტიკური ზეწოლა, აგრეთვე ნებისმიერი სხვა ქმედება, რომელმაც შეიძლება ხელყოს მისი დამოუკიდებლობა. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საქმიანობის პრინციპები - ობიექტურობა, დამოუკიდებლობა და საჯაროობაა. ამასთან, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის კონსტიტუციურ მანდატს საჯარო სახსრებისა და მატერიალური ფასეულობების ზედამხედველობა განეკუთვნება. პოლიტიკური ფინანსებიც საჯარო ბუნებისაა, რადგან წარმომადგენლობითი დემოკრატიის უზრუნველყოფაში მნიშვნელოვანი როლის გათვალისწინებით, საჯარო მიზნებს ემსახურება. „პარტიები ასრულებენ დამაკავშირებელ როლს საზოგადოების ცალკეულ პირებსა და ჯგუფებს შორის, პოლიტიკურ სისტემაში ინტეგრაციისათვის; ისინი ახდენენ ფართო საზოგადოების მობილიზაციასა და ჩართულობას, განსაკუთრებით არჩევნებზე, და ისინი წარმოადგენენ სოციალური ინტერესების გამომხატვისა და გაერთიანების ძირითად საშუალებას. გარდა ამისა, პოლიტიკური პარტიები ასრულებენ მნიშვნელოვან როლს პოლიტიკური ელიტის შექმნაში სახელმწიფო თანამდებობებზე კანდიდატების დასახელებითა და არჩევით, მათ არსებითი მნიშვნელობა აქვთ სახელმწიფოს მართვის ორგანიზებაში, და არსებით როლს ასრულებენ მნიშვნელოვანი პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებაში და მათ პოლიტიკურ რეალიზებაში“<sup>14</sup> – აღნიშნული ამონარიდი ზუსტად გამოხატავს პარტიების საჯარო ბუნებას, რაც ცალსახად აისახება პარტიების ფინანსურ საქმიანობაზედაც და მათ ფინანსებს საჯარო ხასიათს სძენს.

მიუხედავად იმისა, რომ სანევრო შენატანები და კერძო შემოწირულობები, რომლებიც პოლიტიკური პარტიების დაფინანსების ნაწილს წარმოადგენს, არ არის სახელმწიფო ბიუ-

<sup>13</sup> საარჩევნო კამპანიის ფინანსების მონიტორინგი: გზამკვლევი NGO-ებისთვის, ღია საზოგადოების სამართლიანობის ინიციატივა, ღია სოზგადიების ინსტიტუტი (Open Society Institute), ნიუ იორკი, 2005

<sup>14</sup> „პოლიტიკური პარტიების და საარჩევნო კამპანიის დაფინანსება – სახელმძღვანელო მითითებები“, ინგრიდ ვან ბიუნენი. (ბირმინგემის უნივერსიტეტი), ინტეგრირებული პროექტი „დემოკრატიული ინსტიტუტების შექმნა, ევროსაბჭოს გამომცემლობა.

ჯეტიდან გამოყოფილი თანხები, აღნიშნული თავისი არსით საჯარო ფინანსებს წარმოადგენს, ვინაიდან განკუთვნილია პოლიტიკური პარტიის საჯარო ფუნქციის განხორციელებისთვის. შესაბამისად, პოლიტიკურმა პარტიებმა ეს თანხები უნდა განკარგონ გამჭვირვალობის პრინციპის საფუძველზე და ინფორმაცია ამის შესახებ ხელმისაწვდომი უნდა იყოს საზოგადოებისთვის. აღნიშნული ეხმიანება პოლიტიკური პარტიების შექმნისა და საქმიანობის ფუძემდებლურ პრინციპებს, როგორცაა – ანგარიშვალდებულება და საჯაროობა. პოლიტიკური პარტიების შექმნისა და საქმიანობის საჯარო მიზნებიდან გამომდინარე, მათი ფინანსები, რომლებიც სწორედ რომ საჯარო ფუნქციის განსახორციელებლად მობილიზდება, მიუხედავად იმისა, გაივლის თუ არა სახელმწიფო ბიუჯეტს, წარმოადგენს საჯარო ფინანსებს და ამდენად, კონსტიტუციური კონტროლის არეალში ხვდება. პოლიტიკური ფინანსების საჯარო ბუნებას ასევე განაპირობებს საზოგადოების ინტერესი, რომ პოლიტიკური სისტემა თავისუფალი იყოს კორუფციისაგან, პოლიტიკურმა სუბიექტებმა შეინარჩუნონ დამოუკიდებლობა ფულის მავნე ზეგავლენისაგან, რადგან ფულადმა ნაკადებმა, რომელიც აღწევს პოლიტიკაში, შეიძლება საფრთხეს შეუქმნას ძირითად დემოკრატიულ ფასეულობებს<sup>15</sup>. სწორედ ამ კონტექსტითაა მნიშვნელოვანი, რომ პარტიების დაფინანსების კანონიერების მონიტორინგის მანდატი სახელმწიფო აუდიტის სამსახურს მიენიჭა.

„მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანულმა კანონმა მისი მიღებისთანავე არაერთგვაროვანი რეაქციები გამოიწვია, რადგან პოლიტიკურმა პარტიებმა, რომელთათვისაც მანამდე ანგარიშვალდებულებისა და ზედამხედველობის ეფექტური მექანიზმები უცხო იყო, საკმაოდ მტკივნეულად აღიქვეს მონიტორინგის სამსახურის მიერ შემუშავებული სისტემა, რომლის მიხედვითაც მათ წარმოეშვათ ვალდებულება, მუდმივად შეეცნოთ სამსახურის მიერ სპეციალურად შემუშავებული დეტალური ფინანსური დეკლარაციები და მასში პარტიის მიერ მიღებული შემოსავლებისა და განეული ხარჯების შესახებ ამომწურავი ინფორმაცია აესახათ.

რადგან წარსულში არ არსებობდა საფინანსო დეკლარაციის დადგენილი ფორმები და მისი შევსების წესი, პოლიტიკური პარტიები საკუთარი შეხედულებისამებრ ადგენდნენ კანონით სავალდებულო წლიურ დეკლარაციებს და მასში ფინანსური საქმიანობის ამსახველ ძალზედ მწირ ინფორმაციას ასახავდნენ. ამასთან, არ არსებობდა მაკონტროლებელი ორგანო, რომელიც მათი შემოსავლების და ხარჯების ბალანსს ან მიღებული შემოსავლებისა და განეული ხარჯების კანონიერებას შეამოწმებდა.

ფინანსური მონიტორინგის სამსახურმა, საერთაშორისო ბუღალტრული სტანდარტების დაცვით შეიმუშვა მაქსიმალურად დეტალიზებული დეკლარაციის ფორმები, რომელიც გამჭვირვალეს ხდის პოლიტიკური სუბიექტის ფინანსურ საქმიანობას და ამავდროულად, თავად პარტიის ბუღალტრებს საშუალებას აძლევს ერთი ელექტრონული სისტემის ფარგლებში ჰქონდეთ თავმოყრილი პარტიის ფინანსური საქმიანობის ამსახველი ყველა ინფორმაცია. გამჭვირვალეობის უზრუნველყოფის მიზნით, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეკომენდაციის შესაბამისად<sup>16</sup>, პარტიის მიერ მიღებული ყველა შემოსავალი და ხარჯი საჯარო ხდება და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ოფიციალურ ვებ გვერდზე ქვეყნდება.

ფინანსური მონიტორინგის სამსახურმა, წლიური ფინანსური დეკლარაციის გარდა, პოლიტიკური პარტიებისათვის საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსით“ და „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების ხელშეწყობის მიზნით, შეიმუშავა დეკლარაციის ფორმები შემოწირულებებისათვის, ასევე საარჩევნო პერიოდის დეკლარაციის ფორმები, დამოუკიდებელი მაჟორიტარი კანდიდატის საფინანსო დეკლარაციის ფორმები და

<sup>15</sup> Funding of Political Parties and Election Campaigns, Magnus Ohman, Introduction to Political Finance, Chapter 1

<sup>16</sup> Парламентская Ассамблея Совета Европы, Рекомендация 1516 (2001), пар. 8 С (i)4

მიმდინარე ფინანსური საქმიანობის დეკლარაციის ფორმები. შეიქმნა ასევე ზემოაღნიშნული დეკლარაციის ფორმების შევსების დეტალური ინსტრუქცია და თითოეული მუხლის დეტალური განმარტება. აღნიშნულის მიზანი გახლდათ სწორედ პარტიების მიერ მიღებული შემოსავლების და მათი ხარჯების ზედმინევენით ზუსტი კონტროლი, რათა მაქსიმალურად გამოირიცხოს უაკნონო დაფინანსების და ფულადი თანხების არამიზნობრივად, უკანონოდ ხარჯვის შესაძლებლობები.

კანონით მინიჭებული მანდატის განხორციელების უზრუნველსაყოფად, „პარტიების ფინანსური მონიტორინგის სამსახურს“ მიენიჭა სანქციების გამოყენების უფლებამოსილება. მონიტორინგის სუბიექტები ექვემდებარებიან დაჯარიმებას მათ მიერ უკანონო შემოწირულების მიღების ან გარხორციელების შემთხვევაში, სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის მის მიერ მოთხოვნილი და ამ კანონით განსაზღვრული ინფორმაციის მიწოდების კანონით დადგენილი ვალდებულების შეუსრულებლობისას, პირის მიერ პარტიის ან გაცხადებული საარჩევნო მიზნების მქონე პირის სასარგებლოდ საქართველოს კანონმდებლობით აკრძალული შემოწირულების/სანევრო შენატანის მიღების ან/და აღნიშნულის თაობაზე ინფორმაციის დამალვისას. აგრეთვე, იმ შემთხვევაში, თუ საარჩევნო მიზნით ფიზიკური პირის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული უკანონო საჩუქრის, შემოსავლის, მომსახურების მიღება, თუ ქონების (მომსახურების) ან გარიგების ღირებულება არ აღემატება 100 ლარს. 100 ლარზე მეტი ოდენობის საჩუქრის, შემოსავლის, მომსახურების მიღების, თუ ქონების (მომსახურების) ან გარიგების ღირებულების შემთხვევაში, წარმოადგენს დანაშაულს და პასუხისმგებლობის საკითხი სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ამომრჩევლის მოსყიდვის მუხლით დადგება<sup>17</sup>.

აღსანიშნავია, რომ „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის პირველად რედაქციაში, მონიტორინგს დაქვემდებარებული პირების მიერ სამართალდარღვევის ჩადენის შემთხვევაში საკმაოდ მაღალი სანქციები იყო დაწესებული და იგი უკანონო შემოწირულების ათმაგი ოდენობით დაჯარიმებას იწვევდა. კანონში განხორციელებული ცვლილებების შემდეგ, სანქციები მნიშვნელოვნად შემცირებულია და გამოვლენილი დარღვევის ორმაგი ოდენობით დაჯარიმებას იწვევს. ამ კონტესტისტით გასაანალიზებელია ის გარემოება, რამდენად შესაძლებელია ამ ტიპის სანქციებმა შემაკავებელი ფუნქცია შეასრულოს და დარღვევების პრევენცია უზრუნველყოს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სანქციების დაწესება არ არის პოლიტიკური საქმიანობის ეფექტური ზედამხედველობის საბოლოო მიზანი. ყველა შესაძლო შემთხვევაში მაკონტროლებელმა ორგანოებმა განსაკუთრებული აქცენტი პოზიტიურ გამოცდილებაზე უნდა გააკეთონ, რათა დააინტერესონ მონიტორინგის სუბიექტები დაიცვან დადგენილი წესები და ფულადი სახსრების წყაროებსა და ხარჯების გამჭვირვალობა უზრუნველყონ<sup>18</sup>.

მნიშვნელოვანია, რომ კანონმდებლობამ მაქსიმალურად უზრუნველყოს პოლიტიკური და საარჩევნო პროცესის დაცვა უკონტროლო ფულის მავნე ზეგავლენისაგან. სწორედ ამიტომ „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრულ მონიტორინგის სუბიექტები არიან არამარტო პოლიტიკური პარტიები, არამედ გაცხადებული პოლიტიკური და საარჩევნო მიზნის მქონე პირები, ასევე მესამე პირები, რომლებიც შესაძლოა სხვადასხვა ფორმით იყვნენ ჩართულები მათ დაფინანსებასა და მხარდაჭერაში.

გაცხადებული საარჩევნო მიზნების მქონედ ჩაითვლებიან ის პირები, რომელიც ამ მიზნების მისაღწევად შესაბამის ფინანსურ და სხვა მატერიალურ რესურსებს იყენებენ. საარჩევნო მიზანი შეიძლება იყოს პირის მიერ საზოგადოებრივი ურთიერთობების, სახელმწიფო ინსტრუმენტების ისეთი მექანიზმის მეშვეობით რეგულირების სურვილი, როგორიცაა არჩევნები, არსებუ-

<sup>17</sup> „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, მუხლი 342

<sup>18</sup> Funding of Political Parties and Election Campaigns, Magnus Ohman, Introduction to Political Finance, Enforcement

ლი პოლიტიკური რეალობის შეცვლის ან შენარჩუნებისაკენ მისწრაფება. აგრეთვე საარჩევნო მიზანი შეიძლება განიმარტოს, როგორც კონკრეტულ არჩევნებში მონაწილეობისა და მასში გამარჯვების სურვილი. გარდა მიზნისა და მისი მისაღწევი საშუალებების დეკლარირებისა, პირის მიერ საარჩევნო მიზანი უნდა იყოს საჯაროდ გაცხადებული. ამ დროს ყურადღება ექცევა არამარტო განცხადების შინაარსს, არამედ იმას თუ ვინ აკეთებს განცხადებას, რა პოლიტიკური, ელექტორალური და ფინანსური რესურსები გააჩნია მას, რა ვითარებაშია განცხადება გაკეთებული, აქვს თუ არა მიზნის მიღწევის საშუალებები და ასე შემდეგ. ამასთან, მნიშვნელოვანია განცხადება იყოს საჯარო და მიმართული საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებისკენ, რაც შეიძლება განხორციელდეს მასმედიის, ინტერნეტის, სარეკლამო, საზოგადოებრივი ლონისძიებებისა თუ ინდივიდუალური მხარდაჭერის მოსაპოვებლად გატარებული აქტივობების მეშვეობით. ამდენად, სწორედ ასეთი გაცხადებული საარჩევნო მიზნების მქონე პირზე სრულად ვრცელდება მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ ორგანული კანონით დადგენილი შეზღუდვები და გამჭვირვალობის სტანდარტები.

ერთი წყაროდან მთელი პოლიტიკური სისტემის დაფინანსების თავიდან აცილების, დიდი ფინანსური რესურსის მქონე საარჩევნო მიზნის მქონე პირთა მიერ ამომრჩეველთა ნების ფორმირებაზე გავლენის აღმოფხვრის და პოლიტიკური კორუფციის საფრთხეების პრევენციის მიზნით, კანონში დეტალურად გაიწერა პარტიების დაფინანსების ლეგალური წყაროები:

სანევრო შენატანები, რომელთა ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს **1200** ლარს

შემონირულებები, პარტიის ანგარიშზე ფიზიკური პირების მიერ ჩარიცხული თანხა, რომლის საერთო ოდენობა წელიწადში თითოეული მოქალაქისაგან არ უნდა აღემატებოდეს **60 000** ლარს.

პარტიის ანგარიშზე იმ იურიდიული პირის მიერ ჩარიცხული თანხა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოს ტერიტორიაზე და რომლის პარტნიორები და საბოლოო ბენეფიციარები მხოლოდ საქართველოს მოქალაქეები არიან; თითოეული იურიდიული პირისაგან მიღებული შემონირულებების საერთო ოდენობა წელიწადში არ უნდა აღემატებოდეს **120 000** ლარს.

უნდა აღინიშნოს, რომ „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით აკრძალული იყო იურიდიული პირებისაგან შემონირულებების მიღება, თუმცა მალევე განხორციელდა ცვლილებები, რომლის მიხედვითაც იურიდიულ პირებს შემონირულების განხორციელების უფლება მიეცათ. იმის მიუხედავად, რომ იურიდიული პირების მიერ შემონირულების განხორციელების შესაძლებლობა აპრობირებული საერთაშორისო პრაქტიკა<sup>19</sup>, ვთვლი, რომ ქართული რეალობის გათვალისწინებით, ის კორუფციის რისკებს ზრდის. ჩნდება შესაძლებლობა დიდი ფინანსური რესურსის მქონე წყაროდან მოხდეს პოლიტიკური პროცესების დაფინანსება უკანონო, თვალთმაქცური გარიგებების გზით, ან პოლიტიკური კონიუკტურის ზემოქმედებით. მით უფრო იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მაშინაც კი, როდესაც იურიდიულ პირებს ეკრძალებოდათ შემონირულებების განხორციელება, გამოვლინდა უკანონო შემონირულებების არაერთი ფაქტი, რომელიც გაცხადებული საარჩევნო მიზნების მქონე პირებსა და პოლიტიკურ პარტიებთან დაკავშირებული იურიდიული პირების მიერ კანონის გვერდის ავლის გზით, შენიღბული ფორმით, პოლიტიკური სუბიექტების დაფინანსებას უკავშირდებოდა<sup>20</sup>. კანონის გვერდის ავლის გზით, უკანონო შემონირულებების განხორციელებაში მხილებული კომპანიების ნაწილი დაფუძნებული იყო ოფშორულ ზონებში და საქართველოში მათ საარჩევნო სუბიექტთან დაკავშირებული პირები წარმოადგენდნენ<sup>21</sup>.

ზემოაღნიშნული რისკების გარდა, აღსანიშნავია ასევე ე.წ პოლიტიკური ქველმოქმედების

<sup>19</sup> Funding of Political Parties and Election Campaigns/ A handbook on Political Finance p. 368-390

<sup>20</sup> ქ.თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლე ნანა კობახიძის 2012 წლის 12 ივნისის დადგენილება

<sup>21</sup> ქ.თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლე ნათია ქუთათელაძის 2012 წლის 6 აპრილის დადგენილება

ფაქტები, როდესაც სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილე იურიდიული პირები იგებენ ტენდერებს, შემდეგ კი როგორც კომპანიის, ისე საკუთარი სახელით ფულად თხნებს მმართველი პოლიტიკური გუნდის კანდიდატს სწირავენ. ეს ტენდენცია ვლინდება საქართველოში ჩატარებულ თითქმის ყველა არჩევნებზე, - როგორც საპარლამენტო, ისე საპრეზიდენტო და ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დროს. ამავე კონტექსტში საყურადღებოა გამართივებული სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილე კომპანიების მიერ პოლიტიკური დაფინანსების პროცესში ჩართულობა<sup>22</sup>. სამწუხაროდ ეს პრობლემა უკვე ათწლეულებია რჩება გამომწვევად, რომელსაც აქტუალურობა არ დაუკარგავს, რასაც იურიდიული პირებისათვის შემოწირულების განხორციელების უფლების მინიჭებამ უფრო მეტი მასშტაბები შესძინა და ბიზნესი პოლიტიკურ კონიუქტურას დაქვემდებარებულ უფრო მსხვილ შემომწირველად აქცია. ამ კონტექსტში პოლიტიკური კორუფცია არის არა მხოლოდ ფულის პირდაპირ დარიგება, არამედ ეს არის უპირატესობის მქონე, შეღავათიანი პირობების შექმნა კონკრეტულ კომპანიებში, რომლებიც შემდეგ ფულს რჩეული პოლიტიკური პარტიის ანგარიშზე რიცხავენ.

კიდევ ერთი ფაქტორი, იურიდიული პირებისათვის შემოწირულებების უფლების მინიჭებასთან დაკავშირებით, ერთი წყაროდან მთელი პოლიტიკური პროცესის დაფინანსების და არჩევნების მონოპოლიზაციის რისკებს უკავშირდება. ეს ის შემთხვევაა, როდესაც გაცხადებული საარჩევნო მიზნების მქონე საარჩევნო სუბიექტებმა, საკუთარი პოლიტიკური გეგმები მესამე პირების გამოყენების პარალელურად, თავისივე კომპანიებიდან შეიძლება დააფინანსონ. ისინი შესაძლოა რეალურად ფლობდნენ ათეულობით იურიდიულ პირს, რომლებსაც ნომინალური პირის მეშვეობით მართავენ და შენიღბულად ბენეფიციარ მესაკუთრეს წარმოადგენენ. სწორედ ამიტომ, ვფიქრობ, ქართული რეალობის და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით მნიშვნელოვანია, კიდევ ერთხელ კარგად შეფასდეს იურიდიული პირებისათვის შემოწირულების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების მიზანშეწონილობის საკითხი და ის რისკები, რაც არჩევნების არათანასწორ გარემოში ჩატარებას და დიდი ფინანსური რესურსის მქონე დაინტერესებული ჯგუფების მიერ, პოლიტიკური პროცესის დაფინანსებას შეიძლება უკავშირდებოდეს.

პოლიტიკური კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის კონტექსტში საქართველომ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა და ეს უპირატესად სწორედ ეფექტური მარეგულირებელი ორგანოს შექმნას და პოლიტიკური დაფინანსების გამჭვირვალობის სტანდარტების დანერგებას უკავშირდება. აკრძალულია შემოწირულობების მიღება სხვა ქვეყნის ფიზიკური და იურიდიული პირებისაგან, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და მოძრაობებისაგან, სახელმწიფო ორგანოსაგან, სახელმწიფო ორგანიზაციისაგან, საჯარო სამართლის იურიდიული პირისაგან, სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საზოგადოებისაგან, არასამეწარმეო იურიდიული პირისაგან და რელიგიური ორგანიზაციისაგან, მოქალაქეობის არმქონე პირისაგან; ანონიმური ფორმით. თუმცა ამ აკრძალვებიდან იურიდიული პირის ამოღება, ქართული რეალობის გათვალისწინებით, ნაჩქარევ და კორუფციული რისკების შემცველ ქმედებად მიმაჩნია.

პოლიტიკური დაფინანსების კანონიერებასა და გამჭვირვალობაზე ეფექტური მონიტორინგის სისტემის არსებობა, ქვეყნის ანტიკორუფციული სტრატეგიის მნიშვნელოვანი კომპონენტია, რამაც ასევე პოზიტიური გავლენა იქონია კორუფციის აღქმის ინდექსზე საქართველოში.

<sup>22</sup> „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“-ს საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების მონიტორინგის ანგარიშები

#### 4. კორუფციის აღქმის ინდექსი საქართველოში

„კორუფცია მინიჭებული უფლებამოსილებების საკუთარი მიზნებისთვის გამოყენებაა“. ეს ის დეფინიციაა, რომელსაც კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა“ კორუფციის აღწერისას იყენებს და ის როგორც საჯარო, ასევე კერძო სექტორსაც ეხება. „კორუფციის აღქმის ინდექსი“ ფოკუსირებას ახდენს კორუფციაზე საჯარო სექტორში, ან სხვანაირად რომ ვთქვათ, კორუფციაზე, რომელშიც ჩართული არიან საჯარო მოხელეები და პოლიტიკოსები. კვლევები, რომლებიც გამოიყენება ინდექსის დასადგენად, შეიცავს საჯარო ძალაუფლების გადამეტებასთან დაკავშირებულ კითხვებს, როგორიცაა საჯარო მოხელეების მოქრთამვა, ქრთამი სახელმწიფო შესყიდვებისას, საჯარო თანხების გაფლანგვა. კვლევები კითხვების საშუალებით ამოწმებენ საჯარო სექტორში ანტიკორუფციული აქტივობების ეფექტურობასა და სიძლიერეს. კითხვები ფარავს კორუფციის როგორც ადმინისტრაციულ, ასევე პოლიტიკურ ასპექტებს. ინდექსის გამოთვლისას თითოეული ქვეყნის ქულის დასადგენად სწორედ კვლევები და კორუფციის შესახებ კითხვები გამოიყენება წყაროებად.

„კორუფციის აღქმის ინდექსი“ (CPI) ყოველწლიურად შეიმუშავებს და აქვეყნებს „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ სათავე ოფისი ბერლინში. ინდექსში ქვეყნები რანგირებულია იმის მიხედვით, თუ რამდენად კორუმპირებულად აღიქმება ამ ქვეყნების საჯარო სექტორები. ინდექსი ეყრდნობა სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებისა და საკონსულტაციო ჯგუფების კვლევებს. ის ასევე ასახავს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში მომუშავე დამკვირვებლების, მათ შორის შეფასებულ ქვეყნებში მცხოვრები და მომუშავე ექსპერტების მოსაზრებებს<sup>23</sup>. მათი მონაცემები განსაზღვრავს კორუფციის ზოგად დონეს, სიხშირეს და მამატაბურობას, როგორც სახელმწიფო ისე პოლიტიკურ სექტორში.

როგორ უკვე აღინიშნა, „კორუფციის აღქმის ინდექსი“ იმის მიხედვით ანიჭებს ქვეყანას ქულას და ახდენს მის რანგირებას, თუ რამდენად კორუმპირებულად აღიქმება საჯარო სექტორი ამ ქვეყანაში. ეს ინდექსი სხვადასხვა კვლევების კომბინაციაა. ამ კვლევებს დამოუკიდებელი და რესპექტაბელური ინსტიტუტები ახორციელებენ და გამოკითხავენ კორუფციის თემაზე მომუშავე ექსპერტებსა და ბისზნესის წარმომადგენლებს. ქვეყანა მაშინ ხვდება „კორუფციის აღქმის ინდექსით“ შეფასებული ქვეყნების რიცხვში, როდესაც „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ მიერ კორუფციის აღქმის ინდექსის დასადგენად გამოყენებულ სამ ან მეტ კვლევაშია შეფასებული. თუ სამზე ნაკლები წყაროა ხელმისაწვდომი, მაშინ ქვეყანა ინდექსის ცხრილში არ შედის. სწორედ ამიტომ კვლევებში მონაწილე ქვეყნების რაოდენობა ცვალებადია.

საქართველო როგორც ქვეყანა, რომელმაც არაერთი წარმატებული ანტიკორუფციული რეფორმა განახორციელა მუდმივად ხვდება გავლენიანი ორგანიზაციების ფოკუსის ქვეშ, რომლებიც აკვირდებიან როგორია ამ რეფორმების დინამიკა, რამდენად ახერხებს ქვეყანა შეინარჩუნოს თანმიმდევრული პოლიტიკა ამ გამოწვევის წინააღმდეგ ბრძოლის გზაზე და რამდენად გრძნობენ ადამიანები ამ რეფორმების პოზიტიურ გავლენას ყოველდღიურ ცხოვრებაზე. კორუფციის აღქმის ინდექსი, უკვე 26-ედ ქვეყნდება, იგი ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციების კვლევების საფუძველზე მზადდება, რომელთაგან თითოეული სხვადასხვა ქვეყანაში კორუფციის მხრივ არსებული მდგომარეობის შეფასებას შეიცავს. აღნიშნული კვლევა საქართველოში 2005 წლიდან ქვეყნდება.

კორუფცია ზოგადად არაკანონიერ ქმედებებს შეიცავს და ისინი საჯარო მხოლოდ სკანდალების, გამოძიებების ან სასამართლო პროცესების შემდეგ ხდება. ასე რომ, კორუფციის დონის შეფასება ემპირიულ მონაცემებზე დაყრდნობით ძნელია. ისეთი ღონისძიებები, როგორიცაა ქრთამის აღების გახსნილი ფაქტები, სასამართლო საქმეები, რომლებიც უშუალოდ კორუფციას

<sup>23</sup> კვლევები: Freedom House, Global Insight, აზიის განვითარების ბანკი, მსოფლიო ბანკი ბერტერლსმანის ფონდი, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი.

უკავშირდება, არაა საკმარისი იმისათვის, რომ კორუფციის დონის ზუსტი ინდიკატორი მივიღოთ. ისინი უფრო მეტად იმას გვიჩვენებენ, თუ რამდენად ეფექტურად მუშაობენ პროკურორები, სასამართლო თუ მედია კორუფციის შემთხვევების გამოსავლენად და აღსაკვეთად. ყველაზე საიმედო მეთოდი ქვეყნის შედარებითი მონაცემების დასადგენად იმ ხალხის აღქმის შესწავლაა, რომლებსაც შეუძლიათ საჯარო სექტორში კორუფციის ექსპერტული შეფასება მოგვცენ<sup>24</sup>. ვფიქრობ, რომ ესპერტების და საერთაშორისო დამკვირვებლების კვალდაკვალ, მნიშვნელოვანია მოხდეს ქვეყნის მოსახლეობის საზოგადოებრივი აზრის კვლევა, რადგან ისინი ყოველდღიურ ცხოვრებაში უფრო მეტად გრძნობენ კორუფციის და ბიუროკრატის ზემოქმედებას საკუთარ ოჯახებზე და ამ კონტექსტში კორუფციის აღქმის ყველაზე სანდო ინდიკატორებს წარმოადგენენ.

ქვეყნის ქულა (0-100) აღნიშნავს საჯარო სექტორში კორუფციის დონის აღქმას მოცემულ ქვეყანაში, ხოლო ქვეყნის რანგირება (რიგითი ნომერი) მიუთითებს მის პოზიციაზე იმ ქვეყნებთან მიმართებაში, რომლებიც „კორუფციის აღქმის ინდექსის“ კვლევაში შედიან. აუცილებელია გვახსოვდეს, რომ ქვეყნის რანგირება შეიძლება იმ უბრალო მიზეზით შეცვალოს, რომ „კორუფციის აღქმის ინდექსში“ შემავალი ქვეყნების სიას დაემატება ან მოაკლდება რომელიმე ქვეყანა. ამიტომ, კორუფციის აღქმადობის უფრო ზუსტი ინდიკატორი არის ქულა.

მსოფლიოში 200-ზე მეტი დამოუკიდებელი სახელმწიფოა. ბოლო წლების კვლევებში 170-180 ქვეყანა იღებს მონაწილეობას. რეიტინგში 100 ქულა კორუფციის აღქმის ყველაზე დაბალ, ხოლო 0 ქულა – ყველაზე მაღალ დონეს აღნიშნავს. „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ სამდივნოს მიერ გამოქვეყნებულ „კორუფციის აღქმის ინდექსის“ (CPI) 2018 წლის კვლევაში, რომელიც 180 ქვეყანას მოიცავს, საქართველოს 58 ქულა აქვს და 41-44-ე ადგილებს იყოფს ლატვიასთან, ესპანეთთან, სენტ-ვინსენტსა და გრენადინებთან<sup>25</sup>. კორუფციის აღქმის დონე ყველაზე დაბალია დანიასა და ახალ ზელანდიაში (90 ქულა), ხოლო ყველაზე მაღალი – სომალიში (10 ქულა). საქართველოს მაჩვენებელი საუკეთესოა აღმოსავლეთ ევროპის (ევროკავშირის წევრი ქვეყნების გამოკლებით) და ცენტრალური აზიის რეგიონში და ის ბოლო წლების განმავლობაში არსებითად არ იცვლება.

### კორუფციის აღქმის ინდექსით საქართველოს პოზიციების დინამიკა 2012-2018 წლებში<sup>26</sup>

- |  |
|--|
| - 58 ქულით 41-ე, 180 ქვეყანას შორის      |
| - 56 ქულით 46-ე, 180 ქვეყანას შორის      |
| - 57 ქულით 44-ე, 176 ქვეყანას შორის      |
| - 52 ქულით 48-ე, 168 ქვეყანას შორის      |
| - 52 ქულით 50-ე, 175 ქვეყანას შორის      |
| - 49 ქულით 55-ე, 177 ქვეყანას შორის      |
| 2012 – 52 ქულით 51-ე, 176 ქვეყანას შორის |

<sup>24</sup> „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ გლობალური კორუფციის ბარომეტრი

<sup>25</sup> კვლევა ემყარება შემდეგი ორგანიზაციების მონაცემებს: ბერტელსმანის ფონდის ტრანსფორმაციის ინდექსი, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მენეჯერთა აზრის კვლევა, მსოფლიო სამართლის პროექტის კანონის უზენაესობის ინდექსი, „გლობალ ინსაითის“ ქვეყნების რისკის რეიტინგი, „ფრიდომ ჰაუსის“ ტრანზიციული ქვეყნების კვლევა, პროექტი „დემოკრატის ვარიაციები“.

<sup>26</sup> Transparency International – The Corruption Perceptions Index 2012-2018

## დასკვნა

კორუფციასთან ბრძოლაში მიღწეული თვალსაჩინო წარმატებების მიუხედავად, ქვეყნის ანტიკორუფციული სისტემა არ არის მდგრადი და ჯერ კიდევ დიდი გამოწვევების წინაშეა. მნიშვნელოვანია, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლების გაძლიერება და საზოგადოების მხრიდან ნდობის გაზრდა, რათა მათ უზრუნველყონ ერთგვარი მაკონტროლებელი ფუნქციის ადეკვატურად შესრულება. არსებული პრობლემების მიუხედავად, საქართველო რეგიონში ანტიკორუფციული რეფორმების თვალსაზრისით ფლაგმანად ითვლება და წარმატების მაგალითს წარმოადგენს. არსებობს ბევრი სასარგებლო გაკვეთილი, რომელთა გამოყენება და მორგება შეიძლება იმ ქვეყნებში, სადაც ფართომასშტაბიანი ადმინისტრაციული კორუფციის გამო, მსგავსი გამოწვევების წინაშე დგანან<sup>27</sup>. თუმცა მნიშვნელოვანია, საჯარო სექტორის კიდევ უფრო გაჯანსაღება და დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერება, რადგან კორუფციის დაბალი მაჩვენებელი ქვეყნის დემოკრატიული განვითარების მთავარ ინდიკატორს წარმოადგენს და ანტიკორუფციული ბრძოლის წარმატების პირდაპირპროპორციულია.

ნაშრომში განხილულმა ფაქტებმა ცხადყო, რომ ბოლო წლებში საქართველომ მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია კორუფციასთან ბრძოლის სფეროში, რის შედეგადაც ქვეყანაში საგრძნობლად შემცირდა წვრილმანი კორუფციისა და მექრთამეობის პრობლემა. შექიმნდა პოლიტიკური კორუფციის პრევენციისა და მონიტორინგის სისტემა, თუმცა ამის მიუხედავად, საქართველოში კვლავაც არსებობს კორუფციის უფრო კომპლექსურ ფორმებთან დაკავშირებული საფრთხეები, რომლებიც უკავშირდება, მაგალითად, თანამდებობის პირთა მონაწილეობას ბიზნესში, სახელმწიფო შესყიდვებსა და პრივატიზაციის პროცესში, აგრეთვე პოლიტიკური პარტიების დაფინანსებისას.

მართალია, ანტიკორუფციული სახელმწიფო პოლიტიკის ჩამოყალიბებისა და კორუფციის წინააღმდეგ კოორდინირებული ბრძოლის ხელშეწყობის მიზნით საქართველოში 2008 წლიდან მოქმედებს „ანტიკორუფციული საბჭო“, თუმცა იგი სათანადოდ ვერ უმკლავდება იმ გამოწვევებს, რაც ამ სფეროში საქართველოს წინაშე დგას. ამის მიზეზი ძირითადად შესაძლოა არის ის, რომ მისი მანდატი ანტიკორუფციული პოლიტიკის ზოგადი კოორდინირებით შემოიფარგლება. „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ 2018 წლის კორუფციის ინდექსის კვლევაში აღნიშნულია, რომ მიუხედავად ხელისუფლებაში კორუფციისა და უკანონო ქმედებების გამომძიების გადაუდებელი საჭიროებისა, საქართველოს არ შეუქმნია დამოუკიდებელი სააგენტოები, რომლებიც სათანადო მანდატით იქნებოდნენ აღჭურვილნი<sup>28</sup>. ამდენად, სულ უფრო და უფრო აქტუალური ხდება ქვეყანაში დამოუკიდებელი, მრავალფუნქციური ანტიკორუფციული სააგენტოს შექმნა, რომლის მანდატი მოიცავს როგორც პრევენციას, ისე სამართალდამცავ ფუნქციას და კორუფციული შემთხვევების გამოძიების ექსკლუზიური ფუნქციებით იქნება აღჭურვილი. კორუფციასთან ბრძოლითა და კორუფციის პრევენციით დაკავებული ინსტიტუტების შექმნის ვალდებულება გათვალისწინებულია ასევე გაერო-ს ანტიკორუფციული კონვენციით (UNCAC)<sup>29</sup>. საქართველოში ასეთი ანტიკორუფციული ფუნქციები სხვადასხვა უწყებებზეა გადანაწილებული, თუმცა ვფიქრობ, რომ ქვეყანაში უკვე განხორციელებული რეფორმების კვალდაკვალ, უფრო მეტი შედეგისა და კორუფციის აღქმის ინდექსში ქვეყნის პოზიციების გასაუმჯობესებლად, მინიშნელოვანია შექმნას ინსტიტუციურად დამოუკიდებელი, ძლიერი ანტიკორუფციული სააგენტო, რომელიც გააერთიანებს ანტიკორუფციული ღონისძიებების ყველა მიმართულებას, ასევე შეითავსებს როგორც გამოძიების, ისე სისხლისსამართლებრივი

<sup>27</sup> „კორუფციასთან ბრძოლა საჯარო სამსახურში“ შესავალ – ფილიპ ლე უერუ მსოფლიო ბანკის ვიცე-პრეზიდენტი ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონი

<sup>28</sup> **Transparency International** \_ The Corruption Perceptions Index 2018

<sup>29</sup> United Nations Convention Against Corruption (UNCAC), Article 6

დევნის ნარმოების ფუნქციას<sup>30</sup>. ასეთი სააგენტოების შტატში იქნებიან როგორც გამომძიებლები, ისე პროკურორები (მაგ: ჰონგკონგი, სინგაპური, ლატვია, ლიტვა, პოლონეთი), რათა მაქსიმალურად გამოირიცხოს გამოძიების მიმდინარეობისას დაინტერესებულ პირთა მხრიდან არაჯეროვანი ჩარევის, პროცესის მიუკერძოებლობასა და ობიექტურობასთან დაკავშირებული ყველა რისკი.

ამდენად, მნიშვნელოვანია საქართველომ გააგრძელოს და კიდევ უფრო მეტად გააძლიეროს ანტიკორუფციული რეფორმები. საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა რეალობას მოარგოს, საზოგადოებაში განამტკიცოს კანონის უზენაესობისა და დემოკრატიული ინსტიტუტების პატივისცემა, რათა კანონი აღქმული იქნას არა ზენოლის იარაღად, არამედ მისი აღსრულება ცხოვრების წესად და საკუთარი უფლებების დაცვის გარანტიად იქცეს.

---

<sup>30</sup> OECD Anti-Corruption Network for Eastern Europe and Central Asia, Specialised AntiCorruption Institutions: Review of Models, 31-38; European Partners against Corruption AntiCorruption Working Group, Common Standards and Best Practice for Anti-Corruption Agencies,10

## მშობლის როლი მოზარდის ფსიქოლოგიური პრობლემების დასაძლევად

ლუარა ჭანტურია

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მართლმსაჯულების  
მუზეუმის პასუხისმგებელი პირი

„აღზრდა არსებობის დასაწყისიდან იწყება და  
ცხოვრების ბოლომდე გრძელდება“

პლატონი

მოზარდის ფსიქოლოგიური სამყარო მეტად საინტერესოა, რომელიც ყოველთვის გვაოცებს თავისი ქმედებით. მნიშვნელოვანია ავსტრიელი ფსიქოლოგის ალფრედ ადლერის მოსაზრება, რომელიც თავის ნაშრომში<sup>1</sup> აღნიშნავს, რომ ძალიან პატარა ბავშვს გააჩნია თავისებური მექანიზმის სუსტი გამოვლინება, რომელსაც ის მომავალში თავისი ქცევის მართვისათვის აგებს. თანდათანობით ეს მანერა მდგრადი ხდება, და ის მიზანმიმართულად კი არ რეაგირებს, არამედ მისი წარსული გამოცდილების მთელი მოცულობის გაუცნობიერებელი ინტერპრეტაციის შესაბამისად. როცა ბავშვმა მცდარად აღიქვა ესა თუ ის არაორდინალური სიტუაცია, სწორედ ეს მცდარი მსჯელობა განსაზღვრავს მის ქცევასაც, და არავითარ ლოგიკას არ შეუძლია მომავალში მისი ქცევის შეცვლა, სანამ ბავშვობაში ჩამოყალიბებული თავდაპირველი აღქმა კორექტირებული არ იქნება. ბავშვის ბიოგრაფიის რომელიმე ეპიზოდის გასაგებად, აუცილებელია მისი ცხოვრების მთელი გრაფილის გაშლა. მოზარდის ყოველ ქმედებას შეუძლია ასახოს მთლიანად, როგორც მისი ცხოვრებისეული გზა, ისე პიროვნება. და ამიტომ ძნელია მისი ქცევის გაგება წარსული ცხოვრების ამ ფარული ნამდვილი მიზეზის გააზრების გარეშე, აუცილებელია პიროვნების ერთიანობის ფენომენის გათვალისწინება. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის შემთხვევა, როცა ბავშვის ქცევა უარესდება უსიამოვნო სიმპტომები ჩნდება, ჩვენ მხედველობაში უნდა მივიღოთ არა მხოლოდ ის დრო, როცა ეს სიტუაცია შეიქმნა, არამედ წარმოშობის მიზეზი. მშობელმა კარგად უნდა გაიაზროს ბავშვში პიროვნების დანახვა და იმოქმედოს როგორც პიროვნებასთან. დოზირებულად უნდა იქნას გამოყენებული ფსიქოლოგიური ინტუიციის გამოყენება პიროვნების ერთიანობის კონტექსტში. ფსიქოლოგიამ ხელი უნდა შეუწყოს ბავშვის ბუნების ახსნას, რითაც ბავშვი მოქმედებს და როგორ აღიქვამს გარესამყაროს. როგორ ექცევა მათ და რა სახით იყენებს საკუთარი მიზნებისთვის.

მოზარდის ნორმალური ფსიქოლოგიის ჩამოყალიბებაში ყველაზე მეტად მნიშვნელოვანია მშობლის როლი თანამედროვე საზოგადოებაში, რომლის ძირითად არგუმენტს წარმოადგენს მოზარდში თვითშეგნების ამაღლება.

მშობლები ერთგვარი მაგალითია ოჯახში, რომელიც გავლენას ახდენს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროზე – ეკონომიკურიდან დაწყებული სულიერ კულტურამდე.

მსურს თქვენი ყურადღება მივაპყრო, ისეთ მნიშვნელოვან საკითხს, როგორიცაა მშობლების ცხოვრებისეული გამოცდილება, რომელიც დაენმარება მოზარდებს გადალახონ არსებული მორალური და ფსიქოლოგიური სიძნელეები, რომ იპოვონ სწორი პასუხი რთულ სიტუაციაში.

ოჯახური ბედნიერების საყრდენი უნდა იყოს სიყვარული და ერთგულება. სწორად უნდა იყოს განსაზღვრული და განაწილებული როლები და მოვალეობები ოჯახის წევრებს შორის. ოჯახში უნდა სუფევდეს ჯანსაღი ოჯახური ურთიერთობები, ურთიერთდახმარება, ზრუნვა ოჯახის ყველა წევრზე. ასევე მშობლებმა ტაქტიანად და კორექტულად უნდა მისცენ შენიშ-

<sup>1</sup> ალფრედ ადლერი, ბავშვთა აღზრდა, გვ. 18 -27.

ვნები, ისე, რომ არ შეილახოს მათი თავმოყვარეობა. უფროსებმა საკუთარი გამოცდილება არ უნდა აქციონ მანიპულაციის საგნად, ყველაზე კრიტიკულ სიტუაციებში მათ უნდა გამოიჩინონ: შორსმჭვრეტელობა, სიბრძნე, მოთმინება და გონიერება.

მშობლებისთვის ბავშვი სანატრელი და სასურველი უნდა იყოს, მასზე მზრუნველობა და პასუხისმგებლობა თანაბრად უნდა იყოს განაწილებული დედ-მამაზე. აღზრდის მთავარი პრინციპი არის არა მარტო საუბრის ფორმა, არამედ უფროსების მაგალითი, რაც ესოდენ მნიშვნელოვანია ბავშვებისთვის, რომ მშობლებმა მოზარდის თანდასწრებით გამოხატონ ურთიერთ-პატივისცემა, სიყვარული, სიბო. აუცილებელია მოზარდთან წინასწარ გაიაზრონ საუბრის თემა, რომელიც ფსიქო-ფიზიოლოგიური აღზრდის შემადგენელი ნაწილია, რაც უყალიბებს მოზარდს ქცევის მყარ სტერეოტიპს, რომელიც სავარაუდოდ შენარჩუნდება ზრდასრულ ასაკამდე.

მშობლის როლი არის უდიდესი ღირსებების შემცველი ინსტიტუტი, რომელიც ბავშვთა აღზრდის საუკეთესო გარემოა. შეუძლებელია ისეთი ინსტიტუტის წარმოდგენა, რომელიც უკეთ მოემსახურებოდა საზოგადოებაში ცხოვრებასთან მისადაგებული ადამიანების აღზრდას. მაგრამ გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ბავშვების აღზრდის საკითხში, ბატონობს ოჯახური მშობელთა ეგოიზმის გამოხატულება, რომ ისინი ყველზე უკეთესი უნდა იყვნენ.

მოზარდობის პერიოდი მეტად ფაქიზი და კრიტიკულია, სწორედ ამ პერიოდში უნდა ჰქონდეს მშობლებს გააზრებული ის როლი, რაც მათ აკისრიათ შვილების მიმართ. მოზომილად უნდა გაუმკლავდნენ არსებულ ფსიქოლოგიურ სიძნელებებს, რაც შეიძლება მეტი ინდივიდუალური მიდგომა და პოზიტივია საჭირო მიზნის მისაღწევად. არსებული აქტუალური პრობლემის დასაძლევად უნდა ვიხელმძღვანელოთ შემდეგი პრინციპით, რა სურს მოზარდს, როგორ დავეხმაროთ თავს მოხვეული პრობლემების მოგვარებაში. მოზარდობა ეს ის პერიოდია, როცა ხდება მოზარდის ტვინში ინფორმაციის დამუშავების თავისებური პროცესი, ამ დროს მათი ტვინი უფრო იმპულსურია, ორგანიზმში მიმდინარეობს რიგი ფიზიოლოგიური ცვლილებებისა. ამ შემთხვევაში ჩვენ უნდა დავინტერესდეთ თუ რა ფსიქოლოგიური ასპექტები განსაზღვრავს მოზარდის ქცევას. მიმდინარეობს მშობლებსა და შვილებს შორის ცხარე კამათი, რადგან მოზარდი მოითხოვს მეტ დამოუკიდებლობას, რასაც ის ამ პერიოდში ვერ აკონტროლებს, აპროტესტებენ თავისუფლების შეზღუდვას. სწორედ ამ პერიოდში მართებს მშობლებს მეტად ფაქიზი და განსაკუთრებული ყურადღება. მშობლების ავტორიტეტის შენარჩუნება მეტად რთულია (9 – 13 წლამდე) მოზარდობის ადრეულ პერიოდში. მშობლების ავტორიტეტს განაპირობებს შემდეგი გარემოებანი: პირველი, როცა ბავშვი აკეთებს იმას, რაც სურს მშობელს და მეორე, ასწავლოს ბავშვს ის, რაც მიაჩნია სწორად. მშობლების გარკვეული ნაწილი ებლაუჭება იმ ზეგავლენას, რასაც შვილების ადრეულ ასაკში ფლობდნენ და სურთ კონტროლი გააგრძელონ მოზარდის თითოეულ ნაბიჯზე. განსაკუთრებული სიფრთხილე მართებს მშობლებს, როცა ბავშვი უსიტყვოდ ეთანხმება მშობლის გადაწყვეტილებებს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ბავშვი აბსოლიტურ კომფორტს განიცდის, ამ დროს ბავშვს უნვითარდება უხასიათობა და დეპრესია, რამაც შეიძლება გამოიწვიოს აგრესია, ნარკოტიკის მოხმარება და ასე შემდეგ. ადრეულ ასაკში მშობლისა და შვილის ურთიერთობა შედარებით ადვილია, რასაც ვერ ვიტყვით მოზარდობის პერიოდზე. თანდათანობით ირღვევა მათი კავშირი, როცა მშობელი ვერ იმორჩილებს შვილს. მოზარდი გარე სამყაროში ეძებს კომფორტს, რაც შეიძლება უმართავი პროცესი გახდეს და ათასგვარ ხიფათს გადაეკიდოს, ამ შემთხვევაში გამოსავალი უნდა ვეძებოთ ინდივიდუალურ ფსიქოლოგიურ რჩევა-დარიგებებში, კეთილი რჩევებით, მოფერებით, მეტი ყურადღება და სიყვარულით შევეცადოთ არსებული პრობლემების მოგვარებას. თავიდან ყველა ღონეს უნდა მივმართოთ, რომ მოზარდი აცდეს სისხლის სამართლის დანაშაულს. მოზარდის სრულფასოვანი ფორმირებისათვის ყველაზე მნიშვნელოვანია დედ-მამის აქტიური ჩართულობა აღზრდის პროცესში. ფსიქოლოგების აქტიური დაკვირვების შედეგად გამოიკვეთა ძირითადი პუნქტი,

რომელიც აუცილებლად უნდა იყოს გამოყენებული ბავშვთა აღზრდაში: 1. თვალყურის დევნა, მეგობრული ურთიერთობა. 2. მასწავლებლებთან უშუალო დამოკიდებულება- ოჯახის გარეთ კონტროლი. 3. სოციალურ გარემოსთან ადაპტაცია, უნარ – ჩვევების ფორმირება და განვითარება. 4. დამოუკიდებლობა.

მნიშვნელოვანია მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის ანგარიში ძალადობის პრევენციის შესახებ, რომელიც ასახავს ძალადობის პრევენციის სტრატეგიას და სხვადასხვა ქვეყნებში დანერგილ პროგრამების ეფექტურობას. მთავარი აქცენტი გაკეთებულია ბავშვებსა და მშობლებს შორის უსაფრთხო, სტაბილურ და პოზიტიურ ურთიერთობის განვითარების ხელშეწყობაზე. აქვე უნდა აღინიშნოს არსებული პრობლემის მოსაგვარებლად აუცილებელია შემუშავებულ იქნას პროგრამები მშობლებისა და ბავშვებისათვის, რომელიც მიზნად უნდა ისახავდეს სხვადასხვა ცენტრის ჯგუფურ და ინდივიდუალურ მომსახურებას მშობლებისა და შვილების ურთიერთობის დასარეგულირებლად. პროგრამის მიზანი უნდა იყოს ბავშვებში ემოციური ქცევითი და სოციალური უნარებისა და კომპეტენციების განვითარება. ნიშანდობლივია, რომ პროგრამები ხელს შეუწყობს მოზარდის სწორ ფიზიკურ და გონებრივ განვითარებას, ჯანსაღი ურთიერთობის ჩამოყალიბებას ბავშვსა და მშობელს შორის; აწესრიგებს ბავშვის პრობლემურ, აგრესიულ ქცევას, ხელს უწყობს სოციალური უნარების, აკადემიურობის ამალვებას. ამცირებს მოზარდობასა და ახალგაზრდობაში სამართალდარღვევებისა და ძალადობრივი ქმედებების რისკს<sup>2</sup>.

ცნობილი ფსიქოლოგი გარდინერი მოზარდის პრობლემებს 2 ჯგუფად ჰყოფდა. ჰპირველს განეკუთვნება ისეთი სახის პრობლემები, რომლის გადაწყვეტა ადრეულ ასაკში სცადა მოზარდმა, რომელიც ხელახლა ამოტივტივდა მის წინაშე. მეორე კატეგორიას კი განეკუთვნება საგანგებოდ მოზარდობის პერიოდისათვის დამახასიათებელი პრობლემები, რომელიც თავისი არსით სოციალური ხასიათისაა. მოზარდი უნდა შეეგუოს ახალ სოციალურ ნორმებს, რაც ითვალისწინებს დიდი წინააღმდეგობის გადალახვას. მეცნიერულმა კვლევა-ძიებამ გვიჩვენა, რომ ადრეულ ასაკში უფრო მეტად თავს იჩენს ისეთი პრობლემები, რომლებიც ხშირად დგება მშობლებთან ურთიერთობის პროცესში. ძალიან ბევრი საყურადღებო ნიუანსები გამოიკვეთება აქედან გამომდინარე, შესაბამისად ეს საკითხები ძალიან პრობლემატურია, რომელიც ფართოდ არის გაშუქებული „ბავშვების ფსიქოლოგიის“ წიგნში, რომლის გათვალისწინება აუცილებლად გვმართებს მშობლებს:

როდის და როგორი მეთოდით დაისაჯოს მოზარდი?

შეიძლება თუ არა უნებართვოდ შვილების ბარათის წაკითხვა?

არიან მშობლები ყოველთვის მართალნი?

დავობდნენ თუ არა მშობლები მოზარდის თანდასწრებით?

მოზარდის პრობლემების რიგს განეკუთვნება შემდეგი საკითხებიც:

მინდა მქონდეს საკუთარი თავის მეტი რწმენა;

მინდა მასწავლებელს მოვწონდე;

რომელი პროფესია უნდა ავირჩიო?

როგორ შემიძლია თავისუფალი დროის უფრო გონივრულად გამოყენება.

მოზარდს ანუხებს ეს და სხვა უამრავი საკითხი. ამ საკითხების მოგვარებაში დიდი სიფრთხილე მართებს მშობელს, რათა სამომავლოდ პრობლემები არ შეექმნას მოზარდს. მნიშვნელოვანი აქცენტი გადატანილი უნდა იქნას ისეთ საკითხებზე, როგორცაა სოციალური მომენტის ასახვა:

რა ასაკიდან შეიძლება გოგონების მეჯლისზე წასვლა.

როგორი უნდა იყოს დამოკიდებულება ნამდვილი მეგობრის მიმართ.

<sup>2</sup> ავტ. ლია მელაშვილი, ელისო ამირეჯიბი, ძალადობრივი ქცევის გამომწვევი რისკ ფაქტორები, 2017, გვ. 14-16

როგორ უნდა გაარჩიოს მოზარდმა სიყვარული გატაცებისაგან?<sup>3</sup>

მოზარდის წინაშე უამრავი საკითხი იჩენს თავს, რომელიც მოითხოვს სწორ გადაწყვეტას. ვფიქრობ, ყველასათვის ნათელია, რომ ამ შემთხვევაში დიდ როლს თამაშობს მოზარდის ჩამოყალიბებაში ოჯახი და სკოლა. (მშობლები და პედაგოგები). მეტად აქტუალური იქნება გარდინერის მოსაზრების გათვალისწინება რიგი პრობლემების მოგვარებაში.

მოზარდის აღზრდაში მეტად საგულისხმოა ინდივიდუალური მიდგომა, ვინაიდან არსებობენ სხვადასხვა კატეგორიის ბავშვები, რომელზედაც საერთო მეთოდით მიდგომა უარყოფითად მოქმედებს მოზარდზე. ფსიქოლოგების აზრით, მშობლების შეთანხმებული სწორი მიდგომა ამა თუ იმ საკითხზე დიდ ზეგავლენას მოახდენს სოციალური შეგუების პროცესში წამოჭრილ პრობლემების გადაჭრაში. მშობლების მიერ არაადეკვატური შეფასება ერთი და იგივე საკითხზე, აუცილებლად უარყოფით ზეგავლენას იწვევს მოზარდის პიროვნების ფორმირებაზე. მოზარდებთან ჩატარებულმა გამოკითხვამ და კვლევის ანალიზმა დაგვანახა მოზარდის არც თუ ისე დაუმსახურებელი პრეტენზია მშობლების მიმართ. მათ აინტერესებთ იმ კითხვებზე პასუხის მიღება, რაც მათთვის მნიშვნელოვანია და სადაც წინააღმდეგობებს აწყდებიან, მოითხოვენ მეგობრულ ურთიერთობას და ურთიერთშეთანხმებით გადაწყვიტონ მათთვის მტკივნეული საკითხები. მოზარდს უჩნდება პრეტენზიები, რათა მას გაუწიონ ანგარიში, როგორც დამოუკიდებლ პიროვნებას, მისცენ თავისუფლება ესა თუ ის საკითხი სხვისი ზემოქმედების გარეშე გადაწყვიტოს. ასეთი ტენდენციის ჩამოყალიბება იწყება მოზარდის ადრეული ასაკიდან.

ნიშანდობლივია რომ მოზარდობის პერიოდში გამძაფრებულია თვითცნობიერების განვითარების თავისებურებანი. ფსიქოლოგი ლ. ბოჟოვიჩი თავის შრომებში წერს, რომ მოზარდის თვითცნობიერების შესწავლა ბევრ რამეს გახდის გასაგებს, როგორც „გარდამავალი“, ძნელი და „კრიტიკული“.

შესაბამისად, მოზარდისთვის განსაკუთრებით მძნობიარეა ის პროცესი, როცა მას აფასებენ სხვები. აქედან გამომდინარე, ძალზე ფაქიზი შესაფასებელია მოზარდის საქციელი სხვების თანდასწრებით. საჭიროა ზომიერების დაცვა. ფსიქოლოგი ხაზგასმით აღნიშნავს მოზარდის ცნობიერების თავისებურებაზე, რომ ის თავს თვლის ზრდასრულ პიროვნებად და მოითხოვს ანგარიში გაუწიონ როგორც ტოლს. კვლევების შედეგად გამოვლინდა საინტერესო მასალები, როცა მშობლები არ იჩენენ ინტერესს მოზარდის მიერ ცხოვრებისეული მოთხოვნილებების მიმართ და ავლენენ რისხვას, იმედგაცრუებულად უყურებენ მოზარდის მომავალს, ოჯახში ნერვიული ატმოსფერო სუფევს, ხშირად მოზარდს აკრიტიკებენ, რაც იწვევს მოზარდში იმედგაცრუებას, სიძულვილს, დაბალღირებულებას, ბოროტებას და აგრესიას.

მშობლები ცდილობენ შვილების მოთხოვნილებების შესასრულებლად შემოიფარგლონ მხოლოდ მატერიალური კუთხით. ამ შემთხვევაში მთავარი მოზარდის სულიერი მხარე რჩება ყურადღების მიღმა. ყველაზე რეალური მხარე ურთიერთობის მოსაწესრიგებლად იდეალური ვარიანტია თბილი დამოკიდებულება. მშობლების მხრიდან უნდა იქნას დაცული შემდეგი კრიტერიუმები, რისთვის შეიძლება დასაჯონ და პირიქით შეაქონ. თავიდანვე უნდა შეეჩვიოს მოზარდი მშობლებისგან დამოუკიდებელ ნაბიჯს ცხოვრებისეული პრობლემების გადალახვაში, რომელიც საუბედუროდ ხშირ შემთხვევაში გვიჭირს მშობლებს. მნიშვნელოვანია თავიდანვე საქმიანი აზრებისა და გრძნობების ურთიერთ გაცვლა – გამოცვლა. აუცილებელია შვილებთან თანმიმდევრული და პრინციპული ურთიერთობა დაამყარონ. პრობლემების მოსაგვარებლად საჭიროა ფსიქოლოგების ჩართულობა.

მოზარდობა ეს ის პერიოდია, როცა მას უკვე ძირითადად ობიექტური სინამდვილის მიმართ გააჩნია საკუთარი შეხედულებები და პოზიცია, რომლითაც ის აფასებს საზოგადოების ქცევებს და მის წინ მდგომ პრობლემებს. აქედან გამომდინარე, ოჯახი დიდი გულისყურით უნდა მოეკიდოს მის წინაშე მდგარი პრობლემების გადაჭრის საკითხს, რომ არ მოხდეს მათი პრე-

<sup>3</sup> ვ. მუხინა, ბავშვის ფსიქოლოგია, გამომც. „განათლება“, თბ., 1989, გვ. 6-7.

ტენზიების გადაჭარბებული ანგარიშის განევა შვილზე და არც გადამეტებული ძალდატანება. თუკი მშობელი შეძლებს არჩევანის გაკეთებაში ბალანსის დაცვას, მაშინ მოზარდი აუცილებლად გაითვალისწინებს უფროსების რჩევას. უამრავი მაგალითების მოყვანა შეიძლება იმის საჩვენებლად, თუ რა როლს თამაშობს მოზარდში ქვეყნის აზრი პიროვნების ჩამოყალიბებისა და სოციალიზაციის საქმეში.

მოზარდს გააჩნია გარკვეული შეხედულებები, როგორც სხვების, ასევე საკუთარი თავის მიმართ. საკუთარი კრიტიკიუმებით უპირისპირდება სხვების აზრს, მათ შორის მშობლებსაც, რასაც შემდეგი ფორმით გამოხატავენ: „ჩემს შეცდომებზე ბოდიშს რომ მახდევინებენ, თვითონ რატომ არ იხდიან ბოდიშს“?.

ცნობილია, რომ მოზარდობის პერიოდი ბავშვის ცხოვრებაში შედარებით ძნელი პერიოდია. ფსიქოლოგი სტენლეი მას ახასიათებს, როგორც „დაძაბვის“ და ქარიშხლის პერიოდს. ყურადსაღებია, რომ მოზარდის პიროვნების ფორმირებაში შეიმჩნევა მთელი რიგი ეპიზოდური ხასიათის სიძნელებები, რაც ერთგვარ დაღს ასვამს მოზარდს ცხოვრების ჩამოყალიბებაში. ამ სიძნელებებს ზოგჯერ „კრიზისს“ უწოდებენ.

კრიზისის ფსიქოლოგიური ბუნების შესწავლაში დიდი წვლილი მიუძღვის ფსიქოლოგ ჯეიმს ოლპორტს, რომელიც მიუთითებს, რომ „კრიზისი არის ემოციური და გონებრივი დაძაბვის სიტუაცია, რომელიც მოითხოვს თვალსაზრისთა მნიშვნელოვან ცვლას დროის მოკლე პერიოდში“. მისი აზრით, კრიზისის შედეგად მიღებული ტრამვა, შესაძლოა ისეთი მტკივნეული იყოს, რომ დიდი ხნით განსაზღვროს პიროვნების განვითარების ბუნება. განსაკუთრებით მოზარდის სიძნელებები გამოიკვეთება გარემოსთან შეგუების პროცესში, ახალი გარემო მოზარდს უყენებს ახლებური მიდგომის ამოცანას. სოციალური შეგუების პროცესი მეტად მნიშვნელოვანია მოზარდის განვითარებასა და ფორმირებაში. მას უკვე გარკვეული შეხედულება აქვს, როგორც სხვების, ასევე საკუთარი საქციელის მიმართ. მოზარდები ცდილობენ იაქტიურონ საზოგადოებასთან და მოითხოვენ ფაქიზ დამოკიდებულებას მათ საქმიანობაზე.

მეტად საინტერესო და ყურადსაღებია ფსიქოლოგ ნ. ადამაშვილის გამოკვლევა, რომელიც შეისწავლის ბავშვებში თვითცნობიერების განვითარების თავისებურების ონტოგენეზის ანუ ორგანიზმის ინდივიდუალურ განვითარებას მისი ჩასახვიდან სიცოცხლის დასრულებამდე. იგი მიიჩნევს, რომ „...საკმაოდ ადრევე მოზარდის თვითცნობიერებაში, მნიშვნელოვანი რამ ხდება გარეშე მყოფ ადამიანებთან ურთიერთდამოკიდებულების ასპექტში, რომელშიც მოზარდი საკუთარი „მეს“- გამოვლინებას ხედავს და რომელსაც „მეს დასახასიათებლად იყენებს. განსაკუთრებით ყურადღებას ამახვილებს გარდამავალი ასაკიდან.“ თვითცნობიერება ვითარდება პიროვნების განვითარებასთან ერთად და ახდენს გავლენას პიროვნების ფორმირებაზე. უ

უცხოელი ავტორები შერიკი და კენტერი მიუთითებენ, რომ მხოლოდ მას შემდეგ, რაც ბავშვი სწავლობს საკუთარ პოზიციას სხვა მის გარშემო მყოფ ინდივიდთა მიმართ, იგი ახერხებს წარმატებით მიიღოს მონაწილეობა ჯგუფის აქტივობაში. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეუძლია განახორციელოს მყარი ქცევა, რისთვისაც აუცილებელია ხანგრძლივი სოციალური ურთიერთობანი<sup>4</sup>.

საბინოვამ გამოიკვლია, პიროვნების თუ რა თვისებები ხდება მოზარდის ცნობიერების საგანი, როგორ ხედავს იგი ამხანაგების პიროვნულ თვისებებს თავის თავთან და სხვებთან მიმართებაში. აღნიშნული საკითხის შესწავლის შედეგად ცხადყო, რომ 12-16 წლის მოზარდს უკვე აქვს საკმაოდ დიდი ინტერესი ადამიანის შინაგანი სამყაროს მიმართ, უჩნდება მეორე ადამიანის პიროვნებაში გარკვევის სურვილი. მოზარდები მიუთითებენ რომ დაინყეს „თავის თავზე“ ფიქრი, თავის თავზე მსჯელობის შედეგად მოპოვებულ მასალებზე დაყრდნობით, შესაძლებელი გახადა მოზარდის თვითცნობიერების ჩამოყალიბებაში გამოეყოს რამოდენიმე ეტაპი. მოზარდის ჰპირველ პერიოდს განეკუთვნება მშობლებთან ურთიერთობის ეტაპი, სადაც მო-

<sup>4</sup> ვ. მუხინა, დასახ. ნაშრ., გვ. 10-14.

ზარდი ყველა, რომ მშობლებს არ ეხმარება, უხეშად ექცევა, არ შეუძლია რიგ სიტუაციაში თავის შეკავება. უყვირის მეგობრებს. ამ მაგალითიდან ნათლად ჩანს თუ რა კრიტიკულად განსჯის მოზარდი თავის საქციელს და აცნობიერებს უარყოფით მხარეებს<sup>5</sup>.

მოზარდობის ზედა ასაკში აფასებენ არა მარტო ცალკეულ კონკრეტულ ვითარებას, არამედ ზოგადად, ისინი განიხილავენ თავიანთ თავს როგორც მოქმედების სუბიექტს, რომელიც ფლობს გარკვეულ პიროვნულ თვისებებს. ასევე ამ გამოკვლევებში გამოიკვეთა, თუ როგორ ესმით მოზარდებს სხვისი პიროვნული თვისებები. ჩგაირკვა რომ მოზარდს უფრო უკეთ ესმის და ახერხებს გააცნობიეროს სხვისი პიროვნული თვისებები, ვიდრე საკუთარი. მაგრამ მას ჯერ კიდევ არ შესწევს უნარი სრულყოფილად ჩასწვდეს სხვა ადამიანის პიროვნულ თვისებებს. ავტორი განსაკუთრებით ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ მოზარდი ძალზე მტკივნეულად ეკიდება სხვების შეფასებას, რომელიც მის შესახებ არსებობს.

ცნობილია ის გარემოება, რომ მოზარდს შესაძლოა ადამიანი ერთხელ მოექცეს კეთილსინდისიერად ან არაკეთილსინდისიერად და ამით ხანგრძლივად განსაზღვროს მისადმი მოზარდის დამოკიდებულების ხასიათი. თანდათანობით მოზარდში იწყება შინაგანი პროცესები, რომლებსაც მოზარდობის დამთავრების ასაკში შედარებით დამოუკიდებელი და მყარი თვალსაზრისების ფორმირებისკენ მივყევართ. მაშასადამე, ადამიანთა შეფასებისას მოზარდი უკვე ხელმძღვანელობს მტკიცედ ჩამოყალიბებული მოტივით. ე.ი. ბავშვის მიერ შექმნილი ადამიანის იდეალი, რომელსაც მან უნდა მიბაძოს, თვისებები და ნიშნები, რომლის თავის თავში აღმოჩენისკენ ილტვის იგი, მოზარდის პერიოდში ყალიბდება მართლმეგნების ნორმები, რაც მნიშვნელოვან როლს ასრულებს მშობლებთან ურთიერთობის განსაზღვრაში. უუცხოელმა მკვლევარმა და ფსიქოლოგმა ლორენს კოლბერგმა თავის მორალური განვითარების თეორიაში ჩამოაყალიბა შემდეგი დებულებები და ზნეობრივი ნორმების შესწავლისას გამოყო სამი თანმიმდევრული დონე: პირველი მორალურამდელი პერიოდი, როცა ბავშვებს ჯერ კიდევ არა აქვთ მორალური ნორმები და მის გარეშე იქცევიან, ეს არის ადრეული ასაკი. მეორე პერიოდისთვის დამახასიათებელია კარგი ბიჭის და კარგი გოგოს როლი, რაც სხვებს მოსწონს და უქმნის ავტორიტეტს. მესამე პერიოდს ახასიათებს, როგორც დამოუკიდებელი მორალური პრინციპი.

ფსიქოლოგი თავის დებულებაში მიუთითებს, რომ ბავშვთა შეხედულებები და მორალური პრინციპები მათი ქცევის განმსაზღვრელია. ადამიანის მორალური განვითარების 3 დონეს ყველა ბავშვი ერთნაირი თანმიმდევრობით გაივლის, შეუძლებელია რომელიმე მათგანის გამოტოვება და გადახტომა. გლ. ი. ბოჟოვიჩის შეხედულებით, კოლბერგის მიერ დახასიათებული ბავშვის მორალური განვითარების სტადიები შეესატყვისება ჟან პიაჟეს დადგენილ განვითარების ეტაპებს. ბოჟოვიჩი მორალური ნორმების განვითარების კვლევის შედეგად შემდეგ მოსაზრებას გამოთქვამს: „ბავშვის მორალი ყალიბდება იმ კოლექტივის მორალის მიხედვით, რომელშიც მოზარდს უხდება საქმიანობა და მონაწილეობა. მოზარდობის ასაკი წარმოადგენს იმ ხანას, როდესაც ბავშვს უჩნდება აზრი, რწმენა გარკვეული ქცევის ფორმის მისაღებობისა და მიუღებლობის შესახებ. მოზარდი ამა თუ იმ კონკრეტული ქცევის შეფასებისას ამოდის საკუთარი მორალური ნორმებიდან და ამის მიხედვით განიხილავს მას“. როგორც გამოკვლევებმა გვიჩვენა, მოზარდის სახით ჩვენ გვაქვს საქმე პიროვნებასთან, რომელსაც აქვს გარკვეული შეხედულებები, რაც მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული. მოზარდს თანდათან უყალიბდება მართლმეგნების განვითარების თავისებურებები.

ბოჟოვიჩის შეხედულების მიხედვით, ბავშვის მორალი ყალიბდება იმ კოლექტივის, ჯგუფის მორალის მიხედვით, რომელშიც მოზარდს უხდება საქმიანობა და მონაწილეობა მოზარდობის ასაკში, როდესაც ბავშვს უჩნდება აზრი, გარკვეული რწმენა ამა თუ იმ მორალური ნორმების მიმართ<sup>6</sup>.

<sup>5</sup> ვ. მუხინა, დასახ. ნაშრ., გვ. 1.

<sup>6</sup> ვ. მუხინა, დასახ. ნაშრ., გვ. 19-20.

შვეიცარიელი ბიოლოგი და ფსიქოლოგი ჟან პიაჟე გამოყოფს განვითარების 4 სტადიას და იმ პროცესებს, რომელთა მეშვეობით ბავშვები აღწევენ პროგრესს ამ სტადიების ფარგლებში:

1. სენსომოტორული სტადია (დაბადებიდან-2 წლამდე), როცა ბავშვი შეიცნობს სამყაროს მხოლოდ სხვადასხვა ქმედებების მეშვეობით (წოვა, კბენა, ლეჭვა და სხვა). ამ პერიოდში ბავშვი ვერ ხვდება, რომ ფიზიკური ობიექტები მაშინაც არსებობენ, როცა ის მათ ვერ ხედავს.

2. წინაოპერაციული სტადია (2-იდან-7 წლამდე). ეს ის პერიოდია, როცა ბავშვები იწყებენ ცნებების ფორმირებას და სიმბოლოების გამოყენებას. ამ ასაკში ძალიან უჭირთ მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დამყარება და ობიექტებისა და მოვლენების კლასიფიკაცია.

3. კონკრეტული ოპერაციების სტადია (7 დან- 11-12 წლამდე) – ფიზიკური გამოცდილების დაგროვების შედეგად ბავშვი იწყებს გააზრებას, ლოგიკური სტრუქტურების შექმნას, რომლებიც იწყებენ მოვლენებთან დაკავშირებული პრობლემების გადანყვეტას.

4. ფორმალური ოპერაციების სტადია (11-12 დან-15 წლამდე) – ბავშვის კოგნიტური (შემეცნებითი აზროვნება) სტრუქტურები უტოლდება ზრდასრულისას და მოიცავენ კონცეპტუალურ მსჯელობას. პიაჟემ შეიმუშავა კოგნიტური სტრუქტურების აგების რამოდენიმე პრინციპი. განვითარების ყველა სტადიის განმავლობაში მოზარდი ურთიერთობს საკუთარ გარემოსთან იმ მენტალური რუკების გამოყენებით, რომლებიც მანამდე შექმნა. თუ გამოცდილება გამეორდა, ადვილად ხდება მისი მორგება ბავშვის კოგნიტურ სტრუქტურაში ისე, რომ შენარჩუნდეს მენტალური „თანასწორობა“. თუ გამოცდილება ახალია ან შეცვლილია, ბავშვი კარგავს „თანასწორობას“ და ცვლის კოგნიტურ სტრუქტურას, რათა მოერგოს ახალ პირობებს<sup>7</sup>.

მოზარდის პიროვნული ნიშან-თვისებების ფორმირება მისი ცხოვრების ადრეულ ხანაში იწყება და იგი თავის გამოვლენას პოულობს როგორც მოზარდობის, ისე შემდგომ პერიოდშიც. მაგ. 10 წლის ასაკში ბავშვი ხასიათდება როგორც „მხიარული“, „ცოცხალი“ „მეგობრული“. ბავშვის ხასიათი გარკვეული ზომით შემდგომ ასაკშიც იჩენს თავს. მოზარდი, რომელიც შეეჩვია ბავშვობაში აუსრულონ ყველაფერი, მისი ბრაზიანი ხასიათიდან გამომდინარე გამოავლენს „სიბრაზეს“, როცა მას სურვილების სანინაალმდეგო მდგომარეობა შეხვდება. „როგორც დავინახეთ, ყველა ფსიქოლოგიური მოვლენა, პირდაპირ თუ არაპირდაპირ მოთხოვნილებებითაა განპირობებული, მოთხოვნილების საფუძველზე, მისწრაფებები, ვნებები, მიდრეკილებები, მიზნები და ა.შ. ყოველი სუბიექტისათვის მისი საკუთარი ინტერესი სუბიექტურად არსებობს, ხოლო საზოგადოების და სხვა ინტერესები ობიექტურად არსებობენ, როგორც სოციალური გარემოს ფაქტორები“<sup>8</sup>.

3. ლანდესი დაინტერესდა შეესწავლა მოზარდის პიროვნების ზოგადი დამახასიათებელი ნიშნები, რომელიც ინდივიდის ქცევის პროცესში განსაკუთრებულ კონკრეტულ გამოვლენას იჩენს. ავტორი ხაზს უსვამს შემდეგ თვისებებს. 1. აღიარება, სტატუსი, საზოგადოებრივი მდგომარეობა; 2. პატივისცემა და სოციალური კეთილ-განწყობილება; 3. საპასუხო გრძნობა და ბედნიერი სოციალური ურთიერთობა; 4. უზრუნველყოფა, მიღება ჯგუფში; 5. გამოცდილება; 6. მიღწევა და წარმატება; 7. ბედნიერება და თავისუფლება<sup>9</sup>.

მეცნიერული ფსიქოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად გამოირკვა, რომ უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვებისგან განსხვავებით, როცა ბავშვები ძირითადად მეცნიერული ფსიქოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად გამოირკვა, რომ უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვებისგან განსხვავებით, როცა ბავშვები ძირითადად გატაცებული არიან თავგადასავლებით, მოზარდებს თვითცნობიერების განვითარებასთან ერთად უჩნდებათ გამოკვეთილი ინტერესი გარშემო მყოფი ადამიანებისა და საკუთარი შინაგანი სამყაროს მიმართ.

\_\_\_\_\_ ცნობილი პედაგოგებისა და ფსიქოლოგების განჭვრეტის შედეგად მათ სწორად დაინახ-

<sup>7</sup> ვლ. ნორაკიძე (რედ.), სასკოლო ასაკის ბავშვის ფსიქოლოგია, თბ., 1975, გვ. 20-21.

<sup>8</sup> დ. კიკნაძე, ადამიანის მოქმედების საკითხისათვის, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1971, გვ. 80-99.

<sup>9</sup> ვლ. ნორაკიძე (რედ.), დასახ. ნაშრ., გვ. 21-24.

ეს მოზარდის ბუნების ძირითადი თავისებურებანი და სწორად შეაფასეს სკოლამდელ ასაკში ბავშვების განსაკუთრებით ძლიერი მიდრეკილება შრომითი მოქმედებისაკენ. მოზარდში ნელ-ნელა ჩნდება მოვალეობის გრძნობის დასაწყისი მომენტები: გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, როდესაც დეტერმინაცია, როგორც ასეთი, ბავშვისათვის საკმაო მოტივს წარმოადგენს იმისათვის, რომ ერთხელ დაწყებული მოქმედება ბოლომდე მიიყვანოს იმ შემთხვევაშიც, როდესაც დასაწყისში მოცემული სიამოვნების მომგვრელი მოტივები სუსტდება. აქ ჩვენ საქმე გვაქვს მოვალეობის გრძნობის გაღვივებასთან<sup>10</sup>.

მოზარდობის პიროვნული თავისებურებებიდან აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მოზარდის წამყვანი ქცევა სწავლაა, აქტივობის ძირითადი ფორმაა, რაც მნიშვნელოვან როლს თამაშობს მოზარდის ფსიქიკურ განვითარებაში და მის პიროვნულ ჩამოყალიბებაში. როცა აქტიურად თავს იჩენს შემეცნებით ფსიქიკური პროცესები, ინტელექტუალური ოპერაციების წარმოების პროცესში მოზარდისათვის სპეციფიკურია აზროვნების კონკრეტული ფორმიდან განზოგადოებულ ცნებით აზროვნებაზე გადასვლა.

მოზარდობის ხანის განმსაზღვრელ ძირითად ნიშანს წარმოადგენს ოჯახური გარემოდან შექმნილი ფაქტორები, ოჯახური ატმოსფერო, ე. ი. ფსიქოლოგიური გარემო, რომელშიც ბავშვს უხდება ცხოვრება. ბავშობაში მიღებული მორალური და სოციალური თვისებები ღრმა კვალს ტოვებს ბავშვის ფსიქიკაში და მთლიანად აისახება მისი ხასიათის ფორმირებაში.

ფსიქოლოგი ბერგმანი აღნიშნავს, რომ – „რაიმე ემოციური განცდას, რომელიც დაარღვევს ოჯახის რომელიმე წევრის სულიერ წონასწორობას, შეიძლება თან მოჰყვეს ოჯახის ყველა წევრის ფსიქიკური წონასწორობის დარღვევა“. ამიტომ სასწრაფოდ მნიშვნელოვანი ღონისძიებებია გასატარებელი, ოჯახში ნორმალური ატმოსფეროს შესაქმნელად, რათა მოზარდის სულიერ სამყაროს საფრთხე არ შეექმნას.

როგორც ცნობილია, ოჯახური ატმოსფერო ცვალებადია, განსაკუთრებით, როცა ოჯახში მოზარდია. ბავშვს ახასიათებს გარდატეხის პერიოდში მთელი რიგი თავისებურებანი. თავის მხრივ ოჯახურ ატმოსფეროს განსაზღვრავს დედა და მამა, მათი ურთიერთდამოკიდებულება, რაც ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია ბავშვის ქცევის თავისებურების გარკვევისათვის. ცნობილია ოჯახის 2 ტიპი: 1. ტრადიციულ-ავტორიტარული, რომელიც არ მიჰყვება ცხოვრებაში მომხდარ ახალ ცვლილებებს. გაბატონებულია მშობლის ავტორიტეტული როლი. ბავშვები მეტ უპირატესობას ანიჭებენ მშობლებს; 2. მეორე ტიპს განეკუთვნება დემოკრატიული ოჯახი, რომელიც განვითარებადია, მიჰყვება ცხოვრების ახალ დინებას, პატივს სცემენ მოზარდის მოთხოვნებს მის სურვილებს. კვლევის შედეგად დადგენილია, რომ მოზარდს, რომლის ოჯახი დემოკრატიულია, მშობლებთან ურთიერთობაში მეტი ჰარმონია აქვს. შესამჩნევია შეგუების სიმცირე და პრობლემები, ვიდრე იმ ოჯახში, სადაც უპირატესობას ანიჭებენ ავტორიტარულ დამოკიდებულებას. ყველაზე კარგ შედეგს იძლევა მოზარდებში მშობლების შეთანხმებული დამოკიდებულება. ყველაზე ცუდი შედეგი დაფიქსირებულია ისეთ ოჯახებში, სადაც მშობლებს განსხვავებული პრინციპები გააჩნიათ.

ეფიქრობ ყველასათვის ნათელია ის საკითხი, რომ მართლშეგნება სამართლებრივი კულტურის ელემენტია, ხოლო სამართლებრივი კულტურა ინდივიდის თუ საზოგადოების საერთო კულტურის ნაწილია. ინდივიდუალური თუ საზოგადოებრივი კულტურა მხოლოდ სულიერ სფეროს როდი ეკუთვნის, იგი სოციალური ფენომენია. მართლშეგნების ამაღლება ნიშნავს სამართლებრივი კულტურის დონის ამაღლებას, სამართლებრივი აღზრდა სამართლებრივ განათლებაზე უფრო მაღალი ცნებაა, სამართლებრივი აღზრდა გულისხმობს მართლშეგნების ამაღლებას. მოზარდი პირველ რიგში სამართლებრივ კულტურას ოჯახში ეზიარება, რომელიც ერთ-ერთი ქმედითი გზაა ახალგაზრდობის სამართლებრივი აღზრდისათვის. სამართლებრივი კულტურიდან გამომდინარე, მოზარდი უნდა იყოს გაცნობიერებული სისხლის სამართლის

<sup>10</sup> შ. ჩხარტიშვილი, პედაგოგიური ფსიქოლოგია, გამომცემლობა „განათლება“, თბ., 1975, გვ. 282-283.

დარგში, კანონებში უნდა ერკვეოდეს, რათა თავიდან აიცილოს დანაშაულის ჩადენის ფაქტი<sup>11</sup>.

მოზარდის სოციალიზაცია და პიროვნული განვითარება დამოკიდებულია ოჯახზე, სკოლაზე და სოციალურ გარემოზე, სადაც ხდება მოზარდის ჩამოყალიბება.

18 წლამდე ადამიანი ითვლება არასრულწლოვან მოზარდად, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მოზარდმა დაასრულა განვითარება და შესაძლებელია მის წინააღმდეგ იგივე პირობების გამოყენება, რაც გამოიყენება სრულწლოვანი ადამიანის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დროს. გერმანიის უზენაესი სასამართლო აღნიშნავს ასაკის საზღვრის დადგენა მოზარდის განვითარების საფუძველზე მეტად რთულია, ვინაიდან მოზარდის განვითარება ერთიანი შეუწყვეტელი პროცესია, რომლის გაზომვაც შეუძლებელია. გასული საუკუნის 50-იან წლებში გერმანიაში შეიქმნა ჰამბურგის დირექტივები, რომელიც აღწერდა იმ კრიტერიუმებს, რაც პირდაპირ ეხებოდა არასრულწლოვან (14-18წ) და მოზრდილი (18-21წ.) დამნაშავეებისათვის. ამ კრიტერიუმის თანახმად არასრულწლოვანი არის პირი, რომლისთვის დამახასიათებელია შემდეგი კრიტერიუმები: პიროვნების არასაკმარისი ჩამოყალიბება, უმწეო მდგომარეობა, ბრყვულად მიმდობი საქციელი, დღევანდელი დღით ცხოვრება, მაღალი ხარისხით სხვაზე დამოკიდებულება, მუშაობისადმი თამაშისებრივი დამოკიდებულება, მეოცნებობა, თავგადასავლების ძიება, თანატოლებთან ურთიერთობის პრობლემები და სხვა. აქედან გამომდინარე, კვლევის შედეგად ჩამოყალიბდა ადამიანის სრულწლოვნად აღქმის შემდეგი კრიტერიუმები: რეალური ცხოვრების დაგეგმვა, მშობლებისგან დამოუკიდებლობა, სამუშაოსა და სწავლისადმი სერიოზული დამოკიდებულება, რეალისტური ანუ დაძლევადი დღის განრიგი, თანატოლებთან ან უფროსებთან ურთიერთობა, შესაძლებლობა პასუხისმგებლობა აიღოს ოჯახის შექმნაზე, სულიერი და სექსუალური მოთხოვნილებების ინტეგრაცია, მყარი „დაღვინებული“ ხასიათი<sup>12</sup>.

სასურველი იქნებოდა საქართველოში არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ზედა ზღვარის დადგენის პროცესში უფრო აქტიური ჩართულობა, გამოცდილი პედაგოგებისა და ფსიქოლოგების ანალიზის გაზიარება, ვინაიდან მოზარდის ბიოლოგიურ-ფსიქოლოგიური ანუ გარდატეხის პერიოდი ჯერ კიდევ სრულყოფილად არ არის ჩამოყალიბებული.

დღეს ცხოვრების განვითარების მაღალმა დონემ, კულტურისა და მეცნიერების მაღალი წარმატების ეპოქამ და ახალმა ვითარებამ მეტი ფაქიზი დამოკიდებულება დააკისრა მშობლებს ბავშვებთან მიმართებაში. ძალიან მოზომილად უნდა შეაფასოს მოზარდის ქცევა ამა თუ იმ საკითხთან მიმართებაში, ვინაიდან ძალიან რთულია მოზარდის სულიერ სამყაროში ბრმად ხელის ფათური, კითხვებზე პასუხის გასაცემად პირველ რიგში აუცილებელია ღრმად ჩაწვდეთ მოზარდის ინტერესებს და მოთხოვნილებებს. შინაგანი სამყაროს ანგარიში გაუნიოთ თანამედროვე კულტურის დონის გათვალისწინებით. თანამედროვე კონსტრუქტივისტული აზროვნება ეფუძნება ცნობილი მეცნიერების ჟან პიაჟესა და ლევ ვიგოტსკის ნაშრომებს. ამ ორი მეცნიერის ნაშრომებს განასხვავებს რამდენიმე ასპექტი. პიაჟეს აზრით, მოზარდი თვითმოტივირებული არსებაა, რომელიც თავად იკვლევს და შეიმეცნებს სამყაროს, თავად მართავს თავისი კოგნიტური (შეცნობა) განვითარების პროცესს. ხოლო ვიგოტსკი განმარტავს, რომ საზოგადოება და კულტურა მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ბავშვთა კოგნიტურ განვითარებას. პიაჟე მიუთითებს, რომ განვითარება წინ უძღვის სწავლას. ბავშვს ჯერ გარკვეული კოგნიტური (ცოდნის) სტრუქტურები უნდა ჩამოუყალიბდეს, რათა შეძლოს სამყაროს შეცნობა. ვიგოტსკის აზრით, სწავლა წინ უძღვის და ხელს უწყობს კოგნიტურ განვითარებას.

სულაც არ არის აუცილებელი უკვე არსებული ცოდნის თავიდან აღმოჩენა. სოციალური კომუნიკაციის შედეგად ბავშვი ვითარდება უფრო მცოდნე და გამოცდილ ადამიანებთან

<sup>11</sup> თ. შავგულიძე, საზოგადოებრივი აზრი, მართლშეგნება და მოსწავლე ახალგაზრდობა, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1981, გვ. 104-107.

<sup>12</sup> მ. შალიკაშვილი, სტატიათა კრებული, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2011, გვ. 99-100.

კომუნიკაციის შედეგად. მოზარდობის პერიოდში ხდება ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემის გადაწყვეტა, როგორცაა მომავალი პროფესიის არჩევა. მეცნიერული კვლევა-ძიების შედეგად მიღებული მონაცემებით პროფესიის განსაზღვრაში მნიშვნელოვანია მოზარდის მიდრეკილება. მესამე ადგილი უკავია მშობელს. მშობლისა და მოზარდის ურთიერთობაში პროფესიული ინტერესის განსაზღვრა წარმოადგენს ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემას მოზარდის ცხოვრებაში და აღზრდის ძალისმიერი მეთოდები ნეგატიურ გავლენას ახდენს ბავშვის ჩამოყალიბებაზე. კრიმინოლოგიური დისკუსიის საგანს წარმოადგენს დანგრეული ოჯახების ზეგავლენა ბავშვის კრიმინალად ჩამოყალიბებაზე. დანგრეული ოჯახი დიდ ზიანს აყენებს მოზარდის ფსიქოლოგიაზე და დანაშაულის ჩადენას უწყობს მეტწილად ხელს<sup>13</sup>.

ფსიქოლოგიური თვალსაზრისით მოზარდის პიროვნების განვითარების პროცესში ბავშვი ოჯახიდან იღებს გადამწყვეტ იმპულსებს, რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს ცხოვრებაში. კრიმინოლოგიურმა გამოკვლევებმა დაადასტურეს, რომ ოჯახურ მდგომარეობას და მოგვიანებით პირის მიერ დანაშაულს, ერთმანეთთან მჭიდრო კავშირი აქვს.

მოზარდობის პერიოდში განსაკუთრებულად ავლენს ბავშვი საკუთარ პრეტენზიებს, სურვილებს, რომელიც ჯერ კიდევ არა აქვს შეგნებულად გააზრებული. აქედან გამომდინარე, მშობელი ვალდებულია რაც შეიძლება მეტი სიფაქიზით მოეკიდნენ ამ საკითხს, ვინაიდან ერთმა უხეშმა ჩარევამ და არასწორმა გადაწყვეტამ, შეიძლება მოზარდის გზიდან აცდენა გამოიწვიოს, ამიტომ როგორც სკოლაში, ისევე სახლშიც უნდა მიეცეს საკუთარი ქცევის თვითრეგულირების საშუალება. თუ საჭირო გახდა უფროსების ჩარევა, ისე უნდა მოხდეს მათი შეხედულებების გადასინჯვა და გამოსწორება, რომ მოზარდმა არ იგრძნოს ირონიის გრძნობა თავის არჩევანში. დემოკრატიული გზით სჯობია საქმის მოგვარება. ოჯახში მშობლებს შორის არსებული უთანხმოება ინვესტს მოზარდზე უარყოფით გავლენას. ხშირ შემთხვევაში დაუმსახურებლად, უსამართლოდ ექცევიან მშობლები მოზარდებს, იმის გამო, რომ პირადი წყენა აქვთ ერთმანეთთან და ვერ აკონტროლებენ თავს. ხშირად შვილების ინტერესებს არ ითვალისწინებენ.

ბოლო ათწლეულში მსოფლიომ, და მასთან ერთად საქართველომაც, ბევრი ცვლილებები განიცადა, რომელიც პირდაპირ ადამიანებზე აისახა, მათ შეხედულებებზე, ზოგადსაკაცობრიო ზნეობრივ ღირებულებებზე. ჩვენი საზოგადოების ინტერესის საგანი გახდა ის სფერო, რომელიც ითვალისწინებს ბავშვის ინტერესებისა და უფლებების დაცვას, ოჯახში, სკოლაში და საზოგადოებაში. ჩვენი მნიშვნელოვანი ამოცანაა თითოეული ოჯახი, საზოგადოების ყველა წევრი, ყოველი ადამიანი ზრუნავდეს იმისათვის, რომ ჩვენი მომავალი თაობა, რომელმაც ჩვენ უნდა შეგვცვალოს, აღიზარდონ ღირსეულ პიროვნებად. განსხვავებული აზრი არ ნიშნავს იმას, რომ მასთან არ გამოინახოს საერთო აზრი. ჩვენი წარსული, ისტორიული ტრადიცია გვაძლევს იმის საშუალებას, რომ მოგვარდეს ყველაფერი ჯანსაღი საზოგადოების შესაქმნელად.

მოზარდობის პერიოდში განსაკუთრებით გამოიკვეთება პრეტენზიები მისი პიროვნების აღიარებისათვის, რომელიც დიდობისადმი ლტოლვის მაჩვენებელია. ეს გარემოება ადრეული ასაკიდანაც არის შესამჩნევი, თუნდაც 2-5 წლის ასაკში, როცა ბავშვი დაჟინებით მოითხოვს დამოუკიდებლად რაიმეს გაკეთებას. უფროსები კი კატეგორიულად უკრძალავენ მათთვის სასურველი მოქმედებების განხორციელებას. დიდობაში არჩევენ 2 მხარეს: ობიექტურ მზაობას დიდობისათვის და სუბიექტურ მზაობას, დიდობისკენ.

დრაგუნოვა დიდობის გრძნობას განიხილავს როგორც თვითცნობიერების განსაკუთრებულ ფორმას, რომელიც თანმხლები ფორმაა მოზარდობის სანყისი პერიოდისათვის. დიდობა მიჩნეულია ბავშვის სოციალიზაციის სიმპტომად. ბავშვს უჩნდება ცნობიერება იმის შესახებ, რომ იგი არის სოციალური არსება. ამიტომ ყოველთვის უნდა ვერიდოთ უფროსებმა მათთან უხეშ დამოკიდებულებას, შეძლებისდაგვარად ანგარიში უნდა გავუწიოთ მას, როგორც პიროვნებას

<sup>13</sup> მ. შალიკაშვილი, კრიმინოლოგია, მე-2 გამოცემა, თბ., 2011, გვ. 262-263.

და ვეცადოთ დავაკმაყოფილოთ მისი კანონიერი მოთხოვნა<sup>14</sup>.

მეცნიერული კვლევების შედეგად ასაკობრივი თვალსაზრისით მოზარდობის პერიოდში ვლინდება შემდეგი პრეტენზიები: 1) სურთ უყურონ და მოექცნენ ისე როგორც დიდს; 2) მოექცნენ როგორც პატარას; 3) სურთ მოექცნენ ასაკის შესაფერისად და 4) არიან ისეთებიც, რომელნიც ინდიფერენტულ დამოკიდებულებას ავლენენ და აცხადებენ „როგორც მშობლებს უნდათ ისე მომექცნენ“. ყველა ასაკში სჭარბობს დიდობის სურვილის გამომხატველი მონაცემები და ასაკის შესაბამისად მატულობს. დიდობის მოთხოვნაში წინა პლანზე წამოწეულია გრძნობისეული მომენტი, მას ჯერ კიდევ არა აქვს მისი როგორც დამოუკიდებელი პიროვნების აღიარების პრეტენზია.

სულ სხვა სურათი გადაგვეშლება მოზარდობასა და მის ზედა ასაკში. აქ უკვე ადგილი აქვს პიროვნულ ხასიათს. მისი აზრისადმი პატივისცემის მოთხოვნას. გამოკვეთილად ჩანს მისი პრეტენზიები. მტკივნეულად განიცდის, როცა მას ექცევიან ასაკისათვის შეუფერებლად, სხვების თანდასწრებით. ბავშვის ტენდენცია დიდობისადმი მოზარდობის ასაკში უკვე პიროვნების თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის პრეტენზიაში გადადის. ფსიქოლოგების კვლევის შედეგად მოპოვებულმა მასალებმა ცხადყვეს, მოზარდობის ადრეულ პერიოდში ბავშვთა უმრავლესობა თვლის მოვალედ თავს, რომ მშობლებს დაუჯეროს. მტკივნეულად განიცდის მოზარდი, როცა მას ექცევიან ასაკისათვის შეუფერებლად, სხვების თანდასწრებით ტუქსავენ. ეს მოზარდში იწვევს დიდ გულისწყრომას და ფიქრობს, როგორ არ ესმით, რომ მე უკვე დიდი ვარ. ეს ის პერიოდია, როცა მოზარდში იკვეთება ტენდენცია დიდობისაკენ და გადადის დამოუკიდებლობის პრეტენზიაში. არსებული გამოკვლევების შედეგებმა ცხადყო, მოზარდობის ადრეულ პერიოდში ბავშვთა უმრავლესობა მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ დაუჯეროს მშობლებს, რადგან დიდები არიან. მშობლებსა და შვილებს შორის უთანხმოების მიზეზი ხშირად ხდება განსხვავებული აზრი, მოზარდის პიროვნების სათანადოდ შეუფასებლობა და მისადმი უპატივცემულო მოპყრობა. მოზარდობის ზედა საფეხურზე უფრო შესამჩნევად გამოიკვეთება, როგორც დამოუკიდებელი ტოლფასოვანი პიროვნების აღიარების პრეტენზია. იგი კრიტიკულ დამოკიდებულებას იჩენს მშობლების აზრის მიმართ.

თუ მონაცემებს ასაკობრივი თვალსაზრისით განვიხილავთ, ის კატეგორია ვინც დამოუკიდებელ პიროვნებად მიიჩნევს თავს, პირველ რიგში მათ უჩნდებათ პრეტენზიები და საკუთარი პოზიციებით უპირისპირდებიან მშობლებს. ცდილობენ მიაღწიონ მისი პიროვნების ტოლფასოვან აღიარებას. ასაკობრივი თვალსაზრისით თუ დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ ბავშვთა იმ კატეგორიას, რომლებიც დამოუკიდებელ პიროვნებად უკვე თავს გრძნობს, აქვს პრეტენზიები იმოქმედოს საკუთარი გადაწყვეტილებით. ეს მოზარდები საკუთარი ნორმებითა და პოზიციებით უპირისპირდებიან მშობლებს და ცდილობენ მიაღწიონ მისი პიროვნების ტოლფასოვან აღიარებას.

ამ შემთხვევაში სკოლას შეუძლია ინდიკატორის როლის შესრულება, ოჯახური აღზრდის შეცდომების ნიადაგზე სწორი ანალიზის გაკეთება, ვინაიდან იგი არ არის ჯერ კიდევ იდეალური გარემო ბავშვებისათვის, რადგან მათ ჯერ კიდევ არ შესწევთ სხვებთან კონტაქტში შესვლის უნარი. ამიტომ ისინი მარტოხელებლად გრძნობენ თავს, რის შედეგად განსაკუთრებული დამოკიდებულება ყალიბდება, რაც დიდობაში აისახება უარყოფითად. ხდებიან რთული ბავშვები და გამოსატყვევნი პრეტენზიებს ამა თუ იმ მოვლენისადმი. საზოგადოებისაგან განსხვავებით ისინი ირჩევენ იმედგაცრუებულთათვის მიმზიდველ გზას, – უსწრაფესი ფსიქოლოგიური წარმატების გზას<sup>15</sup>.

ადეკვატური თვითშეფასების პროცესი ბავშვს უყალიბდება მაშინ, როდესაც აღმზრდელები და პედაგოგები ადეკვატურად აფასებენ მის შესაძლებლობებს, რომელიც თვითრწმენის, თვით-

<sup>14</sup> ვლ. ნორაკიძე (რედ.), დასახ. ნაშრ., გვ. 38-39.

<sup>15</sup> ალ. ადლერი, დასახ. ნაშრ., გვ. 9-11.

კრიტიკულობის მოთხოვნები ჩამოყალიბებას უწყობს ხელს. ადრეულ ასაკში ჩამოყალიბებული თვითშეფასება, იმდენად მყარია, რომ მისი შეცვლა რთული პროცესია. ბევრ ოჯახს მიაჩნია, რომ მომავალში შვილი არ დაეჩაგროს მის აღიარებაში, დარწმუნებულია მისი „ნიჭის დემონსტრირების“ აუცილებლობაში.

აუცილებელია ის გარემოებაც, რომ მშობელმა უნდა გაითვალისწინოს თვითშეფასების კონტროლი, რომელიც სანინდარია მომავალში პიროვნების სწორი ფორმირებისათვის. მოზარდის პრეტენზიების დასარეგულირებლად აუცილებელია როგორც მშობლების, ასევე სკოლის სწორი მიდგომა, რათა ბავშვს მივანოდოთ აღზრდის პროცესში ადეკვატური თვითშეფასება, რაც სირთულეებს ააცდენს მოზარდის მიერ წამოყენებულ პრეტენზიებს. „ფსიქოლოგების აზრით, მოზარდის პიროვნებაში ახალ ცენტრალურ წარმონაქმნად მიჩნეულია მის თვითცნობიერებაში მომხდარი თვისებრივი ხასიათის ძვრა, რაც ვლინდება მოზარდის წარმოდგენაში თავის თავზე, როგორც დიდზე–ლტოლვა იყოს და ჩათვალონ დიდად, ეს გარემოება მიჩნეულია „პიროვნების ერთადერთ სტრუქტურულ ცენტრად“<sup>16</sup>.

მოზარდობის დიდობისაკენ მისწრაფება და პრეტენზია ვლინდება იმაშიც, რომ ისინი საჭიროდ თვლიან ისე იმოქმედონ, როგორც მათ სურთ და ანგარიშს არ უწევენ უფროსების მითითებებს. ხშირად მოზარდები უკმაყოფილებას გამოთქვამენ, რომ მათ მშობლები ვერ უგებენ და მათ პრეტენზიებს არ აკმაყოფილებენ. თავის მხრივ მოზარდსაც ევალება, ანგარიში გაუწიოს მშობლებს და გაითვალისწინოს მშობლების მიერ მიცემული რჩევა-დარიგება.

თავდაპირველად ფსიქოლოგიაში „პრეტენზიის ცნება“ კ. ლევინის მოწაფემ ფერდინანდ ჰოპემ შემოიტანა, რომელიც განსაზღვრავს გარკვეული ადამიანისათვის დამაკმაყოფილებელი თვითშეფასების მოთხოვნებს. დღეს ინდივიდის პრეტენზიის დონის კვლევის სხვადასხვა მეთოდები არსებობს. მსურს მოკლედ გავანალიზო ფ. ჰოპეს მეთოდი, რომელიც ინტერესს მოკლებული არ იქნება. მან ჩაატარა მოზარდებში შემდეგი ცდა. აიღი 3 ბარათი, სადაც მოათავსა სიძნელეების მიხედვით ამოცანები. არჩევა სურვილსამებრ იყო, შეფასება ხდებოდა ქულებით. გამარჯვებული ყველაზე მაღალი ქულით ფასდებოდა. მოზარდი რაც უფრო რთულ ამოცანას წყვეტს, მას უფრო მეტი ქულა ენერება და ის რჩება გამარჯვებულად. ჰოპეს ექსპერიმენტმა უჩვენა შემდეგი: 1. წარმატება ამოცანის გადანყვეტაში მაღლა სწევს ცდისპირის „პრეტენზიის დონეს“, რაც მას დიდ სტიმულს აძლევს მომავალში უფრო რთული ამოცანა აირჩიოს. 2. წარუმატებლობა კი დაბლა სცემს პრეტენზიის დონეს, – ცდისპირი უფრო დაბალ საფეხურზე გადადის ამოცანების გადანყვეტაში<sup>17</sup>.

მოზარდთა პრეტენზიის დონის გამოსაკვლევად უნდა იქნეს უსათუოდ კარგად მოფიქრებული, რომ ინდივიდს პრეტენზიის დონე და მისი სიძნელე მნიშვნელოვნად უნდა იყოს დამოკიდებული ამოცანის შინაარსზე. პოპულარული ანუ ლიდერი მოსწავლეები ცდილობენ შეინარჩუნონ პოზიციები და არ დაკარგონ პოპულარობა მეგობრებს შორის, რომელსაც უდიდესი გავლენა აქვს მოზარდის პიროვნების ფორმირებისათვის. ხდება შემთხვევები, როცა არაპოპულარული მოზარდი ეთიშება მეგობრებს და გარიყული რჩება, მაგრამ საბედნიეროდ არიან ძლიერი პიროვნებები, რომლებიც ახერხებენ მასთან დამეგობრებას. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ ხშირად ხდება მოზარდთა ასაკობრივი საფეხურების, სტატუსის განმსაზღვრელი პიროვნული თვისებებით დაპირისპირება. თუ მონაცემებს ასაკობრივი თვალსაზრისით განვიხილავთ, აღმოვაჩინოთ, რომ მოზარდთა ის კატეგორია, რომლებიც თავს თვლიან უკვე დამოუკიდებელ პიროვნებად და გააჩნია პრეტენზია იმოქმედოს დამოუკიდებლად, ასაკის შესაბამისად იზრდება, რომლებიც თავიანთი ნორმებით და პოზიციებით უპირისპირდებიან მშობლებს და ახერხებენ როგორმე მიაღწიონ მისი პიროვნების ტოლფასოვან აღიარებას. ხშირ შემთხვევაში მოზარდები უკმაყოფილებას გამოთქვამენ, იმის გამო, რომ მათ მშობლები სათანადოდ ვერ უგებენ მათ მიერ წამოჭრილ პრობლემის მოგვარებაში და ამავდროულად

<sup>16</sup> ვ. მუხინა, დასახ. ნაშრ., გვ. 40-41.

<sup>17</sup> ვ. მუხინა, დასახ. ნაშრ., გვ. 176-179.

არ იზიარებენ მათ შეხედულებებს. თავის მხრივ მოზარდსაც ევალება, რომ მშობლებს გაუწიონ ანგარიში, რადგან მათ მეტი ცხოვრებისეული გამოცდილება გააჩნიათ<sup>18</sup>.

საზოგადოებაში ცხოვრება, ქცევის დინამიკური ფაქტორების თვალსაზრისით, რამდენიმე კონფლიქტსაც შეიცავს, ინსტიტუტურ მოთხოვნილებებსა და ღირებულებათა და განცდას შორის. ინდივიდის დამოკიდებულება ღირებულებებთან განსაზღვრულია იმ საზოგადოებითაც, რომელშიც თავად ცხოვრობს. კულტურულ წრეში, – ამბობს ფსიქოლოგი ბუზემანი, – მომავალში კეთილდღეობის საფუძველით აუცილებელია ანმყო მოთხოვნილებებზე უარის თქმა. ეს გარემოება რამდენადმე გადატვირთვას იწვევს ბავშვში და მით უფრო ძლიერს ხდის, რაც დიდია ის მოთხოვნები, რომლითაც მას აღმზრდელი წაუყენებს. ბავშვის კონფლიქტები საზოგადოების ზნეობრივ მოთხოვნებთან იმაში მდგომარეობს, რომ ბუნებრივი მოთხოვნილებები არღვევენ იმ შეკავებას, რომელიც საზოგადოებრივი ცხოვრების წესიდანაა წამოსული, ესენია: მსუენაგობა, წვალეობა, მითვისება, სიცრუე<sup>19</sup>.

ბავშვთა აღზრდის საკითხის გადაჭრაში ოჯახთან ერთად მჭიდრო კავშირი უნდა დაამყაროს სკოლამ მოზარდის შორსმწვდომი იმპულსების დარეგულირებაში. ამას უფრო ხშირად ერგება 8---12 წლების ასაკში მყოფი ბავშვები, ვინაიდან კონფლიქტური სიტუაციები სწორედ ამ ასაკში აღინიშნება. უფრო მეტი მიდრეკილება აქვთ ამ ასაკში ბავშვებს სპეციფიკური ურთიერთობა დაამყარონ დიდებთან. ეს ის პერიოდია, როცა სოციალური სიტუაციის გადახალისება ხდება, ბავშვისათვის დამახასიათებელ დიდებთან ურთიერთობის ტიპიდან თვისობრივად ახალ ეტაპზე. ამ სიტუაციას ფაქიზად უნდა შეუწყოს ხელი მის სოციალურ დიდობას და თავიდან ავაცდინოთ კონფლიქტურ სიტუაციებს. ამისათვის საჭიროა მოზარდის უფლებების გაზრდა, როგორც დამოუკიდებელი პიროვნების და საჭიროების შემთხვევაში დახმარება გაეწიოს მას, რადგანაც ზოგჯერ მის მიერ საკუთარი ძალების შეფასება, ნამდვილ ობიექტურ შესაძლებლობას არ შეესაბამება. ეს შემთხვევა ერთგვარი ანგარიშის განევას მოითხოვს. როდესაც მოზარდი საკუთარი ქცევით ქმნის და აღრმავებს წინააღმდეგობას, სიძნელეები და კონფლიქტები გარდუვალია. თუ მოზარდი მშობლის დამოკიდებულების მიზანშეწონილობაში დარწმუნდება, მიიღებს მშობლის პოზიციას, რის მეშვეობითაც ხდება კონფლიქტური სიტუაციების თავიდან აცილება. შესაძლებელია ყოველთვის მშობლის აზრი არ იყოს მისაღები და ცდებოდეს – ფიქრობს მოზარდი.

იმ შემთხვევაში, როდესაც მშობელსა და მოზარდს შორის აზრთა სხვაობა არსებობს, აუცილებელია ორივე მხარემ გაითვალისწინოს შემდეგი გარემოება:

1. ღირს თუ არა ამ საკითხზე დავა?
2. ემყარება თუ არა მშობლის აზრი გონივრულ პრაქტიკულ განსჯას და ითვალისწინებს თუ არა ბავშვის ინტერესებს?
3. ზიანს აყენებს თუ არა ზოგ შემთხვევაში ბავშვს მისი სურვილის ასრულება? მშობლის მიერ მისი უარყოფა ხომ არ არის დამყარებული პირად კაპრიზზე, პირადი მომნიშვნელობის პერიოდის გამოცდილებიდან გამომდინარე.

ყოველთვის უნდა ვეცადოთ კონფლიქტური სიტუაცია გადავჭრათ შეთანხმებით, სიტუაციების გართულების გარეშე, როცა საქმე ეხება შედარებით მეორეხარისხოვან საქმეს. ხშირად კონფლიქტური სიტუაციის საბაზი ხდება მოზარდის დიდობის შეუფასებლობა უფროსების მიერ. მოზარდებს ჰგონიათ, რომ მათ ყველაფერი იციან და ცდილობენ საკუთარი აზრით გადაწყვიტონ არსებული სიტუაცია. ამ შემთხვევაში ყურადსაღებია შემდეგი გარემოებანი: მშობლის სურვილი, შეინარჩუნოს თავისი პოზიცია, რომელიც მოზარდში უკმაყოფილებას იწვევს, რის შედეგად მშობელი კარგავს ავტორიტეტს მოზარდთან მიმართებაში. არსებობს კონფლიქტის შემდეგი სახე, როდესაც მშობელი მიდის საკუთარი შეხედულების დათმობაზე, მო-

<sup>18</sup> ვ. მუხინა, დასახ. ნაშრ., გვ. 176-179.

<sup>19</sup> ვლ. ნორაკიძე (რედ.), დასახ. ნაშრ., გვ. 12-13.

ზარდის ძალადობის ხარჯზე და რიგ შემთხვევაში, როცა ზრდადასრულებულ მოზარდს ექცევა თანატოლივით, აქ უკვე მცირდება კონფლიქტის გამომწვევი მიზეზი.

მოზარდების კონფლიქტების გამომწვევ მიზეზად თვლიან იმ გარემოებას, რომ მათ ხშირად შეუფერებელ მოთხოვნებს უყენებენ და მის ძალებს აღემატება. ასეთ ვითარებაში მოზარდი რჩება გაურკვეველ სიტუაციაში და არ იცის როგორ მოიქცეს. გამოკვლევების შედეგად კონფლიქტების თავიდან ასაცილებლად, საჭიროა მოზარდს შეუქმნათ კომფორტული პირობები საზოგადოებრივ საქმიანობაში. სადავო არ არის ის საკითხი, რომ როგორი ზემოქმედებაც არ მოვახდინოთ მოზარდზე, სანამ სხვისი მოთხოვნა არ გადაიქცევა მის მოთხოვნად, მანამდე იგი არ გვევლინება განვითარების მოქმედ ფაქტორად. ნებისმიერი ასაკის ინდივიდს სურს გართობა და შესაფერისი პირობები. „იზრდება ბავშვის ინტერესები საზოგადოებრივი ცხოვრებისადმი, სხვადასხვა მოვლენებისადმი, რეალური სამყაროთი გატაცება, რომლებიც უშუალო სინამდვილეს, ბავშვებისა და მოზარდების ცხოვრების სხვადასხვა მომენტს ეხებიან, აფართოებენ და აზუსტებენ მათ მიერ მიღებულ წარმოდგენებს ამ ცხოვრების შესახებ და ახალი საინტერესო მხარეებით ამდიდრებენ მათ. ჩქარი ტემპით ხდება მოზარდის კრიტიკული და განყენებული აზროვნების, ლოგიკური მსჯელობის და დასკვნების გამოტანის უნარის განვითარება, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს სხვადასხვა მეცნიერული დარგებისადმი ინტერესების გაღვივებას. ბავშვის პიროვნების განვითარების პერიოდში დიდი ცვლილებები ხდება მის ემოციურ ცხოვრებაში. ბავშვის გრძნობა, როგორც მისი აზრი, პირველად გამსჭვალულია უშუალოდ მოცემულით. მხოლოდ განვითარების გარკვეულ დონეზე ის თავისუფლდება--მშობლების, ახლობლების – უშუალო გარემოდან, რომელშიც ბავშვი იზრდება და თანდათან შეგნებულად მიიმართება ამ ვიწროდ შემოფარგლულ გარემოს საზღვრებს იქით“<sup>20</sup>.

როგორც დავინახეთ, მოზარდის ყველა ფსიქიკური მოვლენა პირდაპირ ან არაპირდაპირ მოთხოვნილებითაა განპიროვნებული, რომლის საფუძველზე წარმოიშობა ინტერესები, გრძნობები, ემოციები, მიდრეკილებები, მისწრაფებები და წარმოიშობა კონფლიქტი. მოთხოვნილება მხოლოდ მაშინ წარმოშობს ინტერესს, როცა ის წინააღმდეგობას აწყდება სუბიექტური ან ობიექტური ფაქტორებისაგან. თუ ეს წინააღმდეგობა რეგულარულად მოქმედებს მის მიმართ, ამ შემთხვევაში ჩნდება მუდმივი ინტერესი აღნიშნული საგნისადმი<sup>21</sup>.

მოზარდობის ასაკი, როგორც პიროვნების განვითარების კრიზისული პერიოდი მეტად რთულია, სასწავლო პროცესში ძნელი მოსწავლეები ბევრ პრობლემას ქმნიან.

ძნელად აღსაზრდელი მოზარდების ტიპები:

1. პრობლემური ურთიერთობის მქონე მოზარდები, რომლებსაც დარღვეული აქვთ ნორმალური ადამიანური ურთიერთობანი;
2. დაქვეითებული ემოციური რეაქციების მოზღვავება, ფსიქოლოგიური ტრამვების მქონე მოზარდებში;
3. ცალმხრივი გონებრივი განვითარების მოზარდები;
4. სუსტი ნებელობის მოზარდები-უნებისყოფოები, ხშირად აგრესიულები არიან სხვების მიმართ.

ძნელი მოზარდები მიმართავენ დევიაციურ ქცევას, რომელიც მიუღებელია კულტურული ნორმებისთვის. ქურდობა, მანანნალობა, ნარკომანია, სუიციდი. ამრიგად საჭიროა სწორი სააღმზრდელო ღონისძიებების ჩატარება, რათა შევამციროთ პრობლემები.

მეტად საინტერესოა თ. შავგულიძის მოსაზრება, რომელიც აღნიშნავს, რომ ნებისყოფა ადამიანის თანდაყოლილი თვისება არ არის. ახალშობილი ბავშვი მოთხოვნილების სუბიექტია, ხოლო ნებისყოფის სუბიექტად ის იქცევა სოციალიზაციის მსვლელობაში. მხოლოდ ამის შემდეგ აქვს ადამიანს უნარი დაიოკოს მოთხოვნილების იმპულსი და პასუხი აგოს თავისი

<sup>20</sup> ვლ. ნორაკიძე (რედ.), დასახ. ნაშრ., გვ. 267-269.

<sup>21</sup> დ. კიკნაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 87-88.

მოქმედებისათვის. სოციალური ნორმების ძალა პირდაპირ კავშირშია იმასთან, რომ ადამიანს სოციალიზაციის საფუძველზე უყალიბდება „მე“ – კონცეფცია, რომელიც არის ადამიანის შეხედულება თავის თავზე, როგორც ობიექტური ღირებულება, რომელიც წარმოადგენს მის ობიექტივაციის უნარს და თვითკონტროლს<sup>22</sup>.

ყველაზე დიდი პასუხისმგებლობა მაინც მშობლებს აკისრიათ, ამიტომ მჭიდრო კავშირი უნდა ჰქონდეს სკოლასთან, რომ მიიღონ რჩევა-დარიგება აღზრდის საკითხზე, რომელიც მათ აინტერესებთ. მოზარდის ხასიათის ძირითადი ნიშნების ჩამოყალიბება დამოკიდებულია მშობელთა სიმტკიცესა და მომთხოვნელობაზე, მოზარდის სწორ შრომით დატვირთვასა და დღის რეჟიმის განაწილებაზე. ბავშვი ზედმეტად არ უნდა დაიტვირთოს, მაგრამ არც ზედმეტ შეცოდებას ჰქონდეს ადგილი. სწორად ორგანიზებული აღზრდა ბავშვს უმუშავებს ნებისყოფას, შრომისადმი სიყვარულს, მოვალეობის გრძნობას. ფსიქოლოგების რჩევით მაინც საუკეთესო გზა გარდამავალი ასაკის პრობლემების დასაძლევად არის მშობლების მიერ მოზარდების აქტიურობა ოჯახურ ცხოვრებაში, მათი აზრის გათვალისწინება.

<sup>22</sup> თ. შავგულიძე, საზოგადოებრივი აზრი, მართლშეგნება და მოსწავლე ახალგაზრდობა, 1981, გვ. 22-25.

ISSN 24449-3112



9 772449 311009